

209

Орлыгина

6

საბჭოთა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუხნალი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

3. ჯავახიძე — სძინავს პატარას (ლექსი)	3
ალ. აბაშელი — ქალი სარკეში (რომანი, გა- გრძელება)	4
ო. ზილაძე — ლექსები	35
ს. დემურხანაშვილი — გასეირნება ქალაქგარეთ (მოთხრობა)	39
3. ვეზუჯორი — ლექსები	47
3. ძნელაძე — ჩემს ციციანთელას (ლექსი)	52
მ. მაჭავარიანი — ვახტანგი	53
ბ. დავითიშვილი ოჯახი (მოთხრობა)	68
3. ჰიუგო — ლომის გამოღვიძება (ლექსი, ფრან- გულიდან თარგმნა. გ. ქავთარაძემ)	77
ბ. შან ბერანშე — გაზაფხული და შემოდგომა (ლექსი, ფრანგულიდან თარგმნა გ. ქავთა- რაძემ)	78
ბ. სტილი — ფოლადის ყვავილი (მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნა ს. თურნავამ)	80

საბჭოთა საქართველოს 40 წელი

ბ. ნიუნინიძე — ყუაჩოს ფერისცვალება (კინო- მოთხრობა, დასასრული)	90
---	----

მოგონებანი

ნ. აბიაშვილი — ჭაბუკები დარჩენ მარად! (გაგრძელება)	102
---	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ბაბუნიძე — ახალი მოთხრობები	112
რ. თვარაძე — პოეტისა და მთარგმნელის წიგნი	119
მ. გავრინდაშვილი — დანიელ ჭონქაძე და ქარ- თული განმანათლებლობა	125
ჯ. ჭუმბურიძე — აკაკი დუღელის შესახებ	134

6

1960

ივნისი

სახელმწიფო
გამომცემლობა
„საბჭოთა
საქართველო“

ს. ყაუხჩიშვილი — მართლწერისა და მართლ- მეტყველების საკითხებისათვის	136
შ. ძიძიგური — ლევან ასათიანი	139
ო. მგელაძე — ზოგი რამ კრიმინალისტური ექს- პერტიზის შესახებ	142
შ. ბაღრიძე — „მატიანე ქართლისაჲ“-ის ერთი ადგილის ახსნისათვის	146

სატირა და იუმორი

ი. ყიფიანი — მოგებული თამაში	148
ს. ლიპოვი — თოვლის პაპას შეცდომები, მორ- ცხვი ჯონსი (ინგლისურიდან თარგმნა ა. ბათიაშვილმა)	152

ჟოველი მხრიდან

ქრონიკა	156
-------------------	-----



რ ე დ ა ქ ო რ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ჭ ე ლ ი ძ ე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VII-60 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 1261. უე 01338. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6300.


საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

პანჯანს ჯაჟანაჲ

სძინავს პატარას...

დედის მკლავებზე სძინავს პატარას,
ისვენებს დიდი იმედი ქვეყნის.
ფრთხილად იარეთ,
ფრთხილად იარეთ,
ჩრდილზე არავინ დაადგას ფეხი.
დედის მკლავებზე სუნთქავს ნეტარი,
თავისუფალზე თავისუფალი.
ზღვაო, ქარი არ გამოგეპაროს,
შორს გადაკარგე, მზეო, ღრუბელი.
კარგა ხანია იღარა ცამა,
ქარიშხლის ფრთები დაკეცილია,
პატარას ვერვინ წაართმევს მამას,
პატარას ზეცის არ ეშინია.
სძინავს და დედის თვალებს ახარებს,
ნაკადულივით იზრდება იგი,
მისთვის ეძებენ უცნობ ვარსკვლავებს
და იწერება ახალი წიგნი.
მისთვის ჰყვავიან დიდი მინდვრები
და ლაყვარდები სასაპარეზო,
იგი იზრდება,
იგი იზრდება,
იგი დაარხევს დროშებს მთვარეზე.
დაე, გაეგონ ფეხქვეშ მიწები,
გული გაუხსნან თამამს და მამაცს,
და თუ ქარები გაიღვიძებენ,
დაჰქროლოს მხოლოდ მშვიდობის ქარმა.



ჩელი სრუეში

VI

პანიკა

მეორე დღეს დებეშათა სააგენტომ მთელ ქვეყანას გადასცა ცნობა კამარელის მოხსენების შესახებ. ორი დღის შემდეგ მან მიიღო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთაგან მრავალი შეკითხვა. პასუხად კამარელმა თავისი წერილი გამოაქვეყნა.

კამარელის წერილმა სენსაცია გამოიწვია. ევროპისა და ამერიკის 17-მა ობსერვატორიამ შეამოწმა კამარელის დასკვნა და უდავოდ დამტკიცდა საშინელი კატასტროფის აუცილებლობა.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს მომავალი კატასტროფის ხასიათი და თავზარდამცემი შედეგი მიიღეს: კომეტის მასსა იმ ზომამდე დიდი აღმოჩნდა, რომ დაჯახებას უნდა გამოეწვია დედამიწის ორად გაყოფა. „გასკდომამდე დედამიწა აენტება, — სწერდა ერთი ამერიკელი მეცნიერი, — დაიწყებს თავის ღერძის ირგვლივ ტრიალს საშინელი სისწრაფით და ეკვატორი ნელ-ნელა შუაზე გაიყოფა ერთ-ერთი მერედიანის რკალით. შემდეგ ორივე ნახევარი მიიღებს სფერულ ფორმას, ერთმანეთს დაშორდება 50 ათასი კილომეტრით და ერთმეორის გარშემო დაიწყებს ბრუნვას. 19... წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 ს. და 43 წ. გრინვიჩის დროით, კაცობრიობა სამუდამოდ შეწყვეტს თავის არსებობას“.

პირველ ხანებში ფართო საზოგადოებას დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ ცნობისათვის, მხოლოდ მეცნიერთა წრეებში სდულდა მომავალი უბედურების წინასწარი მტკიცების საშინელი ქვაბი. მაგრამ როდესაც სპეციალური ორგანოებიდან ეს ამბავი პოლიტიკურმა პრესამ ქვეყანას მოსდო, სენსაციამ მიიღო საყოველთაო პანიკის ხასიათი.

პანიკა სწრაფად მოედო მსოფლიოს. მრავალ ქვეყანაში ბირჟამ პანიკას უპასუხა უმავალითო არეუ-ღარევი, რამაც ეკონომიურ-ფინანსიური ქაოსი გამოიწვია. სამი დღის განმავლობაში უღიდესი ფინანსური ტრესტებისაგან ნანგრე-

ვები-ლა დარჩა. არ გასჭრა არავითარმა მოწოდებებმა, რომ კატასტროფამდე მაინც არ უნდა დაინგრეს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ „რალაც იმედებია“ და სხვა.

პანიკამ მრავალგვარი სახე მიიღო. ზოგიერთები თავდავიწყებულ გარყვნილებას მიეცნენ. ავხორცობის ვაკხანალიამ დაჰვარა შიშისა და უძლურების გრძნობა. ქვეყანას მოენგრა ბურჯები და თავდაყირა გადაბრუნდა ცხოვრების ყველა საფუძველი. თითქოს წაიშალა სოციალური საზღვრები და თავზარდაცემული ხალხის ბრბო საშინელი უფსკრულის წინაშე სცურავდა სიგიჟისა და გარყვნილების მორევში.

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა პატრიოტული მოწოდება:

— „ბრიტანელებო! მსოფლიო მეზღვაურებო! რამდენჯერ გამოგიჩენიათ სულის უმაგალითო სიმტკიცე და რაინდობა დასაღუბავად გამოხადებული გემების ბაქნებზე. რამდენჯერ ჩაძირულხართ თქვენს საყვარელ გემთან ერთად ოკეანეს ცივ უფსკრულში უსიტყვოდ, წარბშეუხრელად, თქვენის განუყრელის ჩიბუხით პირში. მეზღვაურებო! იღუპება ჩვენი უკანასკნელი ხომალდი, საყვარელი ჩვენი პლანეტა, რომელიც ამდენ ხანს ღირსეულად ატარებდა ბრიტანეთის მაღალ დროშას. დადექით ხომალდის ბაქანზე თქვენ-თქვენს ალაგას, დაიცავით დისციპლინა, და დანარჩენ კაცობრიობას, — ხომალდის მგზავრებს, — ერთხელ კიდევ და უკანასკნელად უჩვენეთ თქვენი გმირული ბუნება, უშიშარი გული და მტკიცე ხასიათი! მეზღვაურებო! დაე უკანასკნელად ჩაიღუბოს სივრცეში უიმედო და განწირული კივილი: S. O. S! მაგრამ ამ კივილს თან გაჰყვეს დროშად ჩვენი ქედმაღალი ერის გმირული სიმღერა:

გიახლოვდები,
გიახლოვდები
მე შენ, უფალო!...“

ასევე მოიქცნენ სხვა ქვეყნის მთავრობებიც, მაგრამ ამაოდ...

პანიკა გრძელდებოდა.

მხოლოდ მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ცხოვრება არ ამოვარდნილა კალაპოტიდან. ხალხი მტკიცე ნებისყოფით გრძნობდა თავისი დიდი მომავლის საქმეს. მათ ჰქონდათ იმედი, რომ მეცნიერება სძლევდა სტიქიას.

დადგა 19... წლის იანვარი.

პანიკის გავრცელებიდან სამი კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიო ციებ-ცხელებიან ავადმყოფივით ცახცახებდა და ჰბოდავდა.

მომავალი სიკვდილი ათასჯერ დამტკიცებული იყო, არსაიდან საშველი არ სჩანდა და ზარდაცემულ გონებას საშინელი აღსასრულის აჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა.

იანვრის 10-ს რომში შესდგა კათოლიკური სამღვდლოების საგანგებო მსოფლიო კრება. კრების წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: „მეორედ მოსვლის ნიშნები და სამღვდლოების ტაქტიკა“. კრება გახსნა რომის მთავარეპისკოპოსმა „უწმინდესი პაპის“ სახელით და წარმოსთქვა შესავალი სიტყვა:

— ქვეყანა წარყვანა ურწმუნობამ, კაცობრიობამ დაივიწყა ღმერთი და თავყანსა სცემს ყოველგვარს ბიწიერებას. და განრისხდა უფალი ღმერთი ჩვენი და

ცეცხლისა და წარღვნის მოლოდინით დააქრო უკეთური გონება ადამიანისა; ცახცახებს შიშისაგან სასოწარკვეთილი უგუნურება, აღარ არის იმედი დამატკბობელი და იტანჯება სული უნუგეშო. სისხლითა და კაცთა მძულვარების შხამით აღივსო ჭურჭელი სიყვარულისა და სათნოებისა. ვილოცოთ უფლისა ჩვენისა მიმართ, რათა გარდმოგვივლინოს ძემან ღვთისამან იმედი და ნუგეში და ყოვლად სახიერმან განამტკიცოს სარწმუნოება ჩვენი“.

სამოციქულო კათედრაზე ადის მომხსენებელი, ღრმად მოხუცებული პრელატი მამა ბენედიქტე.

მამა ბენედიქტე: ქრისტეს მიერ ძმანო და ღირსნო მამანო! სრულდება ანდერძი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა და იყვენ ძრვანი ადგილ-ადგილ, და იყვენ სიყმილნი და შფოთნი... მისცეს ძმამან ძმას სიკვდილად, და მამამან შვილი. და აღსდგეს შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდეს მათ... ხოლო ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისა, თქმული დანიილ წინასწარმეტყველისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმინდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა ჰყავენ. — რამეთუ იყვენ ღღენი იგი ჭირისანი, რომელი არა სადა იქნა ესე ვითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადნა ღმერთმან ვიდრე აქამომდე და არცაღა იყოს... აჰა ესერა წინასწარ გითხარ თქვენ ყოველი. მათ ღღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი ზეცით გარდამოსცივენ, და ძალნი, რომელნი იყვენ ცათა შინა, შეიძრნენ. და მაშინ იხილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა...

ერთი დელეგატი: (ადგილიდან) ზეპირად ვიცით, მამაო, ზეპირად! თქვენ ის გვიბრძანეთ — ძე კაცისა მოდის თუ სატანა ჯოჯოხეთისა?

თავმჯდომარე: ვინ არის უბედური, სიტყვას აწყვეტინებს მოციქულთა სწორს?

ერთი დელეგატი: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდე, მამაო ჩემო, და ველი სიტყვას ახალსა და ნათელს რათა განმიფანტოს ბურუსი, დაკმეული მეცნიერთაგან ურიცხვთა. ხოლო სახარება ვიცი ფრიად.

მამა ბენედიქტე: (განაგრძობს) და მაშინ წარავლინეს ანგელოსნი მისნი და შეჰკრიბნეს რჩეულნი თვისნი ოთხთაგან ქართა, კილითაგან ქვეყნისათა ვიდრე კიდემდე ცისა... და აჰნდა კვამლი იგი საკმეველთა ლოცვისა მიმართ წმინდათასა ხელისაგან ანგელოსისა წინაშე ღვთისა. და აღიღო ანგელოსმან მან სასაკმეველე იგი, აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა და დაასხა იგი ქვეყანასა, და იქნეს ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და ძვრა. და შვიდთა ანგელოსთა, რომელთა აქვნდეს შვიდნი იგი საყვირნი, გამჟადნეს თავნი თვისნი ცემად. და პირველმან მას ანგელოსმან დასცა საყვირსა, და იქნა სეტყვა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა და მოვიდა ქვეყნად...

მეორე დელეგატი: ჩვენ აქ მოვედით არა იმისათვის, რომ საღმრთო წერილი ვიკითხოთ, ჩვენ გვინდა გავიგოთ: — რა მოხდა, რას უნდა ველოდეთ და როგორ მოვიქცეთ?

თავმჯდომარე: საღმრთო წერილია ჩვენი გზის მაჩვენებელი. იქონიეთ მოთმინება.

მამა ბენედიქტე: მეორემან ანგელოსმან დასცა საყვირსა და ვითარცა მთა დიდი მოტყინარე ცეცხლითა შთავარდა ზღვად... და მესამემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავი დიდო მოტყინარე ვითარცა ლამპარი...

თავმჯდომარე: აი, ხომ გესმით: გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავიო!... ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, უფლისაგან წინასწარ გვაქვს ნაუწყები.

მამა ბენედიკტი: და მეოთხემან ანგელოსმან დასცა საყვირსა და იწყება მესამედი მზისა და მესამედი მთოვარისა, და მესამედი ვარსკვლავთა... და ვიხილე და მესმა ერთისა ანგელოსისა მფრინვალისა ჰაერითა შინა: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს მკვიდრთა ქვეყანისათა!..

ერთი დელეგატი: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს ჩვენდა, რამეთუ არა ვიცით სად შევაფაროთ უბადრუკი თავი ჩვენი!

მამა ბენედიკტი: — და მეხუთემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და ვიხილე ვარსკვლავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქვეყანად... და მიეცა მას კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისა. და განაღო წყარო უფსკრულისა, და აღჰხდა კვამლი ჯურღმულისაგან, ვითარცა ცეცხლისა მოტყინარისაგან და დაბნელდა მზე და ჰაერი კვამლისა მისგან ჯურღმულისა...

მესამე დელეგატი: (ჰყვირის) ჯურღმულში ვცვივით სულიან-ხორციანად! რა დროს ეგ არის? არ გვინდა პანაშვიდი, გაგვაგებინეთ — მეორედ მოსვლაა, თუ მართლა უღვთოდ იღუპება ქვეყანა?..

თავმჯდომარე: ზარს აწკარუნებს.

მამა ბენედიკტი: და კვამლისა მისგან გადმოვიდეს მკალნი ქვეყნად... და მსგავსება იგი მკალთა ისევ ვითარი იყო. მსგავს იყვნეს ცხენთა, განმზადებულითა ბრძოლად, და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გვირგვინნი მსგავსნი ოქროსანი, და პირნი მათნი, ვითარცა პირნი კაცთანი. და აქვნდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი, ვითარცა ლომთანი იყვნეს. და აქვნდა ჯაჭვები, ვითარცა ჯაჭვნი რკინისა, და ხმა ფრთეთა მათთა, ვითარცა ხმა ეტლთა ცხენთა მრავალთა, რომელნი რბოდნიან ბრძოლად. და აქვს კუდები მსგავსი ღრიანკალთა, და საწერტელები აქვნდა კუდებთა მათთა...

მეორე დელეგატი: არ გვინდა ასეთი მოხსენება! ხომ არ დაგვცინით, მამაო! ჩვენთან ასობით მოდიან მორწმუნენი და მეკითხებიან: რისთვის აიღო უფალმა ჩვენზე ხელი და რათ უნდა დავისაჯოთ ჩვენ, მორწმუნენი, ურწმუნოთა ცოდვათაგან? მე მინდა ვიცოდე, რა ვუპასუხო მათ, რით ვანუგეშო?

მამა ბენედიკტი: მიექვსემან ანგელოსმან დასცა საყვირსა თვისსა, და ვიხილე რიცხვი მხედრობითა მათ ცხენთა ორი ბევრი ბევრთანი, და მსხდომარეთა მათ ზედა აქვნდა ჯაჭვები ცეცხლისა და იაკინთისა, და წუნწუბისა სახენი და თავნი ცხენთანი, ვითარცა თავნი ლომთანი და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კვამლი და წუნწუბა... კუდნი მათნი მსგავს არიან გველთა და აქვს თავები და მით ვნებენ...

დარბაზში ხმაურობაა. დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და ხმამაღლა კამათობენ. ისმის გუგუნნი.

ერთი დელეგატი: მამაო, თავმჯდომარე! მეტის მოთქმენა 'შეუძლებელია! ჩვენს ღრმად პატივცემულ მსცოვანს პრელატს, ეტყობა, არა აქვს წარმოდგენილი მთელი სიმწვავე ჩვენი მდგომარეობისა, რად გვინდა ჩვენ ის, რასაც მომხსენებელი ამბობს? გვიპასუხეთ იმ კითხვაზე, რომელიც დასაძულია წესრიგში: კატასტროფა, რასაც მთელი ქვეყანა ელის, მეორედ-მოსვლაა თუ სხვა რამ სტიქიური უბედურება? თუ მეორედ-მოსვლაა — რად სდუმან მოძღვარნი და რად მეტყველებენ საშინელის წინასწარმეტყველებით უკეთურნი და ბიწიერნი?

მამა ბენედიკტი: და ვიხილე სხვა ანგელოსი ძლიერი, გარდმომავალი ზეცით და ემოსა ღრუბელი და ირისე...

საშინელი ხმაურობა და აურზაური ატყდება. ერთი მღვდელი კათედრაზე ავარდება და მომხსენებელს ხელიდან გამოჰგლეჯს „იოანეს გამოცხადებას“. მომხსენებელი რაღაცას ბუტბუტებს და კათედრიდან ჩამოდის. თავმჯდომარე რეკს. კათედრაზე ადის მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი:

— დიდი ხანია ჩვენ ვქადაგებთ: მთავარ-ანგელოსნი უფლისანი საყვირითა ცეცხლისათა აუწყებენ ქვეყანასა მეორედ მოსვლას უფლისა ჩვენისა... დღეს-კი რას ვხედავთ? ასტრონომების ტელესკოპები ჰკივიან, ტაძრების ნაცვლად. სად არის ჩვენი პაპი, ქრისტეს მოადგილე ამ ქვეყანაზე? რათ არ წარსდგება ჩვენს წინაშე და არ გვაუწყებს ღვთიურს ნებას? და თუ ქვეყანა იღუპება უფლის ნების გარეშე, როგორ შევათავსოთ ეს მოვლენა საღმრთო წერილთან?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: არავინ უწყის ნება უფლისა. თვით ქრისტემ ბრძანა: ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არა ვინ იცის, არცა ანგელოსთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან. იხილეთ და მღვიძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით ოდეს იყოს ჟამი იგი...

კრება ხმაურობს.

„არცა ძემან?“ — ბევრს უკვირს ეს სიტყვები, თითქო პირველად გაეგონოსთ.

უმწვერვალესი კონსპირაცია!

მაშ მეცნიერებმა საიდან იციან?...

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი: წინადადებას ვიძლევი, პაპი მოვიწვიოთ კრებაზე.

— პაპი! პაპი! — ისმის ხმები.

— პაპი მოვიწვიოთ!

კრებას დადგენილება გამოაქვს: წარგზავნილ იქნას პაპთან დელეგაცია და ეთხოვოს მის უწმინდესობას მობრძანდეს კრებაზე.

დელეგაციაში ირჩევენ 12 კაცს (12 მოციქულს).

დელეგაციის თავმჯდომარედ ირჩევენ პარიზის დელეგატს აბატ დე-ბრიონს, მამაკაცს მოწიფულს და მხარ-ბეჭიანს.

კრება სწყდება საღამოს 6 საათამდე.

*

* *

დელეგაცია ვატიკანს ჩავიდა პირველ საათზე.

პაპის სასახლეში მას საღამოს 5 საათამდე მოუხდა ლოდინი, ვიდრე კარდინალი გამოვიდოდა.

მამა დე-ბრიონმა მოახსენა კარდინალს კრების დადგენილება და სთხოვა შეუძღვეს დელეგაციას პაპთან:

— პაპს დღეს თქვენი მიღება არ შეუძლია, — მოკლედ მოუჭრა კარდინალმა.

— რატომ არ შეუძლია? — გაიკვირვა დე-ბრიონმა.

— საქმე აქვს.

— რა საქმე უნდა ჰქონდეს ეკლესიის მსოფლიო კრებაზე უფრო მნიშვნელოვანი? — შეედავა დე-ბრიონი.

— ლაპარაკი ზედმეტია, პაპს თქვენთვის არ სცალია, — უკმეხად მიუგო კარდინალმა და ოთახიდან გავიდა.

პატივმოყვარე აბატი შეურაცხყოფამ ისე გააბრაზა, რომ დაჰკარგა ეტიკეტის ყოველი შეგნება და ძალით შევარდა პაპის დარბაზში.

დარბაზში პაპი არ იყო.

გაიარა რამდენიმე ოთახი, მაგრამ პაპი ვერსად ნახა.

ერთ ოთახში წააწყდა ერთს ანაფორიან ახალგაზრდას, რომელიც ჩემოდანში რაღაც ნივთებს ალაგებდა.

ანაფორიანს აბატისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სახეგაფითრებულმა აიღო ჩემოდანი და ქურდივით უხმოდ, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

აბატმა მისდია.

ანაფორიანმა ჩაირბინა დაბლა სართულში, შეუხვია ეზოსკენ და იქვე, თითქო მიწა გასკდაო, სადღაც ჩავარდა.

აბატი გაჰყვა მის კვალს ოდნავ განათებული კიბით და ნახევრად ბნელ გვირაბში გავიდა. გვირაბის ბოლოს სპირალური კიბე ჩადიოდა ღრმა ჭაში.

ჭის ფსკერზე მარჯვნივ კარი გადიოდა საკმაოდ განიერ, სარდაფივით კამარა-შეკრულ ოთახში, სადაც რამდენიმე კაცი ყუთებს ალაგებდა.

ანაფორიანმა ეს ოთახიც გაიარა და მარცხნივ კარი შეაღო.

გამოჩნდა კარგად განათებული განიერი ოთახი.

აბატი შეუმჩნევლად შეჰყვა ამ ოთახში ანაფორიანს.

შუა ოთახში დაბალ სავარძელზე იჯდა თავ-ჩაქინდრული, უზომოდ გამხდარი პაპი. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეწყო, ზურგით სავარძელს მიყრდნობოდა და დანაოჭებული ნიკაპი მკერდზე მიებჯინა. თვალები დახუჭული ჰქონდა და, თეთრად მოსილი, ჰგავდა ქვის ქანდაკს.

ანაფორიანმა ჩემოდანი კარადაში ჩასდო.

კუთხეში სამი კაცი კედელზე რაღაც ინსტრუმენტს ამაგრებდა.

პაპმა უცებ თვალი გაახილა.

— ვინ არის ეს კაცი? — მისუსტებული ხმით იკითხა მან და აბატს მიაცქერდა.

ანაფორიანი მოტრიალდა და როცა უცხო კაცი დაინახა, ეძგერა:

— თქვენ ვინა ხართ? ვინ შემოგიშვათ აქ?

— მე ვარ ეკლესიის მსოფლიო კრების მიერ არჩეული დელეგაციის თავმჯდომარე აბატი ჟუან დე-ბრიონ. — გაბედულად უპასუხა აბატმა და ორი ბიჯი წირსდგა პაპისაკენ. — უნდა მოვახსენოთ მის უწმინდესობას, რაც კრებამ დამავალა.

— თქვას, თქვას, ნუ უშლი! — მიმართა პაპმა ანაფორიანს, რომელიც აპირებდა დაუკითხავად შემოსულის უკან გაგდებას.

— დელეგაციის წევრები ზევით მიცდიან. ოთხი საათია, თქვენს კართან ვდგევართ, თქვენო უწმინდესობავ! თქვენის ნებართვითა და სახელით მოწვეული იქნა ეკლესიის მსოფლიო კრება, რომელსაც უნდა განეხილა ქვეყნის აღსასრულის მოახლოების საკითხი. კრება დღეს გაიხსნა, მაგრამ, შიშითა და ძრწუნვით მოცული, ელის თქვენს სიტყვას, რომ ეუწყოს მას თქვენის პირით ნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...

— მე არაფერი ვიცი! რა უნდა გაუწყოთ? — მოულოდნელად აკაპასდა პაპი და გაწვალებულ სახეზე ნაოჭების წვრილი ხაზები ობობას ქსელივით გაიშალა. — ქრისტე არაფერ შუაშია აქ... ქვეყანას სატანა ღუპავს, გესმით? სატანა!.. მე თავი დამანებეთ.

— როგორ ვანუგეშოთ მორწმუნენი? — აღელდა აბატი. — ჩვენ გვეკითხებიან ათასნი და ათათასნი და სიტყვა მისაგებელი ჩვენ'არა გვაქვს.

— მართალი ხარ, შვილო! — უცებ მოლბა პაპი. — ხომ ხედავ, მე როგორ ვემზადები? ასევე მოემზადეთ თქვენც.

— მე არ მესმის რასა ბრძანებთ, — მიუგო გაკვირვებულმა აბატმა.

— აბა ყური დამიგდე! — თავის კანკალით ამბობდა პაპი. — არავინ იცის, რა მოუვა დედამიწას კომეტასთან დაჯახებით. მეცნიერებს არაფერი დაეჯერება. იქნება დაინგრეს სახლები, ხანძარმა გადაჰბუგოს ქვეყანა, ზღვამ გადარეცხოს ხმელეთი... მაგრამ, შემდეგ, შეწვევითა ღვთისათა, ისევ დაწყნარდეს წყალი, დამშვიდდეს ჰაერი და ქვეყანას დაუბრუნდეს ჩვეულებრივი სახე... და, ვინ იცის, თუ ამ გარდამავალ წარღვნას როგორმე თავს დავაღწევთ, იქნება გადავრჩეთ კიდეც...

— წარღვნაა მოსალოდნელი თუ მეორედ-მოსვლა? — შეეკითხა პაპის აბნეული საუბრით შეშინებული აბატი.

— მე ნიშანი არა მაქვს, არა მცნო ღირსად ქრისტემან, — პაპმა ხელები ზედააპყრო და ჩაყვითლებული თვალები ჭერს მიასო. — მაგრამ სწერია: აჰაძრვა იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა ვითარცა ძაძა ბალნისა, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდამოცვივეს ქვეყნად, ვითარცა ლელმან დაჰყარის პირველი ნაყოფი თვისი ქარისაგან დიდისა შერყევითა. და ცა წარიგრაგნა ვითარცა წიგნი წარგრაგნილი, და ყოველი მთა და ბორცვი ადგილთა თვისთაგან შეიძრნეს და მეფეთა ქვეყანისათა, და მთავართა და ათასისთაგათა, და მდიდართა ძლიერთა და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქვაბთა შინა და კლდეთა და მთათა შინა. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩვენ ზედა და დაგვიფარენით ჩვენ... აი, რა სწერია საგულისხმოდ ჩვენდა... ჰო და, მეც „ქვაბსა შინა“, მიწის ქვეშ ვიმზადებ ბინას... ბეტონით შეკრული თაღები და კედლები... სანოვაგე და მყავბადი ერთი თუ ორი თვის სამყოფი... სხვა საშუალება მე არ ვიცი...

VII

ნ ი ლ ა ბ ი

დილის ათი საათია.

ინჟინერი გურგენ კამარელი ზის თავის სამუშაო კაბინეტში და ქალაქდებს ათვალეირებს.

ღია სარკმელში პატარა ეზოდან ფოთლების შრიალით შემოდის თბილისის მზიანი აპრილი.

კამარელი დახედავს მაგიდის კალენდარს:

14 აპრილი. ხუთშაბათი.

შარშან სწორედ ამ დღეს ეწვია მას ინჟინერი ვაისმარი, რომელმაც ისე ძირეულად შეარყია მისი და მთელი ქვეყნის ცხოვრება. ძალიან კარგად ახსოვს. 14 აპრილი, ოღონდ დღე იყო ოთხშაბათი.

ერთი წელიწადი — და ამდენი განცდა, ამდენი გამარჯვება და ბოლოს საშინელი კატასტროფის მოლოდინით თავზარდაცემული კაცობრიობა!

ყველაფერი ეს უფრო სიზმარსა ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

განსაკუთრებული სიმწვავეთ განიცდის იგი გულის ტკივილს დღეს, უცნაური დარბაზობის წლის თავზე: რაოდენი იმედი და გამარჯვების ხალისი აღუძრა მას ამ დღემ და როგორ შეუბრალებლად დაუმსხვრია ეს იმედები საშინელმა აუცილებლობამ!

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით!

შემოვიდა ინჟინერი ვაისმანი.

— სწორედ თქვენზე ვფიქრობდი ამ წუთს, — მიესალმა კამარელი.

— ვინ იცის, იქნებ ცუდად მახსენეთ? — ღიმილით იკითხა ვაისმანმა და დაჯდა.

— დღეს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც თქვენ ამ ოთახში პირველად ფეხი შემოდგით.

კამარელმა საათს დახედა:

— და, როგორც მახსოვს, სწორედ ეს დრო იყო: დილის 10 საათი.

— როგორმე უნდა აღინიშნოს ეს თარიღი, — თქვა ვაისმანმა.

კამარელს მწუხარედ გაეღიმა:

ეს კვიმატი თარიღი დიდის ზეიმითა და სალუტით აღინიშნება 19...

წლის 25 ნოემბერს.

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში წინასწარმეტყველი ხართ, — ჩაუროო ვაისმანმა, — 19... წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, შესაძლოა კაცობრიობამ დიდი ზეიმი გამართოს.

— წინასწარმეტყველება თქვენია, ხოლო ზეიმის კაცობრიობა კი არ გამართავს, კაცობრიობას გაუმართავს მსოფლიოს უხილავი ძალთა ბრმა რეჟისორი.

— რეჟისურა უნდა ჩამოერთვას ბრმა ძალას, — სახის სერიოზული გამომეტყველებით მიაგება. ვაისმანმა სამართებელივით მჭრელი სიტყვები კამარელის ნაღვლიან ირონიას.

— ვინ ჩამოართმევს? — ჰკითხა კამარელმა.

— ადამიანი! — უპასუხა ვაისმანმა და შავ სათვალეში ცისფერი ელვა დაანთო.

კამარელის სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაისრიალა:

— ოცნებაა!

— მთელს ქვეყანას საშინელი ბედისწერის უღმობელი აჩრდილი აწევს, — სთქვა ვაისმანმა. — კატასტროფის შორი გრგვინვა უკვე ანგრევს კაცობრიობის კულტურის მთავარ ბოძებს. ასე თუ გაგრძელდა, შიშისა და სასოწარკვეთილების ქარიშხალი წალეკავს და გაანადგურებს ადამიანთა მოდემას უფრო ადრე, სანამ ცის სივრცეში დედამიწისა და კომეტის საბედისწერო დუელი გაიმართებოდეს.

კამარელი იჯდა დაღონებული და ყურს უგდებდა ვაისმანის ხმალივით მოქნილ სიტყვებს.

— გამოფხიზლების იმედი კი არსაიდან ჩანს: კაცობრიობამ მიიღო სასიკვდილო დიაგნოზი და არც ფიქრობს გაბრძოლებას, უძლური და უიმედო ლაჩარევით ნებდება სიკვდილს.

— ჩვენ შევცდით. — თქვა კამარელმა. — კაცობრიობას არაფერი უნდა სცოდნოდა მომავალი უბედურების შესახებ. რა სარგებლობა მოიტანა წინასწარ გაფრთხილებამ? შიშისა და უმწეობის მორევში ჩააგდო მთელი ქვეყანა და დედამიწა დაამსგავსა სიკვდილით დასასჯელის ცივსა და ბნელ საკანს.

— ყველაფერი თავის გამართლებას თავის დროზე იპოვის. — დამშვიდებით მიუგო ვაისმანმა. — გაფრთხილება საჭირო იყო. იმედიც მქონდა, რომ უფსკრულის წინ მდგარი კაცობრიობა გონების უკანასკნელი დაჭიმვით შესძლებდა თავის გადასარჩენ ფრთების გამოსხმას, მაგრამ ჯერჯერობით მოლოდინი არ გამიმართლდა. საჭიროა დახმარება.

— ვინ უნდა დაგვეხმაროს? — გაკვირვებით წამოიძახა კამარელმა. — ღმერთი ხომ არა?

— ღმერთი ჩვენ შევექმენით, ჩვენვე მოვსპეთ. ადამიანმა უნდა შესძლოს დანგრეული ტახტის აღდგენა.

— სხვა ღმერთისთვის?

— ერთადერთი ღმერთისათვის, რომლის არსებობა შესაძლებელია მსოფლიოში.

კამარელმა უცებ დადლილობა იგრძნო. უნებურად გაიფიქრა: „ნუთუ სიკვდილის წინაშე დიდი გონებაც იბინდება?..“

— მე კი ვფიქრობდი, — ვერ შეიკავა დამცინავი კილო, — რომ ჩვენ დავასაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი. თურმე ერთი კიდეც ყოფილა. რა ჰქვია მაინც მას?

— ადამიანთა გონება. — უპასუხა ვაისმანმა.

— შუქის ერთი წვეთია დაუსრულებელი სივრცის უნაპირო სიბნელეში.

— ერთი, მაგრამ ერთადერთი.

— ერთადერთი! ეს მართალია. — დაუდასტურა კამარელმა.

— მისი მატარებელია ადამიანი. მან უნდა აისახოს „ღვთიური“ საჭურველი და ამაღლდეს ისეთ მწვერვალზე, საიდანაც უფრო ადვილი დასაზვერია „ბედის“ შეუცნობელი თამაში.

— სამწუხაროდ, ადამიანმა ვერ მოასწრო ამ მწვერვალზე ასვლა.

— უნდა ავიდეს, თუ სურს გადარჩეს. — სთქვა ვაისმანმა.

— ვერ ავიდა. იქნებ არც იყო ღირსი. — დაუმატა კამარელმა. და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: — შესაძლოა აგრეთვე, რომ მსოფლიო უფრო უფსკრულია, ვიდრე მწვერვალი.

— უფსკრული მხოლოდ მწვერვალიდან ჩანს. — თქვა ვაისმანმა. — მინდა თქვენც გადმოგხედოთ ამ მწვერვალიდან.

— მზად ვარ. — უთხრა კამარელმა და იგრძნო რაღაც ახლის მოახლოება

— დრო აღარ ითმენს. საჭიროა მოქმედება.

— მოქმედება თუ ოცნება?

— ვიცი, თქვენ ოცნება უწოდებთ ჩემს აზრს უხილავ ძალთა რეჟისორობის გაუქმების შესახებ. მინდა ჩემი ნათქვამი დავასაბუთო. გთხოვთ ყუარღლებით მომისმინოთ.

კამარელს სხეულში ყრუანტელმა დაუარა: ისევ იშიფრება გამოუცნობი საიდუმლოებით ეს შავსათვალეებიანი მეფისტოფელი, ისევ აღელვებს მას უეცარი ხილვის მოლოდინი.

— დედამიწა და კომეტა უნდა დაეჯახონ ერთმანეთს. შესაძლებელია თუ არა ამ კატასტროფის თავიდან აცილება? ჩვენ ვამბობდით, რომ შეუძლებელია, ვინაიდან აქ მოქმედებენ ძალები, რომელნიც ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფებიან. მართალია თუ არა ეს?

— არა მგონია თქვენ იმაში ეჭვი შეგდიოდეთ, — შენიშნა კამარელმა.

— ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ: ორ მოქმედ ძალთა შორის ერთი მართლაც ჩვენი ყოველგვარი გავლენის გარეშე იმყოფება, სახელდობრ, კომეტა. მაგრამ დედამიწაზე ხომ ჩვენა ვართ უზენაესი ძალის მატარებელნი?

— ძალიან მცირე ფარგლებში.

— ფარგლებზე შემდეგ. მივიღოთ დროებით დასაშვებლად, რომ ჩვენ შეგვიძლია დედამიწის მოძრაობის მართვა ისე, როგორც მემანქანე მართავს ორთქლმავლის მოძრაობას. კატასტროფის ასაცილებლად საჭიროა ორბიტების

კრიტიკული წერტილი რამდენიმე წუთით ადრე გაიაროს ან კომეტამ, ან დედამიწამ, მაგრამ როგორც ვთქვი, კომეტის მოძრაობის სიჩქარეს ჩვენ ვერ შევცვლით. მაშასადამე, საჭიროა დედამიწამ ან გაუსწროს კომეტას, ან ადრე გაუშვას იგი.

— ეს კარგი რამ იქნებოდა, — ამოიოხრა კამარელმა, — მაგრამ ვინ კისრულობს მემანქანეობას?

— ჩვენ უნდა ვიკისროთ.

— ვინ ჩვენ? — გაუკვირდა კამარელს.

— ჩვენ ორმა. მაგრამ ხომ შევთანხმდით, ეს შესაძლებლობა პირობითად მივიღოთ? ჯერ ანგარიშს მოვრჩეთ. ჩვენს პირობებში რომელია უფრო ადვილად შესასრულებელი: პირველი თუ მეორე ვარიანტი?

— ესე იგი?

— გაუსწროს თუ გაუშვას?

— ორსავე ვარიანტს ერთი შედეგი მოჰყვება.

— შედეგი ერთი იქნება, მაგრამ ჩემი გამოანგარიშებით მემანქანეს მეტი ენერგია დაეხარჯება პირველი ვარიანტით. და აი რატომ: რომ დედამიწამ გაუსწროს კომეტას, საჭიროა ის გასცილდეს კრიტიკულ წერტილს, კომეტის იქ მოსვლამდე, დაახლოებით 400.000 კილომეტრის მანძილით, ვინაიდან იმ დროს მთვარის მდგომარეობა ისეთი იქნება, რომ დედამიწის ზურგს უკან მოექცევა. როგორც ვიცით, მთვარე დაშორებულია დედამიწას 380.000 კილომეტრით. მაშასადამე, თუ დედამიწა წინ წავა, უნდა გაათრიოს მთვარეც, წინააღმდეგ შემთხვევაში კომეტა ან დაეჯახება მთვარეს, ან დედამიწას და მთვარის შუა გაიქროლებს და შეიძლება შესცვალოს დედამიწისა და მისი თანამგზავრის ურთიერთობა ჩვენთვის საზიანოდ. მეორე ვარიანტით საკმარისია დედამიწას დაავიანდეს კრიტიკულ წერტილზე მისვლა მხოლოდ 300.000 კილომეტრით, რომ სრულიად უვნებლად მოიცილოს თავიდან დაუბატიებელი სტუმარი. 300.000 კილომეტრი უდრის დედამიწის მოძრაობის 3 საათის გზას. (როგორც იცით, ის წამში მიჰქრის 30 კილომეტრის სისწრაფით: $3 \cdot 60 \cdot 60 \cdot 30 = 324.000$). მაშასადამე, საჭირო იქნება დედამიწის სამი საათით დაგვიანება.

კამარელის თვალეში ზედიზედ იელვა: ჯადოსნური სიტყვები მეტეორებით ჩასცვივდა გამოუცნობ საიდუმლოებათა უფსკრულში და გოლიათური ამოცანების კონტურებმა თანდათან ელვარება დაიწყო.

— დედამიწის გაქანებული ეტლის სამი საათით შეგვიანება იხსნის ქვეყანას დალუპვისაგან. — დაასკვნა ვაისმანმა.

— მაგრამ რა ძალა შესძლებს ამ „ეტლის“ დამუხრუჭებას? — ჰკითხა კამარელმა.

— კატასტროფამდე კიდევ დარჩა წელიწადი და შვიდი თვე. — განაგრძობდა ვაისმანი. — სამი საათით შეგვიანებისათვის საჭიროა დედამიწამ დღელამეში ნახევარი წუთით შეანელოს თავისი მოძრაობა ერთი წლის განმავლობაში. ჩვენს განკარგულებაშია კიდევ შვიდი თვე მუხრუჭების მოსაწყობად.

— ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ თანამედროვე ტექნიკას შეუძლია ასეთი ამოცანის დასმა? — ჰკითხა კამარელმა. — დედამიწა ხომ გაუხედნავი ცხენი არ არის, რომ რკინის ლაგამით შეიძლებოდეს მისი დამორჩილება?

— ჩვენი პლანეტა ოდნავ ყალბზე უნდა შევაყენოთ, თუ გვსურს მისი გადარჩენა, თორემ უფსკრულში ჩაიშვება.

— როგორ გინდათ ეს გააკეთოთ?

— მე გამოვიანგარიშე, რა ძლიერების მუჯღუგუნებია ამისათვის საჭირო. დედამიწის მასსას და მისი მოძრაობის სიჩქარეს თუ მივიღებთ მხედველობაში, საჭირო იქნება ყოველ წამს დედამიწის ნახევარსფეროს წინ ელობებოდეს სამი მილიარდი ატმოსფერული წნევის უკუქცევის ძალა.

— ჯერ ერთი, წამში ასეთი ძალის დაგროვება და ისიც მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ — ტექნიკის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მეორე — როგორ გსურთ ეს ძალა დაახვედროთ დედამიწას მის ორბიტზე? — ჰკითხა ოდნავ იმედგაცრუებულმა კამარელმა.

— ჩვენ ვლაპარაკობთ დედამიწის დამუხრუჭებაზე, — საჩქაროდ უბასუხა ვაისმანმა, — მაშასადამე, საჭირო არ არის გარედან წინააღმდეგობის მოწყობაზე ზრუნვა. თქვენ კარგად იცით რა პრინციპზეა აგებული თანამედროვე მაშხალიანი მანქანების დამზადება. მეცნიერებისათვის უდავოა, რომ ასეთი მანქანის მ ა რ თ-ვა შეიძლება ცის უჭაერო სივრცეში. ასეთ მანქანასა და დედამიწას შორის პრინციპულად არავითარი განსხვავება არ არის.

— სრული ჰემსარიტება! — საჩქაროდ დაუდასტურა კამარელმა.

— რაც შეეხება იმ არაჩვეულებრივ ძალის მარაგს, რომელიც საჭიროა ესოდენ დიდი ეფექტის მისაღებად, უნდა ვთქვათ გადაჭრით, რომ თანამედროვე მეცნიერება უკვე მიაღწა ამ ძალის საიდუმლო კარებს.

— თქვენ გულისხმობთ ატომის შინაენერგიას, — სიტყვა მიაგება კამარელმა.

— დიახ, ატომის შინაენერგიის განთავისუფლებით შესაძლებელი გახდება დედამიწის მოტორად გადაქცევა. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნებისათვის საჭირო იქნება 17 კილოგრამი ურანის სრული ენერგია, არც მეტი, არც ნაკლები.

— ვთქვათ, ყველაფერი ეს შესაძლოა, — დაეთანხმა კამარელი. — მაგრამ თქვენვე აკი ამბობთ, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ უსაზღვრო ენერგიის რეზერვუარის კართან დგას მხოლოდ და ჯერ შიგ ვერავინ შესულა! რა საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ შვიდი თვის ვადაში მეცნიერება არაჩვეულებრივ ძალას გამოიჩინოს და იერიშით აიღებს ამ დარკინულ ციხეს? მეტადრე ახლა, როცა კულტურის მაჯისცემა ასე მინელებულია საშინელი კატასტროფის მოლოდინში.

ვაისმანი ადგა და დაფიქრებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ: კაცობრიობა ამჟამად უიმედო მდგომარეობაშია, მას სჭირდება გარეშე დახმარება.

კამარელი ჩვეული იყო ვაისმანისაგან ყოველგვარი მოულოდნელობის მოსმენას, მაგრამ ეს ნამეტანი იყო.

— კარგად ვერ გავიგონე, რა სჭირდება? — ჰკითხა და თვალი გააყოლა ფანჯრისაკენ მიმავალ ვაისმანს.

ვაისმანი უცებ შემობრუნდა კამარელისაკენ და შუა ოთახში გაჩერდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თავი ზურგისაკენ გადახარა, თითქოს სათვალეს ქვემოდან უნდა შეხედოს კამარელსო. ერთს წუთს ასე იდგა, შემდეგ, თითქოს პირიდან სიტყვების ნაცვლად აღუღებული ლითონი აფურთხებსო, ხან-გასმით გაიმეორა:

— დ ე დ ა მ ი წ ა ს ს ჭ ი რ დ ე ბ ა გ ა რ ე შ ე ძ ა ლ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ა .

კამარელის ღია თვალებს შიგნიდან ნიაღვარივით მოსკდა დამაბრმავებელ ბრწყინვალეობა და წამწამები დააშვებინა. ხელები აიფარა თვალებზე და თავი მაგიდას დააყრდნო.

დიდი ნებისყოფით საგანგებოდ დაჩრდილული და მოფარდული ეკრანი

ისევ აენტო და თითქოს მივიწყებული მარსელი ქალის სახე მოულოდნელად აიმართა კამარელის წინ. საკვირველია, როგორ შესძლო ამდენ ხანს ეკრანისათვის თვალის არიდება! გული უნდა ქცეულიყო ფერფლად, რომ დაეფარა შიგ ჩაზავებული სიყვარულის ღველფი და ჩრდილით დაებურა უსახლდროების ფანჯრიდან შემოჭრილი ქალის ძვირფასი სახე. საბედისწერო პაემანის შემდეგ ერთხელაც არ მიჰკარებია კამარელი ჯადოსან ეკრანს და ყოველი ღონით ცდილობდა დავიწყების მძიმე ლოდით გაესრისა განუხორციელებელი ოცნებას მაცდური ჩვენება. რა საჭირო იყო მისი უაზრობა? კამარელის სიყვარულის რომანტიკა მისტიურ საბურველს ეფარებოდა და ელექტრონით შთაგონებულ მეცნიერს აბრაზებდა ეს მოულოდნელი გადახრა. რა მოუქნელი და გულუბრყვილო გამოდგა ადამიანის ფსიქიკა! შეცდომებით გამოწვეულ სულის მოძრაობას მიმართულება ვერ შეუცვალა შეცდომის გამოქვადვების შემდეგაც! თავიდანვე რომ სცოდნოდა, ეკრანის სარკიდან რომ მარსელი ქალი იცქირებოდა, მისი გული გამოიჩენდა თავდაცვის უნარს და სიყვარულის შხამით არ მოიწამლებოდა. მაგრამ სარკეში მას მოელოდა დედამიწის მშობლიური სისხლის სურნელოვანი დუდილი და შორეული მოჩვენება ხელმისაწვდომ სიცხადედ მიიღო. და ეს მოჩვენება სჯიდა კამარელს დაუფიქრებელი დანდობისათვის. ქვეყნის დაღუპვის მოახლოებულ გრგვინვას დროზე რომ არ დაეძლია კამარელის გულში ახმაურებული მუსიკა, ვინ იცის შესძლებდა თუ არა იგი მომხიბვლელი ძახილის პასუხად ვაკაცურ დუმილს. ახლა-კი, როცა ვაისმანი ისევ უფსკრულს იქით იხედება, კამარელს ელდანაკრავივით დაუვლის ტანში დამარხული სიხარულის უეცრად გაცოცხლებული სხივი: ხომ შეიძლება ეკრანის საშუალებით დახმარების მიღება „გარეშე ძალთაგან“? აკი ვაისმანმა იქიდან მიიღო ეკრანის გაუმჯობესების გასაოცარი ინსტრუქცია? მაგრამ განა სასიხარულოა ეს ამბავი? შესაძლოა ეკრანმა ააშოროს დედამიწას საშინელი ხიფათი, მაგრამ ამით ხომ უფრო ახმაურდება დაუძლეველი სიყვარულის ძლივს მიყუჩებული მუსიკა?

— რატომ ჩაფიქრდით ასე მძიმედ? — ხანჯალივით გადასჭრა ვაისმანმა კამარელის ფიქრთა დენა.

კამარელი ფიქრებისაგან გამოერკვა.

წამოდგა, თვალები მოიფშენიტა და ნამძინარევივით დაბარბაცდა.

— მე სულ დამავიწყდა თქვენი ეკრანი.— ჩაილაპარაკა გაბზარული ხმით— რა თქმა უნდა, შესაძლოა იქიდან დახმარების მიღება.

— კარგად ვიცი, რატომ დავიწყეთ თქვენ ეკრანი, — თქვა ვაისმანმა და წამოდგა.

კამარელს მოეჩვენა, რომ შავ სათვალეში ბოროტმა ალმა იელვა.

— გარწმუნებთ, ამისათვის საფუძველი არ გქონდათ. — დაუმატა ვაისმანმა. — ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით. ახლა წავალ, ხვალ დილით 10 საათზე ეკრანთან გელით.

და ვაისმანი ოთახიდან გავიდა.

გაბრუებული კამარელი დიდხანს იდგა შუა ოთახში გაქვავებულივით.

ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა.

მთელი დღე რეტდასხმულივით დაბორიანლებდა ქალაქში და შინ გვიან დაბრუნდა.

შევიდა კაბინეტში და სავარძელში ჩაიკეცა...

*
* *

„ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით!...“

რას უქადის კიდევ ახალს და გაუგონარს ეს დაუცხრომელი ჯადოსანი? კიდევ რა გაოცება მოელის ხვალ სხვა ქვეყნის შუქით განათებულ ეკრანთან, ამ უსაზღვროების ღია თვალთან?

კამარელის თავში ათასი ფიქრი ერთიმეორეს სცვლის, თოვლივით აფორიაქებული. დიდის წვალებითა და გულმოდგინებით მიხერგილი გრძნობა ამსხვრევს ყველა დაბრკოლებას და ცეცხლის სვეტად დგას და ანათებს კამარელის სულის სამყაროს ყოველ კუთხეს. ერთი სახე ბატონობს სხვა ყველა სახეთა შორის და ეს არის მარსელი ქალი.

კამარელი ცდილობს მოიკრიბოს მთელი ძალა, შთააგონოს თავის თავს ვაჟკაცური გამძლეობა და თავგანწირვა. მართლა-და როგორ უნდა დააბას პირუტყვივით უმიზნო სიყვარულის ბაგაზე რაღაც რადიო-მოჩვენებამ ბრძოლაში გაკაყებული მეცნიერი? რამ ჩაუქრო საღი მოსაზრების უბრალო უნარი და როგორ ვერ დათრგუნა ყოველგვარ აზრსა და შინაარსს მოკლებული გრძნობის ბავშვური ყინიანობა?

და კამარელი ათასნაირად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას. ის ხომ ბავშვი არ არის, ან გამოყეყეხებული მეოცნებე, რომ აყვეს ავადმყოფურ გულისთქმას? რას უქადის მას ეს სიყვარული? — ცის ღია კარში დაუსრულებელ ჭკრიტინს. აი სად ხდება სასაცილო „შორით ალვა, შორით დაგვა“!... ოდესმე, ვინ იცის, იქნება მოგვარდეს პლანეტათა შორის მიმოსვლის პრობლემა. მაგრამ დღეს გარდუვალი უფსკრულის შავი ღუმელია მათ შორის. მას უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, მეტადრე ახლა, როცა გამოჩნდა კაცობრიობის გადარჩენის იმედი.

არა, კამარელი კიდევ უჩვენებს ქვეყანას, რომ არ გაბზარულა ჯერ მისი მოქალაქეობის ჯავშანი, კიდევ სჩქევს მის ძარღვებში რევოლუციით აღუღებული სისხლით და მას შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული, თუ ასეთ დროს ის ყველაფერს დაივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე დაიწყებს უაზრო ოცნებას...

კამარელი ნელ-ნელა მშვიდდება.

ქარი ჩადგა და ფიქრთა კორიანტელი თანდათან თოვლივით დაეშვა.

კამარელს ეძინება. სავარძლის სახელურზე თავს დასდებს და ღრმად ამოისუნთქებს. თანდათან ბურუსში იძირება გონება, მხოლოდ შორიდან მოსჩანს ოდნავ განათებული ეკრანი და ძლივს გასაგონად ისმის მარსელი ქალის მელოდიური ღულუნი: „Sanor den Obra ven gara Obran, Sanoren largo...“

*
* *

მიუხედავად უხერხული საწოლისა, კამარელს მთელი ღამე კარგად ეძინა და დილით ხალისიან გუნებაზე ადგა. სჯეროდა, რომ წუხანდელი სულიერი მღელვარება ძლეულ იქნა და სხეულში უკვე გრძნობდა მომავალ ბრძოლათა სიხარულს.

თითქო ბინდი შემოეცალა მოჯადოებულ თვალებს და შვიდი თვის კოშმა-

რული ძილის შემდეგ პირველად დაინახა გარემო ქვეყანა ჩვეულებრივ სინათლეში.

ათ საათამდე კიდევ დიდი დრო იყო და მზიანი დილის სუფთა ჰაერი გარეთ იწვევდა.

მადიანად ისაუზმა და ქუჩაში გავიდა.

კარებთან იდგა მზის სხივებში შავ ხოჭოსავით მოლაპლაპე ავტომობილი,

— დიდუბისკენ! — ესროლა შოფერს და ავტომობილში ჩაჯდა.

ლეტარგინით სულჩადგმული ავტომობილი მერცხალივით მისრიალებდა აყრიალებულ ქუჩაში, მსუბუჭი, უხმო და ელასტიური.

რუსთაველის გამზირზე ზარის დაუცხრომელი წკრიალით დაჰქროდნენ უმავთულო ტრამვაის უბიველო რონოდები. ლეტარგინს სავსებით დაეპყრო ქუჩის მოძრაობა. აღარსად ჩანდა ტრამვაის, განათების და ტელეფონის უამრავი ბოძები და მავთულები, რითაც ობობას ქსელივით დახლართული იყო წინათ ქუჩები. მტკვარზე თეთრი გედებივით დასცურავდნენ წითელი დროშის იალქნიანი სამგზავრო და საბარგო მოტორიანი თეთრი ნაგები. ვერის ხიდიდან აღარ მოსჩანდა ძველი ელსადგურის მხროლავი საკომური, — სადგური მოეხსნათ და იქ ახლა დიდი ხუთსართულიანი სახლი შენდებოდა. პლენხანოვის ვიწრო და სწორი გამზირი, უმავთულო და უბოძო, უფრო განიერი და ნათელი ჩანდა.

დიდუბეში კამარელმა დაათვალიერა ახალი აეროდრომი. უკვე მიეღოთ ახლად აგებული უზარმაზარი საჰაერო ხომალდის ნაწილები და ამჟამად მუშაობა სწარმოებდა ხომალდის მოსაწყობად. ორსართულიანი გემის მსგავსი საჰაერო ლაინერი თეთრი გველემავივით იწვა შუა ეზოში ხარაჩოების მოაჯირით შემოსალტული.

კამარელმა გემის კედლის თეთრ ფონზე შორიდანვე შენიშნა შავი წარწერა: „გ ე დ ა“. ეს სახელწოდება ვაისმანის თხოვნით მიეცა გემს. ისეთი მოწიწებით და სიფრთხილით სთხოვა ამის შესახებ ვაისმანმა, რომ კამარელმა უარი ვერ უთხრა, თუმცა მას სულ სხვა სახელი ჰქონდა გემისათვის განზრახული. ვერც გამოჰკითხა, თუ რას მოასწავებდა ეს სახელი, ვინაიდან შეატყო, რომ ვაისმანს დიდი სურვილი ჰქონდა თავი მოერიდებინა ამის შესახებ ყოველგვარი განმარტებისათვის.

გემს ჰქონდა თხუთმეტი პროპელერი: ცხრა ჰორიზონტალ დერძზე, სამ წყებად, გემის მკერდზე, ექვსიც, ორ წყებად, ვერტიკალურზე, გემის შუა ნაწილზე, ბაქანს ზემოთ. მექანიზმი ლეტარგინის გამოყენებაზე იყო დამყარებული: ჰაერივით ადვილად მისაწვდომმა ენერგიამ საშუალება მისცა კამარელს აეგო ისეთი მანქანა, რომ თითქმის სავსებით გადაჭრილიყო საჰაერო მიმოსვლის ძნელი და რთული პრობლემები. „გედა“-ს უნდა შესძლებოდა ვერტიკალურად აფრენაც და ძირს დაშვებაც საჭირო სიჩქარით, აგრეთვე ჰაერში გაჩერება ყოველგვარ სიმაღლეზე.

„გედა“ ორი თვის წინათ უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ მსოფლიო პანიკის უიმედო სულიერი განწყობილება მაინც შემოიჭრა და მოადუნა მშენებლობის ტემპი. მუშაობას სათანადოდ ეკარგებოდა პერსპექტივა და იშრიტებოდა შრომის ხალისი. რაც კეთდებოდა, ისიც უფრო ინერციის შედეგი იყო, ვიდრე ცოცხალი თაოსნობის.

„გედას“-თან კამარელს შეეგება ახალგაზრდა ინჟინერ-პილოტი ბაკურ შევარდნაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „გედა“-ს აგების ხელმძღვანელობა.

— შევარდნო! გაფრენას როდის ვაპირებთ? — ღიმილით მიესალმა კამარელი.

ბაკურის ცისფერ თვალებში ავარვარებული ლითონი აენტო და წამწამები ლურჯად ასევადა.

— „გედა“ ჯერ მხოლოდ ბარტყია შევარდენის, ერთ თვეში ფრთება წამოფრდება და გაფრენასაც შეძლებს, — მიუგო მან კამარელს და სიყვარულთ გადახედა ჩონჩხიან ხარაჩოში ჩასმულ „გედა“-ს თეთრ ტანს.

ჰაერისა და მზისაგან დაქანებული პირისახე, სწორი ცხვირი და მაღალი, ოდნავ დაქანებული შუბლი თითქო ჰაერის გასაკვეთად იყო ჩამოსხმული. ლურჯ თვალებში თითქო ცის ორი ნატეხი უხსნდა, ელვის ნაპერწკლებით დაცხრილული. ახალგაზრდა ბაკური სწორედ ცაში სანავარდოდ იყო გაჩენილი და კამარელმაც მიტომ აირჩია ის თავის თანაშემწედ, როგორც „გედა“-ს მომავალმა კაპიტანმა.

დაათვალიერეს აერობლანის შინაგანი მორთულობა. ასი ოთხადგილიანი კაბინი მზად იყო. ორმოცდაათ-ორმოცდაათი ორთავ მხარეზე. დარბაზი ჯერ არ იყო მორთული. ტალანში ეწყო ელექტროაბაზანის და სამხარეულოს მოწყობილობა.

— რა მდგომარეობაშია სამანქანო განყოფილება? — იკითხა კამარელმა.

— ერთ კვირაში მოეწყობა. — მიუგო ბაკურმა და შეუძღვა კამარელს საპაერო ლაინერის წინა-პლანზე აგებულ ბროლის კედლებიან ოთახში. მარჯვნივ და მარცხნივ ორი უზარმაზარი თვალივით გამობურთული იყო ორი ბროლის ოვალი, სადაც უნდა მოთავსებულყო სხვადასხვა აპარატები.

— სწორედ თვალებსა ჰგავს, — შენიშნა ბაკურმა. — წარმოდგენილი მაქვს, რა საუცხოო სანახავი იქნება ცაში აფრენილი „გედა“ დამით, როცა ამ ვეება თვალებს ელექტრონით ააბრიალებს.

ამოიოხრა და დაუმატა:

— ცოდვა არ არის, ამ დასაქცევ დედამიწასთან ეს საოცარი ქმნილებაც დაიღუპოს!

კამარელმა საათს დახედა: ათს ათი წუთი უკლდა.

— ვინ იცის, იქნება დედამიწამ კიდევ დიდხანს იქროლოს სივრცეში და მასთან ერთად „გედა“-მაც.

— როგორ? — გაიკვირვა ბაკურმა.

— არის იმედის შუქი, ცის უხილავი ფანჯრიდან შემოჭრილი.

— ეჰე! თქვენც ცის კარის გახსნას ელით? — ნაღვლიანი ღიმილით მოუქრა ბაკურმა.

— ცის კარი უკვე გაიხსნა და ათი წუთის შემდეგ ანგელოზიც გამოჩნდება. მეც ახლა იქ უნდა გავემურო, რათა ყურადღებით მოვისმინო ანგელოზის დარიგება.

კამარელი გამოემშვიდობა ბაკურს და ავტოსკენ გასწია.

ბაკურს არ გაკვირვებია კამარელის უადგილო ხუმრობა, მას მხოლოდ შეუშურდა მისი ხალისიანი გუნება, სიცილის წკრიალით რომ ავსებს საშინელი მოლოდინის ბნელ განცდებს.

*

* *

ათი საათი შესრულდა და კამარელიც შინ დაბრუნდა.

განგებ შეიგვიანა კაბინეტში რამდენიმე წუთით: რაც უფრო ახლოვდებოდა

დრო, მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა, გული დაჭრილი არწივივით ფართხალებდა და თვალბში იდგა ნათელი ნისლი.

დივანზე წამოწვა და აძგერებულ გულზე ხელი დაიდო. რამდენად უძლური ყოფილა ადამიანის ნაქები ნებისყოფა სულის ფარული ძალთა შეუპოვარი იერიშის წინაშე! — მცირე რამ ნაფოტი, ზღვის დაუდგრომელ ტალღებში. წელანდელა გაბედული ქადილი უკვალოდ გაქრა და კამარელი გრძნობს, რომ სამარცხვინოდ გაიბზარა მისი გამძლეობის ჯავშანი, რომ მის ძარღვებში რევოლუციით აღუღებული სისხლის ნაცვლად სჩქეტს უიმედო მიჯნურის ნაღვლიანი ცრემლი და მას არ შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული. ასეთს დროს რომ ყველაფერს ივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე უაზროდ ოცნებობს...

წამოდგა და ლასლასით გაემართა ლაბორატორიისაკენ: გლადიატორი გადიოდა ბრძოლის არენაზე, სიყვარულის საშინელი მხეცის წინააღმდეგ, უიარაღო, უძლური და შინაგანად უკვე დამარცხებული.

ვაისმანი მაგიდასთან იჯდა და წერდა.

— კარგია, მოხვედით. — რვეული უჯრაში ჩასდო და წამოდგა. — იმედს ვკარგავდი: ნახევარი საათია გიცდით.

კამარელმა საათს დახედა: თერთმეტის ნახევარი იყო.

გაუკვირდა: ნუთუ კაბინეტში რამდენიმე წუთის ნაცვლად ნახევარი საათი დაპყო?

— მაპატიეთ! — მოიბოდიშა კამარელმა. — დიდუბეში ვიყავი და...

— „გელა“ როგორ არის? — გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა.

— ერთ თვეში მზად იქნება.

— სამი კვირით დაგვაგვიანდა.

— როგორ?

— ეს არის ცნობა მივიღე, რომ ერთ კავშირში შეიკვრება თბილის-მოსკოვის ხაზი ლეტარგინის ზონებით საჰაერო მიმოსვლისათვის.

— ზონებსაც დაგვიანებია, — შენიშნა კამარელმა.

— „გელა“-ს უფრო დააგვიანდა, მაგრამ, არაფერია, დაკარგულ დროს მალე ავინაზღაურებთ. — და ვაისმანმა ხელი წაავლო ეკრანის ფარდის ზონარს.

— ეხლა თქვენს მეგობარ ქალს გამოვუძახოთ. იმედი მაქვს ეს შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე წინანდელი შემთხვევითი და უნებური პაემანი. — ამ სიტყვებთან ერთად ვაისმანმა ფარდა გასწია და ეკრანი გამოაჩინა.

კამარელს ცოტა ეუცნაურა ვაისმანის მბრძანებლური კილო.

„ხომ არაფერი მოხდა ჩემს აქ მოსვლამდე?“ — გაიფიქრა და ეკრანს მიუახლოვდა. — „ან იქნებ დადგა დრო, როცა ნილაბი საჭირო აღარ არის“...

— თქვენ მართალი ხართ. — მოულოდნელად მიახალა ვაისმანმა. — ნილაბი უკვე საჭირო აღარ არის, მაგრამ მე მინდა ამ ფერისცვალებას დაესწროს შორეული ქალწული, — და ვაისმანმა გააღო ეკრანის ყუთი და დარეკა.

კამარელს გააჟრჟოლა: რამდენიმეჯერ ჰქონდა შენიშნული, რომ ვაისმანი მის აზრს ჰკითხულობდა, მაგრამ ასე აშკარად და მოუერიდებლად ნადირობა მის ფარულ გულისთქმასზე გაუგებარი იყო და აუტანელი.

— თქვენ ჩემს აზრს კითხულობთ! — მოუფიქრებლად შესძახა გაფითრებული კამარელმა.

— ნუ გაგიკვირდებათ, — წყნარად მიუგო ვაისმანმა, — აზრი თავისთავად ძნელად ასახსნელი რამ არის, მაგრამ მისი ფიზიკური მოვლენა ისეთსავე ბუ-

ნებრივ კანონებს ემყარება, როგორც ყოველგვარი ელექტრო-მაგნიტურა-სხივისნობა.

— ნუთუ ყოველთვის ჰკითხულობდით ჩემს აზრს? — ჰკითხა კამარელმა და წყრომით სავეს თვალები მიაპყრო ვაისმანს.

— როცა საჭიროდ ვცნობდი. — მიუგო ვაისმანმა.

კამარელი გაბრაზდა:

— მე უკვე აღარ ვიცი, ვინა ხართ, ან რა მიზნით გადამეკიდეთ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი წრისა და კულტურის ადამიანისათვის სათაკილოა სხვის გულისთქმაში ხელის ფათური.

ვაისმანმა ოდნავ შეარბილა კილო:

— ნუ გეწყინებათ. არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია ჩემი „გულთ-მისნობა“.

— არც სიკეთეა მოსალოდნელი ამგვარი თავდასხმისაგან!..

— მე რომ თქვენი ფარული განზრახვა არ წამეკითხა, — განაგრძობდა ვაისმანი, — შარშან 11 სექტემბერს ამ ეკრანთან ხიფათი რომ შეგემთხვათ, არავინ გეყოლებოდათ მშველელი და ვინ იცის რა მოგივიდოდათ!

და დაუმატა:

— თქვენს მეგობარ ქალსაც შეაწუხებდით.

კამარელმა იგრძნო საშინელი უხერხულობა: მთელი წლის განმავლობაში იგი ტყვედ ჰყოლია ვიღაც ჯადოსანს, მისთვის შეუგნებლად: ყოველი მისი ფიქრი და ფარული განზრახვა გაშლილი წიგნივით სდებია წინ ამ გამოუცნობ პიროვნებას! ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქო გატიტვლებული მიდიოდა ხალხით სავეს ქუჩაზე, ან ქურდობაში დაეჭიროს ვისმე. იყო რაღაც შეურაცხმყოფელი და სამარცხვინო იმაში, რომ შუშასავით გამჭვირვალე და დაუფარავი იდგა ამ კაცის წინაშე და არ ჰქონდა თავდაცვის საშუალება.

ვაისმანი დივანზე დაჯდა.

— დავსდეთ. — უთხრა კამარელს. — კარგა ხანს მოგვიხდება ლოდინი, სანამ ჩვენი მეზობელი ქალი ფანჯარას გამოაღებდეს.

კამარელმა ეკრანს შეჰხედა: შავი დაფა გალესილი გრანიტით კრიალებდა. ისიც დაჯდა ოვალური დივნის მეორე კუთხეში, ვაისმანის პირდაპირ.

— იქნება არც გამოჩნდეს.

ვაისმანმა საათს დახედა და სთქვა:

— ოცდახუთი წუთის შემდეგ გამოჩნდება.

— საიდან იცით ეს? — შეეკითხა კამარელი.

— გამოვიანგარიშე.

— როგორ?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამჟამად მარსი ძალიან დაშორებულია დედამიწას: იგი იმყოფება მზის იქით, ცოტა მხარმარცხნივ, ჩვენგან 350 მილიონ კილომეტრის მანძილზე. სხივი ამ გზას აქეთ და იქით გაივლის 39 წუთის განმავლობაში. 14 წუთია რაც დავრეკე. მაშასადამე, 25 წუთის შემდეგ ფანჯარა გაიღება.

კამარელი ჩაფიქრდა.

— ანგარიში სწორია, მაგრამ შეიძლება ფანჯარა მინც არ გაიღოს.

— რატომ?

— ხომ შესაძლოა ქალი ამ წუთს არ იყოს ეკრანთან?

— უთუოდ იქნება.

— საიდან იცით? — არ მოეშვა კამარელი.

— წინასწარ ვარ შეთანხმებული.

კამარელს გულში ნემსმა უჩხვლიტა.

— როგორც ჩანს, თქვენ ხშირად მართავთ პაემანს ამ ეკრანთან!

— კვირაში ორჯერ, სისტემატიურად.

კამარელმა იგრძნო რაღაც იჭვის მაგვარი, მაგრამ იმ წამსვე წარმოუდგა აშკრძნობის სრული უადვილობა და გულში გაეცინა: სასაცილოა დედამიწაზე, რომ ინიჟინრის მამლაყინწური ქიშპობა მარსელი ქალის სიყვარულისათვის! იმდენად მიუწვდომელია ეს ქალი ორივესათვის, რომ იგი ღებულობს წმინდა აბსტრაქციის, განყენებული იდეის სახეს.

კამარელმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაინც იყო რაღაც ამ ქალზე ფიქრში, რაც იწვევდა მის გულში ყოველთვის მოულოდნელს და შეუკავებელ მღელვარებას.

— უნდა ვიფიქროთ, — ოდნავ გველნარევი ღიმილით წარმოსთქვა კამარელმა, — რომ ამ სისტემატურ შეხვედრას ჰქონდა ღირსეული საბაბი.

— სრული სიმაართლეა. — დაუდასტურა ვაისმანმა.

— და ნაყოფიერი შედეგიც.

— უთუოდ.

— რამდენადაც მიხვედრა ნებას მაძლევს, დღესაც იმავე საბაბმა მოგვიყვანა აქ.

— სწორედ.

— მაშასადამე, საფიქრებელია აგრეთვე, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კითხვის პასუხიცაა გაქვთ.

— მაქვს.

კამარელს ეწყინა. ვაისმანის შავ სათვალეში დამცინავი ღიმილის კრთომა მოეჩვენა.

— მამ რა საჭირო იყო დღევანდელი სეანსი? — იკითხა წყრომით.

— რომ თქვენც იცოდეთ.

— თქვენ ვერ მეტყოდით?

— მე მინდა თქვენც იმ თასიდან სვათ სიბრძნე, საიდანაც მე ვიგემე.

ჩამოვარდა სიჩუმე.

დივანზე ნახევრად წამოწოლილი ვაისმანი თავის განუყრელ, რუხ ფრენში გამოწკიპული, ეკრანის კუთხეს მისჩერებოდა, ოდნავ შესამჩნევად თავს რიტმულად აქანებდა, თითქოს რაღაცას ჩუმად ითვლისო, და პატარა მრგვალ მაგიდაზე ნერვულად ათამაშებდა მოუსვენარ თითებს.

კამარელი გახევებულივით იჯდა, თავი დივანის რბილ ზურგზე მიესვენებია და ატლასივით სუფთად გაპარსული ლოყები მღელვარებისაგან გამკრთალებოდა.

ლაბორატორიაში იდგა მოლოდინით დატვირთული მყუდროება.

სიჩუმე დაარღვია კამარელმა.

— გუშინ რომ მითხარით: კარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ ეკრანი“-ო. რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?

— მე ვიცი, რომ თქვენ განგებ გაუბრბოდით ეკრანს.

— ალბათ ისიც იცით, რა მიზეზით?

— ვიცი.

კამარელი არ მოელოდა ასეთ გადაჭრილ პასუხს, თუმცა ახლა უკვე გრძნობდა, რომ შეცდა: არ უნდა მიეცა ამგვარი შეკითხვა. საჩქაროდ აუხვია

გვერდი საშიშარ დიალოგს და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, რადგან არც გაჩუმება ვარგოდა.

— კარგი, ამას თავი დავანებოთ. ერთი ეს მითხარით: თქვენ პირდაპირ გაქვთ თუ არა იმედი, რომ კატასტროფას თავს დავადწვეთ?

— თქვენ?

— მე რა?

— თქვენ გაქვთ თუ არა იმედი?

— იმედს საფუძველი სჭირია, რაც მე არ მომეპოვება.

— ეკრანი არ კმარა საფუძველად?

— ეკრანი ჩემთვის გაუგებარი წიგნია, რომლის ავტორი თქვენ ხართ.

ვაისმანი არ განძრეულა, თითების თამამიც შეაჩერა და ისე უთხრა კამარელს:

— ეკრანის ნამდვილი ავტორი თქვენ ხართ.

— რანაირად? — გაუკვირდა კამარელს.

— თქვენ გიყვართ მარსელი ქალი.

გული ყუმბარასავით გასკდა და კამარელი შეცრად კვამლსა და ალში ჩაიძირა. შუბლზე თითქო მდულარე გადაესხა. ხომ იცოდა, რომ ვაისმანი მის აზრებს კითხულობდა? უნდა მორიდებოდა შეკითხვებს. რატომ არ იცოდა, რომ ისეთი მძლავრი სულიერი ქარიშხალი, რამაც კინაღამ დალეწა მისი სულის სამყარო, არ გამოეპარებოდა ამ გულთმისანს? უთუოდ საშიშ ადამიანთან აქვს საქმე: ვინ იცის, შეიძლება თუ არა ამ ჯადოსანის რჩევას დაენდოს კაცობრიობა? იქნება უარესს რამეს უქადის დედამიწას ქვეყნის აღსასრულის ეს აყვია წინამორბედი! არაფერ იცის, რა მიზანი აქვს მის საიდუმლო კავშირს მარსთან, რა ჯოჯოხეთურ გეგმას ამზადებს ეს ბოროტი სული!..

— კეთილი სული! — ისევ მოულოდნელად დაარღვია კამარელის ფიქრთა დენა ვაისმანმა.

კამარელი შიშმა აიტანა. ეს რა სატანას გადაეკიდა? სად დაემალოს ამ საშინელებას? რა ჯავშანი დაიფარავს მის გონებას ამ საკვირველი ადამიანის უხილავი მახვილისაგან.

— კეთილი სული! — გაიმვორა ვაისმანმა და წამოდგა. — რა საფუძველი გაქვთ ამგვარი ეჭვებისათვის? განა საკმაო საბუთი არ მოგვეცით ჩემი კეთილგანწყობილების დამამტკიცებლად? მე თქვენ დავახმარეთ ჩემი შემოქმედება და ლეტარგინის უშრეტო ალით ავაძვერე თქვენი ქვეყნის რკინის გული! მე თქვენ დაგაყენეთ სიბრძნის ღია კართან და ცოდნის შუქი ჩავდვარე თქვენს გონებაში! მე გავანათე ბნელით მოსილი აუცილებლობა, რომ უფსკრულში გადავჩხხო მოახლოებული სიკვდილი! მე თქვენთან მოვედი სიკეთით დატვირთული, დამეხმარეთ, რომ თქვენს სალაროში ჩავაწყო ძვირფასი განძი, რაც თქვენთვის წრფელის გულით მომიტანია.

— მეტი აღარ შემიძლია! — შეევედრა კამარელი. — მოხსენით საიდუმლოს უკანასკნელი საბურველი.

— [დამშვიდდით, ნუ დეღავთ! — უთხრა ვაისმანმა. — იქონიეთ მოთმინება. საცაა თქვენი მეგობარიც დარეკს.

— დავიდალე!.. ყველაფერს აქვს დასასრული!..

— მეტი რწმენაა საჭირო და გამძლეობა.

— ძნელია ბნელში სიარული! ოღონდ განათდეს და დავინახოთ უხილავი — მტრის არ მეშინია.

- სად არის შთაგონებისა და შემოქმედების ცეცხლი?
- ვიწვი ამ ცეცხლში, ფერფლი-ლა დავრჩი.
- არ განარბებთ ბედთან ბრძოლა და გამარჯვების მოლოდინი?
- დავიდალე! — გაიმეორა ღონემიხდილმა კამარელმა.
- სიყვარული მოგცემთ ძალას.
- ოხ სიყვარული! — ამოიოხრა კამარელმა. — ბედი დამცინის საშინ-
ლად. ჩემი სიყვარული საბედისწეროა და განუხორციელებელი!
- სიყვარულისა და ბრძოლის კავშირი უძლეველია.
- დავიდალე!..
- ვაისმანმა საათს დახედა:

— აბა, შეხედეთ ეკრანს! ვერა ხედავთ როგორ სცემს დაბინდულ ჩარჩო-ზე შორეული ელვარების ალიონი? არ გესმით მიუვალ სივრცეში ახმაურე-ბული ეტლის უცნაური გუგუნე? მოჰქრის თქვენი სატრფო და თვით ეროსს მიუცია მისთვის ფრთები! გახსენით გული სიყვარულისათვის და იფხიზლეთ: მოჰქრის რძალი სხივოსანი. ჯერ არვის გადაულახავს ესოდენი მანძილი საყ-ვარელთან შესახვედრად. არც ერთი მიჯნური არ გაქცეულა სანატრელ პე-მანზე ასეთი სისწრაფით. მოჰქრის თქვენი სატრფო სხივების ეტლზე მჯდარი, წამში სამას ათასი კილომეტრის სიჩქარით! ცხრამეტ წუთში მან გადაანათა 350 მილიონ კილომეტრიანი სივრცე და საცაა, უჩინარ ელვითა და გრგვინ-ვით შემოსილი შემოანგრევს დედამიწის ლაყვარდ სფეროს. აჰა! მოასკდა ზეცას აქაფებულ სხივთა ღვარი და ჰაერში სცვივა ბრწყინვალე თაღის ნამ-სხვრეები. შეხედე ეკრანის ნაპირებს! ვარდისფერი ალი მოადგა ჩარჩოებს და უკვე ისმის გაქანებული სხივების წკრიალი. მოფრინდა რძალი ზენაარი!

და უკანასკნელ სიტყვასთან ერთად ზარმა დაიწკრიალა და ეკრანი აენტო. გამოჩნდა მარსელი ქალი თეთრი აბრეშუმის ნათელი ნისლით მოსილი. კამარელის გულში მზე ამოვარდა და გაფანტა უიმედობის ბურუსი. წამოდგა და ჰაერთან ერთად ღრმად ჩაისუნთქა ეკრანიდან მოვარდნილი სინათლე და სიყვარული.

ვაისმანმა ტელეფონის ორმაგი მილი თავზე წამოიციო და კამარელსაც მიაწოდა.

კამარელს იმავ წამს მოესმა ქალის ნაცნობი ხმა და განცვიფრდა: ქალი ლაპარაკობდა ინგლისურად.

— გურგენ კამარელი! სალამი მეგობარს! რად დამივიწყეთ ამდენი ხანი! ნუთუ არ მოგენატრათ ჩემი ნახვა?

გაოცებულმა კამარელმა ძლივს მოახერხა ხმის ამოდება:

— არ ვიცი, თვალი მატყუებებს თუ ყური?

— რამ გაგაკვირვათ? — მოესმა ვაისმანის ხმა. — მე შევესწავლე ორიო-დე ორიოდე ინგლისური ფრაზა. ქართული კიდევ თქვენ ასწავლეთ, მე ბო-დიში მომიხდია: არ ვიცი.

— როგორ შეასწავლეთ? თქვენ განა იცით მარსული ენა?

ვაისმანმა ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია.

— ეხლა ნება მიბოძეთ გაგაცნოთ თქვენი უკვე ნაცნობი მეგობარი: გე-და ნუ ავე. მარსის ცენტრალური ობსერვატორიის დირექტორი.

— [გედა ნუავე! — გაიმეორა კამარელმა.

— თქვენს შესახებ ყველაფერი იცის, — დაუმატა ვაისმანმა, — რაც მე ვი-ცოდი — ვუამბე. დანარჩენი თქვენ უთხარით.

— გედა ნუავე! — კიდევ გაიმეორა კამარელმა, თითქო სურდა საყვარელი ქალის ამიერიდან ძვირფასი სახელის სამუდამოდ დატყვევება.

— ნება მიბოძეთ მეც გაგაცნოთ ჩემი თავი. — და ვაისმანმა სათვალე მოიხსნა. — ესეც ნალაბი, თქვენ რომ მუდამ გაღელვებდით.

კამრელს ელდა ეცა: ვაისმანის სახე სრულებით გამოიცვალა — საკვირველი გამომეტყველებით ბრწყინავდა ნაცნობი თვალები. თითქოს სადღაც ენახა ეს თვალები, მაგრამ ვერ მოეგონა სად.

უცებ გული შეეკუმშა და მთელი სხეული დაირბინა სისხლის თბილმა ტალღებმა. ვაისმანს თვალი მოსწყვიტა და ეკრანზე გადაიტანა.

შეხედა ქალს, შემდეგ ისევ ვაისმანს, — და მისთვის ცხადი გახდა, რომ ვაისმანიც იმ ქვეყნიდან იყო მოსული, საიდანაც ეს გასაოცარი ქალი იჭვრიტებოდა.

აფრენილი მტრედების გუნდით აფთქრიალდა კამარელის აფორიაქებულ თავში ათასი ფიქრი. იმედი, სიხარული და განცვიფრება ყაჩაღთა ბრბოსავით დაესხა შემკრთალ გონებას და დაიპყრო ყველა მისი სიმაგრე. ფანტასტიური ოცნება სინამდვილედ იქცა და კამარელი აანთო და გაანათა შთაგონების ელვამ. წამწამებში დაჰქროდა ნამიანი ნაპერწკლები, ხოლო ყურებში წიოდა გახარებული სისხლი.

მოესმა ქალის სიტყვები, ხავერდით რბილი და ვერცხლივით წკრიალა:

(არსად, არასოდეს ასეთი ინგლისური არ სმენია კამარელს: მკაფიო, ნათელი და მრეკავი, თითქო ინგლისური სიტყვების მძიმე ქვები ალისფერ ბრინჯაოში იყო ამოვლებული.)

— ვაისმანი გაჰყვა! თავის სათვალეს, — ამბობდა ქალი. — თქვენთან დგას ახლა ლენგორ კარო, მარსელი ინჟინერი ობრეინ-ექსპედიციის პირველი ორგანიზატორი.

— ლენგორ კარო! — გაიმეორა კამარელმა და ვაისმანს გაუსწორა თვალები.

ვაისმანმა თავი დაუკრა კამრელს გაცნობის ნიშნად, მოიხსნა ტელეფონი და მაგიდას მიუჯდა.

— ეხლა მე თქვენ დაგტოვებთ. ისაუბრეთ რამდენიც გენებოთ.

გამოაღო მაგიდის უჯრა, ამოიღო პატარა რვეული და მაგიდაზე დასდო.

— უეჭველია, მოსურვებთ ყველაფრის ახსნას. ეს არის ჩემი დღიური. წაიკითხეთ და საიდუმლოებასაც უკანასკნელი საბურველი აეხდება.

ვაისმანი წამოდგა (უკანასკნელად ვახსენოთ ამ სახელით კარო), დაიხურა ქუდი და ლაბორატორიიდან გავიდა.

— კამარელი ეკრანს მიუბრუნდა.

ქალმა გაუღიმა:

— თქვენებურად 11 სექტემბერი იყო.

— მახსოვს.

— ეხლა კარგად ხართ?

— კარგად.

— დივანის ბალიშმა გიშველათ, თორემ თავს გაიტეხდით. ძალიან შევშინდი მაშინ.

— ეს კი არ მახსოვს, როდის შემოვიდა კარო?

— იმ წუთსვე. კარებთან მდგარიყო.

კამარელი ეკრანს მიეყრდნო, თითქო შიგ შესვლას აპირებდა.

— ვერ მეტყვიით ორი სიტყვით, რისთვის გამოგზავნეს კარო დედამიწაზე?

- სჯობს კაროს დღიური წაიკითხოთ. — მიუგო ქალმა.
- სამტროდ ხომ არ არის მოსული?
- კაროს დღიური წაიკითხეთ.
- ეს მაინც მითხარით: დაბრუნდება თუ არა კარო მარსზე?
- დაბრუნდება.
- კატასტროფამდე თუ შემდეგ?
- წაიკითხეთ კაროს დღიური და გაიგებთ რას ფიქრობენ სანორენები.
- ცინ არიან სანორენები?
- მარსელები, მარსის ადამიანები.
- სანორ მარსსა ჰქვია?
- ჰო.
- ობრა რა არის?
- თქვენი პლანეტა, დედამიწა.
- ობრან?
- დედამიწის ადამიანი.
- კარო თქვენი რა არის? — მოულოდნელად ჰკითხა კამარელმა და სა-

ზე აეწვა.

- ვერ გავიგე, რას მეკითხებით? — მიუგო ქალმა.
- ძმა არის თქვენი, მეგობარი თუ კოლეგა?
- წაიკითხეთ დღიური. — უთხრა ქალმა და გაიღმა.

კამარელს სახეზე სინათლის ღვარი გადაესხა.

- მე რა ვარ თქვენი? — ღიმილითვე ჰკითხა ქალმა.

კამარელს უკვირდა, როგორ იტყვდა გული ამდენ სიხარულს, უნდოდა ეთქვა ისეთი რამ ძლიერი და ნათელი, რომ ერთბაშად დაანახებდა ქალს მის გულის ბრწყინვალე ზეიმს, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა და ბედნიერებისაგან თავბრუდღასმული მთვრალივით იდგა ეკრანთან.

- გედა ნუავე! — ამის თქმა-ლა მოახერხა.
- გურგენ კამარელი! — უპასუხა ქალმა.
- გედა! — ჩურჩულებდა კამარელი.
- გურგენ!
- ნუავე!
- კამარელი!... რა არის კამარელი? — ჰკითხა ქალმა.
- გვარი.
- რას ნიშნავს?
- არაფერს... ნუავე?
- თქვენებურად ნიშნავს „ცხრათვალას“.
- რად გეძახიან ასე?
- წაიკითხეთ კაროს დღიური.

კამარელს დღიურის წასაკითხავად სული მისდიოდა, მაგრამ ვერც ეკრანს მოშორებოდა.

— იცით თუ არა, 11 სექტემბერს რატომ დავკარგე გრძნობა? — ჰკითხა კამარელმა და გულმა ფართხალი მორთო: ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ კითხვის პასუხზე.

- ვიცი. — მიუგო ქალმა და ეკრანს მიასვენა გაბრწყინებული სახე.

კამარელსა და ქალს შორის იყო მხოლოდ ათი სანტიმეტრის სისქე სარკის მინა. კამარელი ხედავდა ქალის სახის ყოველ დეტალს: ოდნავ ღია ბაგეთაგან გამომკრთალ კბილებს, ეკრანის სარკვეზე მიკრული ცხვირის ვარდისფერ

ნესტოებს, ადიდებულ შუქით ნაპირგადალახულ თვალებს და შავი ალით აფარულეებულ წამწამებს; გარკვევით ესმოდა ქალის აჩქარებული სუნთქვა და ხედავდა მკერდის მღელვარე მოძრაობას და აღმოცემული ტანისამოსის რხევას.

გასაოცარი იყო ეს უტყუარი და ხელშესახები სიახლოვე უსაზომო სივრცით დაშორებული ქალის.

ეს იყო ფანტასტიური პაემანი.

— გედა, მიყვარხარ! — მოულოდნელად წამოსცდა კამარელს.

— მიყვარხარ! — უპასუხა ქალმა და ხელები ფრთხილად გაშალა ეკრახზე. კამარელმა წუთით თვალები დახუჭა.

მის წინ გაიხსნა დაუღეველი ბნელი სივრცე.

დაინახა, როგორ გადაიბრინა ახალგაზრდობის ამ უკვდავმა მარადიულმა სიტყვამ 350 მილიონ კილომეტრიან სივრცის უსინათლო და ცარიელი უფსკრული და სიყვარულის სხივით გადააბა ერთმანეთს ორი დასაბამითგან ერთიმეორეს დაშორებული ქვეყანა.

VIII

ბედა ნუკვი

(ქაროს დღიური)

ძვირფასო გურგენ! ვიდრე ჩემი დღიურის კითხვას შეუდგებოდეთ, მიხედა პატარა განმარტება წავუძღვარო მას. ცხადია, როცა ამ დღიურს ვწერდი, მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ ვინმე წაიკითხავდა; ამიტომ იგი, როგორც ყოველი დღიური, რომლის დანიშნულებას შეადგენს მეხსიერებისათვის საჭირო წერტილების აღნუსხვა, იწერებოდა მხოლოდ ავტორისათვის გასაგები ნახევრად დაშიფრული ენით. მაგრამ გარემოებამ მოითხოვა, რომ ეს დღიური თქვენ წაგეკითხათ და მეც ავიღე და ვთარგმნე იგი თქვენთვის. თარგმნის დროს მე ვეცადე, რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იყო, გამეადვილებია დღიურში მოთხრობილ ამბავთა გაგება. ამ მიზნით, ბევრი გაუგებარი ადგილი სრულიად გამოვტოვე, ზოგიერთი ადგილი უფრო დეტალურად ავწერე და ზოგან საჭირო შენიშვნები ჩავურთე. ვხედავ, მიზანს საკვებით მაინც ვერ მივაღწიე: გაურკვეველი და ბუნდოვანი ბევრი რამ დარჩა დღიურში. მაგრამ ვფიქრობ, მოვლენათა მთავარი ნასკვი, რამაც მე თქვენს ქვეყანაში მომიყვანა, ნათელი გაგზადე თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში მე ბოდიშს მომხდის ინგლისური ენის უცოდინარობა. სიტყვების მეტად მცირე მარაგი არ მაძლევს დიდ გასაქანს.

K — R.

P. S. დღიური დათარიღებულია მარსის წელთაღრიცხვით. მოქმედების დედამიწაზე გადმოტანის შემდეგ თარიღიც აქაურია. საჭირო შემთხვევაში მარსის თარიღები შეფარდებულია დედამიწის წელთაღრიცხვასთან.

K — R.

CD — 17-9. მეორეჯერ შევხვდი დღეს. შემდეგ წავიკითხე ერთი ძველი წიგნი. გამიკვირდა: რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახლს შორის და ამავე დროს ზოგი რამ როგორ უცვლელად შენახულა ჩვენში!..

დავიცდი. სადღაც, უჩინარ სამყაროში, შუქი მოძრაობს. მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი, დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17-11. თითქო ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მაგრამ ახალი შუქით განათდა ჩვენი საუბარი.

— შენიშნე თუ არა, რა მშვენიერია ამ საღამოს ობრა? * — მკითხა გახარებულმა.

— ვეიახლოვდება.

— მე კი არ ვარ მომზადებული, როგორც საჭიროა.

— რა გაკლია? შენი უკანასკნელი რეფრაქტორი ხომ მზად არის?

— მზად არის და შენი დახმარება მჭირია.

— ჩემი? — გამიკვირდა.

— დიახ, შენი. რამდენჯერ იყავი ედონზე?

— ვინ დასთვლის?

— გუანაზე? **

— მრავალჯერ.

— ცხადია, ჰაერი არც ერთზე არ არის.

— სამწუხაროდ.

— ამჟამად ჩემი მიზნებისათვის, პირიქით, ეს ფაქტი მეტად სასიხარულოა.

— არ მესმის.

— ჰაერი აბრკოლებს ჩემი რეფრაქტორის მუშაობას: ოდნავ აბრმავებს მას, აელამებს.

მე მივხვდი, რაც უნდოდა მას: რაც უფრო მეტად აახლოვებს ობიექტს ტელესკოპი, მით უფრო დიდია ატმოსფეროს უარყოფითი მოქმედება ინსტრუმენტზე. თუ ტელესკოპის დადგმა მოხერხდა უჰაერო მთვარეზე, მაშინ მოახლოვებული ობრას შესწავლა გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

— ეხლა კი მივხვდები, — მივუგე. — მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა მოაწყო უჰაერო სხეულზე ობსერვატორიის სადგური? ტელესკოპს ხომ თან უნდა ახლდეს ცოცხალი არსებაც?

— ტელესკოპთან ჩვენ ვიქნებით. — მიპასუხა ქალმა.

— როგორ, ჩვენ?

— მე და შენ; რა თქმა უნდა, თუ დამთანხმდები.

— ნუთუ ჩემი ორი თვალიც დასჭირდა ნუავეს? ***

— ცხრას თერთმეტი არა სჯობია? — ღიმილით მიპასუხა.

— სადგურს მთვარეზე როგორ მოაწყობ?

— სადგურს აქ მოვაწყობთ და გადავიტანთ გუანაზე.

— რატომ გუანაზე და არა ედონზე?

— ედონი თუმცა უფრო ახლოა, მაგრამ მისი მეტის-მეტად ჩქარი მოძრაობა ტელესკოპის მუშაობას ხელს შეუშლის. როგორც იცი, ედონი ისე სწრაფად მიჰქრის, რომ დღე-ღამეში სამჯერ უვლის გარშემო ჩვენს პლანეტას, ხოლო გუანა შედარებით უფრო ნელა მოძრაობს: მისი ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათს.

— სადგურს როგორ მოაწყობ? — გავიმეორე ჩემი შეკითხვა.

* დელამიწა.

** ედონი და გუანა — მარსის ორი მთვარე, თქვენებურად ფობოსი და დეიმოსი.

*** ნუავე — „ცხრათვალა“. ასე უწოდეს იმიტომ, რომ მას ავო გასაოცარი თვისების ტელესკოპი, ცხრა ღიზით მორთული. ღიზების მრავალგვარი კომბინაციის საშუალებით ტელესკოპში შეერთებული იყო რეფრაქტორისა და რეფლექტორის ფუნქციები. ღიზებში იყო ხშირი მიკროსკოპი და სარკე.

— სადგურის შესახებ დიდი ხანია მაქვს ერთი გეგმა, მაგრამ არ ვიცი, გაიზიარებ თუ არა შენც ჩემს აზრს?

— მე ვისმენ.

— ვეიშობ, უარი არ მითხრა.

ქალი მიცქეროდა ვედრებით სავსე თვალებით და ვგრძნობდი, რომ რაც უნდა ეთხოვა, უარს ვერ ვეტყვოდი.

— ოღონდ შევიძლო და მზადა ვარ.

— სადგური უნდა მოეწყოს შენს რაუნიტზე*.

მე დიდხანს არ დავფიქრებულვარ. ნუავეს აზრი რამდენადაც უბრალო იყო, იმდენადვე ბრწყინვალე და მიზანშეწონილი.

— მე ვკისრულობ რაუნიტზე შენი ტელესკოპის მოთავსებას, — ვუპასუხე გახარებულ ნუავეს. — ხვალდანვე შეგუდგები საჭირო სამუშაოს.

ქალი წავიდა საამო ფიქრებით განათებული.

მეც გულში სინათლე ჩამიდგა.

კარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

— 17-25. რაუნიტი პატარა ობსერვატორიად გადაიქცა. ნუავე დარწმუნებულია, რომ პირველი მოძრავი ობსერვატორია იწყებს სამყაროს შესწავლის ახალ პერიოდს. მეც ვეთანხმები და მიხარია, რომ ეს გამარჯვება დაკავშირებული იქნება ჩემს რაუნიტთან.

— 17-31. ხვალ გავფრინდებით. ნუავემ გუშინ საღამოს გადაიღო ობრას სურათი.

მარწმუნებს, რომ აღმოაჩინა ახალი ხაზები და წერტილები, რაც წინანდელ ფოტოგრაფიებში არ არის.

მე განვაგრძობ ჩემი ძველი შეხედულების დაცვას.

გუანაზე შესაძლოა ბევრი რამ გამოირკვეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნუავეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი არ გამართლდება.

— 17-32. გუანას ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათსა და 18 წუთს, ედონის — 7 საათსა და 39 წუთს, ხოლო სანორის** დღე-ღამე შეიცავს 24 საათსა და 37 წუთს. ამის შედეგი ის არის, რომ ედონი დღე-ღამეში თითქმის სამჯერ შემოუვლის ჩვენს პლანეტას და უცნაური მიმართულება აქვს: ამოდის დასავლეთიდან და ჩადის აღმოსავლეთზე. გუანა კი ცოტა უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე სანორ თავის დერძის გარშემო, ამის გამო იგი თითქმის ორი დღე-ღამე დგას ცაში ამოსვლიდან ჩასვლამდე. ამიტომ არჩია ნუავემ ტელესკოპის გუანაზე გადატანა.

დილის 4 საათზე რაუნიტი უკვე პოლუსზე იყო.

4 ს. და 21 წ. პოლუსი დაგტოვეთ.

წამოვედით იმ ანგარიშით, რომ გუანას შევხვედროდით ცის მეცხრე მერედიანზე (ასე ვიყავით შეთანხმებული ჩრდილო-ობსერვატორის დირექტორთან).

* რაუნიტი — ჩემი კოსმიური რაკეტა.

** სანორ — მარსი.

გზაზე შეუწყვეტლად გვენთო შორეული ხილვის ეკრანი, რომლითაც ნუავე დაკავშირებული იყო ობსერვატორიასთან.

სწორედ დანიშნულ დროს დავეშვით გუანაზე.

გუანას უპაერო ცის ერთი ნახევარი, ჰორიზონტიდან ზენიტამდე, დაფარული იყო სანორის უზარმაზარი ელვარე დისკოთი, ხოლო მეორე ნახევარი შავი ხავერდის კარავსავით იყო გაშლილი. შავ ხავერდზე დახატულივით მოსჩანდა აზა* და არაჩვეულებრივად აკაშკაშებული ვარსკვლავები.

ობსერვატორიას გადავეციო საჭირო ცნობები და ეკრანი ჩავაქრეთ. ობრა გუანას მეორე მხარეზე იყო და ჩვენც იქით გავსწიეთ. თანდათან ჩაიძირა სანორის დისკო და აზაც ჩავიდა.

რაუნიტი შევიდა გუანას უკუნეთ ღამეში და გამოჩნდა ლურჯად მოკაშკაშე ობრა.

ნუავემ მოიმარჯვა თავისი ცხრათვალა ტელესკოპი და მუშაობას შეუდგა.

— 17-35. ახლოვდება CD-18-27 **. დიდი მზადებაა.

ეკრანების რიცხვი 2000-მდე აიყვანეს.

ნუავე შეუსვენებლად მუშაობს.

ნაოცებს მისი ენერჯია და ენტუზიაზმი.

გუშინ მიჩვენა გუანაზე დამზადებული რუკების ალბომი.

გულდასმით დავათვალიერე: სანუგეშო ვერაფერი ვპოვე.

ეწყინა,

— მე არ ვამტკიცებ ობრაზე სიცოცხლის შეუძლებლობას, — შევარბილე ჩემი სკეპტიციზმი. — მაგრამ მეტად საეჭვოდ მიმაჩნია მისი ძალადი ხარისხი.

— რატომ ფიქრობ ასე? — გულნატკენად მკითხა.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — ვუთხარი მე, — ვერ წარმოვიდგენია სიცოცხლის ჩვენთვის ცნობილი უმაღლესი ფორმის არსებობა პლანეტაზე, სადაც ამდენი წყალია.

— განა ცოტაა ხმელეთი?

— შეადარე ზღვას. ობრა თითქმის მხოლოდ ზღვაა, ხმელეთის უმნიშვნელო კუნძულებით.

— ამ კუნძულზე მაინც არის მაღალი სიცოცხლე! — დაჟინებით წამოიძახა ნუავემ.

— სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არა ხმელეთზე, არამედ წყალში. ობრაზე ბატონობს წყლის სტიქია. წყალში კი შეუძლებელია სიცოცხლის მაღალი ფორმა.

— ნუ გავიწყდება, რომ ობრას ხმელეთი იმდენად დიდი მაინც არის, რომ სანორის მთელ ზედაპირს უდრის. — თანდათან ცხარდება ნუავე. — თუ სანორზე სე განვითარდა სიცოცხლე, რატომ არის ეს შეუძლებელი ობრაზე?

— ჩვენი პლანეტის ჰავა სხვაგვარია. — ვცხარდები მეც. — ობრაზე მუდამ ქუხს და ელავს. წარმოუდგენელი ძლიერების გრივალი მძვინვარებს განუწყვეტლივ. მუდამ ბურუსიანი ჰაერი სავსეა გამანადგურებელი ძალებით.

* აზა — მზე.

** 1924 წლის აგვისტო.

სიცოცხლის მაღალი ფორმა ვერ დამკვიდრდება ასეთ მერყევ და მძაფრ ნიადაგზე...

ეხლა ვზივარ და ვფიქრობ:

— რატომ გავცხარდი? რატომ მალეღვებს ყოველთვის ნუავეს დაუსაბუთებელი გატაცება და დაუჯერებელი დასკვნები?

სადაც, გულის უჩინარ კუთხეში, შუქი მოძრაობს. ჯერ მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი.

დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17-40. გუშინ სიგნალის მომწყობი სექციის სხდომა იყო.

დილით, სხდომის წინ, ნუავემ დამირეკა:

— ხომ იქნები სხდომაზე?

— ვიქნები.

— შენი ნახვა მინდა. დამიცადე. სხდომაზე ერთად წავიდეთ.

— სიამოვნებით.

შემოვიდა ჩუმაღ. ხელში ეჭირა მისი საყვარელი სუანერ*. ფანჯარასთან დაჯდა.

სახეზე ენთო მოზღვავებული სიხარულის განგებ შებურვილი სინათლე. უნდოდა (არ ვიცი, რატომ) დაუტეველი სიამის დაფარვა და ჰხრიდა წამწამებს.

მაგრამ შეკავებული ღიმილივით ცახცახებდა თვალეში შთაგონების ბრწყინვალე ფრთა.

— რაღაც კარგი გაქვს გულში დამალული, — ვკითხე.

შემომხედა: თვალებიდან თითქო ორი ფრინველი ამოფრინდა და სახეზე სხივების ფრთები მომანათა.

— შენ ჩემი არ გჯერა, მაგრამ მე ვხედავ ყველაფერს.

— რას ხედავ?

— მე ვხედავ, როგორ იბრძვის ობრაზე ჩვენი მსგავსი არსება და როგორ იკაფავს გზას ჩვენსკენ მისი მაღალი გონება.

— საჭიროა ჩვენც დავგანახო.

— გახსოვს, ორი თვის წინად ობრას ჩრდილოპოლმუსზე ცეცხლის სვეტები რომ იქნა შენიშნული?

— მერე?

— მაშინ ის ვულკანურ მოვლენად ჩასთვალეს, მაგრამ ეხლა სულ სხვარამ ირკვევა ჩემთვის.

უცებ წამოდგა და აივნის ფარდა გასწია.

ოთახში მოულოდნელი ნიაღვარივით შემოიჭრა ოქროს სხივების შადრევანი და თბილი შუქით შემოსა ქალი.

— მაინც რა ირკვევა? — შევეკითხე.

— ეგ ობრას შუქური სიგნალია.

აიგანზე გავედით. აზა მაღლა აწეულიყო და ცხელი ღვარი გადაესხა ფათეფოთლებიან ბიმუდუს** ხეივნისათვის.

— როგორ დაასკვნე? — ვკითხე და სკამი შევთავაზე.

* ლურჯი ყვავილი, „ობრას ყვავილად“ წოდებული.

** ვაშლის მაგვარი ხილია.

დაჯდა. მარჯვენა ხელი აივნის მოაჯირზე დააყრდნო, მარცხენა მე გამიწოდა.

ჩამოვართვი პატარა, ჩიტივით აფართქალებული ხელი და ფრთხილად მუხლზე დავასვენე.

— შენ ჩემ დასკვნებს არ სწყალობ. ვიცი, არც ამას გაიზიარებ.

— პირიქით, მე ვცდილობ დავიჯერო, მაგრამ საკმაო საფუძველს ჯერ ვერ ვხედავ.

— მაინც გეტყვი ჩემს მოსაზრებას, რადგან შენი დახმარება მჭირია.

— მზადა ვარ, როგორც ყოველთვის.

— გუანაზე გადაღებულ სურათებიდან სჩანს, რომ ობრას ჩრდილო პოლფუსის მიდამოები მუდმივი ყინულით არის მოჭედული. ყინულის არე ვაკესავით სწორად არის გაშლილი და არსად ჩრდილის ლაქებს არ იძლევა. ეს ამტკიცებს, რომ ყინულს ქვეშ წყალია. ელვარება-კი სწორედ ყინულოვან ზონაზე იქნა შენიშნული. აუცილებელია დასკვნა, რომ ცეცხლის ზოლები არ იყო ვულკანური წარმოშობის.

— შენ ჰფიქრობ, მაშასადამე, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული ასხივება?

— სხვაგვარი ახსნა შეუძლებელია: მოქმედი ვულკანის ნიშნები მე იქ ვერ აღმოვაჩინე. ამას გარდა ძალიან დამაეჭვებელია სხივების ზოლების სიმეტრიულობა, — ვულკანი ამგვარად სივრცეს ვერ გაანათებდა*.

— როგორც მასსოვს, — ჩაფურთხე მორიდებით, რადგან არ მინდოდა კიდევ ხაზი გამესვა ჩემი სკეპტიკური განწყობილებისათვის, — ელვარების რადიუსი ძალიან დიდი იყო.

— ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვენი სიგნალის სისტემაა, — მიპასუხა ნუავემ, ხელი წამართვა და გამწყრალი თვალები მრისხანედ მოაბრუნა ჩემსკენ.

— მერე რას ნიშნავს ეს სიგნალი? — ვკითხე მეც პაუზის შემდეგ.

— საქმეც ის არის, რომ მათ ჩვენი სიგნალი ვერ გაუგიათ. ალბად ჩვენს მუქ ზოლებს ისინი ჩვენი პლანეტის ბუნებრივ ხაზებად სთვლიან. ვინ იცის, იქნება მდინარეები, ან მთები ჰგონიათ!

— კარგი მიხვედრაც ჰქონიათ! — წამომცდა ირონიული შენიშვნა, რამაც უფრო გააბრაზა ნუავე:

— ჩვენ არ ვიცი, როგორი ხელსაწყოებით სარგებლობენ ისინი და როგორ მოსჩანს ჩვენი პლანეტა მათ ინსტრუმენტებში. ამიტომ უნჯობესია ნაჩქარევ დასკვნებს მოერიდო.

კარგად ვგრძნობდი, ვისი დასკვნები იყო ნაჩქარევი, მაგრამ ნუავეს შეუდრეკელი რწმენა თავისთავად იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ძალაუწებურად იმორჩილებდა ჩემს ეჭვიან სიფრთხილეს.

— ახლა უნდა გითხრა, რისთვის მოვედი შენთან. — მომმართა ნუავემ და გამწყრალ სახეზე ღიმილი აათამაშა, — დღევანდელ სხდომაზე შემომაქვს ერთი წინადადება, რასაც მინდა წინასწარ გაგაცნო.

* ნუავეს ეს შემცდარი დასკვნა მე მხოლოდ აქ ჩამოსვლის შემდეგ გამოვარკვეე. თქვენ, უმჯველია, მიხვდებით, რომ მარსიდან დედამიწის პოლუსზე შენიშნული სხივების ზოლები, ნუავეს რომ სიგნალი ეგონა, იყო ეგრეთ წოდებული პოლარული „ნათება“. მარსის ატმოსფეროს განსხვავებული პირობების გამო ასეთი მოვლენა იქ შეუძლებელია და ამიტომ იყო ჩვენთვის ძნელი მისი ბუნების ახსნა.

— ჩვენი სიგნალის შესახებ?

— დიახ. როგორც ვითხარი, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ობრა-ზე ჩვენი სიგნალი ვერ გაიგეს. შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ზოლები, მიუხედავად სისტემის ცვალებადობისა, მუდმივია. ამას შეეძლო ისეთი შეხედულების წარმოშობა, თითქოს ეს ზოლები პლანეტის ორგანიული აღნაგობის თავისებური კონტურები იყოს.

— შენი მოსაზრება უთუოდ ანგარიშ-გასაწევია, — შევნიშნე მე, — მაგრამ როგორ გინდა გამოასწორო მდგომარეობა?

— ჩემი წინადადების აზრიც ეგ არის: ობრას მოახლოვების დროს ჩვენ უნდა შევცვალოთ სიგნალიზაციის მეთოდი.

— როგორ?

— საჭიროა სიგნალმა ობრაზე შექმნას რიტმული ციკლის შთაბეჭდილება. ამ მიზნით ყოველ დღე 12 საათის განმავლობაში სიგნალიზაციის მთელი სისტემა უნდა ჩაქრეს. ფიგურების ციკლი უნდა გადაიცეს 12 დღეში, თითო ფიგურა ყოველ დღე. ციკლის მოთავეების შემდეგ სიგნალი სრულებით უნდა მოიხსნას. თუ ობრაზე შენიშნული აქვთ ჩვენი სიგნალის ზოლები, შეუძლებელია გადაცემის ამ ცვლილებამ არ მიიპყროს ობრანთა ყურადღება.

ნუავეს გეგმა მართლაც მოსაწონია.

სიამოვნებით დავუდასტურე.

— სავსებით ვიზიარებ შენს მოსაზრებას და ვფიქრობ სექციაც მიიღებს მას, თუ რაიმე ტექნიკური ზასიათის დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი.

— მე უკვე მქონდა ამის შესახებ საუბარი პროექტორების გამგესთან, — მითხრა ნუავემ, — ტექნიკურად ჩემს გეგმას არაფერი დააბრკოლებს*.

— მით უკეთესი! — ვუთხარი მე და წამოვდექე: სხდომაზე წასვლის დრო იყო.

სექციამ ერთხმად მიიღო ნუავეს წინადადება.

— 18-1. გუანაზე მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ასტრონომიის უდიდესი პერსპექტივა გადაეშალა. ობსერვატორიამ გადასწყვიტა ორივე მთვარეზე ააგოს ასტრონომიული სადგურები. ინჟინერმა გოუმ წარმოადგინა სადგურების გეგმა.

— 18-15. დღეიდან დაიწყო სიგნალიზაცია ნუავეს გეგმით.

ობრა სწრაფად გვიახლოვდება. ამჟამად იგი უბრწყინვალესი ვარსკვლავია ჩვენს ცაზე.

ყველა ადევნებულობს სასიხარულო მოლოდინით.

ყველაზე მეტად დელავს ნუავე.

* სიგნალიზაციისათვის მოწყობილი იყო უზარმაზარი პროექტორების სისტემა. პროექტორები მუშაობდნენ zine-სხეებით, რომლის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს აზას სხივების შთანთქმა. zine — სხივებით გაშუქებული არე მზის სხივებს არ აირეკს და შორიდან შევად მოსჩანს.

18-27. გუშინ მოთავდა სიგნალიზაციის ციკლი *.

დღეს ობრა უახლოეს წერტილზე ბრწყინავს.

ორი ათასი ეკრანის უსინათლო თვალი ელექტრო-წამწამების შეუწყვეტელი ხამხამით მისჩერებია მოლურჯო ცეცხლით აბრიალებულ მნათობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ანთებულა ჯერ შორეული ხილვის სიხარულით.

— 18-28. ორი დღეა გუანაზე ვმუშაობთ.

ნუავემ დაამზადა სურათების სერია.

ბევრი რამ არის ახალი და საგულისხმო.

პირველ ყოვლისა, ვაკვირვებას იწვევს წყლის რაოდენობა.

მართლდება წინა-თაობათა მოლოდინი: ობრა, მართლაც. წყლის დაუღეველი რეზერვუარია, რამაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი პლანეტის სისხლნაკლები სხეული და დაუბრუნოს მის დამშრალ ფესვებს ცხოველმყოფელი სინდლე.

— 18-30. არის თუ არა ობრაზე გონიერი არსება?

ის მასალა, რაც დაგროვდა ამ ერთი თვის დაკვირვებით, სანუგეშოს არაფერს ამბობს თუ არის სიცოცხლე—უთუოდ დაბალ საფეხურზე. მხოლოდ ერთადერთი ნუავეა დარწმუნებული, რომ სიგნალიზაციის უნაყოფობა ჯერ-ჯერობით ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით არის გამოწვეული. მას სჯერა, რომ არსებობს მაღალ-გონიერი ობრან, სჯერა გადაჭარბებული გატაცებით.

— ხომ ხედავ ამ ნათელ ლაქებს? — მკითხა გუშინ, როცა მის მიერ შედგენილ რუკებს ვათვალიერებდით.

— ეხედავ, — ვუპასუხე, — მაგრამ ოაზისები საჭიროა უდაბნოში და არა ოკეანეზე.

— ეგ არის ობრანთა საცხოვრებელი ადგილი.

— მესმის.

— სოციალური ბუდეები.

— მეც ეს მაფიქრებს. ასე ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრება წყლით შემოსილ პლანეტაზე კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია.

— როცა ამ რუკებს ათვალიერებ, — დამტუქსა ნუავემ, — უნდა მოიშორო ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა გზით მიდის იქაური კულტურის განვითარება.

— ამ მხრით ორთავენი ერთნაირად ცუდ მდგომარეობაში ვართ, — შევნიშნე მე, — მოვლენის უტოდინარობა არ იძლევა არავითარ უპირატესობას მისი ან ავად, ან კარგად შეფასებისათვის.

— შენ უკვე დასცინი ჩემს ოპტიმიზმს, — იწყინა ნუავემ და სახე მოიღრუბლა.

* მარსის ეგრეთწოდებული „არხების“ წაკითხვის შესახებ თქვენთან რომ საუბარი მქონდა, მე ცოტა განსხვავებულად ვადმოგვიცით მაშინ ჩვენი სიგნალიზაციის გეგმა. მაგრამ მე იმ დროს ვლაპარაკობდი, როგორც თქვენი პლანეტის მკვიდრი და არ შემიძლო მეთქვა ის, რაც დედამიწის მეცნიერებისათვის უცნობი იყო. მე დღემდის არ ვიცი, თქვენმა ტელესკოპებმა რატომ ვერ შეამჩნიეს მაშინ მარსის სიგნალის ციალი და რად დიდიუბა უნაყოფოდ ნუავეს მახვილგონიერი გეგმა.

მე შევეცადე საჩქაროდ გამომესწორებია ჩემი უტაქტობა.

— მე სრულებით არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის ნიშნებს, — შევეცადე გულწრფელად. — მე მხოლოდ ბოლომდის ვერ ვერკვევი, საიდან ლებულოზ შინაგანი დაჯერების ეგზომ მოუდრეკავ პათოსს.

— ჩემი უბედურებაც ეგ არის, — მითხრა ქალმა, — მეცნიერულად გამართული არგუმენტები ჯერ არ მომეპოვება, მაგრამ შინაგანი დაჯერება მართლა იმდენი მაქვს, რომ უბრალო რამ ნიშანი ჩემთვის უფრო ბევრისმეტყველია, ვიდრე შენთვის თვალსაჩინო ფაქტების მთელი გროვა.

— სამწუხაროდ, ასეთ საქმეში მარტოოდენ ინტუიცია არ არის საკმარისი.

— არც მე ვემყარები მხოლოდ ინტუიციას: ობრას ასაკი, მისი ფიზიკური ქიმიური პირობები ერთის მხრით, ხოლო მეორის მხრით სიცოცხლის ის ნიშნები, რაც შენთვისაც აშკარაა, განსაკუთრებით კი შუქური სიგნალიზაციის ცდები, — მე ვფიქრობ ყველაფერი ეს იძლევა ჩემი დასკვნებისათვის საკმაოდ დამაჯერებელ საფუძველს.

— შუქური სიგნალი მე ძალიან მეეჭვება, — ფრთხილად შევაპარე სექსტიციზმის წვეთი. — ეგ რომ მართალი სიგნალი ყოფილიყო, ამ იშვიათ მოახლოების დროს უფრო ნათლად და გარკვევით უნდა გამოჩენილიყო მისი ციმციმი.

შევატყვე, რომ ნუავე შეშფოთდა.

— ვიმეორებ, მე არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის არსებობას, — დავსძინე საჩქაროდ, რომ შემენელებია ჩემი უკანასკნელი სიტყვების შთაბეჭდილება. — როგორც ვითხარი, იქ წყლის სტიქია ბატონობს და სიცოცხლეს ამ სტიქიის შესაფერი იქნება.

— მაშასადამე? — ჩამეკითხა ნუავე.

— მაშასადამე შენი საყვარელი ობრან ჩვენს მოკავშირედ ვერ გამოდგება. — მოულოდნელად წამომცლა მწარე დასკვნა.

ნუავე ისევ მოიღუშა.

(გაგრძელება იქნება)





ლოთარ ჭილაძე

ახალი ლექსები

*

* *

მე ვკითხულობდი. მომწყინდა ფიქრი,
და ვკითხულობდი. ხმამალა წვიმდა.
სარკმელში ქარი არხევდა ხეებს
დამძიმებულებს ხანგრძლივი წვიმით.

სარკმელში ქარი არხევდა ხეებს,
ღრუბლებს და წვიმას არხევდა ქარი.
სადღაც კიოდნენ მატარებლები
გახვეულები ორთქლში და ბოლში.

და თითქოს ვიღაც იდგა ბაქანზე,
ვიღაც, ძალიან ძვირფასი ჩემთვის
და არ ვიცოდი, რომ ჩუმად მეთქვა
ან დამეყვირა მისი სახელი.

მე არ ვიცოდი მისი სახელი,
მისი თვალების და თმების ფერი
და მხოლოდ ვგრძნობდი, რომ წვეთებივით
გავდნენ ერთმანეთს ჩვენი ფიქრები.

ის იდგა სადღაც სველი და მძიმე,
გაბეზრებული წვიმით და ქარით,
და გუბებში ირეკლებოდნენ
უზარმაზარი მატარებლები.

სარკმელში ქარი არხევდა ხეებს,
ხიდეებს და სახლებს არხევდა ქარი.
მე ვკითხულობდი. აღარ შემეძლო
მეფიქრა რამე და ვკითხულობდი.

*

* *

მეზობელ სახლში იღვიძებს ბავშვი,
ჩემი ხმაური აფრთხობს და ტირის
და ქუჩის დარაჯს, ჩრდილებად დაშლილს,
ბავშვის ტირილზე ერევა ძილი.

მე ჩემს საყვარელ ლექსებად ვთვლიდი
ცაში თანდათან გამქრალ მავთულებს,
გადაქანებულ სვეტებს და ხიდებს,
ნათურებს მკრთალებს და გაფანტულებს.

დღეს კი იფეთქებს შენი სახელი.
მე დილიდანვე ვგრძნობ და მოველი,
როდის იფეთქებს შენი სახელი
ძლივს მიგნებული და მოგროვილი.

მე მის ნამტვრევებს ავკრიფავ ქარში
და მტვერს და მიწას გადავაშორებ
და დავურიგებ მეზობელ ბავშვებს,
როგორც ბრჭყვიალა სათამაშოებს.

დაიტაცებენ ბავშვები უცებ,
ყაჩაღებივით დაიტაცებენ
და ქარზე უმაღ მოდებენ ქუჩებს
ჩემს ძველ ტკივილებს და აღტაცებებს.

ბნელში იცინის კიოსკის მინა,
ირხევა ტოტი და ტოტის ჩრდილი,
დარაჯს კი სძინავს, სძინავს და ხვრინავს
მთლად გაქლენთილი ღამით და ძილით.

რას ყვირის გული, რა უნდა ნეტავ!
ვილას ეძახის, ვილას აშინებს!
მე ვალებ კარებს და ისევ ვკეტავ,
და მერე ისევ ვალებ მაშინვე.

*

* *

ოთახში ისევ ვილაცა დადის,
მაგრამ მე ისევ ვერ ვარჩევ სახეს
და მისი ხელი, ხელი თუ თათი
ჩემს უჯრებს ურცხვად ამტვრევს და აღებს.

მე მხოლოდ მიკვირს და მერიდება,
შევხედო კარგად ან ვუთხრა რამე,
და მისი ჩრდილი უშნო და დიდი
აწყდება საწოლს, მაგიდას, სკამებს...

მე ალბათ დიდხანს მემახსოვრება,
მე ახლაც რწმენით და შვებით მავსებს,
რომ ჩემი წილი გზა და ცხოვრება
აინტერესებს ვილაცას ასე.

მაგრამ ამ საწყალს რა ეშველება,
ვერ გამდიდრდება ჩემი რვეულით,
უბრალო ჩრდილად თუ მოჩვენებად
თუ გზააბნეულ ქუთრად ქცეული.

ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე
არც საეჭვოა, არც დასამალი,
და უკვე პირველ სალამს არიგებს
და მთელი გულით ყივის მამალი

და ჩრდილიც ქრება... ის ახლა ქუჩას
მისდევს საქმიან კაცად ქცეული.
მე შენზე ვფიქრობ და თვალებს ვხუჭავ
და მეკარგება სადღაც სხეული.

ვინ იცის იქნებ გაიგო რამე,
იქნებ მიაგნო შენს ცეცხლს და სურნელს
და უცებ გამჩნევ რომ მთელი ღამე
მე მხოლოდ შენზე ვფიქრობდი თურმე.

მე თვალებს ვხუჭავ და კვლავ გეხები,
კვლავ მეკარგები და კვლავ დაგეძებ...
დე, იხმაურონ შენმა ფეხებმა
ქვაფენილებზე, იატაკებზე...

გათავდა! ასე მთავრდება ზუსტად
ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე ძილიც
და მზეზე, როგორც ფერადი ბუმბუტი
ცახცახებს მამლის ამაყი ჩრდილი.

*

* *

მუშებს მოჰქონდათ სილა და კირი
და ახალ სახლის საძირკველს ჭრიდნენ.
ვილაცა იდგა მდინარის პირას
და წყალს თანაბრად უყოფდა მინდვრებს.

დრო გადიოდა და ზამთრის პირზე
ტყე შიშველდებოდა უხმოდ და უცებ,
მერე მწვანეში წვებოდა ისევ
და იმაგრებდა ფესვებს და ყუნწებს.

ცვდებოდა კაბა. წყდებოდა ღილი.
კვალს აგრძელებდა ახალი კვალი
და ლიანდაგზე დაფენილ ჩრდილებს
სწვავდა ორთქლმავლის ყვითელი თვალი.

მე კი ნელ-ნელა ვფურცლავდი გაზეთს
და ვოცნებობდი, როდის განახავდი.
დრო გადიოდა... და მტვრიან გზაზე
ქარს გადაჰქონდა თეთრი ქალაღი.

და საათები უხმოდ კიოდნენ
და ნათღებოდნენ ბნელში ფანჯრები,
დრო კი ბრაზობდა და გადიოდა
მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვამჩნევდი.

გახსოვდეს, შენი თავი გახსოვდეს,
მე უკვე მივხვდი და შენც გახსოვდეს,
რომ ვერასოდეს ვერ დაეწევი
დროს და საკუთარ ლანდს, ვერასოდეს!

მე უკვე მივხვდი და ისევ შფოთავს,
ჯერ ქარი ისევ შფოთავს და მარხევს
და უცებ ვტოვებ საყვარელ ოთახს,
ძმის გაკვირვებულ ლექსებს და სახეს.

რომ შეიყვაროს ვიღაცამ მართლა
და იმეოროს ჩემი სახელი.
მე კი მეგონოს, რომ უკვე მართმევს
სინათლე თვალებს ახლად გახელილს.

და აჩქარებულ სისხლივით ვგრძნობდე
დარჩენილ დღეებს, დღეებს თუ წუთებს
და გაზაფხულით შემოსილ ტოტებს
ვაჩუქო გული, ვით ჩიჭის ბუდე.

*

* *

მინდორში ვდგავარ და ქორებს ვუსტვენ,
მხოლოდ იმიტომ, რომ დაგენახო
ზედაზნის ნისლო, ნაზო და სუსტო,
მდინარის თვალო, ტყეო, ვენახო...

მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
რომ მოგაწონო თავი, ბებერო,
და თუ არ ვიცი, თითონ მაჩვენეთ,
როგორ შეგხედოთ ან მოგეფეროთ.

მე იქნებ ვჩქარობ და სიჩქარეში
რაც დღეს მეკუთვნის, იმასაც ვკარგავ,
მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენს გარეშე
ვერასდროს ველარ ვიქნები კარგად.

ყველას, ეს ლექსი გეკუთვნით ყველას,
ჩემი უბრალო სიცოცხლის მსგავსად.
გავიდეს ათჯერ ათასი წელი
მე კი აქედან არ წავალ არსად.





სოლომონ დამუხანაშვილი

გასკანონება ჩუქვანოთ;

მოთხრობა

ქმარი გულადმა იწვა. ხშირი ბალნით დაფარული გამხდარი მკლავები გულზე დაეკრიფა და მაგრად მოკუმულ ტუჩებში მიმქრალად ილიმებოდა.

იგი მუდამ ცოლზე უფრო გვიან წვებოდა და გვიან იღვიძებდა. შუალამისას, როცა ქმარი წიგნებს კითხულობდა, — ცოლი სიზმარეთში იყო გამგზავრებული.

ახლა კი ეღვიძა ცოლს და უძრავად იწვა. ქმრის გაღვიძება არ უნდოდა და უძრავად იმიტომაც იწვა. ქმარს დიდხანს უნდა ეძინა, იმ დრომდე უნდა ეძინა, სანამ არ გაძღებოდა ძილით.

ოთახში ოდნავ ბნელოდა. ფანჯარა არა ჰქონდა ოთახს და შუშაბანდიდან შემოღწეულ ღღის ნათელს სავსებით ვერ მოეხვეტა სიბნელე.

ეზოში ხმაურობდნენ. დიმიდან უკვე ჩამოქაქანებულყო კოჭლი მერძევე და ვიღაცას აჯერებდა: ვირის რძე შემოგატყუეო. მერძევე ხუმარა კაცი იყო, როცა ის მოვიდოდა, ერთი სიცილი-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე ეზოში.

მერძევემ წასვლისას მუშტრის გასაგონად შემოსძახა თავის ჩახრინწულ ხმაზე და სადარბაზო კარისაკენ გასწია. თეძოებში ირწეოდა კოჭლი მერძევე, თითქოს ნახნავეში ბელტებზე მილაყუნობსო.

ეზოში ახლა ხმადაბალი საუბარი ისმოდა.

ცოლმა გადახედა სარეცელის მოზიარეს, დიდხანს დააცქერდა და მოესურვა ჩუმად მოფერებოდა, თმაზე გადაესვა ხელი. მაგრამ სურვილი ძალაუნებურად დაიოკა — ხელის შეხებით არ გავალეძოო.

ქმარი უცებ შეიშმუნა. ტუჩები აკვნის ჩვილივით ვააცმაცუნა და გვერდი იბრუნა.

ქალმა პატარა მაგიდაზე შემდგარ საათს შეხედა. ათი იყო. დაახლოებით ამ დროს იღვიძებდა ხოლმე ქმარი. ეს მხოლოდ ცოლმა იცოდა, თორემ ქმრისთვის სულ ერთი იყო, როდის გაიღვიძებდა, — ოღონდ ის არ იყო სულერთი, როდის დაწვებოდა.

რუსუდანს ზურგი ეტკინა გულადმა წოლით. მერე გულისზიდვა დაეწყო. ეს ალბათ შიმშილის ბრალი იყო. ის ყოველდღე ადრე მიდიოდა ფაბრიკაში და ადრე საუზმობას იყო მიჩვეული.

საწოლიდან ფრთხილად წამოდგა. ქოშებში წადგა ფეხი და კარისაკენ

ფეხაკრევით წავიდა. ალაღბედად სკამს წამოედო. სკამი ყალყზე დადგა და ხმაურით მოინაცვლა წინა ფეხები.

გაინახა. შიშით გადახედა ქმარს. კაცი არ შერხეულა, და ისიც დამწვიდდა. ახლა საწოლის ნახევარს შეავლო თვალი. ეს მისი წილი იყო. თეთრად დაწინწკლული ატლასი დადრეკილიყო და სიცალიერე იმჩნეოდა საწოლის ნახევარზე. ქალმა მაინც დაინახა თუ იგრძნო იქ თავისი კვალი და ჩრდილი.

ხალათი გადაიცვა და შუშაბანდში გავიდა. შუშაბანდი ოთახზე უფრო ვიწრო იყო. კედელში ჩაჭედებულ ლურსმანზე ეკიდა გასაშლელი საწოლი, რომელიც თამამად იშლებოდა შუშაბანდში. მაგრამ ახლა თაფლობის თვე იყო და მეორე საწოლი არავის სჭირდებოდა. სტუმარი კი თაფლობის თვეში არ მოვიდოდა.

შუშაბანდის კუთხეში საკუჭნაო მაგიდა იდგა. მაგიდა თითქმის კარზე იყო მიმდგარი და კარი ნახევრადღა იღებოდა. ერთი სიტყვით, შემოსვლისთანავე სივიწროვე მიეგებებოდა ადამიანს.

როცა რუსუდანი შინ შემობრუნდა, ქმარს უკვე ეღვიძა.

— უკვე გღვიძავს? — თქვა ქალმა.

ქმარმა პასუხად გაიღიმა. ტუჩების ღიმილს არ ახლდა თვალების ღიმილი და არ მოუხდა გაღიმება. ქალის თვალში მაინც ძალზე ლამაზი იყო ღიმილი. რუსუდანმაც გაიღიმა, ჩამოჯდა საწოლზე და ქმარს თმებში ჩაჭვიდა ხელი.

— ახლა კი ნამდვილი გაზაფხულია! — თქვა ქმარმა და მოპირდაპირე კედელს დააქერდა.

— რაზე ამბობ? — შეეკითხა ქალი.

— დაკვირვებული ვარ, როცა ჩვენს ოთახში მზე შემოდის, მაშინ ნამდვილი გაზაფხულია. ხედავ, რა ლამაზია!

რუსუდანმა კედელს შეხედა და გაიღიმა.

— მართლა ლამაზია! — თქვა მან.

მაგიდაზე სარკე იდგა. ოთახში შემოსულ მზის სხივს ირეკლავდა იგი და კედელზე ბაწია ცისარტყელა მოხატულიყო, ნამდვილ ცისარტყელაზე უფრო ლამაზი და ზღაპრული.

ისინი დიდხანს უცქეროდნენ კედელზე გამოხატულ ფერებს, მაგრამ მართო ამ ფერებით როდი ტკბებოდნენ. ეს ფერები მათ მეხსიერებაში აღვიძებდა ნამდვილ გაზაფხულს მთელი თავისი სიკეკლუცითა.

ქალი საწოლიდან წამოდგა.

— ადექი, ზურა, უკვე დუღს ჩაი.

— ჰო, ავღებები.

ცოლი სუფრის გაწყობას შეუდგა. ქმარი ეზოში წყლის ონკანზე გავიდა. როცა დაბრუნდა, გაწყობილი დახვდა სუფრა.

— გარეთ მშვენიერი ამინდია, — თქვა მან და პირსახოცი ჩამოიღო, — ამისთანა ამინდში გასეირნება ყველაფრად ღირს.

— მოდი სადმე წავიდეთ, — უთხრა ქალმა.

— სად?

— სადმე, ქალაქგარეთ.

— ჯერ ვისაუზნოთ, ვნახოთ რა ხასიათზე დავდგებით.

ქმარმა გაიღიმა, გაიღიმა ცოლმაც.

— ჩაი დაგიტკბო? — შეეკითხა ქალი.

— არა, მე თვითონ დავიტკბობ.

პატარა მრგვალ მაგიდასთან დასხდნენ. ქალი ძველებურ სკამზე დაჯდა, კაცი კი გასწორებულ საწოლზე ჩამოჯდა. საწოლი მაგიდას ემიჯნებოდა და შეეძლო სკამის მაგივრობა გაეწია.

უცებ მაგიდა შეინძრა და ძირს რალაც გადმოვარდა.

— რატო თავი არ მომიკვდება! — სასოწარკვეთით წამოიძახა რუსუდანმა და ლოყაზე იტყვიცა ხელი. მერე ქმარს დააცქერდა დამნაშავე ბავშვის მოშიმარი გამომეტყველებით.

— რა გადავარდა? — იკითხა ზურამ. მას მშვიდად და გულგრილად ეჭირა თავი.

რუსუდანმა არაფერი უბასუხა. უფრო მეტი შიშით მისჩერებოდა ქმარს.

— რა იყო, რა გადავარდა? — უფრო მშვიდად თქვა ქმარმა და გაიღიმა.

ქალმა დაინახა მისი ღიმილი. თვითონ არ გაუღიმიდა, მაგრამ აშკარა იყო — ქმრის ღიმილმა მოიტაცა ცოლის თვალებიდან წელანდელი შიში და სასოწარკვეთა.

— სურა გადავარდა, — თქვა ქალმა.

— ზაზას მოტანილი?

— ჰო, რა ეშმაკად დავდგი აქ!

ქმარი გაჩუმდა. ცოლმა თვალი მოარიდა, ახლა ალღოთი გრძნობდა, რომ ქმარი მას უყურებდა და ღუმიდა.

რუსუდანმა ავად ინიშნა მისი ღუმილი. სურა ლამაზი და ძვირფასი იყო, რაც მთავარია — იგი ერთი თვის წინ მეგობარმა მოუტანა სახსოვრად.

„ეწყინა“, — გულისტკივილით გაიფიქრა ქალმა.

— მერე ახლა რაღა ეშველება, — თქვა ბოლოს ქმარმა. — დაჯექი და დაიტკბე ჩაი.

ქალი დაჯდა და მღუმარედ შეექცეოდა ჩაის. ქმარიც მღუმარედ შეექცეოდა.

— რუსო, — თქვა მერე ქმარმა, — დარდობ?

— თუ შენ არა დარდობ...

— მე არა, რა ვუყოთ, ხდება.

— აბა არც მე ვდარდობ.

— სამაგიეროს მე ვიყიდი, — თქვა ქმარმა.

— შენ არა, მე ვიყიდი, შენ ჯერ არა მსახურობ.

ზურაბი ღიმილით უყურებდა ცოლს. ცოლმაც გაიღიმა.

— ჩაი ძაან დამიტკბია, — თქვა ქმარმა, მონიკელებული ჩაიდან აიღო და ჭიქაში ჩაამატა. ჩაიდან დადგა და სწრაფად მოაცილა ხელი.

— დაგეწვა ხელი?! მე დაგისხამდი, — უთხრა ცოლმა.

ქმარმა მხოლოდ გაიღიმა, ჩაი მოხვრიბა და თქვა:

— სვეტიცხოველი გინახავს?

— ადრე ვნახე ბავშვობისას, მაგრამ ის სათვალავში არ შედის.

— მოდი ახლა მცხეთაში წავიდეთ.

— მცხეთაში?! — რუსუდანმა ჩაის თავი მიანება და გამოცოცხლდა. — წავიდეთ მართლა, ზურა, სანამ შვებულება გამითავდება, ყველგან წავიდეთ.

— მართლა, აბა რა! სანამ დაცხება, წავიდეთ. დღეს გასასეირნებელი ამინდია.

რუსუდანმა ზედიზედ მოხვრიბა ჩაი და ჭიქა თეფშინად გვერდზე გააჩოჩა.

— მე მოვრჩი, ესენი ასე იყოს, როცა დავბრუნდებით, მაშინ ავალა-

გებ, — თქვა ქალმა.

— ჰო, იყოს.

— ახლა მოვემზადები.

ზურაბმა თავი დაუქნია, მოემზადეო, თვითონაც დაცალა ჭიქა და წამოდგა.

ქალმა გარდერობიდან შავი კრეპსატინის კაბა ჩამოიღო და ქმარს მიუბრუნდა.

— გადი გარეთ.

— ჩემი გრცხვენია?! არ გავალ!

— გადი, ზურა, — თქვა ქალმა და გაწითლდა.

ქმარმა გაიღიმა და გაეცალა. როცა დაბრუნდა, ცოლი უკვე საკინძეს ისვენებდა. შავ კაბაში უფრო მიმზიდველი ჩანდა. შავი სლიპი კაბის შიგნით თითქოს გამოკრთოდა ქათქათა და მკვრივი სხეული, რომელიც კაბიდან დასხლტომას ლამობდა.

ზურაბმა სიხარბით შეათვალიერა ცოლი.

„ტანსაცმელში გაცილებით ლამაზია ქალი“, — გაიფიქრა მან.

— მოდი, მე შეგისკენი საკინძეს, შენ წვალობ, — თქვა ქმარმა.

საკინძე თეთრი ბრტყელი ბანტებით ისვენებოდა. ისინი ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, ვაჟი შუბლით იყო მაღალი, მაგრამ როცა ქალი მაღალქუსლიანებს ჩაიცვამდა, დიდი განსხვავება აღარ იგრძნობოდა.

ცოლის სიბზოს და სიახლოვეს გრძნობდა. თითები განგებ ააზოზინა და ბანტები რამდენჯერმე გაქაჩა. მას ახლა სიამოვნებდა ცოლის სიახლოვე, მის გულსა და სრიალა კაბაზე თითების ქურდულად შეხება.

ჩუმად და შემპარავად ეფერებოდა, როგორც უცხოს, რომელიც არ გიყარებს საალერსოდ და არ გიკლავს წყურვილს, რომ მარად გწყუროდეს იგი. ეს უფრო კარგი იყო, ვიდრე ალერსით გულის მოჯერება.

ქალმა თვალეში შეხედა და გაიღიმა. ქმრის თვალები სულ ახლოს იყო მის თვალებთან და ახლა ისინი თაფლისფერი უფრო იყო, ვიდრე შავი.

„თუ ახლა მაკოცა, ვუყვარვარ“, — გაიფიქრა უცებ ქალმა.

ქმარს არ უკოცნია. მხარზე მორიდებით მოხვია ხელი და სარკესთან მიიყვანა.

ნახევარი საათის შემდეგ ქუჩაში გავიდნენ. ქალაქშიც გაზაფხული იგრძნობოდა, იგრძნობოდა მაისი. გაზაფხული ეტყობოდა ადამიანებს, მანქანებს, შენობათა გაღებულ ფანჯრებს, რომელნიც ისუნთქავდნენ გაზაფხულს.

— რუსო, გავყვეთ ტრამვაის?

— არა, ფეხით სიარული მირჩევნია.

— მეც, მაგრამ რომ დაიძალო?! — არაფერიც! თუ შენ არ დაიძლები...

ნელა მიდიოდნენ. ჩელუსკინელების ხიდს მიაღწიეს. ხიდის ბოლოში, ბაღის გალავანზე, ორი კაცი ჩამომჯდარიყო. არც მგზავრობით დადლილიყვნენ, არც ვინმეს ელოდნენ — ისხდნენ და თვალს წყალს ალევინებდნენ.

თერთმეტსართულიანთან გაჩერდნენ.

— დაველოდოთ, აქ ჩერდება მცხეთის ავტობუსი, — თქვა ზურაბმა.

გაჩერებასთან ხნიერი შავოსანი დედაკაცი იდგა. გვერდზე შებრუნდა, შუბლზე ჩამოშლილი თავსაფარი გადაიწია და წვრილი, ცნობისმოყვარე თვალებით დააცქერდა ცოლ-ქმარს.

— მოდი, ყურში რა ვითხრა! — თქვა ქალმა.

— რა?

— რას გვიყურებს ის დედაკაცი?!

დედაკაცმა პირი იბრუნა. მერე ისევ მოიხედა და ნაღვლიანი თვალები შეავლო.

დიდხანს არ უცდიათ. ავტობუსი თუხთუხით ჩამოდგა და ღრჭილით გაილო კარი. მანქანაში ცოტა იყო ხალხი. ცოლი და ქმარი თავისუფალ სკამზე დასხდნენ. შავოსანი დედაკაცი კი, რომელიც მათთან ერთად ამოვიდა, კონდუქტორის გვერდით ჩამოჯდა.

ავტობუსმა ხვნეშით აიარა აღმართი, გავაკებაზე სული მოითქვა და გაქენდა.

საბურთალოზე მგზავრებით გაივსო მანქანა. რუსი კონდუქტორი ბილეთების გაყიდვას შეუდგა, თან ბეჯითად გაჰყვიროდა:

— წაიწიკეთ წინ, წაიწიკეთ!

მგზავრები ხარხარებდნენ უცნაურ ქართულზე, მაგრამ კონდუქტორი ბუხსაც არ იფრენდა.

ქალაქგარეთ უფრო მეტად იგრძნობოდა გაზაფხული. მწვანე და ლურჯი შეფენოდა ყველაფერს, აქ მზეც თითქოს სხვანაირი იყო, ჩრდილებიც სხვანაირი იყო, ასფალტზე გაწოლილი ჭრელი ჩრდილებიც.

დიდმის ბოლოს ელმავალი წამოეწიათ. ლიანდაგი გზის მარცხნივ შემალღებულზე მიიკლაკნებოდა. ელმავალს ვაგონები არ ება და კუდმოჭრილ ჯორივით მითოხარიკობდა.

მემანქანე ფანჯარაზე გადმოეყრდნო, გაიღმა და ავტობუსის შოფერს ხელი აუღო. შოფერმაც გაიღმა, ხელი ასწია და სვლას უმატა. ელმავალმაც უმატა სვლას. მემანქანემ შოფერს კვლავ გაუღმა და ზედიზედ დააკვირა ელმავალი. შოფერმაც მისცა სიგნალი.

მძღოლები ერთმანეთს არ იცნობდნენ...

მგზავრებმა შენიშნეს მძღოლებს შორის ჩავარდნილი ჯიბრი და ღიმილით გაიბადრნენ. ახლა ყველა მონაწილეობდა შეჯიბრში. ავტობუსი დაწინაურდა. შოფერმა რამდენჯერმე მოუხედა მემანქანეს და ნიშნისგებით გაიღმა.

ელმავლის კაბინაში ახლა ორნი გამოჩნდნენ. ისინი შოფერისკენ და ავტობუსის მგზავრებისაკენ აღარ იყურებოდნენ. ერთმანეთს ებასებოდნენ და იღიმებოდნენ, ვითომც აქ არაფერიო.

ავტობუსი გაჩერდა. ზოგი მგზავრი ჩავიდა. ამასობაში ელმავალი დაწინაურდა და წვრილ ხმაზე დაიკვილა.

ელმავლის კაბინიდან გაღიმებული სახეები გამოჩნდა. ავტობუსმაც დაიყვირა და ელმავალს წამოეწია. მაგრამ უკვე გზათა გასაყარი იწყებოდა. ელმავალი კლდე-კლდე გაჰყვა, ავტობუსმა მარჯვნივ გაუხვია.

მძღოლები ღიმილითა და ხელის აწევით დაშორდნენ ერთმანეთს.

მანქანა ქალაქში შედიოდა. შენობათა სახურავებს შორის მკვეთრად გამოირჩეოდა მონასტრები, თეთრად მოელვარე მაღალი გუმბათებით. გუმბათების თავზე ჯვრები და ზედ დაკიდული ჯაჭვები გამოჩნდნენ. მონასტრები ღუზა-ჩაშვებული გემებივით იდგნენ.

ისინი ხიდთან ჩამოვიდნენ. შავოსანი დედაკაციც იქ ჩამოვიდა, ცოლ-ქმარი შეათვალიერა და თავის გზას გაუდგა. ათიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ერთხელ კიდევ მოიხედა, მერე წელში უფრო მოიხარა და ფეხს მოუჩქარა. სევდიანად გამოიყურებოდა დედაბერი. შეიძლება გაახსენდა მრავალ დღეთა შორის ერთი უნეტარესი დღე, რომელიც ძან გავდა დღევანდელ დღეს.

ხილზე გასვლისას რუსუდანი გაჩერდა.

— ვინ ცხოვრობს იქ? — თქვა და ქმარს მიუთითა პატარა სახლზე, რომელიც მტკვარში კუნძულაზე ჩაედგა ვილაცას. სახლს და საერთოდ კუნძულს არსაიდან ჰქონდა მისადგომი.

— არ ვიცი, — თქვა ზურაბმა.

— ნაპირზე როგორ გამოდიან?!

— ნავით. აგერ ისიც.

ნავი ხეზე იყო მიბმული და წყლის ზედაპირზე ირწეოდა.

— რათა ცხოვრობს მანდ, სხვაგან ვერა ნახა სამოსახლო მიწა?!

ქმარი დიდხანს და მღუმარედ უყურებდა „კუნძულსა და კუნძულის მფლობელს“.

— არ ვიცი, — თქვა ქმარმა. — ადამიანი უცნაურია, რას გაიგებ.

ზემოთ ვილაცამ დაუსტვინა. ხიდის თავში გუშავი იდგა და ხელით ანიშნებდა, დროზე გამოიარეთო.

— წავიდეთ, ხილზე დგომა არ შეიძლება.

ნელა გაჰყვნენ მოსაფალტებულ სამხედრო გზას, ორივენი ფიქრობდნენ უცნაურ მოსახლეზე, რომელიც საკუთარ კუნძულსა და საკუთარ ქვეყანას ფლობდა.

სვეტიცხოველს მიადგნენ. ტაძრის ეზოში ლურჯად ხასხასებდა მოლი.

ტაძარში სიბნელე, სიგრილე და მღუმარება იყო. მოწყენილი თვალებით გამოიყურებოდნენ წმიდანები ფრესკებიდან.

შავოსანი მლოცველები მოგროვდნენ. მონაზნები ნიშებთან აფუსფუსდნენ და აციმციმდნენ კანდელები. სენაკიდან მღვდელი გამოვიდა და ლოცვანი გამოიტანა.

— ზურაბ, გავიდეთ გარეთ, — უთხრა რუსუდანმა და ხელზე დაეჭიდა ქმარს.

— ჯერ დავათვალიეროთ, აქ ბევრი რამეა სანახავი.

— არა, ამ საკმევლის სუნს ვერ ვიტან, მუდამ მიცვალებულს მაგონებს, როცა ეს არ იქნება, მაშინ მოვიდეთ.

გარეთ გამოვიდნენ. გარეთ სიჩუმე იყო და სიცხე. თვალისმოპკრელად ანათებდა მზე.

— მგონი დავიღალე, დავისვენოთ, — თქვა ქალმა.

— დაცხა კიდევ, ჩრდილში დავსხდეთ, — უთხრა ქმარმა.

ტაძრის ჩრდილოეთით მწვანე მოლზე დასხდნენ.

ზურაბი წამოწვა. რუსუდანი ფეხმორთხმით დაჯდა და კაბის კალთა მუხლებზე შემოიკეცა.

— მოდი, კალთაში ჩაგიდებ თავს, — უთხრა ქმარმა.

— სულელო, სირცხვილია, ვინმე დაგინახავს, — თქვა ქალმა და გაწითლდა.

ტაძარი ახლა უფრო მაღალი იყო. გუმბათის თავზე ღრუბლები მიზოზონებდნენ და ისე ჩანდა, თითქოს ტაძარი იქცევაო.

მღუმარედ იყვნენ. ტაძრის გარშემოც სიჩუმე მეფობდა. აქ არ აღწევდა მანქანების ხმაური, ადამიანების ხმა, აქ ჩუმად დააბიჯებდნენ ძველი დროის ლანდები.

ღუმილი შემზარავმა ხმამ დაარღვია. მსუილითა და წივილით გადაიქროლა თვითმფრინავმა, მზის სხივებზე თეთრად ალაპლაპდა მაღლა აწეული

მისი ცალი ფრთა. თვითმფრინავი თვალს მიეფარა, მაგრამ შემზარავი ხმა-
ჯერ კიდევ ისმოდა იქ, სადაც უკვე აღარ იყო მანქანა.

თვითმფრინავს ორივემ გააყოლა თვალი.

— საომარი იყო. — თქვა ზურამ.

— ჰო, საომარი იყო. — დაამოწმა ქალმაც.

მერე ორივენი გაჩუმდნენ და კარგახანს არაფერი თქვეს.

— ომი რომ დაიწყო, ატომს იხმარენ? — თქვა ბოლოს ცოლმა.

— რა ვიცი, იხმარენ ალბათ.

ქალი ცოტახანს დუმდა.

— მართლა ისეთია ატომი, როგორც ამბობენ? — თქვა ისევ რუსუდან-

მა.

— ჰო, ისეთია, — უთხრა ზურამმა და დააცქერდა ცოლს. რუსუდანს
თვალეები მოეჭუტა და მოჭუტული თვალეებიდან შიში და სასოწარკვეთა იღ-
ვრებოდა.

— მოდი, ჩემ კალთაზე დადე თავი, — თქვა ქალმა.

ქმარმა ცოლის კალთაში ჩადო თავი და გულადმა დაწვა. იგი აღმოსავ-
ლეთით იყურებოდა და ამბობდა:

— გაიხედე, თითქოს ცაში იყოს დაკიდებული, როგორ ჩანს ჯვრის მო-
ნასტერი.

ცოლს პასუხი არ გაუცია. თითებით უვარცხნიდა თმას და დუმდა.

— ადე, ზურამ, წავიდეთ, — თქვა მერე მან.

ზურამი წამოჯდა და ცოლისკენ შებრუნდა.

— სად?

— შინ, ქალაქში, — წამოდგა ქალიც და კაბის კალთა დაიბერტყა.

ზურამიც ფეხზე წამოდგა.

— რა გვინდა შინ, ჯვარზე არ ავიდეთ?!

— არ მინდა.

— აკი თქვი, ავიდეთ ჯვარზეო.

— არ მინდა, წავიდეთ შინ.

— ცუდად ხომ არა ხარ? — უთხრა ქმარმა.

— არა.

— წამოდი, ვჭამოთ რამე, აგერ აქვე სასადილოა, კეთილი ადამიანების
სადღეგრძელო დავლიოთ, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის.

— ჩავიდეთ ქალაქში და იქ დავლიოთ, — თქვა ქალმა.

მდუმარედ გამოვიდნენ ტაძრის ეზოდან. გზაზე გავიდნენ და ავტობუს-
ში ჩასხდნენ. იგივე ავტობუსი იყო, რომლითაც მოვიდნენ.

ქალაქს რომ გამოსცილდნენ, კონდუქტორმა ჩანთა წინ მოიგდო და ბი-
ლეთების გაყიდვა დაიწყო. მან იცნო ძველი მგზავრები და გაუღიმა.

გზის პირად ალვები იყო ჩარიგებული. ალვები სავსებით გაფოთლილიყ-
ვნენ, ლურჯად ხასხასებდნენ პეპლის ფრთებივით მოფარფატე მათი ფოთ-
ლები.

ავტობუსი მოასფალტებულ გზაზე მიჰქროდა, ჩამწკრივებულ ალვებსა
და მათ ჩრდილებს შუა. შოფერი გზადაგზა ღიმილითა და ხელის აწევით
ესალმებოდა შემხვედრ შოფერებს. ისინიც ღიმილით ესალმებოდნენ. მერე
შოფერებს დიდხანს მიჰყვებოდათ ეს ღიმილი.

გზადაგზა ამოდიოდნენ მგზავრები, ამოჰქონდათ ღიმილი, გაღვიძებული
მიწისა და ბალახის როგორღაც შესამჩნევი სურნელი.

გაზაფხული ისევ გაზაფხულობდა, წვრილი მწივანა ხმით ისევ გაჰყვიროდა კონდუქტორი: წაიწიკეთ წინ, წაიწიკეთ! — და ისევ ხარხარებდნენ მგზავრები.

რუსუდანმა ქმარს ხელზე მოუჭირა ხელი.

— ცხოვრება ლამაზია, არ მინდა სხვა რამეზე ვიფიქრო, — ჩურჩულით თქვა მან.

— სულილო, ჯერ რატომ წამოვედი, უნდა ავსულიყავით ჯვარზე, — უთხრა ქმარმა.

— მართლაც არ უნდა წამოვსულიყავით, — თქვა ქალმა. — არა უშავს, შევებულემა ჯერ არ მითაჯდება, როდისმე კიდევ წამოვალთ და ავალთ ჯვარზე. ქალაქში რომ ჩავალთ, კეთილი ადამიანების სადღეგრძელო დავლიოთ.





პიპი გეგეჭკორი

ომის უმეღე

გადათელილნი რკინის ქუსლებით
კვლავ გვესიზმრება ახალ თაობებს,
ისინი როდი ჩამოუხსნიათ,
ისინი ქარში კვლავ ქანაობენ...

ჩვენ წამებულთა, ვიოლინოთა
და უმამოთა ქვითინში ვიშვით,
როცა ხიშტებზე მზე იცინოდა
და ჩადიოდა დროშების ჩრდილში...

ჩვენი სიზმრების ლურჯი ზღაპრები
დასერილია ტანჯვით და ბრძოლით,
როგორც აპრილი — წვიმის შრაპნელით
და ღამე — მკრთალი რეკლამის ზოლით...

ჩვენ ვხედავთ ბრძოლით მოღლილ ათასებს,
ბეჭებში მოხრილ მათ სილუეტებს,
რომლებსაც ღამე ვერსად ათავსებს
და გარდასულის წყვილიადს უერთებს.

გადათელილნი რკინის ქუსლებით
კვლავ გვესიზმრება ახალ თაობებს,
ისინი როდი ჩამოუხსნიათ,
ისინი ქარში კვლავ ქანაობენ...

ჩვენსკენ იწვდიან დაკოჟირილ ხელებს
და მათი მხრების ჩრდილში ვიზრდებით,
და ჩვენი სულის მღვიმეში თვლემენ
ისტორიული კატაკლიზმები...

ა რ ბ ა ტ ი

შენი სიცილი ანათებს ტაძრებს,
ქუჩის გვირაბებს, მოედნებს, არხებს,
და ყველაფერი, რაც არის მკაცრი
მე მინდა შენი სიცილით გალხვეს...

ხარ გულუბრყვილო და სასაცილო
და გიხარია თოვლი და თოვლი,
მხრებზე გაცვივა, თმებზე გაცვივა
თოვლი და თოვლი, თოვლი და თოვლი...

თოვლი, რომელმაც მიწის ნაკვებს
თითქოს სიბერე გაუნახევრა,
მოდის, ფარფატებს და შენ გაოცებს
როგორც ოდნავი თავბრუდახვევა.

შენს შესახვედრად მოდის ქალაქი,
ცა, მანქანები, ქერა რუსები,
და ყველაფერი, შენ რაც გალადებს,
ისე ირწევს, ვით კარუსელი...

ეს ვიტრინები, სადაც ჟაკეტი
ისე გიციინის, როგორც მერმისი,
და მინის იქით გამოკეტილი
მოოქროვილი ჩაის სერვიზი...

ეს მდუმარება, თოვლი, არბატი,
სუნთქავს, ირწევს, მოგდევს და გეძებს,
და ეს სითეთრეც ისე ფარფატებს,
რომ ილექება თვალების ფსკერზე.

შენ გიხარია და ვარ მოვალე
მეც მიხაროდეს შენი გარდაქმნა,
როცა იცინი, ვით დედოფალი
განათებული რამპის გადაღმა...

ქიულ პერნი

ბავშვობის დღეთა მდუმარებაში
და ჩემს სიზმრებში შლიან იალქნებს,
მე თითქოს მათი ოფლი შემაშრა
და მათი სუნთქვა მაფორიაქებს.

სადღაც ხმელეთზე და უდაბნოში
ჩვენ გადავდივართ და მიგბარბაცებთ,
და სახეებზე გვაფენს აბრეშუმს
სხივი დაღლილი და აღმაცერი.

ჩვენ მუხლებს ვიდრეკთ და ძირს ვეშვებით,
როგორც რგოლები ჟანგიან ღუზის,
დგება სიჩუმე და კაემანი
და წელში გვლუნავს სიკვდილის კუზი.

ის მოდის გრძელი, უშნო, ბინძური
და სურს ხელები გვტაცოს ქამარში,

და სადღაც რჩება ტემზა, ვინძორი,
პა-დე-კალე და ვიწრო ლამანში...

იქ, სადღაც რჩება სახლი პატარა,
კედლის ბუხარი და გობელენი,
ხმელთაშუა ზღვა და გიბრალტარი
და უფრო იქით — წმინდა ელენე...

იქ, სადღაც რჩება ცხელი სამხრეთი,
მხარე პილპილის და თამბაქოსი,
მზე, ტროპიკები, ღრუბლის ნაფლეთი
და კუნძულები გალაპავოსის...

იქ, სადღაც რჩება ზღვა და განედი,
შიმშილი, ტანჯვა, წამება, შფოთი,
და ჩვენს თვალებში ხის გემბანიდან
გადაგდებული ტივტივებს ბოთლი...

ყოველის მხრიდან და არსაიდან...

ყოველის მხრიდან და არსაიდან
მათი ლანდები ბნელში მომდევნენ,
ყოველის მხრიდან და არსაიდან
მივსებენ ფიქრებს და წარმოდგენებს.
ჩემი პატარა საწოლის ბადე
თუმც ეფარება იმათ სახეებს,
მაგრამ ბეჭებზე ხელებს მადებენ
და უსიზმრებო თვალებს ახევენ...
თმებს მიჩეჩავენ და მახსენებენ,
რომ მხრებზე მაწევს მათი სიბერე.
და მიჰყვებიან სვენებ-სვენებით
და მუსაიფით რკინის კიბეებს...
დროის გარეშე, სივრცის გარეშე,
ხსოვნის წყვდიადში გზას მიიკვლევენ,
და ციმციმებენ, ვით მდინარეში.
ვაგონის ფანჯრის ანარეკლები...
ლანდებად ქცეულ მათ ძვირფას სახეს
ჩემი სხეული ვეღარ ითავსებს,
და ჩემი ტვინის ქსოვილებს არხევს
მათი საუბრის რთული სინტაქსი...
თუმც ეფარება იმათ სახეებს
ჩემი პატარა საწოლის ბადე,
მაგრამ ისინი კვლავ მეძახიან
და ვარჩევ ბნელში მიმავალ ლანდებს.
მათ ვეჭიდები, როგორც ბაგირებს,
როგორც ჭრიალით დარწმუნულ ვაგონს,
და მეჩვენება, რომ მათ მაგიერ
მე სადღაც უნდა პასუხი ვაგო...

*

* *

შენ ანდერძივით წმინდა მოხვედი
და ძლივს იდექი მაღალ ქუსლებზე,
და სამხრეთული მზის შემოხედვას
შენი თვალები ველარ უძლებდნენ.

ისინი იყვნენ ძლიერ დიდრონი
და თითქოს ყველგან მიმაცილებდნენ,
და მათში კრთოდა სხვა სიმყუდროვე
და სიამაყე თვითდამცირების...

შეკავებული და თანაბარი
სუნთქვა ებრძოდა მკერდსა და
სურვილს,
როცა მოხვედი და ჩამაბარე
გამოსაძერწად უცნობი სული...

მიუწვდომელი ლაბირინტები,
შეუცნობელი სულის ქაოსი,
რომელიც ახლა ნელა ინთება
და არაფერი აღარ აოცებს.

რომელიც მაღავს ბავშვობის ჩვევებს
და მაინც ბავშვის სულია ისევ,
და უნაყოფო ძიების დღეებს
ყოველდღიური წვრილმანით მივსებს...

*

* *

შენ ვერასოდეს ვერ დამაჯერებ,
რომ რამდენიმე წელი გაშორებს
ბავშვობის დღეებს, ნაჭრის თოჯინებს
და გულუბრყვილო სათამაშოებს.

შენ სარკეები ნაკეთებს გიმხელენ,
შენ თვალებს ხუჭავ და თვალებს ახელ,
და თან ირხევი, როგორც ირხევა
წყლის ზედაპირზე გართხმული თაღი...

ქუჩის ხმაური, ხალხის სიჭრელე
ისევ გეძახის, როგორც წუხელის,
და ტვინში თითქოს ისევ იჭრება
შენი კითხვები და პასუხები.

შენ გარეთ გახვალ და ცას შეხედავ,
რა ზამთარია, ალბათ ითოვა!..
ჩვენ ვივლით დიდხანს და ეს შეხვედრა
აღარ იქნება შემთხვევითობა.

ჩვენ გავექცევით ნაცნობ სახეებს,
ხალხს შევერევით, ქუჩებს გავყვებით,
და ჩვენ ქალაქი დაგვეჯახება
თვალებით, მხრებით და იდაყვებით.

ო, ეს იქნება დღეს და ამაღამ:
გაშუქებული რეკლამის ზოლით
შენ ივლი ჩემთან და ვიამაყებ,
რომ მყავს ასეთი პატარა ცოლი.

✱

* * *

ჩვენი ცხოვრება არ ღირს უბავშვოდ,
მოვა, თვალებით ნუ შემომჩივი,
ნუ იკარგები მდუძარებაში
ასე ჩუმი და ასე მორჩილი.

მე კარგად მახსოვს შენი ბაგენი,
დაბლა დახრილი თეთრი კისერი,
და შორეული ვით კართაგენი,
თოვლში მირბოდი და კისკისებდი.

რა დროს დარდია,
რა დროს სიბერე,
ნულარ გექნება თვალები სველი,
ისევ ირბინე და დაიბერე
წვრილი ცისფერი ძარღვების ქსელი.

კვლავ ხელგაშლილი შეხვდი სიხარულს
და გაეკიდე მზის ანარეკლებს,
თავზე დამადექ და დაიხარე,
ათიათასი ზარი დარეკე...


დღეებს უსიტყვოდ ნულარ შეხვდები
და ამოავსე რაღაც სიტყვებით,
მხოლოდ თვალებით, ო, გვედრები,
ნუ მეკითხები, ნუ მეკითხები!..

მე მახსენდება შენი ბავშვობა
და ქარიანი დღეების სრბოლა,
და შენს თვალებში ჩემი სამშობლოს
ზეცა თავსდება და ლურჯად ბოლავს!..



ჩემს ციციანათელას

შენ იმ გოგონას სახელი გქვია,
 ვინც გმირისათვის ჩოხას კერავდა,
 როცა მონგოლთა ურდოებს ზვიადს
 სურდათ ჩაქრობა ქართულ კერათა.
 მას ნამყოფ შავმა და ავღრიანმა
 მზიანი ტრფობა როდი აღირსა,
 ამიტომ ცეცხლად ააბრიალა
 ჩონგური ტურფამ მოდი-ნახისა.
 რადგან სამშობლო სვამდა სამსალას —
 მტერთა საყლეტად ხმლის მომპირველი, —
 ასულმა გული მას ანაცვალა,
 ვინაც გმირებში იყო პირველი.
 შენ იმ ქალწულის გქვია სახელი,
 მაგრამ ცხოვრება გერგო სხვაგვარი, —
 მზე დაგკაშკაშებს დაუთალხველი,
 შენს სინარულზე მღერის მთა-ბარი.
 დღეები დიან ვარდთა ზვირთებად,
 ყორანი აღარ გვკორტნის გულხარბი,
 და შენს სიყვარულს ხარკად სჭირდება
 სისხლის კი არა — ოფლის დუღაბი...
 ვიცი, ვერ მიხსნის ფიქრი იმაზე,
 რომ გულს უშენოდ ნაღველი დახვეს,
 ანგელოსური შენი სინაზე
 ეძახის გარჯით მონაგარ სახელს.
 მეც მზად ვარ გაყვე შრომით, მკლავგაშლით,
 დღეებს სიცოცხლის გრგვინვად ნაქუხართ,
 ოღონდ მოვიმკო ტრფობის ყანაში
 შენი ალერსი ოქროს თავთუხად!..
 და თუ შენს თვალში ვინმემ მაჯობა,
 არ გაგაგონებ სიტყვებს დარდიანს,
 მე მივულოცავ პირველ ვაჟობას
 იმ ჭაბუკს, — ახალ ცოტნე დადიანს...
 ჩემს სულში დვივი ეშხად და მადლად —
 ვარდი, სამოთხის ბალისეული,
 მე შენს თავს თუ სხვა წამართმევს მართლა,
 იყოს რჩეული და ღირსეული.
 მაგრამ, თუ შეგხვდა ვინმე მზაკვარი
 და ერთგულების ფიცი გათელა,
 მე მოვალ შენთან, რომ გცე თაყვანი,
 აგანთო ჩემი ციციანათელა.



მუხიან მაჭაპარიანი

კახანუ

„თქვენ, მკვიდრო ქართლისანო,
მოიხსენებით კეთილნი ჩემნი...
და სახლსა ჩვენსა ნუ შეურაცხყოფთ...“

ვახტანგის ანდერძი

ვახტანგმა წაალი ისურვა

მოგესხენებათ რა ძნელია პომის წერა;
არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა:

ეს, არც თუ ისე იოლი საქმე, —
როგორ დავიწყო,
სით მივუდგი,
მირჩიეთ —
რა გქნა!

დავიწყო ისე, როგორც სხვები იწყებენ ხოლმე, —
რატომღაც გული არ მაძლევს ნებას...
არადა, უშნოდ რომ მოვედგა ღობეს და ყორეს —
ეს შეიძლება?! —
რა თქმა უნდა —
არ შეიძლება!

რაც არის — არის —
გავარდეს ჯანი...
თუ გინდა ლაფი დამასხან თავზე —
ესე პომეა იწყება ასე:

ვახტანგმა გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი;
ვერ მოჰკლა თური,
ვერც ხარი...
— ვაზირნი რას იტყვიანო! .

ხელმოცარულმან მეფემან შორით შენიშნა ჭალა...
ჩამოხტნენ...

ბრძანა — დაჯდომა...
ცხენთ დაუყარეს ჩალა...
აღმოხდა მწუხრის ვარსკვლავი —
მკვდარი მზის მაჩანჩალა...
ულაყთა — ლაგამწაყრილთა შეახრამუნეს ჩალა...

ვანტანგმა წყალი ისურვა, —
გაიქცნენ:
— მოვიტანთო!
ვაზირს ეწადა რამ ეთქვა —
იჩქითად,
სწორედ ამ დროს
მოიჭრა წყალზე წასული —
გადასდიოდა ხვითქი...
— რა დაგემართა,
თქვი ჩქარა!
თქვა:
— მადროვეთო,
ვიტყვი!..

ვითარცა მოგეხსენებათ წარვედ მოტანად წყალისად...
ვეძებე,
მივდექ-მოვდექი, —
წყარო ვერ ვპოვე ღარისა..

შევხედე:
ღელე დიოდა, —
თვალნი გამიხდნენ ფართონი...
ვიფიქრე:
— ღელეს წავიღებ, —
რას მიმიხვდება პატრონი!

გავბრიყვდი,
ვიგულმავიწყე
ყოვლისმხედველი უფალი...
მყისვე ღრანტეში ჩავხოხდი —
გავწირე კაბა-ჯუბანი.

ღელეს მივადექ...
და როცა
ჩქერალს შევუდგი ტაგანი —
წყალი გაცხელდა,
აღულდა,
შევკრთი, —
დამეცა თავზარი.

მუხლზე დავეცი —
ავტირდი,
ვანშირე პირჯვრის წერანი;
არ შემეწია
არც ღმერთი,

არც მზე,
 არც წერამწერალი.

დამსაჯეთ!
 ჩემზედ ახია გზანი უღალნი ჯანაბის...
 ახია — ჩემზე გაშავდეს
 ჩემი სახლი და ჯალაბი...

აბრძანდა მეფე...
 მუნთქვესვე ფეხზე წამოხტა ყველაყა;
 წყალი —
 აღუღდა რომელიც —
 უნდოდა ყველას ენახა.

მივიდნენ —
 შეცბნენ..
 მარტოდენ მეფე გალაღდა ნამეტურ;
 წყლის ღვთაებრივი ნიშატი —
 იგრძნო,
 შენიშნა რამეთუ.

ხმას არ იღებდა ხელმწიფე...
 ვაზირთა შეჰქმნეს ყაყანი;
 ზოგმა ცას ეჰკვით გახედა,
 ზოგმა გასინჯა ტაგანი...

მეფემ აღაღო ბაგენი
 და შეწყდა მყის ლაპარაკი...
 წარმოსთქვა:
 — იყავენ ქალაქი!
 და...
 აღმოცენდა ქალაქი.

...
 სიტყვა მეფის,
 საქმე შენი —
 შოშიტა და შიომ...
 — რაღა გვინდა აწი წყნეთში,
 ანდა მცხეთაში!..

მცხეთით,
 წყნეთით,
 თუხარისით,
 ჩორთით,
 ოთხით,
 თოხარიკით —
 უხალისოდ,
 თუ ხალისით
 მოაშურა ხალხმა თბილისს...

ქვამ ქვა იგრძნო..
 ძელმა ძელი...

ჩაიყარა საძირკველი...
დაიბადა თბილისელი...
სტუმარს დახვდა მასპინძელი...
და...
მზე როდესაც მოადგა აღმოსავლეთით თბილისს, —
მცხეთას დაეცა თბილისის ვეებერთელა ჩრდილი.

სპილოები

კარიბჭე მოღლიავდა გალავანის;
მცხეთაში შემოვიდა ქარავანი;

ყველაყა —
მცირემდე დიდიდან —
იდგა და
სპილოებს ითვლიდა;

— ერთი..

ორი...

სამი..

ოთხი, —

ხელეებს შლიდნენ: — ვაა!..

— ხუთი..

ექვსი...

შვიდი...

— ბიჭოს!..

— აი მესმის!

რვა...

თერთმე...

თორმე...

ცამე, —

თოთხმე,..

გრძელდებოდა თვლა.

ითვლიდნენ გულში,

ითვლიდნენ თითით,

ითვლიდა ქალი,

ითვლიდა ვაჟი...

და..

მიდიოდა ხალხის თვალწინ

ქარავანი თვლა და თვლაში;

ქართულ თვლაში,

სომხურ თვლაში,

სპარსულ თვლაში,

ბერძნულ თვლაში...

და..

მზით ძლეული მთვარის ცრემლი

ციმციმებდა მცხეთის თვალში...

რა გამოსცილდნენ მცხეთას —
თქვა დიდვაჭარმა ერთმა:

— იცოცხლე! —
ლდინზე ვიბანო
ჭრელ აბანოში ნურითო!

მეორემ:
— გავიხარია! —
გამოვფერე ატენურითო!

მესამემ:
— ოქროდ გავყიდი —
ნაყილსა ასპანურითო!

თავმოაზრნე მხედარი და სხვა

ჯდა ცხენზე კაცი ვილაცა;
— რა ბიჭიაო!
რა ბიჭი!..
ქუჩასაც,
ცხენსაც,
მხედარსაც —
დინჯი შეენოლა ნაბიჯი.

თვალს ახარებდა,
აღხენდა —
მწვანე ხავერდი ხეთანი...
— მე ვარ და ჩემი ცხენიო! —
უხმოდ იძახდა მხედარი.

ქალი შენიშნა —
ჩამოხტა —
ხოხობს წარუდგა არწივი —
განზე გადგა და გაჩერდა
ცხენი —
ზედმეტი კაცივით.

დაიფრუტუნა ქურანმა —
ურმის გაისმა ჭრიალი —
ხარებს ტუქსავდა —
წყრებოდა
მეურმე მხარბეჭიანი.

იმ კაცს —
ქუჩაში რომელმაც
ძლივს გაატარა აქლემი —
წვერები ჰქონდა,
მე მოვკვდე,
თხისაზე არანაკლები.

ფეხის ხმა ისმის ქუჩიდან ცხენთა;
ყავახანაში ვაჭრები სხედან:

- ტფილისისკენ სპილოებით მოდიანო ინდონი!
- ჩვენებურო საქონელო — ხაბარდა და... მშვიდობით!
- ხატაელთა ქარავანიც უნახავთო გზაში!
- ინდოელებს კარგი დახლი დაუდგებათ მაშინ!
- სომხის ვაჭრებს თუხარელი დასცემია ლექსო!
- ვახტანგ მეფე კარგად იყოს — დედას უტირებსო!

რაო, — ვახტანგმა — ვინ არი?

ჩამოართვეს ცხენი;
— აქეთ! —
უთხრეს ხელით.

უცხოს,
ვერ გეტყვი — რატომ და —
თავი ამაყად ეჭირა;
— რაო, — ვახტანგმა:
— ვინ არი?
— დესპანიო! —
ეჯიბმა.

მეფის წინ მიწას აკოცა ელჩმა,
მერე საკმაოდ ცბიერი სახით
მეფეს უსტარი გადასცა შაჰის.

ვახტანგმა წიგნი ვაშალა —
ჩაიკითხა და —
წახვია:
— ახია ჩემზე,
ახია!

გაელიმა მწარედ...
გაუშტერა თვალი წერტილს...
შეამჩნია ელჩმა —
ვახტანგს კბილი აკლდა ერთი.

ანაზღად სახე იცვალა —
ფერი დაედო მგლისა —
წიგნი მიაგდო —
წამოდგა...
— არა! —
გამოსტრა მქისედ.

ელჩი დარჩა სახტად.

ცხენის წინა ფეხები

შეხლა-შემოხლა...
 და ცხენი
 ორ ფეხზე
 დადგა შემთხვევით,
 თუ
 ცათა მიმართ
 ვედრებით
 აღაპყრო
 წინა ფეხები?!

თავს
 დაწვდა
 თითქოს
 საკუთარს
 ცხენით
 უთაო თათარი;
 ვერ მოახერხა აღება
 და
 ძირს მოიღო ზღართან.

ორბის ფრთა ეტყვის ცერასა

ნაომარ ველზე განფენილა მთვარისა შუქი;
 ყველაფერს თითქოს საკუთარი ღუმელი უკვირს...
 ფრთისა და ისრის ერთგან ისმის ბაასი ჩუმი —
 ერთიც,
 მეორეც,
 ფრთაც,
 ისარიც —
 ემღურის ჩუბინს;

— საშველი არა ყოფილა! —
 ორბის ფრთა ეტყვის ცერასა —
 ვერ დავედწიე ვერსაით
 მე ჩემსა ბედისწერასა.

ვიფიქრე:
 ახლა მეშველა! —
 ორბი, რო მოჰკლა ქიტესამ;
 დღე უარესი დამადგა —
 მე შენსა გადაამკიდესა.

ორბის ფრთას —
 მოგეხსენება —
 სისხლი არ გაუკვირდების, —
 პატრონი ჩემი,
 შენც იცი,
 თავზარი იყო ჩიტების,

მაგრამ ღირსკია სათქმელად
დღეს სისხლი კაცის...
ხოხობის?!..

დღეს,
როცა
კაცის —
მე და შენ —
სისხლი დავღვარეთ კოკობით!

ოდესღაც მწვანე ქორაფი
ორზის ფრთას ეტყვის პასუხად:
— წვეთიც კი სისხლის არ სცხია
ჩემს —
აწ დაკარგულ —
წარსულსა;

ჭალას ვიდექი, —
ვიყავი —
არა შენსავით ყიალა, —
მე ვარ და
ჩემი ფოთოლი! —
ვიძახდი ომახიანად.

ვიდრე ხე ვიყავ —
ჩემს ცოდვას —
არსი იტყოდა რომელი?! —
ქვეყნით ბალახის ამოსვლის
ვიყავი მახარობელი.

კრულიყოს —
ვინც მე გამთალა...
აწ და მარადის კრულიყოს! —
სიცოცხლის მაცნეს
სიკვდილის
დამერქვა მოციქულიო!..

უჯარმით კაცი აფრინეს

ხელმწიფეს წყლულზე რაღაცა დაადგეს ჰაიჭარად...
უჯარმით კაცი აფრინეს:
— დოსტაქარიო, ჩქარა!
დაღამდა,
ვიდრე
მივიდა
შიკრიკი
ბოსტანქალაქს;
ნაშუადამეგს მოავდო ქურანი დოსტაქარმა.

სხვა დოსტაქარი
მუნთქვესვე

მოაქლოშინეს კასპითა,
 კიდევ სხვა
 ოძრხით მოიჭრა,
 მაგრამ სამთავე გაწბილდა.

უძრავად აწვა ვანტანგი...
 დავხედე —
 ველარ ვიცანი.
 კითხვაზე:
 — არის იმედი?
 პასუხი:
 — არავითარი!

ჯერ ერთმა,
 მერე მეორე,
 მერე მესამე —
 აქიმთა —
 ჩამოიშალეს მკლავები
 შეწუხებული სახითა.

შემოეჯარა ფიქრები
 საქართველოზე...
 მტერზე...
 და თავი გარდმო გარდილო
 გახევებულმა ნერსემ.

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
 მთვარე ჩადიოდა,
 მამალი ჰყოლოდა,
 კვამლი ადიოდა.
 ვილაცა ტიროდა,
 ვილაცა ჩიოდა,
 ვილაცას შიოდა,
 ვილაცას ციოდა,
 და
 დრო
 გადიოდა.

ვითარცა ღვინო —
 ქვევრიდან
 ხაპში —
 ხაპიდან
 დოქში —
 დოქიდან
 ჯამში —

ქართული სისხლი,
 ქართული სული,
 ქართული სიტყვა,
 ქართული გული

გადადიოდა
კაციდან კაცში...

გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა —
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი..

გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
უღმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ
და..

მიუხედავად ამისა, მაინც —
გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული

და დღეს —
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს —
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს —
სულხანის ნაქონი სისხლით —
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და..

იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!





ასეთი ღაპითიზილი



ზვილი

წინაღამის ქეიფისა და უძილობის შემდეგ რეზო გონს ვერ მოდიოდა, საშინელი თავის ტკივილი მოსვენებას არ აძლევდა.

თვალეები ეწვოდა, ქუთუთოებს ძლივს აცილებდა ერთიმეორეს.

ეჩვენებოდა, თითქოს თავის მაგივრად რაღაც უფორმო, მძიმე სხეული ედო მხრებზე, რომელსაც ყოველგვარი შეგრძნების უნარი დაჩლუნგებოდა. უსიამოვნო მოთენთილობა ნებისყოფასა და მოძრაობის სურვილს უკარგავდა. როგორც იქნა დასძლია და წამოჯდა.

ამ დროს დედაც შემოვიდა, ფანჯრის ფარდები გადასწია და გულკეთილი, დამცინავი ღიმილით შეეკითხა:

— გეზარება ადგომა? აქ ხომ არ მოგართვა საჭმელი?

რეზომ ამოიხზრა. ახლა საკუთარი თავი შეეცოდა კიდევ. წარმოედგინა, რომ პატარა იყო და პატარასავით ძალიან, ძალიან მოენატრა დედის ალერსი, მისი ნაზი, გულისხმიერი მოფერება.

დედა უსიტყვოდ მიუხვდა თავის ერთას, გვერდით მიუჯდა და კვლავ გულკეთილი, დამცინავი ალერსით გადაუსვა ხელი სასაცილოდ აწეწილ ხუჭუჭა თმაზე. მისმა უსიტყვო მოფერებამ რეზო უფრო მოაღუნა. მან კარგად იცოდა დედის ხასიათი, იცოდა, რომ ის თავის სიყვარულს რეზოს მიმართ რატომღაც ფარავდა, თითქოს ერიდებოდა, რომ ოცდაშვიდი წლის ვაჟს პატარასავით ეფერებოდა.

— კმაყოფილი ხარ? ღირდა კი ღამის თევად?

რეზომ საპასუხოდ მხრები აიჩეჩა, ხმის ამოღება ეზარებოდა.

— ვინ იყვნენ?

— როგორც ყოველთვის...

— ძველი მეინახეები? არ ვიცი, როგორ არ მოგწყინდათ ეს გაუთავებელი ქეიფი და ღამის თევა! — ისევ გულკეთილი ღიმილით თქვა დედამ, წამოდგა და რეზოს პატარა თთახში უწესრიგოდ მიმოყრილ ორიოდ სკამს თავისი ადგილი მოუნახა, დივანზე გაფანტული ტანსაცმელი წამოკრიბა და რეზოს მიაწოდა. — ხომ გამოფხიზლდი? სადილის დროა, ჩაიცვი! გავალ, სუფრის გაშლაში მივეხმარები ვერას.

რეზომ უხმოდ გააყოლა თვალი.

— რე-ზო! სადა ხარ, შე ძილის გუდავ! გამოხვალ თუ არა? — მოესმა მამის მჭექარე ხმა.

რეზო წამოიწია, სკამზე სათუთად გადაკიდებული თეთრი პერანგი გადაი-
ვა და სასადილო ოთახში გავიდა.

— მოდი, შვილო, რას გვალოდინებ! — გულღიად შეეგება მამა.
სუფრას შემოუსხდნენ.

რეზოს საჭმლის დანახვაც კი ზიზღს ჰგვრიდა, მხოლოდ მოდულეხული ტყე-
მალი გადაიღო და პური უგულოდ ჩააწო. შემდეგ მწვანოლში მადის აღმძვრე-
ლად ჩაფლულ კიტრის მწნილს მისწვდა.

მამამ საუბარი წამოიწყო. რეზოს ბუნდოვნად ესმოდა მისი ლაპარაკი; ჯერ
კიდევ გაოგნებული იყო. მერე თანდათან ყური მიუგდო მშობლების გაცხოვე-
ლებულ საუბარს.

ჰმ! ასეც იცოდა!

მამას კვლავ ვიღაც ახალი ასისტენტი გამოსჩენია, მეცნიერების მომავალი
ვარსკვლავი. თუმცა, მის შესახებ რეზოს უწინაც მოესმინა: ეს ის ვიღაც რუ-
სიკო იყო, ამ რამდენიმე თვის წინათ რომ დაიწყო მამასთან მუშაობა. რეზოს
უნებურად ჩაეცინა. მერე დაუფიქრებლად შეაწყვეტინა მამას:

— დედა, შენს ადგილას რომ ვიყო, ნამდვილად ვიეჭვიანებდი!

უცბათ ჩამოვარდნილი უხერხული ღუმელი დედამ დაარღვია:

— რეზო, სულელო ბიჭო, რას ამბობ!

— არა, მითხარი მაინც, როგორია შენი ახალი გენიოსი? — არა ცხრებოდა
რეზო. ახლა მას საოცარი სურვილი დაებადა გაებრაზებინა მამა. — ლამაზია
მაინც? ალბათ, მაღალია, უხეში, სახეც მწითური აქვს და ხელებიც. არა, ხელე-
ბი რა სათქმელია, ნამდვილად თათები ექნება. — რეზოს თვალწინ წარმოუდგა
თავის მიერ დახატული ქალის სახე და უნებურად გაეცინა.

— რეზო! — შეაჩერა მამამ.

— მაპატიე, მამა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია.. თუმც, არაფერი. — უცებ
გაჩუმდა, როდესაც მამის ნაწყენ სახეს შეხედა.

საუბარში ისევ დედა ჩაერია.

რეზოს ხანმოკლე გამოცოცხლებამ გაუარა და საზნაუროსაც კი, რომლის
დანახვა ყოველთვის პატარასავით ახარებდა, ახლა გულგრილად შეხვდა. სადი-
ლის შემდეგ თავის ოთახში გავიდა და კვლავ წამოწვა. ვერც ახერხებდა და არც
სურდა რაიმე სერიოზულზე ეფიქრა. შორიდან ფეხის ხმა და ყრუ ხმაური ისმო-
და: ალბათ, დედა და ვერა ალაგებენ ოთახს... მერე ყველაფერი მიწყნარდა.
ისმოდა მხოლოდ რადიოს დაბალი ხმა.

აი, სადარბაზო შემოსასვლელის კარმა გაიჯახუნა. ვერა თუ წავიდა სალა-
მოს სკოლაში.

რა სასაცილო გოგოა! თავს იკლავს სწავლისათვის, უმაღლესში უნდა შესე-
ლა.

სწავლა!

რა მისცა რეზოს სწავლამ! ორი წელია, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავ-
რა და ჯერაც ვერ უშოვია სამუშაო.

მამა ვერავის შეწუხებას ვერ ბედავს, თუ კი ეს მის ახლობლებს სჭირდე-
ბათ. ნახევარშტატიანი ადგილიც არ მოუხანხა თავის შვილს თბილისში. როდემ-
დე უნდა იწვალოს დედამ, არ ეყოფა, რაც რეზოს თბილისში დასატოვებლად
ირბინა.

გაბრაზებულმა გვერდი იცვალა.

ისმოდა ზარის განუწყვეტელი ხმა, ავადმყოფების მიღების დრო თუა.

წამოჯდა.

ნელ-ნელა უმსუბუქდებოდა თავის ტკივილი.

თვალი მოავლო პატარა, ლამაზად მოწყობილ ოთახს. წიგნის კარადაში, შუშის შიგნით, მისი უფროსი ძმის ხელით გათლილი ჭადრაკის ფიგურები ელაგარა დრო იყო!

მაშინ მიშა მეათე კლასს ამთავრებდა. დაბადების დღეს მოულოცა და ესლა შემორჩა დაღუპული ძმისაგან სახსოვრად.

წამოდგა, კარადა გამოაღო და ტანსაცმლის შერჩევას შეუდგა. ჩაიღიღინა, მაგრამ ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი, უსიამოვნო სიმღერა შუაზე შეწყვიტა.

ტოტებევიწრო, რუხი ფერის კუბოკრული შარვალი გამოიღო, სქელლანჩე-ბიანი, ჩეხოსლოვაკური ფეხსაცმელი აარჩია და ზანტად შეუდგა ჩაცმას.

სარკეში ჩაიხედა. ფერი დაკარგული ჰქონდა, თვალები კი შეწითლებული.

რეზოს აზრით, მის მშვენებას ხუჭუჭა, მბზინავი თმა შეადგენდა. მეტი არაფრით არ გამოირჩეოდა. ზოგჯერ წყენით ფიქრობდა, რომ არც მამის აზოვანი ტანი გამოჰყვა, არც დედის სილამაზე. თავს იმით ინუგეშებდა, რომ საერთოდ, მაინც მიმზიდველი სახე ჰქონდა და, რაც მთავარია გონებამახვილო ლაპარაკი იცოდა.

რეზომ ერთხელ კიდევ შეათვალა თავი დიდ სარკეში.

ზარის გაბმულმა რეკვამ ფიქრებიდან გამოიყვანა.

მოსამსახურეები კი არა, ქალბატონები არიან — სკოლაში წაბრძანდა და რეზო, კეთილ ინებე, მომსვლელებს კარი გაუღე!

რეზო ზანტად შემოტრიალდა, მაგრამ მამის გაბრაზებულმა ხმამ ნაბიჯი ააჩქარებინა:

— რეზო, ლენა, ვერა! — ისმოდა მისი მჭექარე ძახილი.

— ეხლავე. — უნდილად გაეპასუხა რეზო და კარი გააღო.

მის წინ ტანდაბალი, ახალგაზრდა ქალი იდგა, და ხელის ლამაზი მოძრაობით შუბლზე ჩამოშლილ კულულებს ისწორებდა.

— ბატონი დავითი შინ არის?

მისმა მომხიბლავმა ხმამ რეზოს თავბრუ დაახვია. გზის დათმობა ძლივს მოახერხა. შეამჩნია, როგორ გაუბრწყინდა სტუმარს სახე. მაგრამ, არა, მისთვის არ იყო ეს ღიმილი. სწორედ ამ წამს მამის ხმა მოესმა:

— რუსიკო... როგორ მოხდა, რომ შენი ბებერი კოლეგა მონახე? მოდი, მოდი, რისი გერიდება! — და დავითმა ახლადმოსული კაბინეტში შეიყვანა.

კარები ნახევრად ღია დარჩა.

მაშ ეს ყოფილა რუსიკო, მამის ახალი ასისტენტი, მეცნიერების ახალი ვარსკვლავი... რეზოს ისევ შემოესმა ქალის ოდნავ შესამჩნევი სიკეკლუციით წარმოთქმული სიტყვები:

— საღამო მშვიდობისათ, ბატონო დავით! თქვენ არც ისე მოხუცო ბრძანდებით, როგორც გსურთ თავი მოაჩვენოთ ახალგაზრდა ქალებს.

— ესე იგი, მაინც ბებერი ვარ, არა? დამაცა, შე ეშმაკო...

— საავადმყოფოდან მოვდივარ, ბატონო დავით. — შეცვალა სალაპარაკო თემა რუსიკომ. — გამახსენდა, რომ დღეს მიღება გაქვთ და გადავწყვიტე მესარგებლა თქვენი გულკეთილობით. გახსოვთ, ერთხელ მომიწვიეთ. ხომ არ გადაიფიქრეთ?

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი... — დავითმა ყურადღება არ მიაქცია მის ბოლო სიტყვებს. — საავადმყოფოში რატომ დარჩი ასე გვიანობამდე?

— ეკლამპსიით დაავადებულს წნევამ აუწია.

— ახლა როგორ არის?

— სისხლი გამოვაშვებინე. ას ორმოცდათხუთმეტზე დავიდა..

— ხომ არ გაკვეთოთ? — დავითის ხმაში მოლოდინი, ორჭოფობაც კი იგრძნობოდა. — რას იტყვი? — დაუმატა მან ცოტა ხნის დუმისლის შემდეგ.

რეზო რატომღაც კარებს ვერ მოსცილებოდა. არ ეგონა, რომ მამა ვინმეს, მით უმეტეს, ასეთ ახალგაზრდა ასისტენტს ჰკითხავდა რჩევას.

— არა, ბატონო დავით! ცოტაც მოვიცადოთ, იქნებ, ნაყოფი როგორმე შერჩეს, — ქალის ხმა დავითის ბოხ, ვაჟკაცურ ხმასთან შედარებით საოცრად ნაზად ჟღერდა...

— გეცოდებათ?

რეზომ იგრძნო, რომ მამა იღიმებოდა და თითონაც რატომღაც გაეღიმა..

— ძალიან! მერე, რომ იცოდეთ, როგორ უნდა ბავშვი.

— მაშ, ცოტაც მოვიცადოთ, თუ ასსამოცი მაინც შერჩა, შეიძლება როგორმე გასძლოს. თუ არა და ჩვენც ხომ აქა ვართ. — შემდეგ მამამ, ეტყობა საათს დახედა. — დავიწყოთ მიღება. საერთოდ. განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე საინტერესო შემთხვევა.

— მიკვირს, ბატონო დავით. ასე დატვირთული ბრძანდებით, და კერძო პრაქტიკას მაინც არ ანებებთ თავს.

— ჩემი თემისთვის ვახდენ დაკვირვებას. ახლავე ხალათს მოიტანენ... ვერა! — დაიძახა დავითმა.

რეზომ კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და სიხარულით შევიდა კაბინეტში.

— ვერა შინ არ არის, მამა! — თქვა და თვალი რუსიკოსაკენ გაეპარა. ქალი ფანჯარასთან იდგა ნახევრადშემობრუნებული და მისკენ არ იხედებოდა.

— ერთი, დედაშენს სთხოვე, ხალათი მოგცეს! — შეეხმაურა დავითი.

რეზოს გაქათქათებული ხალათი მოჰქონდა და ცდილობდა სათქმელად რაიმე მნიშვნელოვანი მოეფიქრა, ისეთი, რაც რუსიკოს გააოცებდა, მის ყურადღებას მიიპყრობდა. მაგრამ, როდესაც ხალათის ჩაცმაში მოეხმარა, რატომღაც ურცხვი ღიმილით, ანგარიშმიუცემლად თქვა:

— ქალები უნდა გასინჯოთ?

რუსიკოს დაკვირვებულმა მზერამ რეზო გააწითლა. შენიშნა, როგორ უკვალოდ გაჰქრა ღიმილი სტუმრის მარჯნისფერ ტუჩებზე.

წამიერი დუმილი მამამ დაარღვია:

— გაიცანით, ჩემი ვაჟი! ესეც კოლეგა!

რეზომ შეგებით გაიფიქრა, კიდევ კარგი, მამამ ჩვეული მოურიდებლობით ისეთი რამე არა თქვა, რაც უფრო გამიუარესებდა მდგომარეობასო.

— დედას უთხარი, ჩაი გაამზადოს! — თქვა მამამ და რეზოს ზურგი შეუქცია, თითქოს ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, შეიძლება წახვიდეო.

გასვლისას რეზოს სმენას რუსიკოს სიტყვები მისწვდა:

— რატომღაც მეგონა, ბატონო დავით, რომ თქვენ შვილი არა გყავდათ. რის თქმა უნდოდა ამით?

იქნებ ამ სიტყვებით უნდოდა დაეთარა ის უსიამოვნო შთაბეჭდილება, რაც რეზოს ნათქვამმა მოახდინა.

რეზო მოუსვენრობამ შეიპყრო. გარეთ გასვლა გადაიფიქრა. თავის ოთახში წინ და უკან დადიოდა და უნებლიედ ნებდებოდა უცნაურ გრძნობას. ეს გრძნობა აიძულებდა შინ დარჩენილიყო და რუსიკოსათვის ერთხელ მაინც მოეკრა თვალი. ეს სურვილი აფორიაქებდა, თან უცნობ საამო განცდას იწვევდა.

მოულოდნელად თავისი უაზრო სიტყვები გაახსენდა და წელანდელივით გაწითლდა.

„ეს რა დამემართა — გაიფიქრა წყენით — რა ღმერთი გამიწყრა, რომ ორი სიტყვაც ვერ გადავაბი ერთმანეთს!..“

ის ორი საათი, რომელიც მამამ და რუსიკომ ავადმყოფების გასინჯვას მოანდომეს, რეზოს ორ საუკუნედ მოეჩვენა. ნუთუ ყოველთვის ამდენს მუშაობს მამა?

მაგრამ, ნეტავი, სულაც არ გასულიყო ეს დრო, ან რუსიკო არ დარჩენილიყო ჩაიხე.

როგორც კი რეზო მაგიდას მიუჯდა (სწორედ რუსიკოს პირდაპირ), მამა ჩვეული დაურიდებლობით შეეკითხა:

— შენ რა, ავად ხომ არა ხარ?

— არა, რატომ მეკითხები?

— პირველად გხედავ შინ ამ დროს.

ოჰ, ეს მამა! ყოველთვის რაღაც უცნაური უნდა თქვას... მერე, თითქოს არაფერიყო, გულდამშვიდებით მიუბრუნდა რუსიკოს:

— გადაიღე მურაბა, რუსიკო, ნამცხვარი მიირთვი!

შემდეგ კი მამამ და რუსიკომ ადრე დაწყებული საუბარი განაგრძეს და კიბოს განკურნების პრობლემაზე შეკამათდნენ.

აბა, რა წესია, ნუთუ ჩაის დროს მაინც არ შეიძლება მივიწყონ მეცნიერება!

რეზო უმწეოდ ეძებდა ისეთ თემას, რაც ლაპარაკს საერთოს გახდიდა და საშუალებას მისცემდა აღრინდელი არასახარბიელო შთაბეჭდილება გაექარწყლებინა. როდესაც კამათი ოდნავ მიწეშლდა, რუსიკოს შეეკითხა:

— ნახეთ ახალი კინო, რუსიკო?

— დიახ!

— მოგეწონათ, ხომ? რა ტანი აქვს ლოლოტას, არა?..

*

რეზოს ვერ გაერკვია, ნამდვილად უყვარდა თუ არა რუსიკო. მისი ნახვა კი უნდოდა და აღარ იცოდა, სად გაჰქცეოდა ამ ძლიერ სურვილს.

ამ ტანდაბალმა, მომხიბლავმა არსებამ თავისი კეკლუცი, მომაჯადოებელი ხმით მის ფიქრებს სულ სხვა მიმართულება მისცა და დაიმორჩილა.

ფრთხილი გამოკითხვის შემდეგ რეზომ შეიტყო, რომ რუსიკო გათხოვილია და სამი წლის გოგონაც ჰყავს; რომ მან ინსტიტუტი მოსკოვში დაამთავრა და თბილისში მხოლოდ ეს ნახევარი წელია, რაც ჩამოვიდა; რომ მისი მეუღლე რუსთავში მუშაობს ინჟინრად...

რუსიკოს აღარ გამოუფლია. რეზო მასთან სახლში მისვლას ვერ ბედავდა, ხოლო საავადმყოფოში ორჯერ იყო და, ბედად, ორჯერვე ასცდა, იქ არ დახვდა.

თითქოს ჯიბრზე, მამასაც ახლა მოუნდა თავისი შრომის დასკვნის წერა, ავადმყოფების მიღება შეწყვიტა და კაბინეტში ჩაიკეტა. მხოლოდ დღისით გამოდიოდა ხოლმე საავადმყოფოში წასასვლელად.

რეზომ საავადმყოფოში დარეკა. გადაწყვიტა, როგორმე პირადად დალაპარაკებოდა და უფრო მტკიცე ნაბიჯი გადაედგა დაახლოებისათვის. მორიგე ექიმმა უპასუხა, საღამოს მოვაო.

მთელი დღე გახარებული და თან შემკრთალი რეზო ადგილს ვერ პოუ-

ლობდა. საღამოთი ვაჟას გაუარა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მეგობარს თავისი დარდი გაანდო.

ვაჟასთვის ასეთი ამბავი არაფერს ახალს და მოულოდნელს არ წარმოადგენდა. პირიქით, საკუთარი მდიდარი გამოცდილებიდან რამდენიმე რჩევაც მისცა. ეშმაკად, მამამისს სოფლიდან ღვინო ჩამოეტანა და, როგორც ვაჟამ თქვა, გასამხნევებლად თითო ჭიქა დალიეს. მეორეთი გზა დაილოცეს, მესამე ჭიქა თავისით მოყვა, ისე, უმიზეზოდ. მათრობელა კახურმა ორივე მოატყუა და უკვე ათი საათისათვის საკმაოდ გათამამებული, საავადმყოფოსაკენ გაემართნენ.

მთელი გზა რეზო ხმამაღლა ეფიცებოდა ვაჟას, რომ რუსიკოს ბადალი ჭევეყნად არ ეგულება და მისთვის ბროლის კოშკსა და ოქროს მთებს არ დაიშურებდა.

მაგრამ, როგორი იყო მათი გაოცება, როდესაც კარისკაცმა არ გაუშვა. რეზომ მამის სახელი მოიშველია. კარისკაცმა პატივი დასდო და შეუშვა. ვაჟა გარეთ დარჩა.

რეზომ ფრთხილად შეაღო კაბინეტის კარი.

საწერ მაგიდასთან რუსიკო იჯდა, თეთრი ხალათი ეცვა, თეთრი ქუდი ეხურა და რაღაც წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.

ამდენი ხნის ნაფიქრისა და ნაოცნებარის დანახვისას რეზომ წონასწორობა დაკარგა. ერთი წამით მის წარმოდგენაში რუსიკოს ყოველგვარი მიწიერი ჩამოეცალა. რეზოს მხოლოდ თავისი დარდი უნდოდა გადაეშალა, ეთქვა რუსიკოსათვის, რომ... რომ პირველი შეხვედრის შემდეგ ამდენი ხანი გავიდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მასზე ოცნებით ცხოვრობდა...

მისი დანახვით შეშინებული რუსიკო წამოხტა.

— იცი, რუსიკო, ჩემო რუსიკო... — ბუტბუტებდა რეზო. — ჩემი ასე ცხოვრება შემდეგში შეუძლებელია, უაზრობაა.. იცი, რუსიკო, იმ ტკივილს, რაც ჩემს გულში გაჩნდა ამ ბოლო დროს, მხოლოდ შენ უნდა უშველო...

მაგრამ ფერდაკარგულმა რუსიკომ არ მოისურვა ბოლომდე მოესმინა მისთვის — გაქცევა დააპირა. რეზომ ხელი წაატანა... მას სურდა, მხოლოდ შეეჩერებინა და თავისი დარდი ბოლომდე ეთქვა.

ხელის შეხებამ ვაჟს თავგზა აუბნია...

ხანმოკლე ჭიდილის შემდეგ რუსიკო თვალსა და ხელს შუა გასხლტა და კაბინეტის კარი გარედან გადაკეტა.

ღვინის აღმურმა რეზოს უჩვეულო ღონე შემატა და გონება დაუბნია. დაგუბებული ბოლმა უცებ გადმოსკდა და ვიდრე ექთანის მიერ გამოძახებული მილიციელები მოვიდოდნენ, კაბინეტში ყველაფერი მილეწ-მოლეწა.

დ ე ღ ა

თავისუფალ დროს, როდესაც „ჯალაბობას“ (როგორც ჩვეული ალერსიანი დაცინვით უწოდებდა ლენა ოჯახს) მოუვლიდა, დააპურებდა და ოთახებში წლობით გამომუშავებულ წესრიგს დაამყარებდა, — ასეთ დროს ლენას ძალიან უყვარდა რეზოს ოთახში ყოფნა. რასაკვირველია, მაშინ, როდესაც რეზო შინ არ ეგულებოდა.

ღღესაც, როდესაც სადილის შემდეგ დავითი თავის კაბინეტში ჩაიკეტა, ხოლო რეზო წავიდა („ოღონდ ღმერთმა უწყის, სად და რისთვის“) — ღრმად ამოიოხრა, ხელსაქმის ყუთი აიღო და რეზოს ოთახში გავიდა.

გარეთ ოქტომბრის გრილი საღამო იყო. ქუჩიდან ყრუ ხმაური შემოდოდა.

ლენამ უუქი ანთო და საქანელა სკამში მოხერხებულად ჩაჯდა. მუხლებზე ხელსაქმის ყუთი დაიდო. ეს ყუთიც უფროსი ვაჟის — მიშას ნახელავი იყო. ლენამ სახურავის კუთხეში თავის ინიციალებს დახედა და კვლავ ამოიოხრა.

ლენას ქარგვა უყვარდა. ამ დროს იგი თავისუფლად ფიქრობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ლამაზად გამოყვანილ ნახატებს საკუთარ ფიქრებს აქსოვდა; ეს ასვენებდა კიდევ და დარდსაც უქარვებდა.

მოულოდნელად კარი გაიღო და დაჭითმა შემოაბიჯა.

— წამოსულიყავი შენც, რად გეზარება? — მიმართა ლენას. მისმა ბოხმა, ვაჟკაცურმა ხმამ ოთახი გუგუნით აავსო.

ლენა დამნაშავესავით შეიშმუშნა და მუდარით უთხრა:

— შენ წადი, დავით, ნუ მიწყენ, კარგი?

— მე არა, მაგრამ შალვას კი ეწყინება. რაც არ უნდა იყოს, ასე ახლობლები ვართ...

— არა უჭირს რა, დოქტორობას სხვა დროს მიგულოცავ.

— სხვა რაღა გზა მაქვს. ისევ მარტო წავალ. — დავითმა მზრუნველად შეუხსწორა ყურებთან თმის თეთრი ძაფები. შემდეგ დაიხარა, შუბლსა და ლოყაზე აკოცა. — არ მოიწყინო მარტომ, გესმის?

— არა, ნუ სწუხარ. — მერე უკვე კარებთან მისულს ოდნავი ხმის აწევით, მოჩვენებითი სიმკაცრით უთხრა: — დავით, იცოდე, ვეჭვიანობ, რუსიკო ხომ არ იქნება? — მაგრამ მის გაოცებულ სახეს რომ შეხედა, თავი ველარ შეიკავა და უნებურად გაეცინა.

დავითი ჯერ გაკვირვებული უყურებდა, შემდეგ თითონაც გაეცინა. მერე ზელი დაუქნია, ნახვამდისო და ხმაურით გავიდა.

ლენა ერთხანს ღიმილით შესცქეროდა მიხურულ კარს, თითქოს იქ კვლავ დავითი მდგარიყოს. დავითი წავიდა, მაგრამ ლენას ახლა ისე ეჩვენებოდა, თითქოს ოთახში რაღაც დასტოვა, რაღაც თბილი და კეთილი. შეიძლება ამას ის იწვევდა, რომ ლოყაზე დავითის ბაგეთა მსუბუქ შეხებას ისევ გრძნობდა.

მარტო დარჩა თუ არა, თავისი მუდმივი გულისწუხილი და სადარდებელი ისევ დაუბრუნდა. ისევ დაღუპული მიშა გაახსენდა.

ადრე ეგონა, რომ დრო შემოძარცვავდა გლოვას, წლები წაიღებდა დარდსა და ზარს, მაგრამ რაც უფრო კარგად ეწყობოდა მისი ცხოვრება, მით უფრო გაუნელებელი იყო მისი გლოვაც, დარდიც, ზარიც.

არა, დრომ ვერ ჩაახშო დედის წუხილი და ლენა დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ძლიერი და მუდმივი დედის მალული, ჩუმი გლოვაა.

თუმცა, მწარე ფიქრებს გულში იკლავდა, სამზეუროზე არ გამოჰქონდა, უნდოდა, ამით მაინც შეემსუბუქებინა დავითისათვის მამაკაცური ჩუმი გლოვა.

ბოლო დროს მის დარდს ახალი საზრუნავი აედევნა — რეზოზე წუხილი. ზოგჯერ გრძნობდა, რომ ცოცხალზე ფიქრი სძლევდა გარდაცვლილზე დარდს. ბრაზობდა კიდევ, ისეთი რა სჭირდა რეზოს, მაგრამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ ჭანუგეშო, გასამხნევებელი ფიქრი იყო.

რეზო შეიცვალა, შეიცვალა ისე შესამჩნევად, რომ ლენას სურდა ამაზე საკუთარ თავსაც კი არ გამოტყდომოდა.

ეს ცვლილება მხოლოდ ამ ბოლო დროს შეეტყო. იყო წყნარი, წესიერი მოსწავლე, ხუთოსანი. ჯერ „ოთხი“, მერე „სამი“, მერე გაჭირვებული სწავლა

გამოსაშვებ კლასში, ინსტიტუტში, ახლა კი უსაქმოდ ხეტიალი მთელი ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტი დაამთავრა.

სადღაც გულის სიღრმეში მოუსვენარი ჭია, ეჭვისა და შემფოთების ჭია ღრღინდა, ვერაფრით ვერ მოეცილებინა ფიქრი იმის შესახებ, რომ თითონ იყო ყველაფერში დამნაშავე. დავითმა მიშას დაღუპვის შემდეგ რეზოს აღზრდა მთლიანად მას მიანდო.

მაგრამ, რატომ მოხდა, რომ ყოველთვის მომთხოვნი და სიმართლის მოყვარული ლენა სუსტი აღმოჩნდა უმცროსი ვაჟის მიმართ? ან, საერთოდ, სად, როდის დაუშვა პირველი შეცდომა?

იქნებ, მაშინ, როდესაც პირველად შეეხვეწა მასწავლებელს, „არ დაედუბა რეზო“ და გამოსაშვებ კლასში, უკანასკნელ მეოთხედში „ორი“ არ გამოეყოლებინა?

ან, იქნებ, მაშინ, როდესაც მისაღებ გამოცდებზე ინსტიტუტში პირველად ისარგებლა დავითის სახელით, რათა შვილი სამედიცინო ინსტიტუტში ჩაერიცხათ?

ან, შეიძლება მაშინ, როდესაც განაწილების დროს მეორედ მიმართა ეშმაკობას, დედის ბრმა სიყვარულით გამოწვეულ ეშმაკობას და რეზო დაიხსნა?..

შემოვიდა ვერა.

ლენას გაუჟვირდა.

— რატომ სკოლაში არა ხარ?

— დღეს შაბათია, მეცადინეობა არა გვაქვს. დეიდა ლენა, ტელეფონთან გთხოვენ.

— აჰ, შაბათია! სულ დამავიწყდა. ვინ არის? ასე გვიან ვის გავახსენდი?

— არ ვიცი, არაფერი უთქვამს. თქვენ გიკითხათ.

ლენა ნელი ნაბიჯით გაემართა საწოლი ოთახისაკენ. თან ვერას ელაპარაკებოდა:

— ვერა, ჩაი შედგი, დავლით და დავიძინოთ, თორემ უკვე გვიანია. არა, დავითს არ მოვუცდით, ალბათ, დილით მოვა. თუმც, იცი, რა? მე რეზოს დაველოდები, შენ კი მოისვენე. ალო! ვინ გნებაეთ? დიახ, მე ვარ, ვაჟა, რა გინდა? რაო?!

ვერამ შენიშნა, როგორ გაუფართოვდა თვალები ლენას, თანდათან ფერი დაეკარგა, მერე გულზე ხელი იტაცა, შეტორტმანდა და ნელნელა ჩაიკეცა.

...გონს რომ მოვიდა, საწოლზე იწვა...

თვალები გაახილა თუ არა, ვერა დაინახა და გონებაში მაშინვე აუწვრიალდა ფიქრი: „რატომ სკოლაში არ წავიდა, რად გააცდინა გაკვეთილები?“ დააპირა კიდევ, შეკითხოდა, მაგრამ უცებ გაახსენდა მისი სიტყვები:

„დღეს ხომ შაბათია, დეიდა ლენა“.

რატომღაც დამშვიდდა და უნებურად გაეცინა.

მერე ისევ დაფიქრდა. გული სტკიოდა, თითქოს საგულეში სხეულის პატარა ნაკვთი კი არა, რკინა ედო.

რადაც მოხდა ცუდი, უსიამოვნო.

თუ საშინელი?

კვლავ ვერას სიტყვები გაახსენდა:

„ტელეფონთან გთხოვენ, დეიდა ლენა. არ ვიცი, ვინ არის“.

ის უსიამოვნება ხომ ტელეფონით ლაპარაკთან იყო დაკავშირებული:

აჰ ვაჟა!

ვაჟამ დარეკა, რომ რეზო, მისი რეზო, მისი ერთადერთი ნუგეში, მისი იმედო დაიჭირეს.

და-ი-ჭი-რეს!

რაო, დაიჭირეს?

ლენა წამოხტა.

— ვერა, ჩქარა პალტო, კაბა! ჩქარა, გესმის?..

მ ა მ ა

...დავითმა კი არაფერი იცოდა.

დილით, როგორც სადილობისას, სამივენი ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე ჩაის დასალევად.

— ბიჭი სად არის?

— ვაჟასთან წავიდა გუშინ და იქ დარჩა. — იცრუა ლენამ, რადგან რეზოს მხოლოდ ნაშუადღევს გამოუშვებდნენ.

— რაღაც არ მომწონს ეგ ვაჟა. ვგონებ, კარგი სული არ უნდა იყოს. ფრთხილად, რა მოგივიდა, არ დაიხრჩო!

ლენამ სული ძლივს მოითქვა.

— თვალეები რათ დაგწითლებია?

— წუხელის არ მეძინა, თავი მტკიოდა... — ძლივს წაიხურჩულა ლენამ.

— რატომ მოსვლისთანავე არ მითხარი. — ეწყინა დავითს. — ახლა როგორ ხარ?

— არაფერია, გამიარა...

როგორც იქნა, საუზმე მშვიდობიანად დამთავრდა. არა, საუზმე კი არა, წამება.

რეზოს დაპატიმრების ამბავი კი საავადმყოფოდან გარეთ გამოვიდა და საოცარი სისწრაფით გავრცელდა თბილისში.

მამამ კი ჯერ არაფერი იცოდა...

...როდესაც მომხდარმა დავითის ყურამდე მიადწია: ეს მთასავით კაცი ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა. ახლა კი მიხვდა, რატომ მოარიდა წედან რუსიკომ თვალი, რატომ აჩურჩულდნენ მის დანახვაზე საავადმყოფოს თანამშრომლები...

მთავარ ექიმს მანქანა სთხოვა და შინ წავიდა. ხალათის გახდაც კი დაავიწყდა. სირცხვილი, სიმწარე, შელახული თავმოყვარეობა, უბედურების შეგრძნება, — ყველაფერი ერთმანეთში არეოდა და თვალთ უბნელდებოდა.

არასოდეს სასაცილო მდგომარეობაში არა ყოფილა; არასოდეს მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და თავმოყვარეობა არ შეულახავთ. და ეს ყველაფერი ახლა მისმა შვილმა, მისმა სისხლმა და ხორცმა მიუზღო ამავის საბადლოდ

ახლა მის სახელს ათობით ადამიანი წეწს, გაუთავებლად იმეორებს...

„იცი, დავითის ვაჟმა, რეზომ“...

„იცი, რეზო, ბატონი დავითის ერთადერთი ვაჟი“...

„ღმერთო ჩემო, გაიგეთ, პროფესორის შვილმა“...

...ვიდრე კარებს გაუღებდნენ, მოეჩვენა, თითქოს მთელი წელი გავიდა.

კარებში ვერა იდგა.

— რეზო სად არის?

— თავის ოთახშია.

აღელვებულმა დავითმა უნებურად მხარი გაჰკრა მოსამსახურეს და ჩქარი ნაბიჯით შევიდა შვილის ოთახში.

რეზო ტანსაცმელგაუხდელი წამოწოლილიყო.

ერთ წამს მამა-შვილი სიტყვის უთქმელად შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— ეს რა ჰქენი? — ძლივს დაარღვია მძიმე ღუმილი დავითმა და სკამზე პოთელილივით დაეშვა.

რეზო უტიფრად უყურებდა.

— რაო, საგვარეულო ხომ არ შეგირცხვინე?

იმდენი დაცინვა იყო ამ სიტყვებში, რომ დავითს სხეულის თითოეული ნაკვთიც კი დაეძაბა. გაჰქრა სირცხვილის დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი გრძნობა. იგი თავდავიწყებამდე მისულმა გაბრაზებამ შესცვალა. რეზოს სახეზე სინანული და მორიდება რომ წაეკითხა, იქნებ ნელნელა დაწყნარებულიყო, მაგრამ, სად იყო მონანიება, და დავითიც თანდათან ენთებოდა.

— ეს რა ჰქენ... ეს... ეს რა უმსგავსობა ჩაიდინე! — ათასი რამ მოაწვა გონებაში, მაგრამ სხვა სიტყვები ვერ მოენახა.

— ეჰ, ახლა მორალი წამიკითხე. — რეზომ ხელი ჩაიქნია და გვერდი იცვალა.

არასოდეს რეზოს ასეთი უპატივცემლობა არ გამოეჩინა მამის მიმართ. მაშ, ახლა რა დაემართა? ამ მოჩვენებითი თუ ნამდვილი უხეშობით ხომ არ ცდილობდა სირცხვილის მიჩქმალვას? დავითს ამის გარკვევის არც დრო ჰქონდა და არც შეეძლო...

ალბათ, არაფერიც არ მოხდებოდა, რეზოს რომ უხეშად, დაცინვით არ დაემატებინა:

— რაო, ხომ არ დავასწარი?

ეს უკვე უკანასკნელი წვეთი იყო...

...მერე ხშირად ფიქრობდა გაეხსენებინა, როგორ დაიწყო, ან რა მოხდა, პირველად როგორ აღმართა ხელი, როგორ დაუწყო ცემა, ან რას ყვიროდა ამ დროს.

სცემდა, სცემდა თავდავიწყებით, სცემდა სადაც მოხვდებოდა, როგორც მოხვდებოდა. სცემდა იმიტომ, რომ სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო, და ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ, გაგიჟდებოდა კიდევ...

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის წინ ადამიანი კი არა, ხორცის უფორმო მასა იყო, რომელსაც მხოლოდ ასე უნდა მოქცეოდა, და არა როგორმე სხვანაირად.

ისევე სწრაფად გამოფხიზლდა, როგორც აენტო. გონებაში გაუელვა, რომ მოხდა რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი... დიდი ნაბიჯებით ჩაათავა კიბეები და ქუჩაში გავიდა.

ოქტომბრის ცივმა ნიავმა შუბლი გაუგრილა.

მაშ, ამაო ყოფილა გზა ველურობიდან მეოცე საუკუნემდე.

ნუთუ ადამიანს არ შეუძლია დაიმორჩილოს ძველთაგან შემორჩენილი ველური ინსტიქტები?

თუ, ეს მარტო მას ემართება და საკუთარი საქციელის განზოგადოებით სურს შეამციროს თავისი დანაშაული?

დავითს დაავიწყდა, როგორი შეურაცხყოფა მიაყენა რეზომ. ახლა მხოლოდ იმ მწველ სირცხვილს გრძნობდა, რაც მისმა უგუნურმა საქციელმა გამოიწვია.

*
* *

თუმც არც უწინ უყვარდა შინ უქმად ჯდომა, ახლა მთლად გაგარეულდა დავითი. საავადმყოფო მას თავშესაფრად მიაჩნდა და ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა ჩაკეტილიყო თავისთვის ძვირფას სამყაროში, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურობას აცილებდა და დროებით მაინც უნელებდა სირცხვილისა და დანაშაულის განცდას.

მერე როგორ უყვარდა იქ ყოფნა.

ბოლო ოცი წელი დავითი უცვლელად მუშაობდა ამ რუხი ფერის, უცხო თვალისთვის ჩვეულებრივი, მისთვის კი ძვირფასი შენობის კედლებს შიგნით.

ამ დილით ჩვეულებისამებრ ჩამოიარა პალატები. ფიკუსებით დამშვენებულ დერეფანში ფეხდაფეხ მისდევდნენ თანამშრომლები ჩქარი ნაბიჯით მიმავალ დავითს. დამლაგებლები ოდნავი კრძალებით ელოდნენ, როდის დაიქუხებოდა პროფესორი — ეშინოდათ, სადმე შემთხვევით არ აღმოეჩინა მტკერი.

ერთ კართან ყოყმანით შეჩერდა და სახელურს ხელი მოკიდა.

რუსიკო სწრაფად მიუახლოვდა.

— ლელი როგორ არის? — იკითხა მან.

ლელი ეკლამპსიით დაავადებული მშობიარე იყო, ამ ერთი თვის განმავლობაში მას ყველა შეეჩვია და ალერსით მხოლოდ სახელს უძახოდნენ.

— უმნიშვნელო ტკივილებს უჩივის. ვგონებ, დროა გავიყვანოთ.

დავითმა ხელი დაუშვა.

— გაამზადეთ ყველაფერი. შეიძლება გაკვეთა მაინც დაგვჭირდეს. რუსიკო, შენ მიიღებ. — მერე მოტრიალდა და მთავარი ექიმის კაბინეტისაკენ გაეშურა.

...შიმშილს აღარც დავითი გრძნობდა, აღარც რუსიკო. ძილმაც გაუარათ. ოთხი მელოგინე გაისტუმრეს, ლელი კი ისევ ისე იწვა სამშობიარო მაგიდაზე და ვაჟკაცურად ებრძოდა საშინელ ტკივილებს.

დავითს ოდნავი, სულ ოდნავი შიში ყოველთვის აწუხებდა ასეთ დროს. როგორი გამოცდილება ჰქონდა და მაინც დეღავდა ხოლმე, ხუმრობა ხომ არ იყო, მის თვალწინ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთს ებრძოდა.

ახლაც დეღავდა.

ლელი ოდნავგასაგონად კვნესოდა.

— იყვირე, შეილო... იყვირე, მოგეშვება. — ალერსით ეუბნებოდა ხანშესული ექთანნი. ლელი კი ისევ დაბალი ხმით კვნესოდა. მხოლოდ მის ფერმკრთალ სახეზე შეეძლოთ ამოეკითხათ, თუ რა ტანჯვას უძლებდა სამშობიარო მაგიდაზე უმწეოდ გადაწოლილი, თითონაც სულ ბავშვი, ცხრამეტი წლის ლელი.

რამდენჯერ გადაწყვიტა გაეკვეთა, კინალამ თვალითაც ანიშნა რუსიკოს მოემზადეო, მაგრამ მაინც შეიკავა თავი. ზოგჯერ, ტკივილების შუალედებში ლელი ფართოდ ახელდა თვალებს, ნელ-ნელა ითვისებდა გარემო სამყაროს და საცოდავი ღიმილით ძლივს ამბობდა:

— რუსიკო ექიმო, ბავშვი, ჩემი ბავშვი...

მხოლოდ დილის ექვსი საათისათვის დაეკარგა ნებისყოფა და შემზარავი ხნით იყვირა.

ყველა შვებითა და მზრუნველობით აფუსფუსდა.

მშობიარობა ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა და დავითი გვერდით გადავა, რუსიკოსა და ექთანის სწრაფ მოძრაობას თვალს ვერ აცილებდა. მალე ბავშვის ყვირილი შემოესმა.

— ბიჭია! — დაიძახა ექთანმა.

ლეღიმ თავი წამოსწია, ოდნავ შვებით ამოისუნთქა დასისხლიანებულ ტუჩებით ჩუმად გაიმეორა:

— ბიჭი, ჩემი ბიჭი... — და გულწასული დაეშვა.

შუბლშეკრულმა დავითმა გამოსვლისას კარი ფრთხილად გამოიხურა.

ადამიანი დაიბადა!

იწყება ცხოვრება. ჯერ ბავშვობის უზრუნველი წლები, მერე ჭაბუკობა ხალხთან დამოკიდებულება, ოჯახი.

როგორი ადამიანი დადგება?

პირველად დაუკვირდა ამ საკითხს. შეიძლება პირადი ცხოვრების მაგალითმა ჩააფიქრა. — „როგორ მინდოდა ვაჟი“ — გაიფიქრა აღელვებულმა, მანქანას აღარ მოუცადა და ფეხით გაეშურა სახლისაკენ.

თენდებოდა.

საუცხოო სანახავი იყო ღამისა და დღისის ჭიდილი.

დავითის თვალწინ იცრიცებოდა უმთვარო, ვარსკვლავებით მოჭედდილი ცა, მოასფალტებულ ქუჩებს ნელ-ნელა ეპარებოდა სინათლე.

„ასე იბრძოდა ლეღიც“ — გაიფიქრა, მერე თხელი პალტოს საყელო აიწია და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

„შესძლებს კი გაზრდას? თუ ჩემი შვილივით უკუღმართი გამოუვა?“

მზის პირველმა სხივმა ვარდისფრად მიუალერსა მაღალ შენობებს. გული მოუღება, ახლადდაბადებული გაახსენდა. იშვიათად, რომ ამ დროს ბავშვი მოსწონებოდა, ლელის ბიჭიკო კი საოცარი კმაყოფილების გრძნობას ჰგვირდა. „სამი კილო და ოთხასი გამოვიდა, მერე როგორ იყვირა!“

ქუჩის გადასასვლელთან მანქანა შეჩერდა. რუსიკო უღიმოდა.

— დაბრძანდით, ბატონო დავით! — მიიპატიჟა.

— არა! ფეხით მირჩევნია. დღეს აღარ შევხვდებით. ალბათ, ერთმანეთს რუსიკო. არ დაგავიწყდეს საღამოს გამოვლა... მეუღლეც წამოიყვანე. მხოლოდ იცოდე, არ გვალოდინოთ.

დავითმა ქუდი მოუხადა და თვალი გააყოლა.

რუსიკომ კვლავ თავისი შვილი გაახსენა.

მწარედ გაეცინა.

„საოცარია, და დიდი განსხვავებაა მათ შორის: რუსიკო მთელ სულსა და გულს ანდომებს საქმეს, საავადმყოფოში რომ გუყურებ, ასე მგონია, მკურნალობის მეტი არაფერი შეუძლია. ოჯახი მშვენიერი ჰყავს. როდისღა ასწრებს ყველაფერს!“

ნაადრევად გამოსული მანქანების საყვირმა ერთ წამს ფიქრები შეუწყვიტა.

ისევ გაახსენდა რუსიკო.

„აი, ვის ეყოლება კარგი შვილი, ჩემი კი“...

იქნებ გვიან არ არის?

იმ შემთხვევის შემდეგ საოცრად გამოიცვალა რეზო... დავითს გარეთ გასული აღარ უნახავს. როგორღაც მოღბა. თითქოს მოტყუდა კიდეც. მაგრამ, დიდი ხნით კი?

ყურადღება რომ არ მოეკლო, იქნებ ასე არც მომხდარიყო...

დავითს გასაღები ჰქონდა თან და შეეძლო ფრთხილად შესულიყო სახლში. მაგრამ ახლა ისე უმძიმდა მარტო ყოფნა, რომ ოდნავი ყოყმანის შემდეგ დარეკა.

ლენა დახვდა, ეტყობოდა უცდიდა, ჯერ არ დაწოლილიყო.

უხმოდ დალია ჩაი. უნდოდა რაიმე ეთქვა სანუგეშო. ბოლოს და ბოლოს, დედა, დავითზე ნაკლებად ხომ არ განიცდიდა და დარდობდა. ჯერ უფროსი შვილის დაღუპვა ვერ მოენელებინა, ახლა ცოცხალზე წუხილი.

ლენა ამ ერთ თვეში ახალ მწუხარებას საოცრად მოეტეხა. მეუღლის სასხვათაშორისო ლაპარაკს მორჩილად უსმენდა და ამოდ ცდილობდა სახეზე ინტერესი გამოეხატა.

— წადი, დაისვენე. ცოტა წავიმუშავე და მეც მალე დავწვები. — სახეზე არ შეუხედავს მეუღლისათვის, ისე უთხრა.

დავითმა ოთახის გვერდითა კარი შეაღო.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სათუთად შეგროვებული წიგნების დანახვამ გული მოუღბო. მერე პატარა მრგვალ მაგიდასთან მივიდა, ლამაზ ლარნაკში თეთრ ხრიზანტემებს წყალი გამოუცვალა და საწერ მაგიდას მიუჯდა. უნდოდა ეწერა, ამოიღო კიდეც ქაღალდები, მაგრამ ხელები უღონოდ დაუშვა. უცებ ისეთი დაღლილობა მოერია, ძლივს მოასწრო ხელებში თავი ჩაერგო, და გაეფიქრა, ალბათ, დაებერდიო, რომ უკვე ჩასთვლიმა.

რადაცამ გამოაფხიზლა. უნებურად შეაკრთო ბეჭებზე მზრუნველად მოხურულმა ხალათის სითბომ.

თავი აიღო და გაურკვევლად მიმოიხედა.

რეზოს დანახვამ დაღლილობაც და ძილიც გაუქრო.

გაოცებით და უკმაყოფილოდ შეხედა.

მის მორჩილ, დედასავით მომლოდინე გამოხედვის დანახვისას მიხვდა, რომ ერთი თვის დუმილ რეზოსთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო.

შეეცოდა, ტკივილისაგან გული შეეკუმშა... ლენასა და მის მეტი ახლობელი ვილა გააჩნდა.

როგორ გამხდარა. ეტყობა, საშინლად ნანობს. წვერიც როგორ მოუშვია. ერთი კვირა მაინც იქნება, რაც არ გაუპარსავს.

რეზო გასვლას არ აპირებდა.

მოსალოდნელი საუბრის გამო დავითმა უცებ ისეთი შიში იგრძნო, რომ მაგიდის კიდეებს ჩაეჭიდა და ამოდ სცადა დაეოკებინა აჩქარებული გულისცემა.

„მოხდეს, რაც მოსახდენია“ — გაიმხნევა თავი.

სწორედ ამ დროს რეზო შეეხმაურა.

— შევრიგდეთ, მამა...

დავითს თვალებში რგოლები აუთამაშდა და უნებლიე ცრემლების დასამალავად თავი ჩაღუნა.

— მაპატიე, მამა... რაც გინდა მომთხოვე, დამავალე, ყველაფერს შევასრულებ...

უცებ იფეთქა ძველმა, მინელებულმა რისხვამ. განახლდა სირცხვილის უმწარესი შეგრძნება.

— მომთხოვე, დამავალე!.. — ბოღმანარევი ხმით ჩამოკვესა.

— დავით! — მოესმა ლენას მუდარა. კარებში იდგა, კაბის გადაცმა ძლივს მოესწრო.

— რაო, „დავით“! რა გინდა! შვილი გააფუჭე და ახლა მეხვეწები? — და

მყისვე ხმა შეუწყდა. იგრძნო, რა უსამართლოდ დააკისრა მის მხრებს თავისი წილი დანაშაული. ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. მცირე დუმილის შემდეგ ნადვლიანად თქვა:

— რამდენი რამ შეგიძლია გააკეთო, რამდენი ავადმყოფის მორჩენა შეგიძლია, შენ კი... — და ისევ გაახსენდა მისი უმსგავსო საქციელი. ო, რა ჩამორეცხავს ამ სირცხვილს, რა მოაშუშებს მის ჭრილობას. წონასწორობა დაკარგა და შეკუმშული ხელები, ძარღვიანი, დროისაგან დაღარული, მაგიდას დაარტყა. — მიიხედ-მოიხედე შენს გარშემო, რა ხდება!..

— დავით! — ისევ მოესმა ლენას მუდარა, დედის ტკივილით დაკოდილი გულისწუხილი. შეხედა: ლოყებზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. ყელთან რაღაც მოაწვა და არაადამიანური ძალდატანებით შესძლო გამკლავებოდა მოზღვავებულ ცრემლებს. თითქოს დამშვიდდა კიდევ. მორჩილად მდგომ რგზოს მიუახლოვდა და დიდი გაჭირვებით უთხრა ის, რაზედაც აქამდე შიშით ფიქრობდა და არ უნდოდა საკუთარ თავსაც კი გამოსტყდომოდა:

— მე არაფერი არ ვიცი. გეყოფა მუქთახორობა, გესმის? — თავს ძალა დაატანა, რომ კვლავ არ გაბრაზებულყო და ხმა დაიოკა: — დღეიდან ჩემი შვილი აღარა ხარ, გესმის? წადი! მომცილდი! რაც გინდა გააკეთე, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი. მე არ მინდა უქნარა, ხულიგანი კისერზე მაჯდეს.


— მამა! — უმწეოდ დაიძახა რეზომ.

— მამა მაშინ მიწოდე, როდესაც დაიმსახურებ. — კვლავ მეხი ჩაუდგა ხმაში, კვლავ უწინდებურად შეუვალად დაიქუხა. — ახლა კი გიკრძალავ, შენ მოზობლის ღირსი არა ხარ!

მერე დავითი მძიმედ გაემართა კარებისაკენ. ბეჭებში მოულოდნელად მოხრილი, მოტეხილი. უხმოდ მიჰქონდა დაუმსახურებელი (თუ დამსახურებელი?) გულისტკივილი. ერთ წამს შეჩერდა, მოტრიალდა და სამარისებურ დუმილში, რომელსაც ლენას ქვითინი არღვევდა, იმედოდ დატოვა:

— ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება შენთვის... თუ კი... — ხმა ჩაეხლიჩა და ოდნავი ხრიალით და თავისთვისაც მოულოდნელად, მუდარით მიმართა — ოღონდ, მალე მოგვხედე, ბიჭო, ჩვენც ხომ მარტონი ვართ. შენს მეტი, აბა, იმედად ვილა გვყავს?!





ჰიმნორ ჰიმნორ

ლომის გამოღვიძება

... უდაბნო მუნჯია...

ვრცელია,
შიშველია.

უსაზღვრო სივრცეს
გახეც მხოლოდ თვალების ელვა,
დაყურსულ დუმილს შეაშფოთებს მოულოდნელად;

დაიბუხუნებს,
მგვრელი შიშის ქრუნტელისა,
ცას უშენს ღრიალს,
უდაბნოში ცახცახებს მიწა.

ლომია, ლომი...
მოდის,
თითქოს თქვენსკენ იჩქარის,
ბნელ ჯურღმულის ტახტს
ტოვებს მეფე —
ველური, ქღალი.

იღვიძებს მაშინ,
როს დადგება სადამო ბნელი,
კი არ კანკალებს
მსხვერპლის სუნით
ისე, ვით მგელი.

ხომ არ გგონიათ
ნავსადგურთან ტალღების თქეშში
მივარდეს, იქნებ
გაიმეტოს ზღვამ რამე ლეში.

არც როგორც ღამით
გაიძვერა, მსუნავი ტურა,
რომ ამოთხაროს ღამით მკვდარი
ჩუმაღ, ქურდულად.

გაივლის ველებს
ნაბრძოლს,
ნახმლევს
და ნატყვიარებს,
წყვილიაღშია და
მნათობთა ქვეშ დახეტილობს.

მნათობთა გუნდი
გზას უნათებს სხივთა ციმციმით,
თუ დღის სამყაროს
და მზეს უცქერს მეფე არწივი;

ლომი გასცქერის ღამის ვარსკვლავებს,
მიდის, მიარღვევს ღამის შავ რკალებს.
მიპყვება ღამეს ფრთხილი ნაბიჯით,
ცის თაღს იხურავს, მეფეა დინჯი.

სვამს სუფთა ჰაერს
თავის ბუნავს რაკი გაშორდა,
კუდს ირტყამს მძლავრად,
გვერდებს იშოლტავს.

და მუნჯ წყვილიაღში გარემონი
სდუმან და სდუმან...
ვერაგინ ხედავს,
არც ფეხის ხმა...
ის მიდის ჩუმად!



პიპა ჟან ბერანჟო

გაზაფხული და შემოდგომა

ორი დრო მეფობს პირველ ყოვლისა,
ვიმხიარულოთ, ბედს ნუ ვემდურით,
გაზაფხულს — სიტკბო ყვავილებისა,
შემოდგომაზე — ყურძნის ნაყური.

დრო-ყამი გარბის,
მოდი ვილხინოთ,
დავლიოთ ძმებო,
გახელდეს გრძნობა,
გაზაფხულია? — მშვიდობით ღვინო,
შემოდგომა? — მშვიდობით ტრფობა!

მომკლავს სურვილი ნიაღვარული,
უნდა გავექცე ღვინოს რეტიანს,
ამდენი ლხინი და სიყვარულიც
მომკლავს, მეტია, მეტის მეტია,

არც სიბრძნე გვირჩევს,
მუდამ ვილხინოთ,
ხან ლხინს,
ხან ტრფიალს გულის მინდობა,
გაზაფხულია? — მშვიდობით ღვინო,
შემოდგომაა? — მშვიდობით ტრფობა!

მაისი იყო მაშინ, როზეტას
მხურვალე გული რომ გადავეცი,
არ შემხვედროდა ლამაზი ნეტავ,
ექვსი თვის ურვით,
ექვსი თვის ცეცხლით.

სამაგიეროს დღეებს სალხინოს
ოქტომბერს ვთხოვდი მის დასაგმობად,
გაზაფხულია? — მშვიდობით ღვინო,
შემოდგომაა? — მშვიდობით ტრფობა.

შემდეგ დავშორდი კიდევ ადელას,
მოურიდებლად გული დავბურე,
მშვიდობით, — ასე ამბობდა ყველა,
დრო მოვა, ისევ მოგინახულებ!

ისევ შენთან ვარ სიმღერავ, ლხინო,
დროთასვლას გზას ვინ გადაუღობავს?!
გაზაფხულია? — მშვიდობით ღვინო,
შემოდგომაა? — მშვიდობით ტრფობა!

მაგრამ სურვილი და აღტაცება
ჰქრება, საწადელს მიტოვებს ობლად,
ამ ღვინით გული როდესაც თვრება,
უფრო ახელებს მორეულ გრძნობას.

საამურ დღეთა ფერხულში ვიყოთ,
პირქუშ დღეს შევხვდეთ სავსე ფილით,
გაზაფხულია? კვლავ, ლხინი მიხმობს,
შემოდგომაზე ისევ ტრფიალი!

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ჭავჭავაძემ



ფიქციური ფიქციონალი

— მაშასადამე, კვლავ ვმუშაობთ, არა? ძალიან კარგი.

ექვსი ამხანაგი ერთმანეთს შეხვდა ეზოს ყვავილნარში, სადაც პირველი კოკრები უკვე იფურჩქნებოდა. მიესალმნენ თუ არა ერთმანეთს, ზურგი შეაქციეს ქარს, ასე ძლიერ რომ უბერავდა მათ კეპებსა და ბერეტებს. რამდენი რამ იფიქრეს და გადაიფიქრეს ამ ორ კვირაში! ყოველი მათგანი ცდილობდა ამხანაგის სახეზე ამოეკითხა, თუ რა გადახდა მას ამ მძიმე თოთხმეტი დღის განმავლობაში!

— შმორის სუნია! — ამბობს მოხუცი ლეონი. და ვერც გაიგებ, ხუმრობს თუ სერიოზულად ლაპარაკობს. დაქანგულ ანჯამებზე ჩამოკიდებული კარი ჩვეულებრივ მძიმე ჭრიალით იღება. საჭირო შეიქნა მხრით მისწოლოდნენ მასწყეული ქარი ფეხდაფეხ შეჰყავა მათ ცივ სახელოსნოში და ჭუჭყიანი ფილებიდან ჟანგიანი ნაქლიბი მიხვეტ-მოხვეტა.

— იჩქარე-მეთქი! თუ მიიხურა, ველარ გააღებ.

გაუბედავად გადააბიჯეს მორკინულ ზღურბლს, სპეცტანსაცმელი არც კი გადაეცვათ, რომ მწკრივად შეჰყვენენ ლეონს სახელოსნოში, სურდათ გაეგოთ, თუ რა მოხდა მათს აქ არ ყოფნაში.

— საჭირო იყო ჯერ ჩვრებით ჩამოგვეგელო დასაწმენდად.

ყველაფერი ჟანგიანი მტვრით იყო დაფარული, ამძრავ ღვედზე თითის ოდნავ მიკარებაც კი მეტად უცნაურ ანაბეჭდს ტოვებდა

— რა საჭიროა. ქარი თვითონვე გადახვეტავს, მაგ ყურებსაც გამოგიფერთხავს.

და მართლაც, ქარი მძვინვარებდა, სახელოსნო მოგაგონებდათ ხვეული რკინის ჩვეულებრივ ფარდულს, რომელსაც ჰქონდა ორი ფართო ფანჯარა გამურული მინებით და მავთულებიანი ბადით. მთელი ფარდული სიგრძე-სიგანეზე დაფარლალელებული იყო ორპირი ქარისაგან და ვგონებ, მხოლოდ ამის წყალობით მოხდა, რომ ჯერ კიდევ არ წაქცეულიყო. ჭუჭრუტანებიდან საგონავეები ჩამოცვენილიყო, ქიმების გარშემო ნახვრეტებამდე რკინა მთლად ჩაქანგებულიყო. ქარი უსტვენდა ყველა კუთხიდან. მუშები ნელა იძვრიან. ირგვლივ ცნობისმოყვარეობით იხედებიან, თითქოს არდადეგების შემდეგ დაბრუნებული მოწაფეები არიანო. თუმცა რალა არდადეგები! კარგი არდადეგები ხვდათ წილად...

ქარი არხევს რკინის ფურცლებს, რომლებიც ისე ხმაურობენ, თითქოს თეატრის კულისებში ქუჩილს ასახიერებენო.

— ნამდვილი მეხმტყორცნი იუბიტერია, — იცინის ტონტონი.

* იბეჭდება მცირე შემოკლებით. (რედ).

ამ კომპანიაში ის მეშვიდე კაცია, მოწაფეა. მთელი კვირა სამეცადინოდ დიდს და მხოლოდ ხუთშაბათობით მუშაობს, დღეს კი სწორედ ხუთშაბათია.

— რის იუპიტერი, რა იუპიტერი, — კითხულობს მოხუცი ბონერი, თანაც მუბლზე აქვს მინებგაბზარული სათვალეები. ის ბორძიკობს, ხან რას წამოდებს ბაწრით დამაგრებული ფესხაცმელის ძირს და ხან რას. ქარი პირდაპირ სახეში აყრის ხისა თუ რკინის ბურბუშელას, რაღაც ქაღალდებს, ფურცლებს, გამხმარ ღეროებს, რაც კი ქარს შემოუტანია ახლო ბალიდან. გეგონებათ ქარს მთელი სახელოსნო ხიმინჯებზე შეუყენებიაო. კედლის გასწვრივ, იატაკის გაყოლებით ჭუჭრუტანაა, საიდანაც შემოდის დღის სინათლე. სახელოსნოს რკინის კორპუსი ზარისა და ხუფის მსგავსად გადმოუხურავს ამ შვიდ კაცს და დახგებსა და ძველ მანქანებზე ქარი ბატონკაცურად დანაგარდობს. ფეხებზე გცივა, თითქოს ყინულზე დადიოდე.

ღუმელის მილი ცარციით მოეჯღაბნათ. საოცარია, ამისთანა მძვინვარე ქარმა როგორ არ ჩამოანგრია იგი! ახლაც, ამ ორი კვირის შემდეგ შეიძლება მშვენიერად ამოიცინოთ ლეონ ბლიუმის ფიზიონომია, თუმცა მხოლოდ სამი შტრიხით დაუხატავთ. უღვაშები ქუდს მიუგავს, ხოლო ქუდი უღვაშებს. მის გვერდით ისარგაყრილი გულია დახატული. უეჭველია, ეს ტონტონის ნახელავია. იქვე მიუხატავთ ნამგალი და ჩაქუჩი, უფრო იქით კი წარწერაა: „ვაჟკაცურად ლილ!“ და შემდეგ: „ხვალ კრება!..“ მერე როდის იყო ეს „ხვალ“. ქვემოთ ვიდაცას ბამბის ბაწრით მიუტრავს რაღაც სტატია და „ვიუვრიერიდან“ ამოჭრილი სასაცილო კარიკატურა.

წინათ, როდესაც ამ სახელოსნოს პატრონი მოდიოდა, მუშებმა არა ერთხელ შენიშნეს, რომ იგი როგორღაც უცნაურად ათვალეირებდა ხოლმე სურათების „ვალერეას“, მაგრამ კრინტსაც არ ძრავდა ხოლმე. ეს ღუმელიც, ეს მილიც, ეს ცეცხლიც უფრო ამ მუშებისა იყო, ვიდრე სახელოსნოს პატრონისა. თვით მაშინაც კი, როდესაც მათ საგანგებოდ, სახელოსნოს პატრონისთვის წააწერეს: „სულ ერთია ჩვენს 25 პროცენტს...“ და სახელოსნოს პატრონმა მისი დასასრულის წასაკითხავად მეორე მხრიდან მოუარა.

გაბრიელი ადებს ღუმელის თუჯის პატარა კარს, რომელიც გამსკდარა და მავთულით დაუმაგრებიათ. იგი ღუმელის შიგნით იხედება, სუნი სცემს. ნაცარი ჩამყაყებულა, ისეთი სუნი უდის, როგორც უზარმაზარი ჩიბუხის ნამწვავს, ყველაფერს მიგდებულის სუნი უდის, და ქარიც, ამ მილში რომ უბერავს, სახეში აყრის ჩამქრალ-გაცივებული ნაცრის მტვერს. გაბრიელი სწრაფად ხურავს კარს.

სამი კვირის წინ, ამ სახელოსნოს პატრონმა ბოგარმა ისინი კაბინეტში გამოიძახა. ექვსივე ერთად გამოცხადდა, მათ მიემატა შოფერი ყირარდენიც. იგი პატარა საბარგო მანქანას დააგრიალებდა, მოჰქონდა დაკვეთები.

— ამჟამად, — დაიწყო ბოგარმა, — დაკვეთა სულ არ მიგვიღია... ყველაფერი ამოიწურა... შემდეგ იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ მძიმეა მისთვის ყველაფერი ეს. ბოლოს და ბოლოს ხომ სულერთია, გულწრფელად ამბობს ამას თუ არა. საბოლოოდ ამით არაფერი არ იცვლება: სულ სხვაა ცოლი... აბა როგორ გაუშვლავნებდი ამას... პირველი ხომ არ იყო ასეთი აღმაშფოთებელი ამბავი, ასე გრძელდებოდა ნახევარი წელი: სახელოსნოს დაკვეთა აღარ მიუღია, ერთხელ სამუშაო მხოლოდ ორი კვირისა მიიღეს. შემდეგ ახალი დაკვეთაც წამოესწროთ. თითქოს საქმე გამოკეთდა. ცოლებს მუშები ამაზე არაფერს ეუბნებოდნენ. ამჟამად კი არავითარი იმედი არ იყო. ერთი კვირის შემდეგ სახელოსნო

უნდა დახურულიყო. დასწყევლოს ეშმაკმა ეს არაყი. რამდენი გადახუნეს, მაგრამ ისე მოეჩვენათ, თითქოს უბრალო წყალსა სვამენო. რაღა დროს გაჭიანურება. სახელოსნოს პატრონი სულ ლაქლაქებს, რომ ის არაფერ შუაშია.. რომ ის მთლად უძლურია, რომ... იგი თითქმის ბოდიშობდა კიდევ მუშების წინაშე, თითქოს ეს მათ ძალიან ეხმარებოდეს. სახეზეც დამნაშავეს ელფერი დაჰკარავდა. ფართო ფანჯრიდან მოჩანდა ტურკუენის სახურავები, ფაბრიკები, არხები, სადგურის შენობა. ნისლიანი დღე იყო, სწორედ ისეთი, თითქოს ცა სულაც გამქრალიყო. ნაცრისფერი კვამლი, შემხუთავი; ფაბრიკების მხრჩოლავი სუნთქვა... არა, მეგობრებო, აქ ცას რა უნდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოიდგენ, რომ ტურკუენში მთელი ათეული ქარხანა ამავე მდგომარეობაშია და ვერც გაიგებ, მუშაობენ თუ ეს მათი უკანასკნელი დღეებია, ან რა აზრია ამ სიტყვებში — არავითარი ცა... განსაკუთრებით მაშინ, როდესაც... მაგრამ უმუშევრობა... უმუშევრობაში რაიმე აზრია?

შემდეგ იმ ექვსი მუშისთვის დაიწყო დაუსრულებელი უქმეები. მაგრამ განა ღირს ამეამად ამის გახსენება? ჯვარი დავუსვათ! ყველაფერი ეს უკვე შორს დარჩა... ახლა კვლავ მიღებულია დაკვეთა, — მთელი თვის საყოფი... ბედმა გავიღიმა და ესაა... ეზოდან ჯოჯოხეთური ხმაური მოისმის, რკინეულის კრიალი, ნაირნაირი ზარების წკრიალი. ქარმა ერთი ველოსიპედი წამოაქცია, შემდეგ ყველანი ერთად გადააბრუნა.

— ჩემი კი გაგორდა, აი! — ამბობს პოლი.

გადაბრუნებულ ველოსიპედებს შორის მან უმაღვე აღმოაჩინა თავისი. ხის საჭის მოტეხილი სახელური ბზრიალით გაფრინდა ბეტონის კედელზე.

— შენ, ჰეი, იუპიტერო, წესრიგი დაამყარე!

ტოტონი თავს ისე აჩვენებს, თითქოს ეს სიტყვები მას არ ეხებოდეს. მას სულაც არ სურს, რომ ასეთი მძიმე მეტსახელი შერჩეს. ძლივსძლივობით აღებენ რკინის მძიმე კარს. ქარი ძლიერდება და მუშებს კვლავ სახელოსნოში ერეკება... ეზოში ქარი წინ ეღობება მათ, ხან ჯიბეებში, ხან სახელოებში უძვრება, მუშები ხან ერთ მხარეს გარბიან, ხან მეორე მხარეს, კაცს ეგონება რაღაც უცნაურ ცეკვას ცეკვავენო. ისინი აყენებენ ველოსიპედებს და ფარდულში მიაგორებენ, ხელიდან კი მანქანები ეცლებათ. ფარდული დერეფანზეა მიკრული, რომელსაც მიჰყავხარ სახელოსნოს პატრონის ბინისკენ. არსებითად ეს მისი ბინის უკანა კარია. დერეფნის თავში დგას მუშებისათვის განკუთვნილი განჯინა. „ჩვენ ოჯახურად ვცხოვრობთ“, — ასე უყვარს სახელოსნოს პატრონს თავის შექება. ამ განჯინაში მუშები ჩასჩულავენ ხოლმე თავიანთ სპეცტანსაცმელს, უთავბოლოდ მიყრი-მოყრიან კეპებსა და ბერეტებს. იქვე ინახება, ასე ვთქვათ, მათი საერთო ქონება: დასტობით კარტი, კამათლები, სულ ერთიანად დაფურცლული, გაქონილი, ჭუჭყიანი წიგნები. ზოგს თავფურცელი გადახვია და ორი სიტყვალა შერჩენია: „ფარული ომი“... სანამ ისინი სახელოსნოში მუშაობენ, დერეფნის კარი ღიაა მთელი დღე, შედიან და გამოდიან, როგორც მოესურვებათ. კარს მხოლოდ საღამოთი, შინ დაბრუნებისას ხურავენ, მათი წასვლის შემდეგ ჟირარდენი ჰკეტავდა რკინის მძიმე ჭიშკარს. უკანა კარის გასაღები უკანასკნელ გამომსვლელს მიჰქონდა.

*

* *

მეორე სართულზე, იქვე კიბესთან, სახელოსნოს პატრონის კაბინეტია. ვიდრე მიუქაკუნებდა, ჟაკი ერთი წუთით შეყოყმანდა. ის მუდამ ცოტა უხერხუ-

ლად გრძნობს თავს, როდესაც სახელოსნოს პატრონთან ლაპარაკობს. რომ ვუთხრა: „ბატონო ბოგარ“ — ეს მეტისმეტი იქნება... უბრალოდ „ბოგარი“ რომ უთხრას, ან „ბატონო ლიუსიენ“, ესეც არ შეუძლია. მას ისიც არ მოსწონს, როდესაც სახელოსნოს პატრონი მას „ჟაკის“ ეძახის.

იმ საბედისწერო საღამოს, როდესაც ბოგარმა ერთ ჭიქა არაყზე მიიპატიჟა და სთხოვა, ცოტახანს მომიცადეო, ჟაკიმ არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მოხუც ბონერსაც შეეკითხა, როგორ მოვიქცეო. — ეშმაკმა იცის მაგისი თავი, — მიუგო ბონერმა, — იქნებ უმუშევრობაზე ჩამოგვიგდოს ლაპარაკი, ან პროფკავშირზე... რა თქმა უნდა, დარჩი, მოელაპარაკე. გაიგე რა სწაღია.

მაგრამ ბოგარს გადაჭრით არაფერი უთქვამს.

— ამ მდგომარეობიდან როგორმე უნდა გამოვიდეთ,

— ჟაკი, თქვენ რაღას იტყვი.

აბა ჟაკიმ რა იცის, უკეთ რომ ვთქვათ, მან როგორ არ იცის, მაგრამ რანაირად აუხსნას ბოგარს. თითქოს ასეთი საკითხების გადაჭრა ხუთიოდე წუთში შეიძლებოდეს, ან თითქოს მათზე, იმ ორზე იყო დამოკიდებული ყველაფერი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ იგი სულაც არ იყო განწყობილი იმ საღამოს სახელოსნოს პატრონთან პოლიტიკაზე საკამათოდ.

— იცით, ჟაკი, ეს ჩემთვისაც ხომ მძიმე დარტყმაა.

— აი, შედარებაც ასეთი უნდა! — წარბშეკვრით წაიბურტყუნა ჟაკიმ.

— მე მესმის... მაგრამ თქვენ თითქოს მიჯავრდებით. განა ეს ჩემი ბრალია. სხვა ამბავია, მე რომ ფაბრიკაში ორმოცდაათ კაცს ვამუშავებდე...

— ასეცაა, — კვლავ დაუდასტურა თუთიყუშოვით ჟაკიმ.

„მე ბატარა კაცი ვარ, მე ხომ ვიგინდარა მექარხნე არა ვარ...“

კეთილი, სწორია, მექარხნე არ ბრძანდები! მერე და რაო, ვითომ ამით ეშველება საქმეს? ჟაკიმ კუმტად ზურგი შეაქცია და დაცურდა. შემდეგ კიდევ რა? როცა საქმე ეხება ხელფასის მომატებას ანდა სხვა მოთხოვნებს, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბოგარი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა მექარხნეებისაგან. თავისი ნებით კაპიკსაც არ გაიმეტებდა. საჭირო იყო მოთხოვნა, დამტკიცება, გაფიცვა, მართალია, ბოგარი მაინცდამაინც დიდხანს არ გაჯიქდებოდა, მაგრამ რისთვის! იმიტომ, რომ სუსტი ხასიათისა იყო. დაუჯერებელია! სხვა არ იყო და იმიტომ. მთელი ეს სადილები, ხილი, არყები და მაგარი სასმელები, ათასნაირი გასეირნება ავტომობილებით სახელოსნოს დაარსების წლისთავის აღსანიშნავად, ან ილიაობა დღეს, — განა ჩვეულებრივი სახუმარო ხერხები არაა მეწარმეებისა?

ბოგარი კვლავ მიუჯდა საწერ მაგიდას, რომელზედაც ელაგა ცარიელი არყის ჭიქები.

ყოველ შემთხვევაში სულის მოთქმა მუდამ შეიძლება, ბატონო ბოგარ.

და ჟაკი გავიდა.

კარი მაგრად მიხურა და, ვგონებ, სულ ტყუილუბრალოდ ორი კვირის განმავლობაში მას არაერთხელ გახსენებია ეს სცენები, როცა სამუშაოს საძებნელად მთელს ტურკუენში უხდებოდა თავაუღებლივ ხეტიალი. არა, მათს სახელოსნოში, სადაც ექვსიოდე კაცია, არც ისე ადვილია მუშაობა კომუნისტიკისათვის, პროფკავშირის ხელმძღვანელისათვის. არა აქვს მნიშვნელობა, წმინდა გულით ირჯება ბოგარი, თუ ქისა უკარნახებს ამგვარად მოქცევას. ყველაზე ძნელი საკითხია, როგორ მოიქცეს თვითონ... დიდ ქარხნებში საკითხი ადვილად წყდება... იქ მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ, ან მსგავსი რამ... იქ ბრძოლის მთელი ასპარეზია გაშლილი... აქ კი, იმათთანაც — ბოგარი დგას.

ზოგ შემთხვევაში იგი აშკარა მტერია, ზოგჯერ კი მოკავშირედაც გეჩვენება. ჟაკი პარტიაში შევიდა მხოლოდ ომის შემდეგ. წლოვანებით იგი ახალგაზრდაა, სულ ოცდახუთი წლისა თუ იქნება და უკვე მხრებზე ერთიმეორეზე უფრო საპასუხისმგებლო საქმეები დააწვა. მას ეუბნებოდნენ: „თუ თავი მოგწონს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენგან კაცი გამოვა. არაუშავს, თუ ყველაფერს ერთბაშად ვერ მოერევი, თავის დროზე შენც ისწავლი“...

რა თქმა უნდა, მას თავი მოსწონდა იმით, რომ ამხანაგები ენდობოდნენ, მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა. იქნებ დამთმობი გადმოდგა და სახელი გაიტეხა, ასევე სახელი გაუტეხოს პარტიას, ანდა, პირიქით, ხომ შეიძლება გადამეტებული სიმტკიცე გამოიჩინოს მაშინ, როცა საჭიროა კამათი, მოწინააღმდეგის დაჯერება! სად არის საზღვარი! ისეთ კაცთან, როგორიცაა ბოგარი, ასე ადვილად ვერ გადაჭრი საკითხს.

შარშან, როდესაც ლილის ტრადიციულ ბაზრობას დაესწრო, ჟაკი შეჩერდა ერთი ვიტრინის წინ, სადაც სახარატო ჩარხის უახლესი მოდელი იყო გამოფენილი. ჟაკი ძალზე გატაცებულია მანქანებით. ჩარხი კი ძალზე ლამაზი იყო, ძლიერი, და შეიძლება ითქვას, თავისთავად, ადამიანის ჩაურევლად მოქმედებდა. აი, ამაზე კი ღირდა მუშაობა. ჟაკის მოუნდა მეზობლისათვის ნიდაყვი წაეკრა, — რა სჯობია, როცა ორი ერთად სინჯავს და ტკბება მანქანის მზერით! რაც არ უნდა იყოს, რახან ნამდვილი მელითონე ხარ, შენთვის უკეთესი სილამაზე არ შეიძლება არსებობდეს. მან მოიხედა. აი, შეხვედრაც ასეთი უნდა...

— ვგონებ, თქვენც დაინტერესებულხართ ამ მანქანით, არა? — ეს ბოგარი იყო. მან წინადადება მისცა, ეს ჩარხი ავტომობილით წაეღოთ ტურკუენში. ჟაკიმ რალაც მოიმიზეზა, უარი უთხრა და შინ დაბრუნდა მონაყზე გავლით.

დღეს კი ბოგარი თვით ეახლა ჟაკის. მან ისე დაამუხრუჭა მანქანა, რომ თვლებიდან შავი სითხე შეეფებად გამოინთხა. ბოგარი გადმოხტა მანქანიდან, კარებთან წამოეწია და ქაქანიო გადასძახა ჟაკის: — არის დაკვეთა... მიღებულა... გაიქე, ბიჭები გააფრთხილე... უთხარი, რომ სამუშაოს ნულარ ეძებენ...

სახე უბრწყინავდა. რატომ? მართლა იმათთვის ხარობდა, თუ თავისთვის?

*

* *

როდესაც ბოგარმა თავი კარებში შეჰყო, რათა ჟაკისთვის კარგი ამბავი ეხარებინა, ისეთი შმორის სუნი ეცა, თითქოს სარდაფში შეაგდესო. შუა ოთახში იდგა წითლად შეღებილი მრგვალი მაგიდა, რომელსაც მრგვალი ლაქები შესმობოდა. ოთახში კიდევ სულ წიგნებითა და ბროშურებით გამოტენილი თარო იყო. რა სიციყეა ამდენი წიგნი! მაგიდაზეც გაშლილი წიგნი დევს!.. ასეთ ქონებაში ამდენი წიგნი! ხომ არ შეიშალა ჟაკი! ანდა რა წიგნებია ეს წიგნები!

ტურკუენიდან გამოსვლისას, როცა ხიდზე გადადიოდა მანქანით, ლიუსიენ ბოგარს მოაგონდა ჭუჭყიანი ეზო, წყალსადენი მილი და საუბარი ჟაკისთან, რომელიც ორი კვირის წინ იყო მათთან. გასაგებია, რომ შედარებაც კი არ შეიძლება, მუშებს უმუშევრობა აწუხებდათ, მას კი სახელოსნოს უხურავდნენ, მაგრამ რაც არ უნდა თქვან, მას თავისი ჩვევები ჰქონდა, საკუთარი ცხოვრება. ამ ქვეყანაზე ათასი რამაა ისეთი, რაზეც მათ წარმოდგენაც არა აქვთ და არც უნარი შესწევთ ამაზე ფიქრისა. დიახ, დიახ... მისთვის, ბოგარისათვის, ეს ძლიერი დარტყმა იყო...

საჭიროა ყურადღებით თვალყური ადევნო ეზოს. მაშინ ბევრს აღარ

იფიქრებ, ასე სჯობია. იგი გაუბრბოდა ფიქრებს, რადგან ეწინოდა საკუთარი ფიქრებისა, თითქმის სცხვენოდა, ვინაიდან იცოდა, რომ ეს ფიქრები საღდაც წყვდიადში მიჩქმალულიყვნენ...

*
* *

მუშები ახალმა დაკვეთამაც ვერ მოასვენა... ამ დაკვეთამ და ქარმა... ქარი მძაფრად უბერავს ყურებში, ტვინს აბნელებს, გარხვეს... თითქოს ადამიანი კი არა ლერწამი იყო.

ნახევარ საათში შრომის სუნთქვამ უკვე გაათბო სახელოსნო. როდესაც ჩარხები აამუშავეს, ჟაკიმ და სოციალისტმა გასპარმა, რომელსაც კისერზე მუდამ გრძელი შარფი ჰქონდა მოხვეული, ერთმანეთს მღელვარებით გადახედეს, შეეწყობიან თუ არა სამუშაოს. ხდება, როდესაც მოცურავე, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, გაუბედავად ეშვება წყალში... მაგრამ არა უშავს რა, თანდათან ეწყობიან!.. შემდეგ ამუშავდა ორი წნეხი. მათ ნელ-ნელა დაიწყეს ლითონის ცოხნა, ისე, როგორც ღამით ნახევრად ძილში წასული ძროხები იცოხნებიან. „იუპიტერი“ რალაცას მღერის, თანაც რალაცას ენერგიულად ქლიბავს. დროდადრო იგი ჩერდება და ქლიბს გვერდით სდებს, რომ ნამუშევარი შეამოწმოს..

— რაც არ უნდა თქვა, მაინც საზიზღრობაა! — თქვა ბონერმა, აკეთებ, ხოლო რას — თვითონაც არ იცი.

— ყოველ შემთხვევაში ფოლადია, მამასადამე, საჭირო რამაა.

— ნეტავ რას ვაკეთებთ? გასპარმა გამოხატა პირველი ცილინდრი, მონდომებით გაიწმინდა ხელები, არანაკლები გულისყურით შემოასუფთავა დეტალი, თითქოს გაპრიალეზა სურსო. შემდეგ გაქონილი ჩვარი უკვე ჩამქრალი ღუმელისაკენ გაისროლა და ფეხის კვრით მიხვეტ-მოხვეტა ფოლადის ბურბუმელა, რათა ახალი დეტალებისათვის ადგილი გაეთავისუფლებინა, ცილინდრი ხელის გულზე დაიდო, გადაატრიალ-გადმოატრიალა. დანარჩენებიც ირგვლივ შემოეხვივნენ. ყველას უნდოდა დაენახა დეტალი, ხელით შეხებოდნენ. ნეტავ რისთვის სჭირდებათ იგი?

— მაჩვენე ერთი, — სთხოვს ჟაკი გასპარს. მძვინვარე ქარი არყევს სახელოსნოს, როგორც ტილოს კარავს. ლურჯი ნათურები მძიმედ დაქანაობენ ბაწარზე.

— ნახავ, თუ ჩვენც თან არ გადავყვეთ ამ ძალღურ ამინდს.

— ტონტონ, შე ჭინკა, შენა. გასწიე შარფი! ხომ არ გინდა, რომ ამ ღვედმა შენც თან გაგიტანოს. ახლავე მოშორდი ჩარხს, გესმის თუ არა!

ტონტონი შეჰყურებს ვერტიკალურად ამძრავ ღვედს, რომელიც მოძრაობას განაგრძობს.

— არ მესმის, რა უნდა იყოს, — ამბობს ჟაკი და ფრთხილად თითს აყოლებს მოხრახნილ ჭრილებს. კეთილი, წავალ და წავუღებ...

*
* *

ბოგარი სწორედ ამ დროს ტელეფონით ლაპარაკობდა. მოჰკრა თუ არა თვალი ჟაკის, რომელსაც ხელში დეტალი ეჭირა, ყურმილს მაშინვე დააფარა ხელის გული.

— კარგი, შემდეგ იყოს.

თანაც ადგილი უჩვენა მაგიდასთან, რომელზედაც დეტალი უნდა დაედო, და გაუღიმა. ამით სურდა შეენელებინა ის შთაბეჭდილება, რაც უაკიზე მისმა ბატონკაცურმა მანერებმა მოახდინეს.

უაკი ცდილობდა ფეხაკრეფით გამოსულიყო. ბოგარმა ყურმილს კვლავ დააფარა ხელი და ჰკითხა:

— ფირფიტები რაღა უყავი!

უაკიმ ანიშნა, ახლაცე მოგიტანო. ბოგარმა ყურმილი ჩამოჰკიდა.

უაკი გავიდა.

ახლა ბოგარმა დაიღო ხელის გულზე ცილინდრი და ისე ამოწმებდა მის წონას.

„იუჟიპერვალ!“.. „იუჟიპერვალ!“..

აგერ ეს ორი ღღეა ბოგარს თავიდან არ შორდება ეს „იუჟიპერვალი“, მაგრამ ამ დილით, ჯერ კიდევ ნახევრად ძილში, მას თითქოს ნათელი მოეფინა... 1939 წელს, უკეთ, 1938 წელს ის სწორედ ამნაირ ფოლადზე მუშაობდა, მაგრამ რა დანიშნულება ჰქონდა ამ ფოლადს, ახლა აღარ ახსოვდა. ამასობაში კი ეს უცნაური სიტყვა თითქოს ემალეზობდა. მართლაც, თვალდახუჭული მუშაობ, როგორც ჰინანტვლა... ცილინდრი. ვის რაში სჭირდება? და ბოგარმაც სწორედ ისევე, როგორც წუთის წინ უაკიმ, მოხარატებულ ხრახნებს თითი გააყოლა.

დეტალი ქაღალდზე დასდო. ახლა სხვა ფიქრმა გაიტაცა. ზაფხულია ახლა მისი საფიქრებელი, მაგრამ არა ის ზაფხული, როდესაც დაიღუპა მარი, არამედ ის, რომელიც შარშან გაატარა მან ჟოზისთან ტუქეში, მან თან წაიყვანა თავისი ბიჭები, რადგან ტერიემ იაფად დაუთმო ავტობუსში ადგილები. ჟოზის არ უყვარს წყალი, ზღვის წყალი... მაგრამ სილას პირდაპირ აღმერთებს. იგი თითქოს იმისათვისაა გაჩენილი, რომ ნებივრად იწვევს პლაჟზე და უღიმოდეს ხან ქვიშას, ხან მზეს. ის მისი ჟოზეა...

ფანქარი ანაზღვეულად ხაზავს ბიუარზე ცილინდრს, შემდეგ მეორეს, მესამეს, ზედიზედ მიყოლებულ ფირფიტებს. მალლა და დაბლა... მარჯვნივ. დიახ... ერთი... ორი... სამი თუ ოთხი ფურცელია ცილინდრის ირგვლივ. ლამაზი ყვავილია, წარმტაცი ფოლადის ყვავილი... ჟოზისათვის რა თქმა უნდა... იღება კარი. უაკის შემოაქვს ფირფიტები.

აჰ, აი როგორი ყოფილა ეს ფირფიტები!... და ბოგარმა ბიუარის გვერდით დაალაგა ეს პატარა, თითქოს სათამაშო ნივთები.

*

* *

პირველ ხანებში სხვებივით უაკიც მხოლოდ ცნობისმოყვარეობით იყო შეპყრობილი. შემდეგ მან გაიხსენა ბიუარის ფურცლებზე მოხაზული სურათები ბოგარის კაბინეტში. და მაშინ ყველაფერს მიხვდა.

ცილინდრი და ფირფიტები ერთ დეტალს წარმოადგენენ. ჯერჯერობით მას არ უნდოდა ამხანაგებისთვის რამე ეთქვა ამ საგანზე. რა უნდა ეთქვა! ჯერჯერობით თვითონ უნდა გარკვეულიყო სინამდვილეში. როდესაც თავის დაზგასთან იდგა, იგი ფირფიტას და ცილინდრს ერთმანეთზე ადებდა, თანაც ცდილობდა არ შეენიშნათ სხვებს, როგორც ამას იზამდა მოწაფე, რომელიც მერხის ქვეშ, საიდუმლოდ ქაღალდის მტრედს აკეთებს. გალაქულ თითებში დეტალი სრულიად უხმოდ მოძრაობდა, თითქოს ქაღალდიდან გაუკეთებიათო. მაგრამ ბოლოს უაკი ყველაფერს მიხვდა. ეს მოხდა მაშინ, როცა იგი პატარა სა-

ხარშავ კამერაში შეიმალა და სასწრაფოდ ერთმანეთს შეუკავშირა ცილინდრი და ოთხი ფირფიტის ფრთა. თითქოს გული ჩასწყდაო, წარმოუდგენელმა რისხვამ იფეთქა მასში.

საზიზღრები!..

საზიზღრები!..

მან უკვე იცოდა, რაც იყო ეს. მას ხელში ეჭირა ფერადშუშებიანი ხის ნიღაბი, მისი საშუალებით იგი ხედავდა, როგორ კრთოდა სანათური და მძიმე რეზინის შლანგი, მასთან მრგვალი, ვიწრო მილაკი, საიდანაც ინთხეოდა თვალისმომჭრელი ალი. ხელი არ ემორჩილებოდა. იგი ჩქარობდა, თითქოს ფეხდაფეხ სიკვდილი დასდევნებიაო. უჩვეულოდ თეთრი სინათლე დაბლიდან ამუშქებდა მას. ჩრდილები უცნაურად ეშვებოდნენ აქეთ-იქიდან. ნიკაპის ჩრდილი თვალეზე გაიშალა, თვალებიდან შუბლზე, ასე რომ, მთელი სახე აერია.

საზიზღრები!

საბოლოოდ, როგორც იყო, დეტალი გამოიხარშა, ჟაკიმ ხელში აიტაცა ჯერ კიდევ ცხელი ლითონი, თითქოს დაჭრილის სხეულიდან ნაღმის ნამსხვრევს იღებდა, ან თითქოს ხელით ეხებოდა მძიმე, მომაკვდინებელ იარაღს.

იგი გამორბის სახელოსნოს შუაგულში.

— შეხედეთ, აი, რა უნდა გაეკეთებინებინათ ჩვენთვის.

მუშებმა ვერაფრის გარჩევა ვერ მოასწრეს, რომ ჟაკიმ სწრაფად ჩაურბინა მთელ სახელოსნოს და ხელის გულიდან ხელის გულზე გადაჰქონდა მხურვალე ლითონი.

რა ეშმაკები შეუძვრნენ თავში ჟაკის!

მუშებმა არ იციან რა იღონონ... ყველანი თავს იყრიან გაბრიელის ჩარხთან, გასასვლელის მახლობლად და იქ იცდიან.

ჟაკიმ ჩამოირბინა კიბეზე, სამი საფეხურიდან გადახტა და პირდაპირ, დაუჟაკუნებლად გააღო კაბინეტის კარი. მას უნდა ეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა და მეტისმეტად ხმადაბლა მოჰყვა ლულულუს:

— აი თურმე რას გვაკეთებინებდით!...

— ეგ რა არის? — გაოცებით ჰკითხა ბოგარმა და სავარძლიდან წამოხტა. მას თვალი ვერ მოუშორებია ჟაკის ხელის გულზე მთრთოლვარე შავი ლითონის ნაჭერისათვის.

— ეგ რა არის?

ისე უჭირვს თავი, თითქოს მართლა არაფერი იცოდეს. ჟაკი აირია. მას ყველაფერი დაავიწყდა, რაც პირდაპირ უნდა ეთქვა ბოგარისათვის. წუთით შეყოყმანდა, ჯერ ვერაფერი გადაწყვიტა, შემდეგ ზურგი შეაქცია და კვლავ ხმაურით აირბინა კიბის საფეხურები, თან ხელიდან არ უშვებდა დეტალს.

სახელოსნოში დეტალი პირველ ჩარხზე დასდო. მუშები გარს შემოეხვივნენ.

— რა არის აი ეს!..

მას დიდად ესიამოვნა, რომ ამ სისაძაგლისაგან ხელი გაითავისუფლა.

ბონერმა მაშინვე ხელი დაავლო დეტალს.

— მომეცით, ერთი ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს სიბინძურე, — შესძახა მას პოლიმ.

— ძაღლის დაყრილები! — შესძახა გაბრიელმა, — ეგ ხომ სტაბილიზატორია!

— სტაბილიზატორი!

ბონერმა უეცრად უკანვე გადაავლო დაზგაზე დეტალი, თითქოს ხელის გულ-

ზე ედო პატარა, საზიზლარი, შხამიანი ცხოველი, რომლის ოდნავი მიკარებაც კი გულს ურევს კაცს.

— სწორია! ეს ბომბების სტაბილიზატორია!

— რაკეტის ჭურვის კუდია, კუდი!..

— არა, ტორპედოსი!

სახელოსნოში სიჩუმე გამეფდა. აღარავის აქვს სურვილი, რომ ილაპარაკოს. თითქოს აღარც ქარი ხმაურობს. მუშები უკვე მიეჩვივნენ მის ღმუილს.

და, მართლაც, დეტალი უსაძაგლეს, მაგნე, პატარა ცხოველს წააგავდა. იგი იზრდებოდა ორ გახვრეტელ ფრთაზე, ხოლო მეორე წყვილი ფრთა ზემოდან ჰქონდა აშვერილი, თუმცა ეს წყვილი ფრთა ფრთა კი არ იყო, არამედ ყოვლად მახინჯი თევზის მჩხვლეტავი ფარფლი. ის ხრახნისებრი ჭრილი ისე მოსჩანდა, როგორც დაღებული ხახა, რომელიც ერთის შეხედვით ნახშირის შავი ლაქები ან ხელები გეგონებოდათ... ნამდვილი გომბეშოა!..

მუშები თვალს არ ამორებენ, გაბრიელი ჯიბიდან იღებს პატარა კოლოფს, ნელა ხსნის და პაპიროსის ფურცელს ხევს წიგნაკიდან. მუშები კვლავ თვალს ადევნებენ, კოყრიანი თითებით როგორ იღებს თამბაქოს ღეროს... ისინი ხედავენ, თუ როგორ უთრთის გაბრიელს თითები... იგი თამბაქოს ღერს სიგარად ახვევს, როგორც ამას განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი აკეთებს. თხელი, თეთრი ქაღალდიც თრთის მის ხელში, რამდენიმე წუთის განმავლობაში მხოლოდ თამბაქოს მსუბუქი შრიალი ისმის.

და კიდევ ერთი: ორივე ნამცეცი ეცემა იატაკზე, როგორც ეს ხდება ხოლმე მუდამ...

ბოგარიც ჩაბრძანდა სახელოსნოში. მან არ იცის, როგორ გაიგოს მუშების მძიმე დუმილი. დაზვიდან იღებს დეტალს და უსიტყვოდ უკანვე მიდის.

მართლა, ბონერმა რაღაცა ამის მსგავსი წაიბურტყუნა:

— ჩვენ არ ვიქნებოდით, სულ ერთია, სხვები გააკეთებდნენ...

მაგრამ გარკვევით კი ვერ ამბობს ამას, იგრძნობა, რომ ისიც მიმხვდარია, რა უგუნურად მოიქცა, თავს მაღლა სწევს, ყველანი მას შეჰყურებენ.

ყოველი მათგანის გულში იზრდებოდა მრისხანე გადაწყვეტილება:

„არასგზით!“

ეშმაკმა წაიღოს მათი თავი, რამდენი რამ კარგის გაკეთება შეიძლებოდა!

სახურავიდან შეშის ნამსხვრევები ჩამოვარდა და დაეცა შავ მუშამბაზე, რომელიც გაშლილია უმოქმედოდ გაჩერებულ ჩარხზე. მუშები თითქოს შეკრთენო, აქეთ-იქით გაიხედეს, თითქოს მათ გვერდით მიცვალებულის გვამი შეირხაო.

— რამდენი კარგი ნივთის გაკეთება შეიძლებოდა! — ისინი ერთხმად ეთანხმებიან ყაკის.

ის კი კვლავ კიბეზე არბის.

— ეს რა ეშმაკი დამარბენინებს ზევით-ქვევით?

ვნახოთ რას იტყვის სახელოსნოს პატრონი.

— აი რა, ბატონო ბოგარ, იცოდეთ! ამას ჩვენ არ გავაკეთებთ!...

ბატონი ბოგარი მარტო დგას კაბინეტის ცენტრში, დგას სინათლისაკენ ზურგმუქეული. ყაკის ვერ გაუჩივია მისი სახის გამომეტყველება. ბოგარი არაფერს პასუხობს და ასე ხმის ამოუღებლად ფეხსაცმლის წვერით აჩვენებს იატაკზე, სადაც რაღაც ვლია.

ეს სტაბილიზატორია. მაგრამ რა სახის ორი ფრთა შეხლართვია, მთლად შეკუმშვია, თითქოს ვიღაცას კედელზე შეუნარცხებია.

კედელზე კი ჩანს რაღაც ნახვრეტი.

ჟაკი კვლავ კიბეზე ეშვება.

იქ, სახელოსნოში ამხანაგები ელიან მას. რა თქმა უნდა, მხიარულ გუნებაზე არ იქნებიან. მიუხედავად ამისა, ისინი დგანან დაძაბული და თვალეში სიამაყე უგიზგიზებთ. ცრემლი კრთის ჟაკის წამწამებზე, მაგრამ ის ნებას არ მცემს, რომ ლოყებზე ჩამოუგორდეს, — ამას ვერაფერს გაიგებს... ვერასოდეს...

იმ დღად წუთში, თუმცა სახეებს მკაფიოდ ვერ არჩევდა და მხოლოდ ბუნდოვან მოხაზულობას მისჩერებოდა, ჟაკის წამწამებზე შეყინული წვეთებიდან ისე ეჩვენებოდა, თითქოს მათს შექახილს ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანი იმეორებდა:

— არასგზით!.. არა!.. არა!..

ფრანგულიდან თარგმნა
სერგო თურნავამ



გაიოზ ნიჟნიანიძე

ყაყაჩოს ფერისცვალება

კინომოთხრობა

სართულებს შორის ფრთხილად, მაგრამ სწრაფად დააბიჯებს მშენებლობის უფროსი, სწორედ ის ზორბა ტანის რუსი, რომელიც, ამ დილით იოლად გადაურჩა მილიციელის ჯარიმას! აქედან ხელისგულივით მოჩანს თბილისი, საბურთალოს კომპლექსის ახალმშენებლობები.

წეროსფეხა ამწე სათამაშოსავით იტაცებს მაღლა ხე-ტყით დატვირთულ პლატფორმას, სულმოუთქმელად ბზრილებენ ცემენტმარევი მანქანები, ელექტრომშენებლები ლურჯი სათვალეებიდან დასცქერიან ღვარად მოდენილ ლითონის ნაპერწკლებს, თვითმცლეებს გაუთავებლად მოაქვთ ღორღი, ცემენტი, ყოველი წერტილი მოძრაობაშია. მაშ ეს რაღაა, ეს ქალაქი რაღას უდგანან აქ სართულის კუთხეში? განმარტოებულან, გატრუნულან... ვერაფერი საპაემანო დრო და ადგილი მოუძებნიათ, ხალხი მუშაობს, ესენი კი...

— გააკოებ, — ჩურჩულებს ვაჟი.

— მაკოებ და მიიღებ აგურს თავში, — დიმილით ამბობს გოგონა.

— აგური რომ იყოს, კოცნის დროც არ იქნებოდა.

სამუშაოთა მწარმოებელი და მშენებლობის უფროსი კანტორაში შედიან.

— მთავარ ინჟინერს არ დაუტრეკია?... კითხულობს, — დღესაც თუ ვერ მოვზიდეთ აგური, ის კალატოზი სულს ამოხდის იმ გოგოს კოცნით — მაგიდას მიუჯდება და ტელეფონის ზარს ელის.

ტელეფონმა დარეკა.

— უპასუხე, — ეუბნება დობროდევეი სამუშაოთა მწარმოებელს, — და თუ ისევ ის „თბილისილითიტკბილაბოსტანია“, უთხარი იმ აბეზარაძეს, ჩვენი გაჭირვება გვეყოფა, გვაკალე-თქო.

— მთავარი ინჟინერი გკითხულობთ...

— ოო... მაღლობა ღმერთს... დიახ, აჰა, დიახ, გავიგე, გავიგე, რომ ივან მიხაილოვიჩი ვარ... არაფერი გამოდის? ასე გეთქვა თავიდან. ჰმ, ესე იგი აგურის მესამე ქარხანა თუ რამეს დაგვეხმარება, თორემ ისე ჯერჯერობით არაფრის იმედი გქონდეთო? კარგი იმედია, შენ ნუ მომიკვდები, — ჰკიდებს მილს და განაგრძობს, — ფონდით აღარ გეკუთვნით ამ კვარტალშიო. „Тихо едешь, дальше будешь“... ვინ მოიგონა ნეტავ, მშენებლობაზე არ გამოდგება ეს სიბრძნე.

მძლოლი ცოტა მოშორებით ეზოს კუთხეში მუშებთან იდგა, ლაზღანდარობდა და მანქანის გასაღების ძეწკვს საჩვენებელ თითზე აქეთ-იქით მოუსვენრად აბზრიალებდა.

— არაფერი გამოვა, — უწურავდა წყალს ბიჭებს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი მაგ ძეწკვივით შენ ხელთ იყოს და წაღმა-უკუღმა ატრიალებდე. აი, ნახე ივანე თუ არ იშოვნის მასალას... მიდი, მიდი, ხაზინი გეძახის, — უთხრა მას შეგვერემანმა კალატოზმა.

— აგურის მესამე ქარხანაში! — მანქანა ადგილიდან მოწყდა.

ქარხნის დირექტორის კაბინეტი თამბაქოს კვამლში იძირება. დობროდევეი გაცხარებით ლაპარაკობს, დირექტორი მიხეილ ნაკაიძე კი მხრებს იწურავს და ჩანს, უარსება.

— რა გიყოთ, ივან მიხაილოვიჩ, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული სხვა საქმეა. ვისაც ფონდით ეკუთვნის, იმას ხომ ვერ დავაკლებთ, თქვენ კი... აი, ვნახოთ, ჩავიდეთ, გამოწვის საამქროს უფროსს ვკითხოთ, თუ დავგვირდება, თუ გვემის ზევით მოგვეცემს რამეს, თორემ ისე წყალი გადაწურულია.

გრილებს გამოწვის ღუმელი, ცეცხლის შუქზე ოფლით შეყონილი სახეები ულაპლაპებთ

* დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 5.

მეგუტრებს. კორპუსიდან გრძელი დერეფნის კარებში გამოჩნდა საამქროს უფროსი, მისკენ მიმავალი დობროდევეი რომ დაინახა, სახე გაუნათდა, გულლიად გაიღიმა და ხელგაშლილი შეეგება, თან აღმოსავლურ კილოზე ჩემად წაუღიღინა:

„მოზრძანდით, გელთ გაშლილი ხელით“.

— როგორი ხელგაშლილი მასპინძელიცა ხარ, ახლავე ვაგივებთ, — შორიდანვე შეაპარა ივანემ. მანქანების ხმაურში იფარება მათი საუბარი. მასპინძელი მიწას დასცქერის, ყური ახალ-მოსულისთვის მიუპყრია, ნიკაპს ხელით აწვალებს, თითქოს პასუხის მიცემა უჭირდეს, ბოლოს მაინც იძალა დობროდევემა.

— ვიცი, ვაგივებთ, მაგრამ ძმა ძმისათვისო...

ორი ვეჯკაცის ხელი ერთმანეთს შემოეჭდო.

— კეთილი, იქნება, მეტი რა გზაა, რახან ასე საჭიროა, უნდა ვაგაჩინოთ. დღეს კი იცოდე, ახალსახლობა მაქვს და თუ არ წამომყევი, დაემშვიდობე აგურს. არ ვარგა ასე, პურ-მარილი დაგვიძველავ.

დობროდევეი თავს უქნევს, დირექტორის კაბინეტში შერბის გახარებული და ტელეფონის დისკზე საჭირო ნომერს კრეფს — მანქანებია საჭირო, აგური სასწრაფოდ უნდა გადაზიდონ.

სამუშაოთა მწარმოებელი არანაკლებ გახარებულია ამ იღბლიანი სტუმრობით. მშენებლობის უფროსს კუღში დასდევს, წამდაუწუმ ეკითხება:

— ეს კაცი ვინ არის, ივანე მიხაილოვიჩი, ვინ არის ეს კაცი?

— ამას დღეს მის ოჯახში ვაიგებ. წადი ერთი, თუ ძმა ხარ, გარეთ სოფლელი ბიჭი დგას, ყვავილებს ყიდის, უხერხულია, ახალსახლობაზე, სხვა თუ არაფერი... ხელცარიელი ხომ არ მივალთ, ყაყაჩოების თაიგული იყიდე, სიკეთედ დაებედება ოჯახს.

სამუშაოთა მწარმოებელი უკანმოუხედავად გარბის.

— სადაური ხარ, ბიჭო? — ეკითხება შავტუხა ბიჭუნას.

— კრწანისელი.

— ყოჩაღ! — ანგარიშმიუტემლად ამბობს გახარებული და სანამ დობროდევეი მშენებლობაზე დარეკვას მოასწრებს, უკანვე ბრუნდება წითელი ყაყაჩოების თაიგულით ხელში. — ახლა მაინც მითხარით, ვინ არის ის კაცი?

გრიანებს გამოწვის ღუმელი, წინ და უკან სწრაფი ნაბიჯით დადის საშუალო ტანის, ხმელი პირისახის შეგვერემანი მამაკაცი — აგურის გამოწვის საამქროს უფროსი. იგი ღუმელის ხან ერთ თავშია, ხან მეორეში, განკარგულებებს იძლევა, აგურის წვას აკვირდება.

...იცით ვინ არის ეს კაცი?

...ცეცხლში გახვეული ქალაქი. დამწვარი, მიმქრალი კერა. ცეცხლის ენებში ნაცრად რქევა აგურ-აგურ ნაწყობი ციხე. დგას მწითური სპარსელი, ჩალმოსანი, ბორთი ღიმილით შესცქერის ივარქმნილ სახლკარს და სიამით ისვამს ჟღარ წვერზე დამქნარ ხელს... ახლა შეგაბრუნოთ შეგბნელი წარსულის ეს სურათი და ისევ: დაიძრა და წამოვიდა კვამლი, ნაცარი, შეტბორდა, აგურის ფორმა მიიღო. მოდის ცეცხლის გრიანში ეს აგური და ისევ იწვის. ცეცხლსა და აგურს კვლავ შესცქერის სახეზე ღიმილმომდგარი კაცი. ის იყო წინათ — ეს არის დღეს. მაშინაც იღვა სპარსელი, ბორთი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და დღესაც დგას ისევ სპარსელი — ნავრუზ ალი ოდლი ალიევი, შესცქერის ღიმილით, როგორ იწვის აგური. მაგრამ რამდენი განსხვავებაა ამ ორ ცეცხლსა და ღიმილს შორის. იწვის აგური იმისთვის კი არა, რომ ნაცრად იქცეს — არამედ იმისათვის, რომ სიმტკიცე შეემატოს და ძმობის ხელით ნაშენი ფუძე არასოდეს წაიქცეს...

ქარხნის ეზოში ზედიზედ შემოდინ სატვირთო ავტომანქანები.

— იქნება აგური?

— იქნება!

— ეს ყველაფერი კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, მოცილილი კაცი ყოველთვის უფრო ახლოა ფათერაკთან, მით უმეტეს შეყვარებული. შალვა მეორე სართულთან გადმოგვივარდა, „სასწრაფო დახმარებით“ წაიყვანეს.

— რას ამბობ, ბიჭო, ააუჰ! — ხელი ხელს შემოჰკრა დამხედურმა, — ეგდა გვაკლდა სწორედ. როგორ მოუვიდა?

— რა ვითხრა, ხომ იცით, უყვარს ის გოგო, ნატა ლიუბიმცევაზე გეუბნები, ვეღარ მოათავა „რომანი“... იმას მისდევდა მეორე სართულზე და უეცრად...

— ძალიან დაშავდა?

— მოტეხილი, მგონი, არაფერი არ უნდა ჰქონდეს, ისე კი დიდძალი სისხლი დაჰკარგა.

ამწემ აგურების ჩაწყობა დაიწყო ავტომანქანებში. ნავრუზი და მისი სტუმრები კი ქუჩაში გამოვიდნენ.

გამოჩნდა ბაღში ჩამჯდარი კობტა სახლი.

— ისე უტბად წამოგვიყვანე, ნავრუზ ალი, სხვა ვერაფერი მოვახერხეთ... ყაყაჩოს მაინც დავიბეღებთ, ჩემო ძმარო, ოჯახში... კაცმა რამ თქვას, დღეს პურ-წყალის გუნება გამიფუჭა ამ ბიჭის ამბავმა, — ახლა აქეთ მოუბრუნდა დობროდევი სამუშაოთა მწარმოებელს. — როგორა? დიდძალი სისხლი დაჰკარგავო, არა?

— ყველას თავისი მკურნალი ჰყავს, ივანე, დარდიან გულზე ოჯახში შესვლა არ ვარ-გა... — მიუხალოდნენ სახლს.

— ავაშენა ღმერთმა, ნავრუზ ალი, ხელი გავვიმართე.

— სხვა აბა რისთვის ვარსებობთ, შე კაი კაცო... — ახალმშენებლებს გასცქერის, — 1926 წლიდან ამ ქალაქში ვმუშაობ, ამ ქარხანაში, თბილისში ახლა სახლი არ დგას, ერთი ჩემი აგური მაინც არ იღოს ზედ, — მერე გაიღიმა, — ძველ ვალებს ვიხდი. — თქვა და კარებს ხელი ჰკრა, — დიასახლისო, სტუმრები მოგიყვანე.

ბეოლიეთის ქუჩაზე, 600-მდე კვადრატულ მეტრ მშენიერი ბაღში ალუბლის, ჭერმისა და თუთის ხეები საამოდ შრიალეზენ, ვაზი ყვავილობს.

მწვანეში გაიარეს, სახლს შემოხედეს, სარდაფში ჩავიდნენ.

— აქ ჭურები უნდა ჩავყარო, რამდენი სადღევრძელოა დასალევი. — ამბობს ნავრუზ ალი.

სახლის კიბეებზე დიასახლისი მეზობლებს მიუძღვება. სწორედ იმ დროს გამოჩნდნენ სახლის პატრონი და მისი მეგობრები, როცა ახალმოსულებმა კარის ზღურბლზე ფეხი დაადგეს.

— ამ მარჯვენამ და ამ ხალხმა, ჩემმა კეთილმა მეზობლებმა ააშენეს ეს ახალი ფუძე, ინტერნაციონალური სახლია ნამდვილი. — ღიმილით განაგრძობს მასპინძელი, — რუსმაც, ქართველმაც, სომეხმაც თითო აგური მაინც დასდო ამ მადლიან ქართულ მიწაზე... მობრძანდით სახლში, მეც ახლავე გეახლებით...

სუფრას შემოუსხდნენ. თამალობა დობროდევეს ერგო. პირველმა გასტეხა ლუქმა, ოჯახს ღზინი მოულოცა, მერე ადგა, სარკმელს გახედა.

— კარგი კომუნისტი და კარგი მეგობარი, აი ვინ არის ნავრუზ ალი, ჩვენი მასპინძელი, — დაიწყო თამადამ, — თავრიზსა და ჯულფას შორის დევს გომურებით მიწაში ჩამხრჩვალნი პატარა სოფელი ქავასტუნი, სადაც ის დაიბადა... როცა საქართველოში რევოლუცია მოხდა, მას შემდეგ, თურმე, ნავრუზის ბიძა ტარვერდი სხვებთან ერთად, რომლებიც ცხრა მთას იქითაც დადიოდნენ ხოლმე ლუქმაპურის საზოგადოებაზე, ხშირად ჩვენსკენ გადმოდიოდა... როგორ უთხრა, ნავრუზ ალი, ბიძაშენმა ქავასტუნში დაბრუნებისას სოფლის ბერიკაცებს? — ღიმილით კითხულობს თამადა.

— ჰო, თავი მოაბეზრეს, ერთი გულდინჯად მოგვიყვი რა ქვეყანაში დადიხარო. — ჩაურთო მასპინძელმა.

— მერე, მერე, იმან რა უპასუხა? — იკითხეს სხვებმა.

— ფულზე მუშა ახატია, ახლა თქვენ თვითონ მიხვდით რა ქვეყანაც ყოფილაო.

თამადა განაგრძობს: — ტანკისტმა ალიევმა ბრძოლით გაიკაფა გზა დიდ სამამულო ომში სტალინგრადიდან ბერლინამდე, იბრძოდა ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, მანჯურიაში, იაპონიაში...

— ჩვენი ტანკის ეკიპაჟში ერთად ვიყავით ქართველი ნესტორ აბრამიშვილი, რუსი ანდრეი შოტოსი, ოსი სალიევი... — იგონებს ნავრუზი.

— მის გულზე ახლა საბატოო სახელმწიფო ჯილდოებს რომ ვხედავ, ყველაზე მეტად მე მაინც ეს პატარა მედალი მჭრის თვალს თავისი ბრწყინვალეობით, — განაგრძო სადღევრძელო ნავრუზის კარის მეზობელმა, ხანში შესულმა ქართველმა რკინიგზელმა, — აი, ეს პატარა მედალი — „კავკასიის დაცვისათვის“, შეხედეთ, იგი ირანელის მეკრდს ამშვენებს.

სუფრის წევრებმა ოქრობირი ტაშით დააჯილდოვეს. მერე ქარხნის მთავარი ინჟინერი გიორგი პაპავა წამოადგა.

— როცა ქმარი ფრონტზე იბრძოდა, შრომის ფრონტზე მისი ადგილი ჩვენმა დღევანდელმა დიასახლისმა გულსუმი დაიკავა და იგი დღესაც ქარხანაში მუშაობს, ნება მომეცით ვადღევრძელო დიასახლისი.

ახლა ნავრუზი გაიმართა წელში, ჭიქა აიღო სამადლობელისათვის.

— მდიდარია ძმებით ეს ჩემი სახლი, ბედნიერი ვარ თვითონ მეც — წარმოშობით ირანელი, კომუნისტი, საბჭოთა მოქალაქე — მერე თავის ბიჭს ხელით ანიშნა ჩემთან მოდიო, გვერდში ამოიყენა. — ვის დაეხმარებოდა ის სიხარული, კაცად ვიქცე, ვეებერთელა ძალა მიდგას ძარღვებში. ვინ ვარ მე? წვეთი ზღვაში, მაგრამ ზღვა ჩემი ხალხია და ამ ზღვაში ჩემი წვეთიც ზღვა არის!.. ჩემი პატარა ბიჭი ამირანი სკოლაში სწავლობს და დიდი ამირანი იზრ-

დება, შუათანა — რაფი, უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტია, შარგია კი — ციციტ რას ნიშნავს ირანულად ეს სახელი? — აღმოსავლეთის ქალიშვილს. ჩემი უფროსი გოგო შარგია პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს ამთავრებს... დაილოცოს ეს ახალი ფუძე, დაილოცოს ეს ძმობა, ეს სიბოძო...

ნაერუში ყაყაჩოების კონას შლის და საითაოდ ურიგებს სტუმრებს, ისინი მას გულზე იბნევენ, — გაუმარჯოს ძმობის ამ ყვავილებს!

— აფსუს, მაჭახელა არ წამომიღია, თორემ ამ სადღეგრძელოს კი ეკადრება თოფის სროლა, — იხუმრა ვილაცამ, რომ ამ დროს მის ყურის ძირში ზედიზედ ორჯერ „იგრილა“. პატარა ამირანმა ქალადის „ტყვია-წამალი“ გამოცვალა და „პუგაჩი“ ქამარში გაიჩქო.

„ჩვენი მასპინძლის სასახლე ტურფად ნაგები ხისაო...“ — დაიძრა სიმღერა. ღია სარკმელში მოჩანს: ბლის ტოტზე შემოჯდა მერცხალი „ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ“, მერე შეიფრთხილა და კამარა შეჰკრა.

— აბა მიირთვით, მიირთვით, თქვენ შემოგველეთ, — დასტრიალებს თავს სტუმრებს გულსუმი.

— ერთი ეგ ცოცხალი მომაწოდეთ, ძალიან გემრიელია. — ამბობს დობროდევი, — ხომ გაგიგონათ: — „Где, был? — „У друга“ — „Что пил?..“ „Воду, да лучше неприятельского меду...“ ძალიან თევზია. დაილოცა მისი დამჭერი. — იმეორებს და ხელი შუა სუფრისაკენ მიაჭებს... თევფზე უეცრად „აფართხალდებიან“ ვერცხლისფარფლიანი თევზები, მრავლდებიან, გორებად დგებიან და ვხედავთ სეინერს, რომელიც ზღვას ლაღად მიაპობს. კაპიტნის ხიდურაზე დგას ჰაბუკი, რომელიც ამ დილით ჩვენ ზღვაში დაგტოვეთ. ზღვის მგელი — ასე ეძახიან ბათუმში გივი უკლებას, ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანს შავი ზღვის აუზში.

...ცხელი ღღებები დგას შავ ზღვაზე, მოზღვავედა თევზი.

მეთვალთვალე გემები ჯვარედინად სერავენ უნაპირო სივრცეს, თევზის ქარავანს კვალდაკვალ მისდევს „მოკმა“, საშუალო თევზსაჭერი ტრაულერი, „კონტაქტი“.

— კოლია, „კრისტალის“ ცნობა ხომ გაიგე, — ეკითხება კაპიტანი უფროს მექანიკოსს ბურიმოვიჩს... — დღეს დოვლათიანი დღე გვაქვს... რას იტყვი, — მიუბრუნდა ახლა მეზადურის უფროს თანაშემწეს, ძველ მეგობარს, ხარლამ პურპურიდს.

— გული გულობდეს და სხვა ყველაფერი იშოვება, თუნდაც წყალში შეაფასე თევზი, როცა ერთად ვართ, ხელიდან ვერ გავიხსნტება. რას ამბობ, ამ ბიჭებით მთას შესძრავ კაცი. ერთი დედის შვილები არა ვართ, არც ერთი ეროვნების, მე ბერძენი ვარ, შენ — ქართველი, კოლია — რუსი და მაინც ძმებზე გვიყვარს ერთმანეთი, ხომ მართალია, ერთად როცა ვართ, მაშინ თუ გინდ ამ ზღვას თავისი ქვაბითურთ მეორე ადგილზე გადავდგამთ.

— ხარლამ! — დიმილით გასცქერის სივრცეს კაპიტანი, — სკოლაში გვასწავლიდნენ, მე-VII საუკუნეში ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროს ახალშენები დაიპყრესო, ახლა შავ ზღვასაც უპირებ გადადგმას?

— რა იყო, შე კაი კაცო, სხვაგან კი არ გადამაქვს... მე ვერც ამ ზღვის გარეშე გავძლებ და ვერც ამ ჩემი თუმცა მეორე, მაგრამ ნამდვილი სამშობლოს იქით... სხვაგან ქული რომ გადამიგდო, ვერ გამაძლბინებ. — დიმილითვე უპასუხა ძველმა მეზადურმა.

სეინერს მცურავი საწყობი მოადგა და თევზის გადაცლა დაიწყო.

რკინიგზის მეისრე მაცივარ-ვაგონში თევზის გადაცლას აკვირდება. იქვე, ღია პლატფორმებიდან თეთრ გემზე ვეებერთელა ამწით ტვირთავენ კედრისა და ტუიის ხეებს, ყაყაჩოების ნერგებს.

— რა მაგი, ბიძია, ხილია?

— ჰო, ხილია, ხომ არ გაისველებ პირს, ბაბუა, გადმოვიგდო თუ...

— აჰ, აჰ, მაქედან ბლის კურკა რომ გესროლოს კაცმა, ის გაგიხვრეტს თავს, ესეც არ იყოს, მოყვარესთან გასაგზავნ ხილს რაფა მოვაკლებ, შენგან არ მივიკრის.

— შენ რა იცი, ბაბუა, მოყვარესთან გასაგზავნი ხილია თუ?..

— გაწი, კაცო, მაგ ხორთუმი იქეთ... რაფა არ ვიცი, როგორმე ვიცნობ მაგ ტვირთს, ოცი წელია თუ აქედან თუ იქიდან მიდის და მოდის მოსაკითხები. „მახარაძე-გენიჩესკი“ აწერია, ხომ კი!

...გენიჩესკი, მახარაძის სახელობის ქუჩა. მოდის მანქანა, რომელშიაც უკრაინელებთან ერთად სხედან ქართველებიც.

ვაგონებიდან ახლახან გადმოტვირთულ კედრებსა და ტუიებს შავწვერულვაშაშლილი ჰაბუკი ავრონომი და უკრაინელი გოგონა სიყვარულით გასცქერიათ. მეგობრობის ნერგებმა ფენი მოიკიდეს უკრაინულ მიწაზე... ყაყაჩოებით მოფარდავებულ ხეივანთან ჩერდებიან.

— ამათ განსაკუთრებული სიფაქიზით სჭირდებათ მოვლა. — დიმილით ეუბნება ვაჟი გოგონას.

ქართველი სტუმრები პურის თვალწვდენ ყანაში მიაბიჯებენ, წინ პურის უნაპირო ზღვაა.

— დაგლალეთ დღეს ძმებო, დანარჩენის ნახვას ხვალიც მოვასწრებთ, ახლა ჩვენი პურ-მარილიც მიიღეთ.

— პურს კი ვხედავ, ძამია, „მარილი“ სადაა თუ არა, — თავისებურად ოხუნჯობს გურული კოლმეურნი და წინ იცქირება, დიდუპ... რა გივილის ამ ზღვას...

უეცრად თითქოს სასწაული მოხდა — პურის ყანა თავისით გაიჭრა, ოქროსფერი თავთავები გვერდზე გადაწვენ და გაშლილი სუფრა გამოჩნდა... შუაგულ ყანაში.

...მახარაძე, გენიჩესკის სახელობის ქუჩა.

— უკრაინელი სტუმრების მანქანა მოედანს წრეს უვლის.

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში.

შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი სტუმრებს მიუძღვება, სახლის კარი ფართოდ იღება. მახარაძის რაიონის ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“ სიმღერით ეგებება ახალმოსულთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მიხაკო ორაგველიძე სტუმრების დასანახად თეთრ თიხის კოვას წყლის ონკანს მიუშვებს და იქიდან გადმოსჩქვებს... ვარდისფერი ჩხავერი. ყველა განცვიფრებით შეპყურებს მასპინძელს.

— ნუ გიკვირთ, ძამია, სტუმარი რომ შემოდგამს ფეხს ოჯახში, ამ დალოცვილს, წყალი აღარ მოსდის და ღვინო ადგება პირზე.

სახლის უკან ვეგებრთელა კასრთან კი ორი თავზე ყაბალახწაყრული გურული დგას, ღვინის საქაჩ დანადგარს ამუშავებს და თან სახელოთი წამლაუჭუმ შუბლზე მომდგარ ოფლს იწმენდს.

— ხელი ხომ არ მოგელალა, ბაბუ? — ეკითხება ახალწამოჩიტული ჭაბუკი ას ოცი წლის მეურმეს ზევარ სალუქვაძეს.

— შენი სიგრძე, ბიჭო, ყალიონი მიდევს ჯიბეში. აბა, პე, დაქაჩე, დაქაჩე, თუარა, ღვინო მიაკლდება და მართლა წყალი გაგვეპარება მილში, მოგვეჭრება სტუმრებთან თავი.

უკრაინელი სტუმარი სადღეგრძელოს იღებს, სარკმელს გახედავს, ბათუმიდან მიმავალ ეშელონს გააყოლებს თვალს, რომელიც კასპიისკენ ცარიელი ნავთის ცისტერნებს მიაგელვებს. მატარებელი ბაქოში შედის!

ბაქო... კოშკების, ჭაბურღილების ტყე... გაავებული კასპია. აი, ამ უშრეტო სიმიდრის ქალაქი — „Если нефть королева, то Баку ее трон“ — ასე აფასებენ მსოფლიოში ნატერის-თვალის პატრონს.

მიყვებით სანაპიროს. წინ ერთი განმარტოებული სახლი შემოგვხვდა.

მდიდრულად მორთული სახლი. პატარა ნატას ხელში წივნი უჭირავს, რომელზედაც გაავებული ზღვა და მასთან მებრძოლი მენავთობეები ახატია.

დღეა ლოგინში აწვენს პატარა გოგონას „ზღაპარს“ უყვება, რომ შორს, ზღვაში გადამალულია ნატერისთვალი. ვინც იმას იპოვნის, სასწაულებს მოახდენს, ზღვასა და ხმელეთს დაიმორჩილებს. ისურვებს — ახალ ქალაქებს ააშენებს, ინატრებს — ცაში აფრინდება. ამიტომ ეძებენ ნატერისთვალს მზეჭაბუკები, დღედაღამე ებრძვიან ქაფმორეულ ტალღებს, უნდათ მონახოს სკივრი, სადაც ეს განძია გადამალული.

გოგონას ჩაეძინა.

ეგვენია სარკმელთან მიდის და ზღვას შიშით გახედავს.

საშინელია ახლა იმის გაფიქრებაც, რომ ამ ღელვაში იქ, სადღაც, გეგულება ადამიანი, რკინის ნებისყოფის კაცი, ახლობელი, მეგობარი, ძმა შენი!

1951 წელს კასპიის მენავთობეები, ვისაც ზღვის ნავთის არსებობისა სჯეროდა, ზღვაში გავიდა, სეკბტიკოსები კი მშრალზე დარჩნენ. თავდაპირველად აქ ჯართად ქცეული ძველი გემები, წყალმცენარეებით, ალგათი და ნიჟარებით დაფარული „მოხუცები“: „ჩვანოვი“, „სოვეტსკაია გრუზია“, „ბატუმეცი“, „ლენქორანეცი“, „პავლე მოციქული“ ჩასძირეს და ასე შეიქმნა შვიდი ხომალდის კუნძული — „ნავთობის ქვები“.

ზღვაზე ფეხის მოკიდების დღიდან ორ წელიწადში თორმეტჯერ გაიზარდა ნავთის მოპოვება. 1955 წელს ახალი მაჩვენებელი პირველ ციფრს 24-ჯერ აღემატა. ახალ შეიღწოდში კი კასპიის მენავთობეები სამშობლოს სიტყვას აძლევენ, ახალი გამარჯვებები მიუძღვნან მშობლიურ პარტაის.

ახლა ქარიზხლიანი დღეა კასპიაზე. მბურღავებმა ტელეფონოგრაფა გამოგზავნეს ნაპირზე — სასწრაფოდ ითხოვიან ბენზინსა და საკვებს. ხუთი დღეა უკვე ვერ გამოსულან ჯიხურიდან.

— სხვა გზა არ არის, — ვადაწყდა ნაპირზე, — სამი კატერი უნდა წავიდეს, მაგრამ ვინ გინდა გაიმეტო!

— რას იზამ, მოგვიწვეს ზღვაში გასვლა, — სთქვა კანტორის უფროსმა, შუახნის შეგვერე-
მანმა აზერბაიჯანელმა, — პირველი წავა „ტერეკი“. კაპიტანი სად არის?

— კაპიტანი კნუტი გისმენ!

— მას მიჰყვება კატერი „ამური“. კაპიტანი აღვილზეა?

— კაპიტანი კნუტი გისმენ!

— „ამურს“ კვალდაკვალ მისდევს „სმირნი“. კაპიტანი რას იტყვის?

— კაპიტანი კნუტი გისმენ!

როგორ, ნუთუ ამ გრივალში სამ კატერს ერთი კაპიტანი ეყოფა!

რატომ ერთი?.. სამი ზორბა ტანის მეზღვაური მხედრულად გაიმართა და კაბინეტი დას-
ტოვა. ესენი ძმები — გიორგი, პავლე და მიხეილია.

აგორებულ ტალღებში იკარგებიან და ჩნდებიან კატერები. სანაპიროზე ინთება და ქრება
„შუქურა“.

აგერ ბურღვის კანტორა. ტყავის ქურქწამოსხმული მამაკაცი რადიოკავშირით ცნობებს
იღებს ობიექტებიდან. ოთახში უცბად არეული ხმაური შემოიჭრა.

— ჭაბურღილი იწვის!

მამაკაცი ელდანაკრავივით წამოხტა სკამიდან, ქუჩაში გამოვარდა და გაიქცა. 292-ე ჭა-
ბურღილთან შავი კვამლი ავარდნილიყო.

მაშინვე ტელეფონით კაპიტანი ბოლდირევი გამოიძახა.

შეხედნენ, ცხარე საუბარი გრძელდება.

— თქვენც მართალი ხართ, ალექსანდრე გიორგის-ძევე, მაგრამ არა მაქვს უფლება ასეთ
დღევაში ზღვაში გავიდა... თმცა, თქვენთან რა უარი გაეწყობა კაცს! დიდი ფიცხი ხალხი კი
ხართ ეს ქართველები! — სთქვა კაპიტანმა.

„ადმირალი მაკაროვი“ ტალღებში შეცურდა. მოუსვენრად წრიალებს ქართველი მენავთზე
ალექსანდრე მდივანი კაიუტაში, წამალუწუმ ჭაბურღილთან ცაში ავარდნილ კვამლს გასცქე-
რის ილუმინატორიდან. რის ვაი-ვაგლახით დაფარა ტრალერმა ცხრა მილი და ჭაბურღილსაც
გაუსწორდა.

მოედანზე გადახედომა შეუძლებელია. ახლოს თუ მიხვალ, ტალღა ტრალერს ფოლადის
კუნძულის ფერმას მიანარცხებს და შეღწეწავს. ცდა ბედის მენახვერეა — ბურღვის ოსტატი ვლა-
დიმერ ტალკაჩოვი შეემზადა ნახტომისათვის, დაიძაბა, ღონე მოიკრიბა... როცა გემის უკანა ბაქანი
დაირწა და რამდენიმე მეტრი მალა აიზიდა, როგორც ტრამპლინიდან ისე ისკუპა ვალოდია. მას
მიჰყვა ბოგდან აკოპოვი... ალექსანდრეს ცარცის ფერი დაედო. ბოგდანმა ვედარ უსწორა
მოედანს და ფიცარზე ხელებით დაეკიდა, ქვევით კი გააფთრებული კასპია შხუოდა.

ახლა ალექსანდრე გავარდა გემბანზე. ბოლდირევიც მოასწრო და მკლავი დაუჭირა.

— ეს კიდევ ახალი ამბავი, რას შვრები... ნებას არ გაძლევ! — ალექსანდრე ჩააცქერდა
ზღვას და ტუჩი მოიკვნიტა.

...უშველეს ჭაბურღილს, ნაწილობრივ ჩაკეტეს მისი ყელი და გაზს გზა მოუჭრეს.

„ნავთობის ქეების“ დიდი სასადილო. ცალკე ოთახში სუფრასთან ზის ბოლდირევი და
ალექსანდრე მდივანი. ამ უკანასკნელს, რომ იტყვიან, დანა კბილს არ უხსნის, ისეთ გუნებაზეა.

— მხოლოდ ასეთ დროს გამახსენებს თავს ჩემი დაკარგული ხელი, მირონ ივანიჩი! თქვენ კი
მზოგავთ, არა? ნახევარი კაცი გგონივართ და მზოგავთ! — ამბობს იგი.

მიმტანი ქალი შემოდის.

— ქართული მწვენი და ხუთი ნომერი! — გვიშიანს უთხარით „ზემოლაიკი“ თხოულობს-
თქო... მართლა, ბიძია ვალოდიასაც სთხოვეთ.

ჩქარა ოთახში სასადილოს გამგე ვლადიმერ გვიშიანი შემოდის. მასპინძელი ხელებს შლის,
სტუმრებს ეხვევა, მერე მათთან ერთად სუფრას ამშვენებს.

ალექსანდრე ბროლის ჭიქას გახედავს, ღვინოს ასხამს.

— მდინარეზე გადასვლისას ჭურვის ნატეხმა ორივე ხელი დამიზიანა... ჰოდა, იქ ერთი
უკრაინელი ახალგაზრდა ექიმი ქალი ჟენია პოპოვა მკურნალობდა, მგონი თქვენც იცნობთ იმ
ჩემს მკურნალს, პატარა ნატას დედას, გულის ჭრილობაც მომირჩინა — ახლა ჩემი მეუღლე
გახლავთ. დღევანდელმა ამბავმა ფრონტი მომაგონა და სისხლი მომაწვა საფეთქელში. მოსაგო-
ნებლადაც კი მძიმეა... აჰ, მაგას თავი ვანებოთ, ვალოდია ბიძიას ვენაცვალე, ერთი ცედიტრი
მრავალუამიერი დამიწყე, კასპიის ტალღების ბანზე ვიმღეროთ, თბილისი მოვიგონოთ.

„მრავალ უამიერ!“ ტკბილად ბუბუნებს ზღვის შხუილში.

იმერული პატარა სოფელი მეორე-სვირი. ნაცნობი ოდა. შექიფიფიანებულ ფოსტალიონს
ყელი მოუღერებია... მრა... მრაჟამიერ... დაბალ სკამზე ზის შუშანა ჯუღელი და შვილების
ძველ თუ ახალ წერილებს კითხულობს ხმამაღლა...

„სტალინოში ზამთარი იცის ცივი, სამაგიეროდ ხალხია გულთბილი. გახსოვს, დედი, ასანთ-საც რომ არ მენდობოდი ხელში, ცეცხლი არ გაგვიჩინო. აქ კი იმოღენა ცეცხლი მბარია, რომ ვერც წარმოიდგენ. მდნობელი გავხდი...“

...სტალინო, მეტალურგიული გიგანტი, მარტენის საამქრო. მეფოლადე ნოდარ ჯუღელი სინჯს იღებს.

— მე წავიდო თუ თვითონ... — შემპარავი ღიმილით კითხულობს მეფოლადის ხელქვეითი მწითური ვალოდია.

ნოდარი შუბლზე ქუდს ჩამოაფხატავს და უცინის.

ჯუღელი სპექტრალურ ლაბორატორიაში შედის. აქაც ეშმაკური ღიმილი ახატიათ გოგონებს სახეზე.

— ხელქვეითს მუცელი ხომ არ ასტკივდა, რატომ არ გამოგზავნეთ, თქვენ რატომ შეწუხდით? — კითხულობს ერთი და ჩუმად იცინიან.

მხოლოდ ცისფერთვალემა ლაბორანტს — ლიდა ლარინას არ აწუხებს ის ამბავი, რომ ხელქვეითის საქმეს თვითონ მეფოლადე აკეთებს.

ნოდარი ბრუნდება და სანამ კარს გამოიკეტავს, უკან დადევნებული სიტყვაც უსწრებს. გოგონები ჩუმად, მაგრამ მის ვასავონად ამბობენ: — რას ნიშნავს, რომ კარგი მეფოლადეა! როგორ უცხად დაადნო გოგოს გული, აქაც ჩქაროსნული ნაღობი მოგვცა!

ახალგაზრდა მეფოლადე თავის სასიამბოროს, ლენინის ორდენოსან ძველ მებრძმედ ვასილ იაგორის-ძე ლარინს ქალაქის მოწინავე ადამიანების საპატიო დაფაზე გაეცნო. მოდის ხელგაშლილი მებრძმედ, ცოლის თხოვას ულოცავს ახალგაზრდა ქართველ მდნობელს, სიძეს. ქორწილი, შემდეგ ახალი საგზური და ნოდარ ჯუღელი თავისი ოჯახითურთ რუსთავის ძმადნაფიც ქალაქში — სუმგაითშია, იგი მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ცვლის უფროსად დანიშნეს.

რუსთავსა და სუმგაითს თითქმის ერთი და იგივე ისტორია აქვთ. ერთ დღეს აიღვეს ფეხი ამიერკავკასიის მეტალურგიის ახალგაზრდა გიგანტებმა.

სუმგაითი... ღემელის პირიდან ცეცხლის მდინარე იღვრება. ივსება ვებერთელა ციცხვები და თითქოს აგერ, რუსთავშიც შემოვორდა ეს გრძელი რიგი.

ნოდარ ჯუღელის უფროსი ძმა, აკაკი ჯუღელი რუსთავის თბოელექტროცენტრალის ლაბორატორიის გამგეა. რუსთავი სუმგაითს ეჯიბრება, ორ ძმადნაფიც ქალაქზე ამბობენ. მაშ ეს ორი ძმაც ეჯიბრება ერთმანეთს — ნოდარ ჯუღელი სუმგაითიდან და აკაკი ჯუღელი — რუსთავიდან. ქართველი დედის მესამე ვაჟაკი ფრიდონი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტექნიკოსია. ელენე ქართულს ასწავლის სკოლაში.

იმერულ ოდას თავს დასჭიკჭიკებს ჩიტუნა.

გაიხარე, ქართველო დედავ, შენ სუმგაითისა და რუსთავის ფოლადში წილი გიღვეს, ქართული ავტომობილის ფეხის ადგამაშიც, ნორჩი ყვავილები მადლიან ქართულ დედა-ენაზე ენის ადგამაშიც!

— რაღა გატირებს, შე ქალო, ხომ კარგი ამბავი მოგიტანე და?! — კითხულობს შეშინებულ ფოსტალიონი და შეცბუნებული სასმისს მაგიდაზე დებს.

— შენ კი იცი, მიხაკო, რატომ მომდის ასე, ცრემლი ცრემლს გააჩნია, ამგენით მიდგას სული ქვეყანაზე, მაგრამ ერთი თვალი რომ მიცინის, მეორე — მიტირის. ხომ გახსოვს ჩემი ვაჟაკი, ის ერთი ვაჟაკი, ღმერთმა იცის, ასე დაუტირებლად სად მიაბარეს, რომელ მიწას.

— ღმერთმა დასწყევლოს ომი და მისი მოგონი. მშვიდობა ამ სოფელს — დაილოცა სამფეხა მაგიდასთან მიმჯდარმა სტუმარმა, გადაპკრა და...

მწვანე მოლზე ვაშლილია საგზალი. მოხუცმა ცას ახედა და თითქოს იგივე ლოცვა გაიმეორა, იგივე სადღეგრძელო დასცალა. სად არ სვამენ ჩვეს მიწაზე ამ სადღეგრძელოს.

— აბა, გეყოფათ, ბიჭებო, ქვისმთლეღმა კუჭი მაგრა თუ გაივსო, კედელზე აცოცება გაუჭირდება.

ლექსო და მიშა გზის პირას ჩამოსხდნენ და ლოდების თლა გააგრძელეს, მოხუცი კი სწრაფად აცოცდა კიბეზე, ბაწრით ზემოდან გადმოშვებულ სკამზე „მოირთხა“, დაეკიდა და კარის თაღის მოჩუქურთმებას შეუდგა. ეს ამბავი მუხრანის მახლობლად, უძველეს ტაძარში, ჯვარპატიოსანში ხდება.

— მაინც რა უთხარი, მამა, იმ შოფერს, მეფური პატივით რომ მოგექცა ბოლოს და წინა კარები გაგვიღო? — კითხულობს ლექსო და ჩაქუჩს მარჯვედ იქნევს.

— იმ ყმაწვილს ვიცნობ შორიდან, მუხრანელია, პირველად ხომ არ მიმგზავრია ამ ავტობუსით. ვუთხარი: შენს სოფელში მივდივარ, შე ბედოვლათო, ისტორიული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის სახელოსნოს ქვისმთლელები უარით, შენი სოფლის მახლობლად ჯვარპატიოსანზე სამეშაო გვიცდის-მეთქი! — გადმოსძახა მადლიდან მოხუცმა და ჩაიციანა.

ამ მოხუცს კოსტა ჰქვია სახელად, მისი გვარი კი პირილია. ბერძენია კოსტა პირილი. ეს ბიჭები მისი შვილები არიან, მამის ხელობას აგრძელებენ. კოსტას სხვაც ჰყავს ბალები, შვილი შვილის პატრონია ეს ჩიატანის მოხუცი. მეჩუქურთმე ბერძენ ქვისმთლეულთა ოჯახი წარსულის ნაჭრილობევ ტაძრებსა და ციხე-კოშკებს იარებს უშუშებს. უკვე ნახევარი საუკუნეა ეს ოქროს ხელის ოსტატი მხნედ დააბიჯებს წარსულში. მუშაობდა სამწვერისზე, ბაგრატის ტაძარზე, გეგუთის ციხე-დარბაზზე, მარტვილის მონასტერზე და მოძალადეთა ხელით წაშლილ ჩუქურთმებს სიყვარულით აღადგენდა.

და ვანა მარტო ტაძრებისა, და ციხე-კოშკების ჩუქურთმებშია საქმე? თვითონ ეს დიდებულნი ამბავია ახალი ცხოვრების ჩუქურთმა.

სოფლის გზაზე პიონერებით და ყვავილებით პირამდე მოსული ღია ავტობუსი გამოჩნდა. ამ ნორჩ ყვავილებს ჩვენ ვიკვირებთ მოგვართ თვალი კრწანისის ველზე და დაახლოებით მათი მოგზაურობის მარშრუტები ვიცით.

კოსტას უმცროსი ბიჭი ქვას ცეცხლს ადენს, მოტრიალდება, ღიმილს დაადევნებს ტოლებს. აგერ, ერთმა ცქრიალა გოგონამ ყაყაჩო ესროლა ბიჭს, იმან ჰაერში დაიჭირა ლამაზი ყვავილი და მადლობის ნიშნად ხელი დაუქნია.

მოხუცი გამეტებით სცემს ჩაქუჩს ჯვარპატიოსნის კარის თაღის ქვას. შიგ კი, ჰაერგამუჭებულ ტაძარში ყრუდ იჭრება ეს ხმა. გეგონებათ, ვილაცა, კარჩარაზულ საუკუნეებს უკაჟუნებს, კარის ვალებას ითხოვს...

ვარაზის ხეზე გადმოსახედ კლდის კონცხზე, უნივერსიტეტის ბაღში დგას სტუდენტი გოგონა, გმირთა მიედანს გადასცქერის. ბაღში ცოტა მოშორებით მწვანე მოლზე მეცადინეობენ მისი მეგობარი ქალიშვილები. ვარაზის ხევის აღმართზე აღის ბოლნისისაკენ მიმავალი ღია ავტობუსი, რომელმაც უკან მოიტოვა ჯვარპატიოსანი და ახლა ქართლის სამხრეთით უღდეგა გზა. სტუდენტი გოგონა, ბერძენი პოეტისა ფოტულა იანოკოპული ლოცვასავით, ჩუმი ხმით იმეორებს თავის ლექსს საქართველოზე, მის მეორე სამშობლოზე, ხელში უნივერსიტეტის ბაღში მოწყვეტილი წითელი ყაყაჩო უჭირავს... ელადის ქალიშვილი ათენის მეზობელ ქალაქ ამფიკლიაში დაიბადა, ჯერ კიდევ ბავშვი იბრძოდა თავისუფალი საბერძნეთისათვის, იბრძოდა იმ დივიზიაში, რომელსაც სათავეში ედგა საბერძნეთის სახალხო გმირი ნიკოს ბელიანიანი.

ქალაქ ამფიკლიას თავს ადგას ცნობილი პარნასის მთა-მუხების მთა! მაგრამ ფოტულას უნივერსიტეტის ამ პატარა გორაკზეც არანაკლებ უძველეს სასიმღეროდ გული. ეს კონცხი დაბალია, ვიდრე პარნასის მთა, მაგრამ ამ კონცხზე დგას თავისუფალი ადამიანი, ბედნიერებით ამალღებული საბჭოთა გოგონა.

— ო, საქართველო ტურფავ,
ჩემო მეორე დედავ,
შენი სიცოცხლით ვსუნთქავ,
ყველგან შენს ღიმილს ვხედავ.

გოგონას ხელში წიგნი — „ხალხის გული“ უჭირავს, რომლის ყდაზე ბელიანიანის სურათია. სახალხო გმირს განუმეორებელი ღიმილი დასთამაშებს სახეზე, ხელში თეთრი ყვავილი უკავია, გულთან მიბჯენილი. ეს ის ყვავილია, რომელიც ბელიანიანის წმიდა სისხლით შეიღება. ფოტულამ წიგნის გარეკანზე მოთავსებულ სურათზე თეთრ ყვავილს ყაყაჩო დაადო და ფერი უცვალა...

... მოხუცი წაქცეულ მინდვრის ყვავილებს ასწორებს, ამარგებს. ეს ამბავი ხდება მდინარე ფოლადაურის სანაპიროზე.

მანქანა სიონის ტაძარს უახლოვდება. დაბლობში, მდინარე ფოლადაურის მარცხნივ დევს უძველესი საეკლესიო ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლი — ბოლნისის სიონი—მასიური, მძიმე, უთაღო ნაგებობა, მეხუთე საუკუნის ტაძარი, სამნავიანი ბაზილიკა, ამ ტიპის ნაგებობათა შორის უძველესი ნიმუში მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

პიონერები ინტერესით შესცქერავენ დიდოსტატის ხელით ღია შაბიამინისფერი ქვით ნაშენებ შესანიშნავ ტაძარს.

— აქაური ისტორიული წარწერები, შვილო, პირველი წარწერებია ქართულ ენაზე, — გტაცებით ყვება მოხუცი დარაჯი და სახელოთი ქვის წარწერას ფრთხილად ასუფთავებს, — ვახუშტის თქმით, იგი აშენებული უნდა იყოს 408—410 წლებში, ფარსმან მეფის დროს. ვახტანგ გორგასალს კი აქ ეპისკოპოსის კათედრა ჰქონდა გამართული, —სთქვა და მერე უცბად შემოტრიალდა, სოფლის ბიჭებს გამოეწოთ, — რამდენჯერ გითხარით აქ ხელი არაფერს ახლოთ, კედელზე არაფერი დააფხაჭნოთ-მეთქი, თქვე ეშმაკის კერძებო!..

პიონერები ფეხაკრფით შევიდნენ ტაძარში, მასწავლებელი ხმადაბლა ჰყვება ტაძრის ისტორიას, მაგრამ მისი ხმა ძლიერი ექოს წყალობით გარკვევით ისმის:

— ეს რა არის, თენგიზ მასწავლებლო? — კითხულობს ნაწინავებიანი გოგონა და ტაძრის ერთ კუთხეში შეწეული ოთახის ზღურბლზე გადააბიჯებს. ქვევით უშველებელი ორმოა ამოთხრილი.

— აქ მოდით, ბავშვებო! — იხმოებს მასწავლებელი დანარჩენებსაც. მოხუცი დარაჯი კი დარბაზის შუაგულში გაჩერებულა, ჩანს, რატომღაც არ სიამოვნებს ამ კუთხესთან სტუმრების მისვლა. ხელი ჩაიქნია, ეზოში გამოვიდა, მაღალი სამრეკლოს ძირას მოღზე ჩამოჯდა და ყალიო-ნი გააბოლა.

მასწავლებელი პიონერებს უყვება ამ ორმოს შესახებ.

— სულ რამდენიმე წელია, რაც ეს უშველებელი ორმო ადამიანის ძვლებისაგან გაწმინდეს. აქ ეწყო იმ თავგანწირულ მამულიშვილთა ძვლები, ვინც თავის სამშობლოს მტერს არ ანებებდა. მაჰმადიანებმა ისინი წამებით მოჰკლეს...

ბავშვები მძიმე ღუმლით გამოდიან ტაძრიდან. მასწავლებელი საუბარს განაგრძობს:

— ბოლნისის სიონს ატყვია არაბების, მონღოლების, ხორეზმის შაჰის, ჯალალედინის მზაკურული ხელი... ძია კაცო, — დაადგნენ თავზე ზურგით მდგარ მოხუც დარაჯს რომელიც ხეხილის ბაღში მიწას ბარავს, — იქნებ გაგაგონია, ბოლნისის ეპისკოპოსი, რომელიც აქ მაჰმადიანთა ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა, მცხეთის კათალიკოს მალაქიას სწერდა ერთხელ სპარსელების შესახებ. აი იმ დროს, ბოლნისი მაჰმადიანთა სატახტო ქალაქად რომ იყო გამოცხადებული!

— არ მახსოვს, და იქნებ სჯობია, შვილო, არც ამ პატარებმა იცოდნენ ეს ამბავი, თოთო გული აქვთ, ნუ ვატყენთ გულს ბალებს... — ყრუდ სთქვა მოხუცმა, მერე მობრუნდა და ისევ ბარვა განაგრძო. თენგიზი კვლავ ბავშვებთანაა, კვლავ გატაცებით „ფურცლავს“ ისტორიის წიგნს.

— 1634 წელს ეს ტაძარი დააქციეს და გააპარტახეს სპარსელებმა, ააოხრეს სოფელი, დასწვეს, მიწასთან გაასწორეს...

მოხუცმა ბარი გვერდზე მოისროლა და საღდაც გაჰქარა.

ბავშვები გაოცდნენ, მაგრამ ვერაფერს მიხედნენ. ჩქარა მათ ტაძრის დათვალიერებით გული იჯერეს და ისევ მოძებნეს მძხუცი დარაჯი. საუბრით მოდიან, მასწავლებელი თხრობას ამთავრებს. ეზოს გარეთ კი მხეჩანის მძლოლი ნერვიულად აჭერს სიგნალის ღილაკს ხელს:

— წასვლის დროა, ისედაც გვარიანად შეგვაგვიანდა.

— ასე, ჩემო პატარა მეგობრებო, გახსოვდეთ, რომ ქართველ გლეხს ცალ ხელში თოხს ეჭირა, ცალში კი — თოფი, დღედაღამ დარაჯობდა ამ უძველეს ტაძარსაც და შეინახა კიდევ შთამომავლობისათვის. ხომ ასეა, ბაბუა? — მიუახლოვდნენ დარაჯს.

— ახლა თქვენი გვარი და სახელიც გვითხარით, ჩვენი სასახლის სამახსოვრო წიგნში უნდა ჩაგწეროთ.

— განა სასახლეში ჩემისთანა უბრალო კაცს ახსენებენ! — ძლივს გაიღმა მან, მერე მოწყვეტით თქვა: — მე აჯალოვი ვარ, ფაშა აჯალოვი.

— სადაური? — იწერს გოგონა.

— ირანელი!

ყველამ ერთბაშად აიღო თავი, მასწავლებელი უტბად გამოერკვა, ახლა კი მიხედნენ ყველაფერს, რატომ გაურბოდა მოხუცი წარსულზე ლაპარაკს... მძიმე ღუმელი ჩამოვარდა, მერე კი უცებ ჟივილ-ხივილით წამოიშალნენ ნორჩები.

— ჩვენი კარგო ბაბუა, ერთ სამახსოვროს დაგიტოვებთ.

ბავშვები მანქანებიდან ეზიდებიან ყაყაოების ნერგებს, რომლებიც კრწანისიდან ქოთნებით წამოიღეს.

ღვას ირანელი მოხუცი დარაჯი ფაშა აჯალოვი გზა-შარაზე, ემშვიდობება პატარა მეგობრებს, რომლებიც წითელი ყელსაბამების ქნევით შორდებიან თვალს.

ალაყაფის კარები გამოკეტა. მინდორში გავიდა, დოინჯი მემოიყარა და იქაურობას თვალი მოავლო.

ღელა კრუხი თავის წიწილებს ფრთებს აფარებს, კრიახობს, ერთ ამბავშია, დროდადრო ირბოდ დასცქერის ცას. ჯოხს დაბჯენილმა ფაშამაც მაღლა აიხედა, ქორი შენიშნა, ტრიალით სერავდა ჰაერში წრეებს. მოხუცმა ჯოხი მოიქნია და...

თოფის ხმამ შეაკრთო სეიდაბადის სერი, ყაყაოები შეტოკდნენ. გულგაგლეჯილი ქორი კამარას მოსწყდა და სეტყვის მსხვილი მარცვალივით წამოვიდა თავქვე.

შურის ციხის ახლოს მდგარი სახლის პატრონმა, სანადიროდ რომ დავტოვეთ კრწანისის მინდორში, ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ ძველ თოფს დახედა და გაიღმა.

— შაჰის თოფმა კრწანისში ქორი მოჰკლა, მტაცებელი. — ჩაილაპარაკა და უცბად გზას გახედა.

კრილა მსუბუქი ავტომანქანები წყნარად შემოსრილდნენ კრწანისის მინდორზე, უკან კი ომახიანი მხედრულით, ჭენებ-ჭენებით შემოაგელვეს ცხენები არაგვისპირელმა გლეხებმა. სამასი მხედარი მოდიოდა, რომ მისი სახელოვანი წინაპრისათვის თაყვანი ეცა.

დღეს აქ საფუძველი ეყრება სამშობლოს მკერდზე დაცემული სამასი არაგველის ხსოვნის ობელისკს!

— ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარო ომითა,

თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა...

სოფლიდან ჩამოსული სამასი არაგველი კოლმეურნე და საბჭოთა კავშირის გმირები მუხლს იღრეკენ, მათთან ერთად მუხლს იყრის ჩვენი ნაცნობი მოხუციც. საბურველი ეხსნება მარმარილოს ქვას.

...ზღვა ხალხი. არაბი პოეტი ალი ჰაშიმი რაშიდი თავის გულისთქმას კითხულობს. ერთ-მანეთში ირვეიან წარსულის ხმებიც:

„სამხრეთიდან ლანჭერივით
წამოვიდნენ არაბები.“

წარსულის ხმას დღევანდელი ჩვენი სტუმრის, არაბი პოეტის ჰანგი ფარავს:

...არაბეთით გადმოფრენილ
გულს ნიავი მოხვდა დილის! —
ანთებული თვალით ვუმზერ
ამომავალ მზეს და თბილისს.
ზეიმობენ მთა-გორები
მათ აქ ნისლი არა ჰბურავთ —
ყვავილებით მორთულ თბილისს
მეც ვუმღერი არაბულად!

ზღვა ხალხი ყაყაჩოების რჩევით ესალმება მოყვრად მოსულ არაბ პოეტს.

ძლიერდება ადამიანების გულისძგერა. ერთად მათი ხმა ბუკისცემას გავს, მერე ისევ სუსტდება რიტმი.

საწოლზე წვეს გაფითრებული ჭაბუკი კალატოზი, ოთახს მზერას ავლებს, სუსტად ძვერს მისი გული.

გვერდით ლაბორატორიაში მიკროსკოპს უზის ახალგაზრდა ლამაზი ქალი, სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

— ექიმო, სასწრაფო შემთხვევაა, მშენებლობიდან კალატოზი მოიყვანეს, მეორე სართულიდან გადმოვარდნილა და დიდალი სისხლი დაუკარგავს. — გამოჩნდა კარებში ექიმის თანაშემწე.

— ახლავე, ვუშველით. — დინჯად ამბობს ქალი და ექიმის თეთრ პირბადეს იღებს ხელში. და იცით ვინ არის ის ქალი ყაყაჩოებო?

საწოლზე წვეს ვაჟაკი, მისი სუსტი გულისცემა თანდათან მატულობს...

ექიმის კაბინეტი. ქალი მიკროსკოპის ლულას ჩასცქერის. უცბად სახე აიღო, ლულა დაუშვა. ჭოგრის ერთი მხრიდან გამოსახულებას ახლოს ხედავ, მეორე მხარეს შებრუნებისას სურათი საოცრად გვეშორდება... ავადმყოფის გულის ძგერა ბუკისცემის ხმად იქცევა და მასთან ერთად, მიკროსკოპის ლულის შეტრიალებას შორეულ წარსულში გადაყვარათ. სეიდაბადის სერზე დგას ბებერი ლომი — ჭაღარა ერეკლე და ჭოგრით გასცქერის სივრცეს. ზოშაყალაზე იგრილეს ზარბაზნებმა, შავნაბადაზე დაეშვა შავი ნისლი. თოფისწამლის და ზარბაზნის ლულებიდან გამოშავალი კვამლი ტყვიისფერ ღრუბლებად ჩამოსხდნენ კრწანისის ცაზე, გროვდებიან, იმღერევიან, ისევ დასჭეკა ქვემეხის ელვამ და წამოვიდა კოკისპირული სისხლის წვიმა. შავნაბადაზე დგას სპარსელთა კარავი. ჯუჯუე ქოსა ალა-მაჰმად-ხანს ტუჩი ნერვიულად უთრთის, წვერს იწიწუნის, ტიალ მინდორზე ჭიჭინით და ფლოქვების ცემით დაძრწიან ცხენები, ტრიალებენ, ფრუტუნებენ, ყალყზე დგებიან, პატრონს დაეძებს ცხრა ბედაური.

„ეს აწეწილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
დაწრიალებენ, დაძრწიან ქაფმორეული ლაშებით...
მხედრებო, ასე უღმერთოდ რად მიატოვეთ რაშები.“

ყაყაოებში გაბნეულა ცხრა ძმა, სამასი არაგველი, მკერდიდან გადმომდინარე სისხლი ყვა-
ვილებში მიიკლანება და სხვისას უერთდება.

სისხლის ერთი წვეთი კლდის მტირალ ლოდზე ჩამოცურდა, მისწყდა, სივრცეში დაიკარგა...
წყულობც იყავ, ალა-მაჰმად ხანი!

კვლავ შეტრიალდა ჭოგრი და მიკროსკოპის მინაზე დაეცა წვეთი სისხლი, დაეცა და მყის
გაიშალა ყაყაოსფრად, ყვაველს დაემსგავსა. მიკროსკოპს ჩასცქერის ჩაფიქრებული ექიმი ქა-
ლი.

— ახლავე! — ადგება იგი და გრძელ დერეფანში გამოდის. დერეფანში ოდნავ ბნელა,
ყრუდ, ღუნედ სცემს ავადმყოფის გული და მძიმედ მოაბიჯებს ექიმი ქალი, აჩქარდა გულის-
ძგერა და აჩქარდა ნაბიჯიც. მოდის ქალი და თითქოს სხვა სამოსელით იმოსება ახლა იგი ჩვენს
თვალში — მოდის „პრინცესა“ თალხებში, შავი ჩადრით პირდაბურული, მოემართება და მოყო-
ლილ შუქზე იცვლებიან ფერები — შავ სამოსს თეთრი ხალათი ფარავს, ჩადრი ცურდება და მის
მაგივრად ვხედავთ ექიმის თეთრ პირბადეს...

ეს ექიმი ქალი სწორედ ალა-მაჰმად-ხანის, ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენე-
ლი — იზეტ შამსის ასული ყაჯარია! იგი პრინცესა იქნებოდა, რომ უკეთეს სახელს არ ატა-
რებდეს — საბჭოთა მოქალაქის სახელს.

ალა-მაჰმად-ხანის შთამომავალს ისევ სისხლთან აქვს საქმე, მაგრამ იგი თავის წინაპარით
სადრეულად როდი ემეტება.

იზეტ შამსის ასული თეთრ მინებში მოძრავ სისხლს შესცქერის. ავადმყოფს სისხლს უსხა-
მენ. ექიმი ღიმილით ამხნევეს ჭაბუკს და მასაც ფერმკრთალი სახე ღიმილით ებადრება. ვაჰქრა
ტკივილი, დაამდა ჭრილობა, და განა მარტო ეს ერთი ჭრილობა! ამ მომზილავი ქალის ლამაზი
სიტუაცხლე წარსულის ძველი ჭრილობების დაამებაა, ძველი ტკივილების მალამო.

— აღამიანი აღამიანის მალამოა, — ამბობს იზეტ და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ეზოს გასასვლელი კარებისაკენ სტუდენტებთან ერთად დინჯად მიეშურება. — ყველაფერი რიგ-
ზეა, — ღიმილით ამბობს იგი.

მშენებელი გოგონა მოეხვია მას, ყაყაოების თაიგული გადასცა...

...მადლობა დმერთს! — უვებით ამოისუნთქა შალვას ძმამ, — მერე ქალიშვილს მოუბრუხ-
და, — შენც ერთი, ვერ აკოცინენ, რა მოხდებოდა, გადავრჩებოდით ამდენ ციებ-ცხელებას.

— რანაირი ხარ, იცი? აბა რა ვიცოდი, ასე თუ მოხდებოდა. კარგად იყოს და ერთის
ნაცვლად ასჯერ მაკოცოს თუ უნდა! — გაწითლდა გოგონა.

იზეტ შამსის ასული შორიდან უცინის მათ და მანქანისაკენ მსუბუქად ვარბის.

— „გოლგა“ ახალმოსველებულ ასფალტზე გასრიალდა. მანქანა ლენინის მოედანზე უხვევს
და შურისციხისაკენ ბრუნდება. აი, მოვიდნენ კიდევ.

— დედი, დედიკო! — შეაფრთხილდა დედას პატარა ნატალია.

— მამა სად არის? — კითხულობს იზეტ.

ოთახში ღიმილით შემოვიდა მოხუცი მონადირე, ქორი ჰაერში შეაფრიალა, აჩვენა ნადავლი
თავისიანებს და მერე ძაღლებს მიუგლო სათრევეად.

— შაჰის შთამომავლისათვის დიდი ვერაფერი ნანადირევია ერთი ყრანტალა ქორი, — სიცი-
ლით ამბობს შოფერი.

— მე კი პირიქით მგონია, ეს ქორი კრწანისის მინდორზე მოვკალი. სხვა თუ არაფერი, ყა-
ყაოების გული მაინც მოვიანადირე, მათ ძმობილებს, მგალობელ ჩიტებს აფრთხოვდა ეს უღ-
მერთო.

— ეგ მართალია. ამიტომ ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ: ამ „დიდ ნადირობას“ მეფურ
ნადიმიც უნდა მოჰყვეს, „პრინცესა“ და მის ამაღას ოცდახუთი ცხენოსნით სადილად ღუნი-
კულორის პლატოზე ვეპატიეები. — სიცილით ამბობს მძღლო.

მანქანა კომკავშირის ხეივანით დაკლავნილ ფართო ასფალტზე მისრიალებს, მღლა-მღლა
იწევს და თანდათან სულ უფრო და უფრო იზრდება თვალში ქალაქიც.

ბინდი ნელა წეება მთაწმინდაზე. მოხუცი კრილოსანს ათამაშებს და მანქანიდან დაბ-
ლა იყურება:

— მომწყინდა, ხალხნო, მგონია, ადრე გავედი პენსიაზე, რას იტყვიო? თუმცა თქვენ,
ექიმები, სხვაგვარად ფიქრობთ — დასვენება, თავის მოვლა... იცით რა გითხრათ, ტყვარჩელ-
შენში რომ ვმუშაობდი, მაშინ უფრო მოსვენებული ვიყავი, — გახედავს სივრცეს, — ერთი
დამანახვა, წუთით მაინც შემხვედა ჩვენ რომ შახტები ავაშენეთ, თუ ანთია მათ თავზე ახლა
ვარსკვლავი!.. თქვენ კი მგონი ისიც არ იცით, როდის ანთებენ ვარსკვლავებს შახტის თავზე.

— მამე ბატონო, რომელი უფრო გენატრება — ტყვარჩელი თუ ჩითახევი? — ეკითხება
მამას იზეტ.

— დედას ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მაგრამ ის, რომელზეც უფრო მეტი ამაგი აქვს, თითქოს... ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მე საგვემო განყოფილების უფროსად ვმუშაობდი და სულ რაღაც თვეებია, რაც იქიდან წამოვედი. წესით ჩითახვეში დიდხანს უნდა ახსოვდეთ შამსი ედინ ალი მირზა.

ფუნქციონირის პლატო. ქალაქზე გადმომდგარი ფართოაიენიანი რესტორნის ერთ-ერთი კუთხეში მრგვალ მაგიდასთან იკავებენ ადგილს. კოჯრის გრილი ნიავი ლაღად ირხევა მთაწმინდაზე. ბინდში იძირება თბილისი.

თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია, და არც ახალი იარა,

მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღვრიალა?

„რა ძალამ ააბდღვრიალა?..“

— ახლა ჩართავენ სინათლეს და ჩემი ჩითახვევი მოგვეცემს დენს. — ლოცვასავით ამბობს შამსი ყაჯარი და... საღდაც კუნთად ქცეული ხელები მაღლა სწევენ სახელურებს, რთავენ დენს ერთიმეორის მიყოლებით. უცებ, თითქოს მზე ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და მაღალ ბოძებზე დაარიგესო — იფეთქა სინათლემ!

— ყაყაჩოსა სიწითლთა ყანა დაუმშენებია... — ტიტინებს მაღალი აიენის მოაჯირზე გადამდგარი პატარა ნატალი, ყაყაჩოების თაიფულს ესვრის ქალაქს. ქვემეხების გრიალში ფერად-ფერად ყვავილებს მიმსგავსებული შუშხუნები ცვივა თბილისზე.

*
*
*

კრწანისის ველზე განმარტოებული თეთრი და წითელი ყაყაჩო ოდნავ გასაგონად ჩურჩულებენ და ცას შესცქერიან. იფრქვევა და ცვივა ვარსკვლავები.

— რა ამბავია?

— ყვავილების ზემია თბილისში.

— აუ რამდენი ვარსკვლავი მოსწყდა ცას, მოასწარი, ჩაიფიქრე?

— ქვემეხები ვარსკვლავებს ისვრიან ლულებიდან. ტყვიასაც რომ უცვლია ფერი!.. ჩაიფიქრე — მუდამ ასე, სინათლით დაგვჭრან გულში ქვემეხებმა, არასოდეს დასრულდეს ეს ტკბილი ქართული ზღაპარი.

— და თუ ეს ზღაპარი არ არის?..

— მაშ ქვეყანა ყოფილა ზღაპრული!

იღღვრებო.

— მრავალჟამიერ! — ჰქუხს სიმღერა მთაწმინდიდან და კრწანისის ყაყაჩოებს ყრუანტელი უვლით.

„შეჩოხიანო ვაყებო, ასე რამ გავახალისათ,
ყრალი ხომ არ მოგესმათ ოჯა ჯურხაის ფარისა?
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?..“

აზვირთდა სიმღერა, ქალაქს გაღურბინა.

წუთისოფელი ასეა, დამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

— აი, რამ გავახალისა — შრიალებენ კრწანისის ყაყაჩოები.

— აი, რამ გავახალისა! — იმეორებს სეიდაბადის ქედი.

სიმღერა ზღვასავით არხევს კრწანისის მინდვრის ყვავილებს, ყაყაჩოების ტალღები აწყდებიან თბილისს.

— მრავალჟამიერ!..



ნიკა აგიაშვილი

ჭაბუკები ღარჩნენ მარად!

XIV

ქუთაისის ბაღში ერთი დიდი ჭადრას ჩეროში მიმდგარ მერხზე უყვარდა ლადოს ჯდომა. ამ მყუდრო ადგილას დაწერა „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, „ვენახის ქება“, „საგურამოში ხე არის ერთი“. „ემახის“ და „კოლხიდის“ პირველი თავები. ამ მერხთან მჯდარი მინახავს იგი ხშირად ძველ ურნალისტ-მწიგნობარ-მთარგმნელთან — დავით მესხთან ერთად, რომელიც მსცოვანმა პოეტმა დომენტი თომაშვილმა გააცნო მას. მესხთა განთქმული გვარის ამ უკანასკნელ მოპიკანს ძლიერ შეენოდა სადა ქამრიანი კოხტა ჩოხა-ახალუხი, თეატრეშტულიანი ყდალი ქუდი და იმ ქუდის ფერივე მომცრო წვერულვაში. ფრიად პატივსაცემი და დარბაისელი დავითი დაუზარებლად მოუთხრობდა ლადოს თავისი დიდი ოჯახის ამბებს, აცნობდა ამ სახელოვან და-ძმათა დაუცხრომელი მოღვაწეობის ფაქტებს... ბევრ საინტერესოს იხსენებდა თავისი მდიდარი წარსულიდან. უკვე 85 წელს მიღწეული, მოგონებებით ცხოვრობდა საყვარელი მოხუცი!

ლადოს უნდოდა დაეწერა დიდი წიგნი „მესხების ოჯახი“. ქუთაისში ყოფნისას, და შემდეგ თბილისშიც, აგროვებდა მასალას, ეცნობოდა სათანადო ლიტერატურას, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულა. მხოლოდ მის უბის წიგნაკში არის რამდენიმე საყურადღებო ჩანაწერი ჩვენი კულტურისა და ხელოვნების ამ თავდადებულ მოამაგეთა შესანიშნავი ოჯახის ყოფაცხოვრებიდან. ესაა დავით მესხთან საუბრების კვალი.

XV

ნაშუადღევი იყო. ძლიერ წვიმდა, ფანჯრიდან სამგლოვიარო პროცესია და-ვინახეთ. რედაქცია იმ წელს მაშინდელი პარიზის კომუნის მოედანზე იყო მოთავსებული — საქალაქო საბჭოს შენობაში — და ფანჯრებით ლიბენეტის (ახლა სტალინის) ქუჩას გადაჰყურებდა თავიდან ბოლომდის.

მიასვენებდნენ ვიღაც მოხუც ქალს. ყველა გამცილებელს შავ-შავი ქოლგები გაეშალა და ამ თავსხმაში გასაოცრად აუჩქარებელი ნაბიჯით მიყვებოდნენ პირაზდილ კუბოს.

თითო-ოროლას გარდა, ადამიანები არ ჩანდნენ, რადგან ზემოდან დავყურებდით მათ. მხოლოდ ერთ მთლიან მასად თუ მორგავდ ქცეული და ერთმანეთზე დაუსრულებლად და მჭიდროდ მიკრულ-გადაბმული, წვიმისაგან გაკრიალებული უამრავი შავი ქოლგა, ტორტ-მანითა და ტაბით, ჭიაყელსავით წაგრძელებული მიიზღაზნებოდა ჩვენს ქვემოთ, შუა ქუჩაში. ეს იყო რაღაც უჩვეულო სანახაობა.

უცებ პროცესიას ერთი პლაშჩიანი მაღალი კაცი გამოეყო თუ ჩამორჩა. თითქოს თვით პროცესიის ამ მღორე მდინარემ გამორიცა იგი ქუჩის ნაპირას და მისთვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. ფეხის თამაშ-თამაშით ტროტუარზე ავიდა და ხან ერთი ხის ძირს შეეფარა, ხან მეორეს. იმ დუღდა ხალხში, ალბათ, მარტო ის იყო უქოლგო. სხვის ქოლგებს შეფარებული — უფრო გაწუწულიყო, მეტი ვეღარ გაეძლო ქოლგებიდან ჩამონადენი

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 5.

წვიმისათვის და, ეტყობოდა, ახლაც წვიმას ემალებოდა. ბოლოს „ტორგისინის“ მაღაზიის წინ მომცრო აივანს შეაფარა თავი, ნაწვიმარი ქუდი მოიხადა და მაგრად დაჰბერტყა.

— არიქა, ეს გალაკტიონია, გალაკტიონი! — შესძახა იმ დროს რედაქციაში მყოფმა მამია ასათიანმა, სწრაფად დაეშვა კიბეზე და წამსვე ქუჩაში გაჩნდა.

პარიზიდან ახლადბრუნებული გალაკტიონ ტაბიძე, თურმე, წყალტუბოში ისვენებდა. იმ დღეს ნაცნობი ქალის დაკრძალვაზე ქუთაისს ჩამოსულიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ რედაქტორის კაბინეტში იჯდა იგი განიერ დივანზე და საუბრობდა, თავისებურად ენაწყლიანობდა და რედაქციის მუშაკებს მოუთხრობდა და უზიარებდა პარიზის ამბებს.

წვიმა რომ შეწყდა, ქალაქის ბაღში მასთან და იუზა ზარდალიშვილთან ერთად რამდენიმე მწერალმა და რედაქციის თანამშრომელმა ფოტოსურათი გადაიღეს.

როცა, ორმოცდაათიანი წლების დამდეგს, გალაკტიონმა თბილისში, ბექციეთი სიტყვის კომბინატის კლუბში, თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა მოაწყო, და სახლიდან მოტანილი უამრავი მასალით აავსო და მორთო დარბაზი, სტენდზე გაიელვა ქუთაისის ბაღში იმ მოწყენილ დღეს გადაღებულმა ჩვენმა სურათმაც. გალაკტიონი ყოველთვის გულდასმით ავროვებდა ყოველგვარ მასალასა და საბუთს და ქალაქის უმცირეს ფარატინსაც კი არ ჰკარგავდა, თუ იგი ოდნავ რაიმეთი მაინც იყო დაკავშირებული მის ცხოვრებასთან... ამ სურათზე ფოტოგრაფ დათიკო მხეიძის მიერ, გალაკტიონთან ერთად, აღბეჭდილი არიან იუზა ზარდალიშვილი, გიორგი ჯიბლაძე, პარმენ შელეგია, მამია ასათიანი, ბონდო კეშელავა, იროლიონ ხანთაძე, მიშა დავითაშვილი და სხვები. გალაკტიონმა იქვე ცალკე გადაიღო კიდევ სურათი: დგას ხის ძირში იგი, ჩვენი თაობის ყველაზე ხმა-მაღალი მომღერალი, და თითქოს უხარია, თავი რომ დააღწია იმ სამგლოვიარო პროცესიას და პირდაპირ, ახლოს, დგანან მისი ვეჟაკური პოეზიის თაყვანისმცემლები...

სალამოს რესტორან „აზიურში“, სახელდახლოდ გაშლილ სუფრასთან, დაილია ჩვენი პოეტთა მეფის შემოქმედების სადღეგრძელო. ითქვა, რომ ჩვენში — ცოცხალ პოეტთა შორის — მას ბადალი არ ჰყავდა.

„ეს მართალია, — აღტაცებით წარმოთქვა იმ სუფრის თამადამ იუზა ზარდალიშვილმა. — დილია ჩვენი გალაკტიონი!“ და თავისი სიტყვა დაამთავრა აკაკიზე ნათქვამი გალაკტიონისავე სტრიქონებით:

„იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად,
ჩვენი ფიქრების სიდიადეში
ჩვენი სიზმრების ლურჯ ნიავქარად“...

ბავშვებით აფრთოვანებულ-აფოფინებული გალაკტიონი სვამდა სამადლობელს, თავდავიწყებით ეხვეოდა იუზას და სახემდომარე აკანტურებდა თავს:

— ვუყვარვარ საქართველოს... ვუყვარვარ ყველას — ჩემს ქუთაისელ ძამიკოებს! — გაიძახოდა იგი და თვალცრემლიანი იყურებოდა სადღაც შორს.

მერე, ლამით, როცა პარმენ შელეგიამ მანქანაში ჩასვა იგი და, ისევ ამოვარდნილ ჭარსა და წვიმაში, წყალტუბომდის მიაცილებდნენ, გზაზე არავისთვის ხმა არ გაუცია, ვარინდებული იჯდა საჭესთან, ჩვენი რედაქციის შოფერ გოგი ვარძიგულაშვილის გვერდით, და გაჰყურებდა ღვართქაფით წალეკილ შარსს, დროდადრო რომ გაიელვებდა ღამეში მანქანის ფარების შუქზე.

გულდონირებულ გზატკეცილზე მიჰქროდა ჩვენი მკვირცხლი „გაზი“. სასტიკი ქარი ტყვიასავით უშენდა მანქანას წვიმის მსხვილ-მსხვილ წვეთებს, თითქოს შრანკნული უცხრილავდა თხელ ფერდებს და აგლეჯდა ბრეზენტის მსუბუქ სახურავს: გალაკტიონი კი ყურს უგდებდა ქარ-წვიმის სტვენასა და ხმაურს, ხანდახან ხელის აქნევით, თითქოს რომელიღაც უცხო ენაზე, ჩვენთვის გაუგებარი სიტყვებით, წამოილიინებდა რაღაცას და ისევ ღუმდებოდა.

პარმენ შელეგიამ წაიჩურჩულა: „ნახეთ, გალაკტიონი ახლა თავის სტიქიაშია შესული. ჩვენი აღარაფერი ესმის. ამ წუთს მხოლოდ ეს მღელვარე ღამე, ქარი, წვიმა და მანქანის ეს თავაწყვიტოლი სრბოლაა მისთვის მთელი პოეზია და ცხოვრება“.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისის თეატრში გამართულ საღამოზე გალაკტიონმა წაიკითხა „მოაწმინდის მთარე“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და რამდენიმე ახალი ლექსი, რომლებმაც შემდეგ შეადგინეს ერთი მთლიანი

კიკელი „შორი გზები მოვიარე“. ეს იყო პარიზის მსოფლიო კონგრესზე ყოფნისას პოეტის დაკვირვებული თვალით დანახული ამბები და იქ მიღებული შთაბეჭდილებები.

საზოგადოების თხოვნით ამ ლექსებს მიაყოლა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარა“.

ეს უკანასკნელი, თითქმის თხუთმეტობიდან წლის წინათ დაწერილი ლექსი, ახლა თითქოს ეხმაურებოდა და იგონებდა იმ დღეს, როცა გალაკტიონი „სტალინელის“ რედაქციას ეწვია და მერე წყალტუბოდის მიაცილებდნენ ქარსა და წვიმაში...

XVI

ლადომ იცოდა წიგნების ამოჩემება. ხან სტენდალის „წითელი და შავი“ ეჭირა ხელში, ხანაც „ქართლის ცხოვრება“, ან თედო ყორღანის „ქრონიკები“. ერთხანს სულ მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ქრონოლოგიურ ტაბულებსა და რუკებს ჩაპირკიტიებდა და თანმიმდევრულად იცოდა: რამდენი ვახტანგი, რამდენი დავითი, ბაგრატე, კონსტანტინე, გიორგი თუ ალექსანდრე იყო ბაგრატიონთა სამეფო სახლში. ამ მხრივ მარტო გიორგი ნაფეტვარიძე თუ შეეცილებოდა, — მასაც, ლადოსავით, უყვარდა ძველი საქართველოს ამბები.

ბოლო დროს ლადო უბით დაატარებდა ტიციან ტაბიძის ლექსებს.

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა,

შემდეგ დაწერილი ეს სტრიქონები უღროდ დაღუპულ ტიციანზეა ნათქვამი.

— ადამიანს ყველაფერი უნდა — მთელი ქვეყანა, — მითხრა ერთ დღეს. — ვიწრო და ცოტა არ ყოფნის, სულს უხუთავს. ამას — წიგნებში ამოკითხულ სიტყვებს გეუბნები, მაგრამ ჩემი ნათქვამით მგონია, უკეთესს მე ვერ ვიტყვი. ახლა შევიძინე მომზენი და ჰიბონი, პლუტარქე და ფუკიდიდე, — რომი და საბერძნეთი ჩემია მთელი სიგარძე-სივანი.

მშვენიერია პლატონის დიალოგები, მიტაცებს სოკრატეს უკანასკნელი ღამე, მომხიბვლელია დიოგენის ახირებული ცხოვრება. „დანაშაულისა და სასჯელის“ კითხვის შემდეგ ვეღარ დავიძინე. საბას ლექსიკონს პოემასავით ვკითხულობ. ეს წიგნები ამომათავებს და ბოლოს მომრდებს. თითქოს ჯარჯარად შემომესივნენ: მეფისტოფელი — ქვეყნის მწვრველე და კაცობრიობის მტერი, ყველაფერში ცუდს რომ ხედავს; ჰამლეტი — გაუბედავი და მართლა ზრძენი, ყოველთვის საყვარელი და საბრალო დონ კიხოტი; მაგრამ ყველას მიჩვენია... არ გაგივირდეს; ჩვენი ხევისბერი გოჩა! ისტორიული გმირებიდან — დიმიტრი თავდადებული...

ერთ ზამთარში სულ ედგარ პოს, შელისა და ვერლენის ლექსთა წიგნებს კითხულობდა. ჯიბეებში ხელეზჩაწყობილა, ილიაში ამოდებული წიგნით, ყელზე კაშნეშემოხვეული და თავშიშველი დადიოდა ქუჩებში და ნელი ხმით, მარცვალ-მარცვალ, დღინებდა საყვარელ ავტორთა ლექსებს. ამისთვის იგონებდა სხვადასხვაგვარ საკუთარ მოტივს. ერთხანს სულ აკაკის ლექსებს იმეორებდა, სხვა დროს — ბარათაშვილის „შევიშრობ ცრემლსა“ და „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. რამდენიმე კვირას რუსულად, თითქმის სრულიად უმოტივოდ, დუდუნებდა ბლოკის სტრიქონებს:

Ночь, улица, фонарь, аптека,
Бесмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверть века,
Все будет так, — исхода нет!
Умрешь — начнешь опять сначала
И повторится все как встарь:
Ночь, ледяная рябь канала,
Аптека, улица, фонарь..

დაცულია ქალღმერთის ფურცლები, სადაც ღმერთის ხელით რამდენიმეჯერაა გადაწერილი ეს ცნობილი ლექსი. „წითელი და შავი“ რომ ჩამოვიდა ქუთაისში, ხელიდან აღარ იცილებდა: — რუსულად მინახავს, წამიკითხავს კიდევ, მაგრამ — როცა ფრანგული არ იცი კაცმა, უმჯობესია — ქართულად წაიკითხოო, — ამბობდა. ამ დროს ეკუთვნის შ. კოხობისაგან ღმერთს სალაღობოდ თქმული:

ყელზე გაქვს კაშენ აქლემის ყელის,
ჯიბეს გიწყვია ორივე ხელი,
ილღიაში კი — ბოე და შელი,
ხარ შენ ეული, გიყი და ხელი,
ღამდამია შენი სახელი..

1940 წლის 9 აპრილს ქობულეთში გადაღებულ ფოტოსურათზე მას, მართლაც, ჯიბეში უწყვია ორივე ხელი და — თავშიშველს — აქლემის ყელის ბეწვისაგან მოქსოვილი კაშენ აქვს მოხვეული კისერზე. მხოლოდ ილღიაში არა აქვს არც ერთი წიგნი!

ლექსის წერის დროს არ მინახავს სერიოზულად დაფიქრებული. ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. დასწერდა, სტრიქონს გადაშლიდა, კვლავ გადასწერდა, წაიკითხავდა და თუ მოეწონებოდა, თავისებურად ჩაიქირქილებდა, ან ჩაილილინებდა, რაღაც გულწაბრობით, ბავშვით ტყბილი ხმით ჩაილულუნებდა მთელ ბჭკარებს, თან ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან.

ტოლ-მეგობრებთან ყოფნისას არასოდეს მოსწყინდებოდა პოეზიაზე საუბარი და ამხანაგ პოეტთა ლექსების კითხვა. საკუთარ ლექსებს ძნელად კითხულობდა, კარგად არ გამოუდიოდა. თავის თავზე დიდი წარმოდგენის არ იყო, მაგრამ მაინც ამაყად იცოდა თქმა: „ერთხანს ვწერ, ვიცი, ცოტა კარგი რამ გამოვივა, თუ არა და... ზოგიერთივით მწერლობას არ შევებარდები, არ ჩავაფრინდები ამ ლიტერატურას ისე, როგორც ეგნატე ნინოშვილის ივანე ტივის ხეს პალასტომის ტბაში. ისე კი ბევრი რამ მაქვს სათქმელი, საოცნებო და გასაკეთებელი. მინდა ერთი კარგი წიგნის ავტორი მაინც ვიყო. „ასათიანური“ უნდა დაეარქვა და შიგ ჩავწერო ყველაფერი ლექსად და პროზით“.

XVII

„სტალინელის“ 1936 წლის 5 მაისის ნომერში მოთავსებულია ღმერთის ასათიანის პატარა წერილი „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!“ აქვეა მისი ფოტოსურათიც.

„პირველად გაზეთ „სტალინელის“ ფურცლებზე ვიგრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეშვი, — წერს იგი, — და დღეს, როცა ბოლშევიკური პრესის ოცდამეოთხე გაზეთულთან ჩემი ცხოვრების მეცხრამეტე გაზეთულსაც ვზეიმიობ, არ შემძლია სიყვარულითა და ჯერარგანცდილი აღტაცებით არ მივესალმო ბოლშევიკური პრესის ჯანმაცარი თაობას. და განა სასიხარულო არაა? განა უამესი ყრუანტელის მომგვრელი არაა, როცა შენი ლექსები დილით შენზე უფრო ადრე გამოვლენ და მერე სად? ყვავილებით შემორკალულ ინდუსტრიულ ქალაქში! მე ეს სიხარული განვიცადე, მე ამ სიხარულს კიდევ განვიცადი. ეს სიხარული და აღტაცება შენ მოიტანე ჩემთვის, ჩემო გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვაც შენი დღევარქელობისა და შენი გამარჯვებისა იყოს!

მობდენილად უთქვამს ერთ მწერალს: არსებობს ღრმა სიხარული და ღრმა სევდა. ასეთი სიხარული და ასეთი სევდა უტყვიაო. უკანასკნელზე რა მოგახსენოთ, ხოლო პირველს (ღრმა სიხარულს) ახლა განვიცადი, მამუნჯებს ეს სიხარული, მაგრამ მაინც ვმღერი და ზოგორ არ ვიმღერო, როცა:

ზევით ცა მხურავს კრიალა, ღია,
ირგვლივ მთებია მკერდდაგლეჯილი.
ჩემი სამშობლო იალღია,
ზედ საამური ხარობს ჯეჯილი;
და თუ მოაწყდა მტერი იალღს,
ვერ შეძლოს გულმა ბოღმის დატევა,
მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარაღს,
მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატეარს!“

შემდეგ ამ წერილისა და ლექსის ავტოგრაფი გადმოცა ჩემი კომკავშირული პრესის

ძველმა მუშაკმა და ჟურნალისტმა რაჟდენ გაბეჩავამ წარწერით: „თუ ამ წერილის ავტორს თაობები შეინახავენ, შეცდომა არ იქნება, თვით წერილი სანდო არქივს ებაროს“.

XVIII

ძველი ჟურნალისტი ელიოზ ხუციშვილი ჩვენი რედაქციების დაულალავი და გამოცდილი მუშაკი იყო. სად არ წავიდოდა იგი კარგი საგაზეთო მასალისათვის. მისთვის სულ ერთი იყო დარსა და აედარში ფეხით თუ მატარებლით, ცხენით თუ ეტლით მგზავრობა, ოღონდ რაიმე „საკბილო“ კი მოეგდო ხელში. ერთხელ მთელი საათობით აწკრიალებდა ტელეფონის ზარს, მაგრამ ვერაფრით დაუკავშირდა წყალტუბოს, რაღაც ცნობა უნდოდა გაზეთისათვის. კოკის-პირული წვიმა იყო და „ქუთათური“ ქარი მიწაზე აფენდა ყველაფერს. ხაზი არ მუშაობდა. ხმაამოუღებლად წამოდგა ელიოზი და... ყველას ეგონა, მეორე ოთახში გავიდაო. მაგრამ, როცა ისევ მალე შემოიჭრა — მთლად გაწუწული და თვალგაბარწყინებული, მიხედნენ, იმ თავსხმაში წყალტუბოში გაქცეულიყო მასალის მოსატანად.

მეორეჯერ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მიმდინარეობდა და ამისთვის სპეციალური ნომერი მზადდებოდა, ელიოზმა მზა მასალები რედაქციის მდივანს მაგიდაზე დაუწყო და გვითხრა:

— აბა, თქვე გიყებო, უჩემოდ არ მოიწყინოთ. ახლავე მოვალ. ავერ სადგურისაკენ გავისეირნებ, ვნახავ, როგორაა საქმე...

ძალიან მალე აწკრიალდა ტელეფონი და, ელიოზი რეკავდა... მესტიიდან! არჩევნების მსვლელობაზე მასალებისთვის იქ გაფრენილიყო. ეს იყო სარეკორდო ამბავი ჩვენს მაშინდელ რეპორტიორულ პრაქტიკაში. იმ ნომერში მესტიიდანაც მოთავსდა სასწრაფოდ მოწოდებული მასალა და ელიოზი იმავე საღამოს სტამბაში დასტრიალებდა თავზე გაზეთს. პირდაპირ გაქირვების ტალკევის იყო ჩვენი ყოჩაღი ელიოზი!

ლადო ასათიანის უბის წიგნაკში შემონახულია ერთი ჩანაწერი ამ შემთხვევაზე:

ხომ ყოფილა ელიოზი
გენიოსზე გენიოსი?
წამს გაფრინდა მესტიაში,
მუნ საქმე ჰქნა ბლესტიაში...

XIX

1936 წლის ზაფხულზე ლადო რამდენიმე ხნით თავის საყვარელ ბარდნალაში წავიდა. ხშირ-ხშირად აგზავნიდა ლექსებსა და ბარათებს. უყვარდა წერილების ლექსად მოწერა. ერთი ასეთი წერილი გამოგზავნილია 1936 წლის 23 ივლისს, სადაც მისთვის ჩვეული ჰუმორითაა შეზავებული სტიქიონები:

„მთაში წვიმს და გარს მარტყია დარწეული ნისლის აფრა,
მოდის ჩემთან შენი სახე, ასე ტკბილად, ასე მძაფრად.
მთაში წვიმს და თხმელის შქერში შავი შაში მღერის წყნარი.
შენ მოდიხარ, ლხენით ხელს შლი, გზიბლავს მთა და ცხენისწყალი.
გუშინ მთიდან ნისლის ფთილა გადმოფრინდა იმერეთში,
მას სალაში დაეხაბარე, შენთან ჩემი მძიმე ლექსით.
თუ მოვიდა? მოვიდოდა, რა ეშმაკი დაუშლიდა!
და მეგობარს, მასწავლებელს ლხენით მკლავებს გაუშლიდა.
სალამი და გამარჯობა ქუთაისის ქუჩის პალმებს,
სალამი და გამარჯობა: გოგის, პეტრეს, პლატონს, პარმენს,
და პოეტებს ქუთაისის — „ჩაბაის“ და „ჩაის“ რითმით,
მელანდება, მაქ ერთ-ერთი დამჯდარა და რითმებს ითვლის.
პარმენს სთხოვე, მაპატიოს, რომ იმ მწკრივში ბოლოს მოხვდა,
ეს, ძვირფასო მეგობარო, რითმისათვის მარცხად მოხდა.

ელიოზს¹ კი... ვერ მოვაწყვე, სულ რითმების გაღმა რჩება,
 გოხოვ, გადასცე მას ულექსოდ სალამი და გამარჯვება!
 სხვა... როგორ ვარ? — არა მიშავს,
 ვწერ, ვკითხულობ, ვთარგმნი პუშკინს,
 ერთი ლექსიც მივუმატე ჩემს „პოეტურ მარაგს“ გულში.
 მითხარ, გოგიმ ჩემი ლექსი თუ გადასცა მემანქანეს?
 თორემ მოვალ აგვისტოში, ძმომ ნიკა, მე მაქანე,
 ბასრ სატეგარს დაეკიდე? და „მტრისაკენ“ შევქაენებ.
 და ეუფავენა ჯოგის „იმ“ ლექსს, წაიკითხეთ, ჩემო ნიკო,
 თუ რაიმე ეკუთვნოდეს, თუ რაიმეს ღირსი იყოს...
 შენ საბავშვო ლექსს გიგზავნი, გაუგზავნე იგი მარგოს²,
 იქნებ ჟურნალს: გამოადგეს, დაბეჭდოს და რამე არგოს.
 სხვა, რაც კაცის გულში არის, ასე მალე ვინ აჩვენოს?
 კარგად იყავ და, რაც გოხოვე, შემისრულე, ნიკა ჩემო.
 შალიკოსაც³ მიესალმე, ჩვენთან ხშირად მოსადილეს,
 ალბათ ახლა უჩემობით ზის და ცრემლით ჰმოსავს დიღებს...

წერილს თან ახლდა ლადოს მიერ ნათარგმნი მამინ-სიბირიაკის „ემელია მონადირე“, პუშკინის ლექსები „მე და შენ“, „ბოშები“, „გამოლდიება“ და მისივე მოთხრობები „ქარბუქი“ და „სადგურის ზედამხედველი“.

ეს თარგმნილი ნაწარმოებები არსად არ დაბეჭდილა. ხუთი მათგანი ინახება ლადოს ქალაქ-დებში, „ქარბუქი“ — კი არსად ჩანს.

XX

ამის წინა წლებში ვანიონ დარასელი და მამია ასათიანი დიდად უწყობდნენ ხელს და ეხმარებოდნენ ნიჟიერ ახალგაზრდას.

მაგრამ 1935 წლის შემოდგომიდან ვანიონ დარასელი „ქართველი ჩაბაევის“ კვალის საძებრად გაემართა და გზადაგზა, გემ „გრუზიას“ ბაქნიდან უცნაურად გრძელ-გრძელ და საქართველოს მონატრებული ალერსით სავსე წერილებს სწერდა ბონდო კეშელაეას, პარმენ შელეგეას, პეტრე ბახტურიძეს, მამია და ლადო ასათიანებს და სხვებს. მეტად მომხიბვლელი და სახალისო იყო ვანიონის მოგზაურობის ამბავთა კითხვა. ამ ბარათებში ერთმანეთს თანმიმდევრულად ცვლიდნენ ქალაქები: სოხუმი, ვაგრა, ტუაფსე, ნოვოროსისკი, ფეოდოსია, სევასტოპოლი, ევატორია, ოდესა, კიევი და ...ბოლოს როსტოვი. ყველა ქალაქი რაიმეთი თავის საყვარელ ქუთათის აგონებდა ვანიონს; იგი როსტოვის პედინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და თავდადებით აგროვებდა მასალებს ვასილ კიკვიძეზე...

ნაწილობრივ თავი მიაწება რედაქციაში სიარულს და უპატრონო ბავშვივით მთლად ბედის ანაბარა გახდებოდა, მაგრამ კიდევ ჰყავდა გულშემატკივრები — სტუდენტობის ამხანაგები: შოთა ქურიძე, ლევან კიკნაძე, მიშა ალავიძე, გიორგი შალამბერიძე, ნელი დუმბაძე, მარო ტრაპაიძე, ქეთევან და ზინა ხონელიძეები, ბესო ზონენაშვილი, აქსენტი მიშველაძე; პოეტები: ბონდო კეშელაეა, გრიშა იმედაძე, გიორგი ნაფეტვარიძე; რედაქციიდანაც ხელს უწყობდნენ: რედაქტორი პარმენ შელეგეა, გიორგი ჯიბლაძე, პეტრე ბახტურიძე, განსაკუთრებით უყვარდათ შალვა კოხოძეს და გ. ნაფეტვარიძეს.

1 აქ მოხსენებული არიან გაზეთ „სტალინელის“ მაშინდელი მუშაკები: გიორგი ჯიბლაძე, პეტრე ბახტურიძე, პლატონ გულუა, პარმენ შელეგეა და ელიოზ ხუციშვილი.

2 მარგო თომაძე — მწერალი და კომკავშირული პრესის ძველი მუშაკი. იმჟამად ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი.

3 შალვა კოხოძე.

უკანასკნელი პირდაპირ აღმერთებდა მასზე ორიოდ წლით უფროს მეგობარს, — ბავშვივით შეჭფოფინებდა თვალებში. ბევრჯერ მინახავს ორივენი „ცისფერ კაფეში“ მაგიდასთან მიმჯდარნი, გულჩათხრობილად მოუბარნი პოეზიასა და „სხვა საოცრებაზე“. როგორი ხალისით და სიყვარულით აწოდებდნენ ერთმანეთს პურმარილს, სთავაზობდნენ სასმელს და შეექცეოდნენ მეგობრულად.

X XI

გ. ნაფეტვარიძე ყოველთვის მოკრძალებული იყო უფროს ამხანაგებთან და თანატოლებთან საგულიგულო საუბარი უყვარდა. მის თაფლისფერ თვალებს, როგორც საერთოდ იციან თქმა, თითქოს დაჰკრავდა აუხდენელი ოცნების იერი, კვალი თუ ნიშანწყალი. კაი დარდიმანდი და თმაქოჩორა ბიჭი იყო და ღიმილიც შეენოდა და დაფიქრებაც ოდნავ ნაყვავილარ სახეზე.

ვანის დაბურთულ ტყეებსა და რიონის ჭალებში თავისუფლად გაზრდილი და სკოლის მერხიდან ახლადწამოფრენილი მოვიდა იგი ქუთაისის პედინსტიტუტში და იქ დაუახლოვდა ლადო ასათიანს და მის ამხანაგებს.

„ქუთაისში, ყვავის ბუდეში, მოპოეტო ბახალას“, — წერდა ის ლადოს ხუმრობით თავის მისამართს 1938 წლის 28 სექტემბერს თბილისში. ორივეს უყვარდათ ქუთაისი, მათი სტუდენტობის აკვანი, აქ ჰყავდათ ბევრი თანამეგობარი.

როგორი მტკიცე რწმენით მიმართა გ. ნაფეტვარიძემ 1939 წელს თანაკურსელებს გამოსაშვებ საღამოზე:

დარეკავს ყამი, ჭლაროსნები
კვლავ შევიყრებით მშობელ მიწაზე...
ჩვეულ ხალისით, ჩვეულ ოცნებით
კვლავ სტუდენტობის დრო გავგიტაცებს, —

მაგრამ „მშობელ მიწას“, ე. ი. ქუთაისს ის არ დაბრუნებია, ძლიერ ადრე მოესპო მას ტოლ-ამხანაგებთან ყოფნა და მათთან სიხარული. თითქოს თავისთავზე თქვა წინასწარ ჯერ კიდევ 1938 წელს:

„ბევრნი წასულან ჯარისკაცებად,
მაგრამ ცოტანი დაბრუნებულან...“

ხშირად გამიგონია მისგან ღიღინით წარმოთქმული:

ძნელია მოკვდეს ვაჟაკი,
უღროოდ დაიკარგოსა.
მისი კოკობი უღვაში
მიწაში ჩაიმაბრხოსა...

ეს იყო გიორგი ნაფეტვარიძის ამოჩემებული სიტყვები.

ორივემ საყვარელ მუღმივ სასაუბრო საგნად გაიხადეს პოეზია და ლექსები, კარგი ლექსები. გ. ნაფეტვარიძემ ნახა „სიტყვა და საქმეში“ დაბეჭდილი გრიგოლ აბაშიძის „Rot front“ და შემდეგ სულ იმეორებდა:

„თავები მარად კეთილშობილნი
სიმღერით ავლენ სახრჩობელაზე“, —

— აი ეს მესმის! ხომ ვაჟაკურია? თუ ქვეყანას დასკირდება, ჩვენც ასე მოვიქცევით, — ამბობდა ის აფრთოვანებული. ახალგაზრდა პოეტებიდან მაშინ ყველაზე უფრო მათ გ. აბაშიძე მოსწონდათ. ლადო ასათიანმა „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში წაიკითხა მისი პოემა „უკანასკნელი ხატისკაცი“, ბევრი ადგილი ზეპირად ისწავლა და ძლიერ უნდოდა ავტორის გაცნობა. ეს ქუთაისში არ მოხერხდა და მხოლოდ თბილისში ვადასკლის შემდეგ შეხვდა იგი გრიგოლ აბაშიძეს.

... როცა 1938 წელს მოსკოვში მყოფ გ. აბაშიძეს კოლექტიური წერილი გავუგზავნეთ „ჩვენი თაობის“ რედაქციიდან (წერილს ხელს აწერდნენ ირაკლი აბაშიძე, ალექსი გომიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი და სხვები), კონვერტზე წასაწერად ლაღო ასათიანმა დამიწერა შემდეგი ლექსი:

„კონვერტი ესე, გამთბარი საქართველოს მზით,
ქალაქ მოსკოვში — პირდაპირი გზით, —
გრიგოლ გრიგოლის აბაშიძეს
(თვითონ წერილები ამაში ძეგს!).
თუ ვარგოდეს, წაიკითხე, აბა სინჯე!
წერილს გიგზავნით სპეციალური ელჩით,
მიერთვას ჩვენს გრიშას — საკუთარ ხელში!“

„სპეციალური ელჩი“ იყო პოეტი გიორგი კალანდაძე. იმ დღეებში მოსკოვს ვემგზავრა და წერილიც მას გავატანეთ „პირდაპირი გზით“.

რა გატაცებით და ინტერესით უღვდებდნენ ისინი ყურს უფროსი თაობის ამხანაგთა ნა-ამბობს.

ტყუილუბრალოდ არავის კადრებდნენ ერთ შებრუნებულ სიტყვასაც კი, მაგრამ თუ რაიმე სასაცილოს შეამჩნევდნენ ვინმეს, აქ უკვე დაუნდობელი იყვნენ და მათი ქილიკი ენა ბევრს მოხვედრია წოლტივით.

ზოგი, რასაკვირველია, ვერ იჩენდა შესაფერ სულგრძელობას და არ მოსწონდა ნიჭიერი ხალგაზრდების უფლებელი ხუმრობა, თავმოყვარეობის შელახვად და ხანდახან მტრულ გამოხ-ლომაც კი მიაჩნდა ასეთი საქციელი. ამის გამო რამდენიმეჯერ უსიამოვნებაც კი მიაყენეს მათ, მაგრამ არავითარი მტრული და რომელიმე პიროვნების დამღუბველ-შემბლაღავი არ ყოფილა მათი მოქმედება.

ერთხელ ლაღომ დაიჩვილა:

— თავშეუკავებელი ვარ. ხშირად დაუფიქრებლადაც წამომცდება რამე და შემდეგ, იმავე წუთს, ვნანობ, რომ მომივიდა-მეთქი. მაგრამ გვიანდაა. ამას წინათ ეგვენი ფურცხვანიძეს ვაწყენინე. რას ვერჩოდი! ერთი ალაღ-მართალი და გულკეთილი ადამიანია. მისი სოფლის სახელი — ჭყები — შემომიჩინდა, რაღაც ახირებულად მომეჩვენა, აღარ მომასვენა და ცოტა გავკენწლეთ. არავითარი გასაყოფი მასთან არ მქონია. პირიქით, პატივს მცემდა და ვუყვარდი კიდევ... ჰოდა, ბევრს საწყენად მიაჩნია, მაგრამ მე ალაღი ვულით... ან რითმისთვის, მივაყოლებ ერთმანეთს მოუფიქრებლად ენის წვერზე ნათუბათევედ მოსულ სიტყვებს და ხანდახან კარგი ეპიგრამა გამოდის. ესაა და ეს. ამით არავის მტრობა არ მიფიქრია. ის კი არა და, ვინმემ რომ მაწყენინოს, მაშინაც მის წინააღმდეგ ხმას არ ამოვიღებ, — წყნარად დუღუნებდა ის და სიტყვების აღმოთქმა უჭირდა, თანაც ხელების ფართო გაშლით თითქოს ჰაერს ეპოტენებოდა და ეშველებოდა სათქმელს.

სამაგიეროდ როგორ უყვარდათ ყოველი მოსწრებულად თქმული სიტყვა და ნაკვესი, ნიჭიერად შეთხზული, სხარტი ეპიგრამა. მასთან ძლიერ ეჯავრებოდათ უწამაწური ანეკდოტები და უხანსი სიტყვა-თქმანი.

XXII.

კარგად მახსოვს, თებერვლის ერთ საღამოს, როცა ავღრისა და წვიმისაგან პირდაბანილი-ვით ცქრილებდნენ ვარსკვლავები ქუთაისის ცაზე, წითელი ხიდის მხრიდან სტამბას ლაღო ასათიანი და გიორგი ნაფეტვარიძე მოადგნენ. მზადდებოდა მორიგი ნომერი. ლაღომ სარკმელში შემოპყო თავი და გაღმომძახა:

— ვივა, აგივე, როგორ მყოფობ? გამოდი კარში, კარგ გუნებაზე ვართ! ადიდე ცხოვრების სიხარული, რომ ყველა იყოს ბედნიერი, ადიდე ხალხის სიხარული... და ასე შემდეგ. ვისი სიტყვებია ეს? არ იცი? არც მე ვიცი. უოლტ უიტმენის უნდა იყოს, ხომ? ეს გიოს (ასე ეძახდა რგი გიორგი ნაფეტვარიძეს) უფრო ეცოდინება. მაგას უყვარს უიტმენი. ამას წინათ უქიმიერი-ნიდან გაღმოაღვა თავზე ქუთაისის და უიტმენის სიტყვებით ლაღადებდა: „შენ, ჰეი, ქალაქო, ოდესმე იქნები სახელგანთქმული და ბედნიერი, რადგან მე შენთან ვცხოვრობდი და გავიღე-როდი!“ ახლა კი ეს არ მაინტერესებს, — ჩემი ლექსი მანახე, რა ფერისაა, რა ხასიათზეა.

ცოტას შევასწორებ და, მერე კიდევ, რაღაც მომაგონდა...

იმ ნომერში იბეჭდებოდა ლექსი „ერთი საღამო აფხაზეთში“. ამონაბეჭდი გამოვეტანე და ჩემს ოთახში წავედით. ორივენი ოდნავ შეზარბოშებულნი იყვნენ. ლაღოს ნახევრად შექინ-
 ყლივობადა სახე და ცალ ყურზეც ცეცხლი ეკიდებოდა. მოძრავი და სწრაფი გიო ნაფეტვა-
 რიძე ახლა უფრო დადინჯებული ჩანდა. ფერმკრთალი ლოყები შეგნიდან შეწითლებოდა და
 თეთრ-თეთრ კობლებად ასხდა მეჩხერი ნაყვავილარი.

გზაზე შალვა კობხიძეც შემოგვიერთდა.

იმ ლექსის ანაბეჭდზე ლაღომ სათაურს ზემოთ ორფერი ფანქრით (ერთ მხარეს წვერი
 წაუტყდა და აღარ წაუწვეტა) შემდეგი წააწერა:

„იანვრის უძილო და ქარიან ღამეებში მე სიყვარული და მღელვარება მომენტარა, ჩემო
 კარგო. დავივიწყე ყოველივე ამ ქვეყნად და როცა აფხაზეთის მიწაზე დავადგი ფეხი, შენი
 ნატიფი და ბავშვური სახე წარმომიდგა თვალწინ. სიყვარულზე გული ამიცრუვდა წუთით და
 დედამიწა შეტორტმანდა ჩემს ფერხთით. სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან შენი სახე ასე
 მწყაზარი, ასე ნატიფი და მომთხოვა გაზაფხულის პირის ტკბილი სიმღერა. ჩემმა გრძნობებმა
 არ დაგაფიქროს, ჩემო კეთილო. გრძნობებგაძარცული შევიქენ მე დღეს და ვდგავარ ისე, რო-
 გორც ტრამალზე მდგარი ვერხვი, მარტოოდენ ერთი, რტოებ და ფოთლებშემოდარცული. ჩემმა
 გრძნობებმა არ დაგაფიქროს, ჩემო კეთილო, და ისე უბრალოდ მიიღე ეს მცირედი იმ ადამია-
 ნისაგან, რომელსაც სიყვარული ენატრება, მაგრამ არ შეუძლია. გაზაფხული მუდამ აღელვებ-
 და ჩემს გულს და ეს სიტყვებიც ამ მღელვარების შედეგია... ლაღო ასათიანი, 1936 წელი, თე-
 ბერვალი“.

— ეს შენთან იყო, არავის ვუგზავნი. ჯერჯერობით უმისამართა. იქნებ ოდესმე თვითონ
 ნახოს, ვისაც ვწერ. ის მიხვდება. ახლა ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი...

გიორგიმ წაიკითხა ლექსი, ეს წარწერაც და ხუმრობითა და, თანაც, სერიოზული გამო-
 მეტყველებით წარმოთქვა:

— ამის დამწერსა და გამომთქმელს ხელები უნდა დაუტოცნოს კაცმა, თაყვანი სცეს და
 ქელი მოიდრიკოს, დაემსოს მის ფერხთა წინაშე და ეამბოროს ნაკვალევს მისას. მომწონს:

იმღერე მზეზე, იმღერე სამშო,
 აღიდე ტკბილი, მზიანი ყოფა...
 ათიათასი წელი რომ გავძლო,
 ასამღერებლად ესეც მეყოფა!..

— ეს რაა, — შეეკამათა ლაღო, — შენ ის ნახე, იმ შენი ქართლის ცხოვრების ზოგიერთ
 ღირსახსოვარ ეპიზოდს რომ გავლექსავ პატარ-პატარა პოემებად! მაშინ ნახე, სულ ზეპირად
 რომ ისწავლის ჩემს ლექსებს მთელი საქართველო. აკაკივით უნდა ვიყო, აკაკივით!.. — ისღმრა
 მანაც, მერე ბავშვური ღიმილით გაუბრწყინდა სახე და თვალები, ერთი ჩაკვივლა, ჩაიხიბო-
 თა, მოიკუნა და მუშტი ისე შეათამაშა, თითქოს ბადრო მოიქნია და ტყორცნაო.

— აღამიანი ამაყი უნდა იყოს, მაგრამ ამპარტავანი და მედიდური კი არა, — უთხრა შ. კო-
 ხიძემ, — ზეიადობა არ უნდა ჰქონდეს. აკაკის შეჭიდება არ გამოგადგება, — სხვა კაცი იყო.

— შენ დღეს რაღაც აღერდილ ხასიათზე ხარ და ჩვენი არაფერი მოგწონს, — მიუგო ლა-
 ღომ, ხელები მოხვია კაფანდარა შალვას და ერთიანად ჩაბლუჯა გრძელი მკლავებით. — სწო-
 რედ აკაკი, აკაკი და სხვა ბუმბერაზები უნდა იყვნენ მისაბაძნი და სანიშუშონი! აბა, რამდენი
 ბუზი და ბუზანკალი ან ყვავი და ყვანჩალა დაფარფატებს ქვეყანაზე, მას გავუტოლდეთ? სწო-
 რედ — აკაკი და მწვერვალები!.. მწვერვალზე ასელა სანატრელია. ერთხელ კი მოვესწრო
 ასელას და, მერე თუ ჩამოვგორდები, არაფერია. ერთხელ ხომ გადმოვხედავ იქიდან მთელ
 ქვეყნიერებას, თუნდ ერთი წუთით... მაგრამ არა, თუ მწვერვალზე ავიდი, ასე ადვილად ველა-
 რავინ ჩამომბარძანებს...

შალვა კობხიძე გაუსხლტდა ლაღოს, ყურები თითებით დაიცო და ფანჯრიდან დათეიძის
 გორას გახედა. წინა წელს იქ პარაშუტის კოშკი წამოდგეს და ახლა ქარის წისქვილის სი-
 ლუტეტივით იყო აღმართული საღამოს ბინდ-ბუნდში. ელექტრონის სინათლე ჯერ არ იყო ან-
 თებული.

შალვამ წამოიძახა: „ნახეთ, უკვე წვიმს“, მაგრამ ლაღომ ყური არ ათხოვა და განაგრძო:

— პოეზიის მწვერვალი, ჩემო ძვირფასო, პოეზიის მწვერვალი! თორემ იმას კი არ გეუბ-
 ნები, ზოგი რაღაც თანამდებობის ნათხოვარ სკამზე რომ წამოსკუპდება და თავი ოლიმპზე
 ჰგონია, ისე როგორც ბარატარის გუბერნატორ სანჩო პანსას. მართლა, სანჩოს გუბერნატო-
 რობა ზოგიერთი მწერლის ბეის მაი-ნაბს: თეულ წლობით ფიქრობს, მწერალი ვარო, წერს,

იბეჭდება, წიგნებსაც ცემს, იუბილეებს მოელის და შემდეგ კი ხვდება, ნამდვილი მწერალი რომ არ ყოფილა. ყველას ატყუებდა თურმე, თანაც არც არა დაუკარგავს რა, არც არა უპოვნია... ჰო და, ძვირფასებო, ისევ აკაი და აკაი. მისგან ვისწავლე:

სამშობლოს ნუ დაივიწყებ,
ამ ქვეყნად ისიც ღმერთიაო.

აკაის ხსენებაზე გ. ნაფეტვარიძე ფეხზე წამოხტა, ქედმოდრეკილი დადგა მის სურათთან და წარმოთქვა: „ჩვენი დიდი და ტკბილი აკაი!“

შემდეგ ისიც ფანჯარას მიადგა და ბაღში გადაიხედა. მართლაც უვემური ამინდი დამდგარიყო უკვე. გარეთ წვრილად ჟინჯღღავდა. ცივი ქარი სასტიკად არხევდა და ერთმანეთში ზღარ-თავდა უფოთლო ხეების ტოტებს. ახლოედებოდა მარტი, ყველაზე ცუდი დრო ქუთაისში. გიორგი თითქოს გაოცებით შესცქეროდა ამინდის უეცარ ცვლებადობას და მერე ღუმილი დაარღვია:

— ყოველთვის გული სიხარულით მითრთის, როცა კარგ ნაწარმოებს ვკითხულობ. რა შეედრებოდა იმ სიხარულს, პირველად „ბაში-აჩუკი“ რომ ავიღე ხელში თორმეტი წლის ბავშვმა, ასე დამემართა შემდეგ ვალტერ სკოტის „აივენჰოს“ კითხვის დროს...

— შენ „ოდისეა“ წაიკითხე და „დამართებას“ მაშინ ნახავ, — უთხრა ლადომ, — თუ მოვა-ტერხე, უნდა ვთარგმნო. დასაბეჭდად თუ არ გამოდგა, ჩემთვის მაინც მქონდეს ქართულად. ამხანაგებს წავუკითხავ.

— ჩვენი შავლაიე მართლაც ვერაა დღეს კაი გუნებაზე. ეს იმის ბრალია, რომ ამ ბოლო დროს აღარ მონაწილეობს ჩვენს რეიდებში. რამდენი ხანია, მწვანე ბაზარში აღარ ყოფილხარ? — არ ეშვებოდა ლადო.

(გაგრძელება იქნება)



ახალი მოთხრობები

ახლა უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ მოთხრობის სიახლეზე და მომავალზეც, რომელიც შექმნეს ახალგაზრდა მწერლებმა. შექმნესო? იქნება იკითხოს რომელიმე ურწმუნო თომამ, ექვის თვალთ ცქერა კარგი ტონისა და სიბრძნის ნიშნად რომ მიაჩნია, საკვირველია, ასეთი ურწმუნონი ცოტანი როდი არიან...

ქართულ მოთხრობას სახელი გაუთქვეს დავით კლდიაშვილმა და ნიკო ლორთქიფანიძემ, და ალბათ მაშინაც, როცა ისინი პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდნენ, ტუჩამრეზით კითხულობდა ზოგზოგი „სამანიშვილის დედინაცვალსა“ და „თავსაფრიან დედაკაცს“.

ჩვენ სრულიად არ გვინდა გადავაჭარბოთ, ასეთი შედეგებისაგან ახალგაზრდების პროზა ჯერ კიდევ შორსა დგას. მაგრამ ცალკეული წარმატებანი აშკარაა.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ორივე ჟურნალის „მნათობისა“ და „ცისკრის“ თითქმის ყოველ ნომერში შესაძლებელია ნახოთ ახალგაზრდა პროზაიკოსის სრულიად ახალი გვარი. მათგან, რასაკვირველია, ყველა არ დადგება მწერალი, მაგრამ ეს პესიმიტური დასკვნა არაა, ვინაიდან იმათი რიცხვი, ვინც ახლავთ მიიპყრო ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღება, სავესებით საქმარისია. მართლაც, ამ მოკლე ხანში ჩვენ პირველად წავიკითხეთ გურამ გეგეშიძის, მერაბ ელიოზიშვილის და რევზ ჭერიშვილის მოთხრობები. შემოქმედებით სიმწიფის ასაკს მიუახლოვდნენ ოტია იოსელიანი და რევზ ინანიშვილი. ხოლო თითქოსდა მოულოდნელად გარდაქმნას არჩილ სულაკაურისა შედეგად მოჰყვა საინტერესო მოთხრობა „წყალდილობა“.

ნოდარ ღუმბაძემ გამოაქვეყნა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ამ მოთხრობით შეივსო ის ხარვეზი, რომელიც ასე უსამართლოდ აკლდა ჩვენს ლიტერატურას. პუმორი, როგორც ჟანრი, სერიოზულ მწერლობის სფეროს იქით იყო დარჩენილი. ალბათ იმიტომ, რომ დღემდე თვითმიზნურობით იყო დაავადებული.

ახლა უკვე აშკარად ჩანს, რომ ჩვენს პრო-

ზაში ხდება გარკვეული მობრუნება; ახლის ძიება სისტემატურ ხასიათს ატარებს და ეყრდნობა, როგორც ტრადიციას, ასევე თანამედროვე პროზის მიღწევების გათვალისწინებას. ეს მობრუნება ბუნებრივი პროცესია და კანონიერი შედეგი განვითარებისა.

არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ახლის გარეშე არ არსებობს მწერლობა. ისიც ცხადია, რომ ახალი უპირველესად ნაწარმოების შინაარსში ჩანს, — იმაში, რის თქმაც სურს მწერალს ასახულით. ახალი და მწერლის ორიგინალობა ერთიმეორის შემცველი ცნებებია. ამიტომაც, არ უნდა შევზღუდოთ ეს უკანასკნელი და მხოლოდ სტილის კუთვნილებად არ უნდა გადავაქციოთ. ასეთ შემთხვევაში, მანერულ პრეტენზიულობამდე ერთი ნაბიჯია.

სწორედ ორიგინალობის ცნების დაკნინების შედეგია, რომ ზოგი მწერალი მანერულობაში ხედავს პროზის სილამაზეს. მისი აზრით, მაგალითად, ნაწარმოები შესრულებული უნდა იყოს „ხალხური“ ენით, რომელიც სინამდვილეში გაპრანჭული კონსტრუქციებით, გამოთქმებითა და ანდაზებითაა სავსე, ხოლო „ხალხური“ უფრო ხშირად დიალექტს გულისხმობს. ეს მანერულობა მხოლოდ „საყმაწვილო სენი“ არაა და გარდა ახალგაზრდა მწერლებისა, სამწუხაროდ, ზოგჯერ სხვებთანაც გვევლინება თვალში, უმთავრესად ენის სიჭრელისა და ახირებულ კომპოზიციების სახით. ზოგი მწერალი ვერ ხედება იმას, რომ პროზის სილამაზისა და კეთილშობილების პირველი ნიშანი ესაა. ბუნებრივობა და უბრალობა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ასეთი საყვედური, მეტ-ნაკლებად რასაკვირველია, შეეხება ჩვენი ახალგაზრდა მწერლების თითქმის მნიშვნელოვან ნაწილს.

ახალი არის ნაყოფი მწერლის ხანგრძლივი ფიქრისა ხელოვნების ამოცანებზე. იგი აღმოჩენაა მანამდე უცნობი მხარეების მხატვრო-

ბის სფეროში; რასაკვირველია, ეს აღმოჩენები არასოდეს შემთხვევით ხასიათს არ ატარებენ; ისინი შედეგია მწერლის ინტელექტუალური სრულყოფისა და იმთავითვე შორსა დგანან ე. წ. მხატვრული ინსტინქტის კარნახისაგან. აქ არ შეიძლება, მსგავსად ცნობილი ესპანელისა, გადაიარო მთა და ერთბაშად აღმოაჩინო წყნარი ოკეანე.

ყველა ახალგაზრდა მწერალს თავმოყვარეობის საგნად მიაჩნია ახლის თქმა და ჩვენც გადავწყვიტეთ სწორედ ამ ძიებათა შესახებ დავეწერა წერილი — სწორია თუ არა მათ მიერ არჩეული გზა.

*
* *

არჩილ სულაკაურის მოთხრობაში „წყალდიდობა“ — როგორც ერთგვარი დასკვნა გარდასულ დღეთა, შეტანილია აწმყოც. მაგრამ ის სიმბოლიკა, რომელიც უნდა იტვირთოს ამ სურათებმა, მხატვრულ აუცილებლობით არაა ნაკარნახევი. თხრობა ხშირად წყდება და მხოლოდ იმიტომ, რომ მოთხრობის გმირი დაესწროს თავისივე სახლის დანგრევას... ყოველივე ეს მკითხველისათვის ცნობილია, ცნობილია იმ ფანტაზიის წყალობით, რომლითაც იგი ავსებს დაუწერელს. ასეთ შემთხვევაში აწმყო, ჩვეულებრივად, იგნორება მწერლის დამოკიდებულებაში ასახულისადმი და, საერთოდ, მისი მხატვრული ილუსტრაცია იშვიათად თუა მიზანშეწონილი. მეტადრე, რომ სულაკაურს აქ არაფერი აქვს განსაკუთრებულად სათქმელი.

სულაკაური, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მშვიდი ნერვების“ მქონე მწერალია.

სწორედ ამ ერთგვარი სიცივის (თუ სიმშვიდის) ბრალია შემდეგი უყურადღებობა: ლადომ გაიგო, რომ ცოლი დაღატობდა და მიატოვა სახლი. სცემა მეწისქვილს. თუმცა ასე მოიქცა იგი თავისად უნებურად. გამოვიდა დუქნიდან — სად უნდა წავიდეს? და დაბრუნდება ისევ თავის სახლის სარკმელთან. ხედავს ცოლს — იუღიას. ესაა მოთხრობაში ყველაზე უფრო დრამატიზმით სავსე სცენა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ლამა ანთია, ლადომ დაინახა პურის ნამცეცები. რა დროს პურის ნამცეცებია! განა ღირს ასეთ სიტუაციაში რამედ ეს დეტალი? აქ მთავარია ცოლი, ლადო მეტს ვერაფერს ვერ უნდა ხედავდეს. სულაკაურმა ბოლომდე არ უთანაგრძნო თავის გმირს, არ გაიზიარა მისი სულიერი დებრესია. მან თავის სიმშვიდის გამო დაინახა არასაჭირო დეტალიც და, რაც საწყენია, აღნიშნა კიდევ.

ახლა გარდაივალა მამა გორიო, თქვა ბალზაკმა, როცა სულთმობრძავის როლში შეუ-სწრეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სხვა მომენტიც. მოთხრობაში სტატეკური ხასიათის სიტუაციები

სქარბობს, რაც თავისთავად ადამიანთა ფსიქიკის ანალიზის კარგ საშუალებას იძლევა. სულაკაურის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი აღმოჩენებს აკეთებს ამ ანალიზის დროს. ასეთია, მაგალითად, სურათი დუქანში მწვანე ფრენჩიანის მონაწილეობით.

მწვანე ფრენჩიანის დისონანსი შეაქვს დუქანში: მის გამარჯობაზე არაფერს პასუხობს, იგი სხვა კაცია, არაჩუღრეთელი. ამ მწვანე ფრენჩის საშუალებით ავტორი ორ კურდღელს ჰკლავს. ეს ლოთი კაცი თავისი ბუნებითა და ბიოგრაფიით მკვეთრად განსხვავდება ლადოსაგან, — ყველასაგან, ვინც დუქანშია. ამიტომაც აცვია მას მწვანე ფრენჩი, ეს ფერი ყვირის მეთევზეთა და მეწისქვილეთა ერთფეროვანი სამოსის ფონზე. ამასთანავე იგი ქალაქის სხვა ნაწილსაც გულისხმობს, სადაც უნდა დაკნინებულიყო ამ ადამიანის ბუნება. და ბოლოს, ასეთი კონტრასტის წყალობით ჟღერს შემდეგი სიტყვებიც: „იქნებ ის რაღაც, რაც მარტივად არის მოწყობილი, არც არის ცხოვრება... ნამდვილი ცხოვრება მერე იწყება, როცა მას ართულე-ბენ“...

ანდა, მაგალითად, მეორე სცენა — წისქვილის ბორბალზე დაკიდებული ლადო! მიუხედავად დახრბობის საშიშროებისა, ბორბალს არაფერი ამუხრუჭებს. — „გააჩერეთ!“ ამოდ ეძახის მეთევზე ნაპირზე მდგომთ.

„— მიშველეთ, რომ ეყვირა, — ვუშველიდი. წისქვილს კი... არ გავაჩერებ“, — ამბობს მეწისქვილე. ეს „დემონური“ ელემენტი სრულიად ბუნებრივად ჟღერს სტეფანეს ხასიათში, ამის შემდეგ მისი სახე კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება.

სტეფანე ცდილობს წინ აღუდგეს ცხოვრების დინებას. იგი ვერ აიტანს წისქვილის დაღმეობას. ეს იცის მკითხველმა, იცის, თუ რა დაემართა ერთხელ სტეფანეს ამ ღუმელის მოსმენის დროს. მეწისქვილე ებრძვის ცხოვრებას თავის შესაძლებლობაზე მეტად. ამიტომაც ამბობს:

„— მიშველეთ, რომ ეყვირა, — ვუშველიდი. წისქვილს კი... არ გავაჩერებ“.

ამ სიტყვებში, გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, არის ლადოსადმი უსაზღვრო ზიზღი. სტეფანე კადრულობს იმასაც, რომ ფეხს ჰკრავს ლადოს საყვარელ ნაგავს და წყალში დაახრჩობს. ესაა საკუთარი უმწეობის მაუწყებელი და სხვისი უბედურებით გახარების დაბალი სურვილი. ესაა ამოა ცდა, დაიფიქრო ხვალისდელი დღე.

მაინც ეს სურათი, მე მგონია, უფრო ერთგვარი პრელუდიაა მომდევნოსი. სულაკაურის კარგი ხედვის შედეგია ის, რომ აუცილებელი დიალოგი იუღიასა და ქმარს შორის სწორედ ამ სურათის მერეა მოთავსებული. იუღიას ეცოდება ქმარი, ხოლო აქ კარგად იკვეთება ლადოს ხასიათის მთავარი შტრიხი — ნდობა ადა-

მიანისადმი, რომელსაც შეუძლია ბოროტად გამოიყენოს ეს. თითქოსდა ამის გამო იჩაგრება ლადო. ცოლიც კი, თავდაპირველად, სტეფანეში ხედავს სიამაყეს, რაც მისი აზრით არ გააჩნია ლადოს (ეს დანახულია ქალის განსჯისთვის ფრიად ნიშნული დეტალით — მამაკაცის გარეგნული მხარეების შეფასების შედეგად. — „ამაყი იყო და მე მომწონდა მისი სიამაყე... ყოველთვის კობტად დადიოდა... თქვენ ყველანი მათხოვრებივით ჩანდით იმასთან... მერმე სულ სხვა აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი გვიან იყო“).

ლადოს ყველანი დასცინიან. აი რა არის ხაზგასმული პირველ სურათში, ზოლო მომდევნომ უნდა დაამტკიცოს, რამდენად სასაცილონი არიან თვითონ დამცინავნი. სულაკაურმა, როგორც მწერალმა, გაიმარჯვა მაშინ, როცა ლადოს დიდბუნოვნებაში დააჯერა მკითხველი (ამიტომაც იქნებ ზედმეტია, რომ ლადომ გალახა მეფისქვილე). ლადო გაცილებით მალა დგას სხეზე, იგი ხასყვით რეალური ადამიანია, რომლის სახელსაც არაფერი არ ბღალავს.

მოთხრობა საინტერესოდ იკითხება და, უპირველესად, სწორედ ამდაგვარი ოსტატურად შესრულებული სურათების ხარჯზე.

*

ახლა შედარებით უფრო თამამად შეიძლება ვილაპარაკოთ ახალგაზრდა მწერლების პროზის მრავალფეროვნებაზე. საინტერესოა გურამ გეგეშიძის მოთხრობებიც.

ორივე მოთხრობა — „ნავსადგური“ და „ეუ“, რომლებიც მან გამოაქვეყნა. „მნათობში“, მის ზრდაზე მეტყველებს.

„ნავსადგური“ დაწერილია, როგორც იტყვიან, საქმის კარგი ცოდნით. ამ მოთხრობაში ყველაფერი ემსახურება ერთ საბოლოო მიზანს, და უშუალოდ. როგორია ეს საბოლოო მიზანი? მოთხრობაში ზურიას შესახებ ასე სწერია: „მას არ უნდოდა დაენახა, როგორ შეიცვლებოდა მთელი ქუჩა, როგორ შემოფოთდებოდნენ შეზობლები“.

ზურია ბავშვია; მისი დღე იწყება და მთავრდება ნავსადგურში და ვიწრო ქუჩაზე, სადაც ცხოვრობს. ყველგან ერთსადაიგივეს ხედავს და ისმენს. მთელი მოთხრობაც გარეგნულად თითქო ამაზეა აგებული, მაგრამ მხოლოდ ბაბუას სიკვდილი აჩენს ქვეტექსტს. ზურია გარბის ნავსადგურში, რათა გათავისუფლდეს იმისაგან, რამაც დაარღვია მისი ჩვეულებრივი დღე. მაგრამ დროებით. ზურია — უნდა ეს თუ არა, იძულებულია შეურიგდეს იმ შემზარავ რეაქციას, რომელსაც იწვევს ხოლმე სიკვდილი ცოცხალ ადამიანებში. მე მგონია, ამ მოთხრობას სათაურად უფრო „მოლოდინი“ შეეფერებოდა, ვიდრე „ნავსადგურა“.

მეორე მოთხრობაც — „ეუ“ გეგეშიძისათვის

ნიშნული მხატვრული ტაქტიკა და ზომიერებითაა დაწერილი.

ეუ რჩება იქ, საიდანაც ყველა გარბის. გარბის სტუმრად მოსული სანდროც. „სანდრო გრძნობდა ხმაურს, რომელიც არ ისმოდა იმ სიშორეზე, მაგრამ მოდიოდა დაბლობიდან და იგრძნობოდა. ეს იყო ცხოვრების ხმაური, ეს იყო დუღილი. დაბლობში დუღდა სიცოცხლე. სანდრომ უცბად წარმოუდგენელი სიხარული იგრძნო და გაიფიქრა, რომ მთელი ცხოვრება წინ არის, რომ ეს არი ბედნიერება, როცა ყველაფერს ხედავს“.

ახლა გასაგებია სანდროს დასკვნაც — „რახან ყველანი მიდიან, ასეა ალბათ საჭირო“. ეუ დანახიათებულია დიალოგის საშუალებით, თუმცა ამ კაცს დუმილი ურჩევნია საერთოდ. ამიტომაც უღერს დიალოგი ამ მოთხრობაში. სოფლის განსაკუთრებული სული გადმოცემულია ძირითადად ეუს ჩვენების ხარჯზე, მისი დასკვნების მოულოდნელობითა და გემოვნებით. ეუ ამ სოფლის გარეშე არ არსებობს, წარმოუდგენელია, ამიტომაც უფრო სანდროს ეუთა და მის ცოლს არ გადასახლდეთო აქედან. მაგრამ ეს თხოვნა ზედმეტია — ეუ, მიუხედავად კოჭლობისა, ოპერაციის გასაკეთებლადაც არ მიდის არსად.

გეგეშიძის ამ ორი მოთხრობიდან ძნელია ახლა საერთო დასკვნების გამოტანა. ეს ნაადრევი იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია ამთავითვე: იგი დაკვირვებული თვალისა და აუჩქარებელი ხელის მწერალია. იგი მღელვარედ სწერს ცხოვრების სილამაზეზე და სწორედ ამიტომ არიან მისი გმირები ასე კეთილნი და მიმზიდველნი.

* * *

საუკუნეების მანძილზე არსებობენ მწერლები, რომლებიც ამჯობინებენ პირდაპირ თქმას ტრადიციულ მინიშნებას. მათი ტემპერამენტი ვერ ეგუება მხატვრულ საიდუმლოებათა გახსნას სტრიქონებს შორის; ისინი მკითხველთან ურთიერთობისათვის ნახევარტონების გზით არ მიდიან. აქ სათქმელი ამოწურულია ზოლმე თვით მწერლის მიერ და ამის შემდეგ, ჩვეულებრივად, ცოტა რამ რჩება მკითხველის მხატვრული ფანტაზიისათვის.

ოტია იოსელიანი უფრო ამ უკანასკნელთა მხარეზეა. ასეა დაწერილი „ხელომოცარული“. შესანიშნავი მოთხრობა „თამაში“, „ავტოქარხნული ქალიშვილები“ და სხვა. მაგრამ უფრო თქო — იმიტომ დავეწრეთ, რომ იოსელიანმა ამ ბოლო ხანს გამოაქვეყნა მოთხრობა „მენავე“, რომელიც უმთავრესად სწორედ დაუწერელის ეფექტზეა აგებული.

ეს მოწმობს, იმას რომ ახალგაზრდა მწერალს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გადაუწყვეტია საბოლოოდ. იგი სინჯავს ერთსაც და მეორესაც.

მწერლის ორიგინალობა დამოკიდებულია მის მიერ სინამდვილის სწორად წარმოსახვის ხარისხზე. ორიგინალობა უპირველესად მწერლის აზრებშია, სტილში და არა „განსაკუთრებული“ ოსტატობით დაწერილ ფრაზაში. არ არსებობს ბანალური შინაარსის შემცველი ორიგინალურად დაწერილი მოთხრობა.

იოსელიანის ინდივიდუალობა ყველაზე მეტად გამოჩნდა „ლევანაში“. აქ ყოველი დეტალი მხოლოდ და მხოლოდ ავტორისეული ხილვის შედეგია — განთიადზე ამოვარდნილი ზენა ქარით დაწყებული, სულ უბრალო, ნებისმიერ წვრილმანამდე... რასაკვირველია, უპირველესად ლევანას სულიერი მეტამორფოზის მხატვრულ განაღდებაზე ითქმის ეს. მიწის სიყვარულმა და შრომის ჩვევამ დაუბრუნა გონება ლევანას. საინტერესოა, რომ მწერალი ამას კონკრეტული საგნების უშუალო მონაწილეობით გადმოსცემს. ასე მაგალითად: ლევანა კინაღამ შეეშვა მუშაობას, როცა შენიშნა ბრიგადირი მადვენებსო თვალს. მაგრამ გამრუდებულმა კვალმა დააკავა იგი. გმირის სულიერი მოძრაობანი მკითხველისათვის ცხადი ხდება საგნების მეშვეობით. საგნები შემთხვევითად არ არიან შერჩეულნი, ისინი ლევანას ყოველდღიური ცხოვრების განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

მოთხრობის პირველი ნაწილი მოდუნებულია თითქოს, მას აკლია გარკვეული ტემპი. შეიძლება იმიტომაც, რომ გადასვლა უძრაობიდან ბუნებრივი და შეუმჩნეველი იყოს. მოთხრობის ფინალი კი უაღრესად დამაბულია. უკანასკნელი ფრაზა — „შვილები არ უნახავს წუხელ სიზმარში ლევანას“ — შესანიშნავია.

ეს მოთხრობა და არა „მენავე“ ნიშნულია იოსელიანისათვის.

„მენავე“ მის თვალთახედვის არეში ყურითაა მოტანილი, ეს იგრძნობა ყოველ ფრაზაში:

„ზღვა საშიშია.

ნანას ყოველთვის ეშინოდა ზღვის.

ზღვა უძირა.

საშიშია ზღვა“.

ეს მოთხრობა არ არის დამახასიათებელი ავტორისათვის, რასაკვირველია, თუ რომელ გზას აირჩევს მომავალში მწერალი, ეს მისი პირადი საქმეა. შეიძლება მან სწორედ აქ გააკეთოს აღმოჩენები.

*
* *
* *
* *

თუკი, ერთ შემთხვევაში, მწერალი ადამიანის ვნებათა გარკვევის მეტი რელიეფურობისათვის მიმართავს განსაკუთრებულ მოვლენებს ადამიანის ცხოვრებაში (ასეთი იყო სულაკაუ-

რის „ტალღები ნაპირისკენ მისწრაფიან“), მეორე შემთხვევაში, იგი ცდილობს განსაკუთრებული მონახოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივსა და ყოველდღიურში. სხვა სიტყვებით — თქვას მხატვრულად საინტერესო იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვით, ყურადღებას არ იქცევს. ამ ტენდენციის ნიჭიერი გამომატველია მერაბ ელიოზიშვილი.

მისი მოთხრობების გმირები, პირველ ყოვლისა, სწორედ რომ გმირების შთაბეჭდილებას არ ტოვებენ, რასაკვირველია, თუკი ამ სიტყვას პირვანდელ შინაარსით ვიხმართ. ესენია ადამიანები, რომელთა ბიოგრაფია ღარიბია გარეგანი მოვლენებით. ელიოზიშვილის სწორ მხატვრულ აღლოზე ლაპარაკობს უამრავი, მახვილად შენიშნული დეტალი, ამ ყოველდღიურს რომ მხატვრულად საინტერესოს ხდის. ცხადია, ახალი აქ თვით მწერლის ინდივიდუალურ ცოდნაში მდგომარეობს. ახალია ის, რასაც გულგრილად ჩაუარა სხვამ, ხოლო ელიოზიშვილმა შენიშნა.

ასეთია, მაგალითად, იპოლიტე მოთხრობაში „მოლოდინი“ — მოხუცი მზიდავი პატარა სადგურიდან, ორმოცდაერთიანი ნომრით გულზე. უქნარა შვილიშვილი, ცალი და გამუდმებული ფიქრები ომში დაკარგულ შვილზე — აი ყოველივე, რაზედაც ააგო თავისი მოთხრობა ელიოზიშვილმა. მან ვეიჩვენა, თუ რით ცხოვრობს მოხუცი მზიდავი, რა უხარია, რა აზრისა იგი ადამიანებზე და სხვა. წრე, რომელშიც იპოლიტე ტრიალებს, გამოუვალაია, მაგრამ იგი ამაზე არ ფიქრობს. „მაგარი ქარი თუ ქრის მთებზე!“ „აღბათ ძანა ცივა მთებზე!“ სხვაზე ყველაფერზე ფიქრობს იპოლიტე.

შეიძლება ახალგაზრდა მწერალს შეედავო — სადავო, ცხადია, არის. „ადამიანების ფაფა“ — ახირებულად წერს იგი. „დაათენდება და ლოგინიდან ორ გაწირიკებულ ფეხს გადმოჰკიდებს. გადმოკიდებული ფეხები ორ-სამჯერ თავისთავად გაქან-გამოქანდება, თითოჯერ მიინც გაიტკაცუნებს, მერე კი უღონოდ დაეკიდება ურწყავი კომშებივით გალეულსა და ფუყე მუხლებს“. მე მგონია რომ ელიოზიშვილი ზედმეტ ბეჯითობას იჩენს და ამის გამო ზოგჯერ ნატურალისტურად ხედავს. ემფატიკური ა-ს ხმარებაც დიალექტის უსიამოვნო გავლენას მოწმობს. მაგრამ მთლიანად მისი მოთხრობები ფაქიზად ნავარაუდევ დეტალებზეა შექმნილი.

— მერე?

შეიძლება იკითხოს მსმენელთაგან ვინმემ, როცა ერთმა უკვე დაამთავრა თავისი თხრობა.

ორიდან ერთი — ამ კითხვის მოულოდნელობაში ან მსმენელი დამნაშავე, ანდა ის, ვინც ჰყვება. მე არ მინდა ასეთი კითხვა დავუსვა რევანს ინანიშვილს.

„უქანასენელ არდადეგებზე“ მოთხრობაა, რომელშიც არაფერი არ ხდება. არ ხდება იმიტომ, რომ იგი სავსეა კმაყოფილებით, რაღაც სხვანაირი, მაძლარი ადამიანის კმაყოფილებით. ლელა სულ ამ ტონში ლაპარაკობს:

„ჩვენი ლამაზი ქუჩა. იცი, რა კარგია, ჯარჯო? ძველებური სახლები, ფიცრული მესერები ზედ ვარდები, ასე — გადმოკიდებული“.

„ჩვენი დიდიკო გველოდება“.

„რანაირი ხარ, იცი?“

„რომელი საათია? ხო, ესლა რისტერი დაუკრავს. ახ, აი უკვე. ასე ხმადალა იყოს ხომ?“

ასევე კმაყოფილნი არიან დანარჩენიც — ორი და, დედა და ჯარჯიც:

„მე ვიჯექი მორჩილად და ნეტარებით ვაბოლებდი საგანგებოდ ნაყიდ ძვირფას პაპიროსს „მზიურ საქართველოს“. ია უკრავდა როიალზე — თავგამეტებით, ტუჩების კენჭით, მხრების თახთახით. ლელა მუჟაში იგროვებდა ჩემს თმას და მარწმუნებდა, რომ საოცრად მომიხდებოდა მზიას ბაფთა, მზია კრუტუნით გვივლიდა გარს, დედა მეასეჯერ ეუბნებოდა ლელას — ასე როგორ შეიძლება შეიღოო“.

და ა. შ.

მოთხრობა შეყვარებული ქალიშვილის ტიტინზეა აგებული მთლიანად, ერთფეროვანსა და მოსაწყენ ტიტინზე. იგი გულზე ხვდება ჯარჯის, რაც მკითხველისათვის შეღავათი არ უნდა იყოს.

მოთხრობა მოულოდნელი არაა ინანიშვილისათვის (იგი გატაცებით წერს ხოლმე განსაკუთრებული კმაყოფილებით შეპყრობილ ადამიანზე). მაგრამ ის, რაც ახალგაზრდა მწერლის ტალანტზე მიგვითითებს ჩვენ, თავმოყრილია სხვა მოთხრობაში — „ძახილი მთაში“.

აქ ყველაფერი რელიეფურადაა გადმოცემული, ესა თუ ის საგანი დანახულია მისთვის ყველაზე მეტად სპეციფიკურ მდგომარეობაში, საჭირო სიტყვები მოძებნილია იშვიათი სიზუსტით და ეკონომიურად. ქვეტექსტის მაჯისცემა მკვეთრი და ამაღლებულია.

ეს მართლაც პოეტური ნოველაა, შესანიშნავად განსოცადებული. ინანიშვილმა სამი ასაკი გაამხილა ამ მოთხრობაში და შეუთმინველად შეუპირისპირა ერთმანეთს ორი სხვადასხვაგვარი ვნება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან ფეხებგავარვარებული თინაც და გრძელმკლავებიანი ანულიც გაამართლა. ამაშია მოთხრობის სილამაზე.

ინანიშვილი, მსგავსად ზოგიერთი მხატვრისა, ეძიებს ნათელ ფერებს და არ ეშინია გადაჭარბებისა. ტენდენცია ფერადოვნებისაკენ მის სტილში სრულიად ბუნებრივად არის შეპრილი,

მიუხედავად იმისა, რომ იგი შედარებით ახალი ჩანს. ეს ორი მოთხრობა, ჩვენი აზრით, ინანიშვილის შემოქმედების ორი მხარეა, თუმცა, ერთი შეხედვით, განსხვავება თითქოსდა არც ისე დიდია, ამიტომაც გავავლეთ ზღვარი მათს შორის და აღვნიშნეთ, თუ რას უნდა აარიდოს თავი ინანიშვილმა და სად იგრძნობა, უფრო ნათლად, მისი სამწერლო კულტურა და ინდივიდუალური ცოდნა.

*
* *

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა მწერლებს ჯერ კიდევ შორი გზა აქვთ გასავლელი. გამარჯვებული იქნება ის, ვინც აჩვენებს საუკეთესო პროზის ნიმუშს. ყველა მიდის ფინიშსაკენ თავისი ნაბიჯით და, რაც უფრო სასიამოვნოა, არავის არ სჭირდება სპორტსმენის ნომერი, რათა გაარჩიო ერთმანეთისაგან...

საინტერესო შემოქმედებითი გზა აქვს ნოდარ ღუმბაძესაც, რომელმაც ამა წლის „ცისკარში“ გამოაქვეყნა მეორე ნაწილი მოთხრობათა ციკლისა „მე, ბები, ილიკო და ილარიონი“. ამ შესანიშნავმა მოთხრობამ დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა. მაგრამ ერთგვარად იგრძნობა ავტორის ზედმეტი გატაცება ქანრიოთ.

სრულიადც არაა მიზანშეწონილი მაინცდამაინც დავიცვათ ქანრიო. მკითხველმა ზოგჯერ უნდა მოისვენოს სიცილისაგან. სავსებით ლირიკული თავები — „ნაბადი, ჩექმა, და წინდები“ და „პირველი სიყვარული“ ამის მშვენიერი მაგალითებია. მხოლოდ ზემოაღნიშნული ტენდენციის ბრალია, რომ ღუმბაძეს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის გონაწერი მოაქვს.

ქუშმარტაძე მაშინაა გონებაშახვილი მწერალი, მაშინ ადის დიდი ლიტერატურის დონემდე სატირაც, როცა უპირველესად სინამდვილის სწორად წარმოსახვა მწერლის მიზანი. სასაცილო ტემპერამენტის შედეგია და სხვა არაფერი.

ღუმბაძემ მთელ რიგ თავებში, შესანიშნავ, ოსტატურად გამართულ დიალოგებში მიადგია სწორედ ასეთ გონებაშახვილობას. ამიტომაც ველით ჩვენ მიგან იმ სრულყოფას, რომელიც მწერალს პოპულარობას სადღეისო მიჯნებს გადააკლავს. კოლმეურნეობის თავგადასავლის არჩევა, რუსულის სასწავლებლად ზაბლონა მასწავლებელთან მიმართული ზურთიკელა, სავსებით კოლორიტული გურულები — ილიკო და ილარიონი, თავშეუკავებელ, ხმაძიალ სიცილს იწვევენ.

მართლაც, რომ დიდხანია ასე არ უცინია ჩვენს მკითხველს!

ყოველივე ეს შესრულებულია ღუმბაძისათვის ჩვეული უბრალოებით, ყოველგვარი ძალ-

დატანებისა და პრეტენზიულობის გარეშე. და თუ ამ მოთხრობების წიგნად გამოცემის დროს დუმბაძე შეძლებს აარიდოს თავი ზოგიერთ ზედმეტობას, რომლებიც უფრო ხშირად დიალოგში შეიმჩნევა იაფფასიანი სიტყვა-პასუხის სახით, თუკი იგი ციკლის საერთო კომპოზიციაში უფრო გაბედულად შეიტანს „არა სასაცილო“ თავებსაც, მე ვფიქრობ, რომ მისი წიგნი ბიბლიოთეკის თაროებს ერთი და ორი დღით არ შერჩება.

*
* *

ერთი და ორი მოთხრობის დაწერა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს გარკვეული ლიტერატურული განათლება, კულტურა და საამისო დროც. ცხოვრება ადამიანს ხშირად მზამზარეულად „მიართმევს“ მხატვრულად საინტერესო რამდენსავე ამბავს და ზოგიც თავს ვეღარ შეიკავებს და აღწერს ხოლმე ამ მზამზარეულს. და აი ხდება, რომ ასეთ ცდებს ზოგჯერ ქების შემცველ სახელდახელო სტატიასაც მიუძღვნა. ჭეშმარიტი მწერლობა იწყება იქ, სადაც ჩანს ავტორის ისეთი დამოკიდებულება ასახულისადმი, რომელიც შეიცავს ცხოვრების თავისებურ, განსაკუთრებულ გაგებას. ჩვეულებრივად აქ იჩენს თავს მწერლის ტემპერამენტი, მისი ინდივიდუალური ცოდნა და მისი ფილოსოფია. ამის გარეშე ლიტერატურა არ არსებობს, თუნდაც ვინმე მთელი რიგი შექმნას კარგად აღწერილი ამბებისა. უკეთეს შემთხვევაში, რომელიდაც წერის მოყვარული ადამიანის ფრიად საშუალო ნიჭზე მიუთითებდა ეს.

აი, რატომ არის ადვილსახსნელი დიდი მოკარბება ახალგაზრდა მწერლებისა, რაც ასე იგრძნობა ჩვენს ლიტერატურაში.

ხელოვნების ამოცანებზე საკუთარი აზრის, განზოგადებათა და აქედან გამომდინარე, რამეს დამკვიდრების პათეტიკის უქონლობა, როგორც წითელი რიცხვი კალენდარში ისე გეცემათ თვალში, არის მასალისადმი მონური მორჩილება. მასალა ერევა მწერალს და თუმცა უკანასკნელი ბევრს საინტერესოს ხედავს თავისი ნიჭის შემწეობით, არ შეუძლია მაინც მისი გაანალიზება. ამ დროს ყოველთვის გვახსენდება ძველი სიბრძნე, რომ ნიჭიერება დიდი ინტელექტის გარეშე მხოლოდ ბავშვობის ასაკისათვის ვარგისი ცნებაა.

რასაკვირველია, ცალკეულმა დეტალებმა, ამ „აღწერით“ ლიტერატურაში, შეიძლება აღტაცებაშიც მოიყვანოს მკითხველი, ვინაიდან როგორც წესი, აქ ყველაფერი პედანტურად კარგად არის ხოლმე შესრულებული — პეიზაჟი და „ფიგურალური“ ქართული დამძიმებული დიალოგი, რაშიც თავის გმირებს ავტორიც არ ჩამორჩება. ჩვეულებრივია ორიოდვე სცენა, რომელიც მოწმობს მწერლის განათლებას ეთნოგრაფიაში და სხვა.

მაგრამ ყოველივე ამის მიღმა თითქმის არაა ქვეტექსტი, არაა ქვეტექსტის ის პათეტიკა, მაგალითად, ნიკო ლორთქიფანიძის და ბაბელის მოთხრობებში რომაა ასე უხვად.

ერთხელ ნაოლეონს პრუსიის დედოფალი მიუვარდა.

— მოწყალეა, იმპერატორო, მოწყალეა! — უთქვამს დედოფალს.

— დაბრძანდით, — უბასუხია ნაოლეონს.

მემუარებში კი ასე სწერია: „მე ვუთხარი მას „დაბრძანდით“ იმიტომ, რომ მჯდომარე ქალს არ შეუძლია იყოს პათეტიკური“.

აქ, რასაკვირველია, ასეთ პათეტიკაზე არ ვლაპარაკობ. მხედველობაში მაქვს მოდალ ქცეული ერთგვარი ინერტიზმი მწერლის ხილვაში, რომლის მიღმა უმეტესად სიცარიელეა ხოლმე. ქვეტექსტში ჩანს ნაწარმოების შინაარსი და, თუკი მოკლებულია პათეტიკას ეს ქვეტექსტი, მაშინ რა აიძულებდა წერას ამა თუ იმ ავტორს?

ჩვეულებრივად, ასეთ უცვვირპირო მოთხრობებზე ძნელია საერთოდ წერა: ისინი არ იძლევიან რაიმეს თქმის საბაბს...

*
* *

წინადადების მხატვრულობა მის სიზუსტეში, ტემპსა და ფერებშია. ფრაზა წერტილის შემდეგაც უნდა იყოს ღია. ყოველგვარი ვალტვირთვა მას ხელს უშლის თავისუფლად სუნთქვაში. ფრაზის კონსტრუქცია იმდენად მყარი უნდა იყოს, რომ ყოველგვარი ვარიანტების ცდას აზრის შეცვლამდე ან დამახინჯებამდე უნდა მიეცავდეთ.

„გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩუმად ჩაიციენ და დაედევნენ შავ ქვაფენილზე თეთრი ფეხსაცმელების ოდნავი შეხებით, განზე

გაწეული შიშველი მკლავების ქნევით“ (რ. ინანიშვილი).

ეს ფრაზა მკითხველს არაფერს უველის თავის არაბუნებრიობის გამო. მისი მეორე ნაწილი სრულიად დამოუკიდებელი სურათია და, მე მგონია, რომ ხელოვნურობამდე ავტორი მიიყვანა მათი ერთ წინადადებად გაერთიანების სურვილმა.

ფლობერი ამბობდა: დავწეროთ ეს წინადადება დაფაზე და შევხედოთ...

საყვედური, რომ თითქოს ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ფრაზის აგებას საკმარის ყურადღებას არ უთმობენ, მართალი არ იქნებოდა. მაგ-

რამ რამდენად სწორადაა მიმართული ეს ყურადღება? ცხადია, მხატვრულ ფრაზაში ჩანს ინდივიდუალურობა მწერლისა, მაგრამ ჩანს თითქმის იმ დოზით, როგორცაც წვეთში მზე. რაც უფრო ძლიერია ინდივიდუალურობა, მით უფრო სრულყოფილი და განუმეორებელია მხატვრული ფრაზაც — და პირიქით. ორიგინალობა ფრაზისა დამოკიდებულია ნაწარმოების შინაარსზე. ცალკეული მაგალითები იმისა, რომ ჩვენი მწერლები ორიგინალობის ძიებაში ფრაზათა ახირებულ წყობამდე მიდიან, როგორც ეტყობა, შემთხვევითი არაა და ჩვენც საგანგებოდ მიტომ აღვნიშნეთ იგი ამ წერილის დასასრულს.





ჩვენს თვალში

კომუნისა და მთარგმნელის წიგნი

ცნობილია: ყოველი ერის მწერლობის მნიშვნელოვან ნაწილს თარგმნილი ლიტერატურა შეადგენს. სხვა ნიშანთა გარდა, ამა თუ იმ ერის კულტურა იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად სრულად მოეპოვება მას საკუთარ ენაზე თარგმნილი სხვა ხალხთა მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ამ მხრივ თუ შევხედავთ საქმეს, ჩვენ დასაქადი დღესდღეობით ბევრი არაფერი გვაქვს. მართალია, თარგმნის დარგში შესანიშნავი ტრადიციები მოგვსდევს უშორესი დროიდან, როდესაც ჩვენი წინაპრები ახერხებდნენ მხედველობიდან არ გამორჩენილად და უთარგმნელი არ დაეტოვებინათ იმდროინდელი მოწინავე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ქმნილებანი. მაგრამ მეცამეტე საუკუნინიდან, მსგავსად ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველა სხვა დარგისა, ეს საქმეც აირია, ჩამოქვეითდა და თითქმის დაიწყო მთელია. ცხადია, ასეთ ვითარებას ვერ შეეგუებოდა ის, ვისაც ერის კულტურული გადაგვარება ეროვნული მეობის დაკარგვის უპირველეს ნაშნად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მთარგმნელობით მუშაობაში ასეთი გულმოდგინებით ჩაებნენ, ვთქვათ, სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე. მაგრამ იმ დროის ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ევროპასთან დამაკავშირებელი გზები გადაჭრილი გვქონდა და ამის გამო „ადორჩიების“ ეპოქის საქართველომ ძალზე უღიმღამოდ განიცადა ის სულიერი აღმავლობა, რაც ევროპაში რენესანსის სახელით არის ცნობილი.

თითქმის მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ და მეოცის დამდეგმა ისე ჩაიჭროლა, რომ ქართველობამ, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ვერ იქნა და ვერ მოიცილა გულდამჯდარი, წინასწარ კარგად გააზრებული და დაგეგმილი მთარგმნელობითი საქმიანობისათვის (გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ: ივანე მანაბელი რომ არ გვყოლოდა, უახლესი ქართული ლიტერატურა თითქმის სავსებით მოუშაზდებ-

ლი დარჩებოდა სეროზული თარგმანების შესასრულებლად). და როდესაც საამისო დრო და საშუალება მოვიხელთეთ და საშუაო ასპარეზს თვალი მოვაგვლით, აღმოჩნდა, რომ ჩვენ უთარგმნელი დაგვრჩენიდა არა მხოლოდ მსოფლიოს ხალხთა ძველი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, არამედ აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის ევროპული პროზა, პოეზია და დრამატურგია, უახლეს ხანაზე — მეოცე საუკუნეზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თავისი დიდი ტრადიციების მეოხებით ქართული ლიტერატურა ვერასვლით ვერ შეეგუებოდა შინაგანი პროვინციელის როლს. ამ როლისაგან თავის დასაღწევად კი, ორიგინალური მწერლობის განვითარებასთან ერთად, თქმა არ უნდა, მთარგმნელობითი საქმიანობის გაშლასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან, როგორც კი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, საკმაოდ გამოჩნდა ისეთი ხალხი, ვინც ხალისით თავს იღვა მთარგმნელობით უაღრესად ძნელი და უაღრესად კეთილშობილური მოვალეობა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. რაც მთავარია, მოიხაზა კონტურები შესასრულებელი საქმისა. და დღესდღეობით ქართველი მწერალი რომელიმე ნაწარმოების თარგმნას რომ იწყებს, მეტწილად ეს შემთხვევის ან კაპრიზის ამბავი კი არაა, არამედ გარეგნულად გაუფორმებელი, მაგრამ ჩვენს ცნობიერებაში მაინც არსებული გეგმიანობის გამოვლინება ვახლავთ. ასეთმა უსიტყვო შეთანხმებამ და თუნდ ბუნდოვანმა გეგმამაც კი შესაძლო გახადა ქართულად ამეტყველებული როგორც ძველი, ისე ახალი ეპოქის, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მრავალი შემოქმედ.

მაგრამ აქ უეჭველად უნდა გავიხსენოთ ერთი საგულისხმო გარემოება: რაც უფრო

მეტი ითარგმნება, მით უფრო მკვეთრად გამოსკვივის ქართული თარგმნილი ლიტერატურის სიღარიბე, რაც დრო გადის, სულ უფრო ცხადი ხდება, როგორ შეუწყნარებლად ჩამოვრჩენილართ ამ დარგში კულტურულ მსოფლიოს. დაწერილ მგონი არსად დაწერილა, მაგრამ პირად საუბარში კი ხშირად მსჯენია ერთობ პესიმისტური მოსაზრებანი ამგვარი მდგომარეობის გამო. სავალალო ისაა, რომ ეს მოსაზრებანი არც თუ ისე უსაფუძვლოა. მართლაც და, კაცმა რომ თქვას, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომელ ერთს უნდა გავწვდეთ — ინგლისურ ლიტერატურას თუ ფრანგულს, გერმანულს თუ ესპანურს, ამერიკულს თუ იტალიურს, რუსულს თუ ბერძნულს, სომხურს თუ ესტონურს, არაბულს თუ სპარსულს, ინდურს, იაპონურს, ჩინურს?.. უძველესს თუ ძველს, ახალს თუ უახლესს?.. ყოველგვს აღნუსხვა და სისტემაში მოყვანაც კი ძნელია, არამც თუ თარგმნა! დაუმატეთ ამას ჩვენი გამოცემლობების შესაძლებლობანი თარგმანების გამოცემისა! სურათი, მართლაც, საკმაოდ უნუგეშო იქნება.

უფრო სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი მდგომარეობის გამო გულდაამჯდარი მსჯელობა ჯერაც არ გავციდართავს და, თუ გამოსავალი გზა მაინც დაისახა, ისეც ისევე სტიქიურად მოხდა, როგორც სტიქიურად მოხაზა შესასრულებელი საქმის კონტურები.

მართალია, ეს არის გზა კომპრომისისა, მაგრამ ამჟამად ისღა დაგვრჩენია, უდრტვინველად მივსდით ამ გზას, რადგან ეს მაინც ერთადერთი გზაა.

სახელდობრ რომელ გზაზეა აქ ლაპარაკი?

ეს გახლავთ რჩეული ნაწარმოებებისა და ანთოლოგიების ტიპის კრებულთა თარგმნის გზა. მთარგმნელი თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენ — დღესდღეობით ჩვენს ძალას აღემატება ქართულად სრული სახით აღვადგინოთ რომელიმე ერის მწერლობა ან რომელიმე მწერლის შემოქმედებაო, და სწორედ ზემოხსენებულ გზას დაადგენ. ასე მოგვევლინენ ქართულ მწერლობაში დანტე, ბოკაჩიო, სერვანტესი, ბუშინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, ჩეხოვი, მილტონი, ბაირონი, შატობრაიანი, სტენდალი, ტურგენევი, ბალზაკი, ფლობერი, მერიმე, დოდე, დიკენსი, ჰერდია, უიტმენი, რუდაქი და სხვანი; გამოვიდა რამდენიმე კრებული, ერთგვარი მინიატურული ანთოლოგიები, რომლებშიაც წარმოდგენილია ამა თუ იმ ხალხის პოეზიის ან პროზის რჩეული ნიმუშები.

სხვაგვარი გზის არჩევა მართლაც არ შეიძლებოდა. მართლაც მიუტყევებელი შეცდომა იქნებოდა რომელიმე მთარგმნელი მისდგომოდა და ხელიერობირად მიჰყოლოდა, ვთქვათ, ბაი-

რონის ყველა ნაწარმოების — პირველ, მეორე თუ მესამეხარისხოვანის — თარგმნას, აქაოდა ქართველ მკითხველს დიდი რომანტიკოსი სრული სახით უნდა გავაცნოთ. ამგვარ მთარგმნელს ჩვენ უმჯობესად შევეკითხებოდით: რა უფლება გაქვთ ამოდენა დრო და ენერგია შეალიოთ ამ არც თუ აუცილებელ საქმეს, როცა, მაგალითად, შელის თითქმის არც ერთი ქმნილება ქართულად არ გავაჩნია?

ცხადია, თუკი არსებული მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს, თუკი ისეთი შემკვიდრეობა მივიღეთ, რომ ჩვენს პირობებშიაც შეგვეძლება გარკვეული შრომის გაწევის შემდეგ ესა თუ ის მწერალი სრული სახით წარმოუვლდინოთ ქართველ მკითხველს, ამას რა აჯობებს! მაგრამ ასეთი რამ თითქმის განუხორციელებელი იქნება იქნება და მეტი არავფრთხი. ამ მხრივ, თუ არ ცვდები, ერთადერთი გამოწვევისაა შექსპირის თხზულებათა სრული (ათტომიანი) კრებულის გამოცემა, რაც ახლა ხორციელდება. ეს უმჯობესად დიდი და საშვილიშვილო, საქვეყნოდ თავმოსაწონი საქმეა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს ერთადერთი შემთხვევაა და სხვა უცხოელი ავტორის ასეთ-სავე გამოცემას ჩვენ ალბათ კიდევ დიდხანს ვერ განვახორციელებთ.

ასეთივე შეცდომა იქნებოდა, მიზნად რომ დავგეხსახა მოვყოლოდით ყველა ინგლისელი პოეტის, ასე თუ ისე სახელმძღვანელოს, თარგმნას, აქაოდა ქართველ მკითხველს ინგლისურ პოეზიაზე სრული წარმოდგენა უნდა შევეუქმნათო! თქმა არ უნდა, მსგავს შემთხვევაშიც უმჯობესად ვიტყოდით: დღესდღეობით ქართულ მთარგმნელობითს ლიტერატურას სულაც არ სცალია ასეთი ფუფუნებისათვის, მთარგმნელთა მოვალეობაა დიდი გულმოდგინებით, შექმნილი ვითარებისა და ერის სულიერ მოთხოვნილებათა მკაცრად გათვალისწინებით შეარჩიონ ქართულად სთარგმნი ავტორები და მათი ქმნილებანი. უამისოდ შორს ვერ წავალთ, უმჯობესად დავიბნევით, ღობე-ყორეს მოვედებით და ვერც მკითხველს ვარგებთ რასმე, ვერც საკუთარ თავს.

კიდევ ერთი საგულისხმო რამ შეინიშნება ახალი ქართული თარგმნილი ლიტერატურისათვის თვალის მოვლებისას: რაც დრო გადით და, მთარგმნელთა რაოდენობა სწრაფად მატულობდა და, თუ რევაზ ერისთავის მსგავსი ვაიმთარგმნელები ჰქარბად იყვნენ, სამაგიეროდ ჭეშმარიტ, შემოქმედ მთარგმნელთა რიცხვიც არ შემცირებულა. მეტიც, ყველაზე თვალსაჩინოდ მთარგმნელნი მახაბლის შემდეგ სწორედ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე გამოვლინდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ამბავსაც, რომ ამ საქმეს, პროფესიონალ მთარგმნელებთან ერთად, ხელი მოჰ-

კიდეს პოეტებმა და პროზაიკოსებმა, რომლებმაც ამ გზით არაერთი შესანიშნავი ქმნილება შექმნეს ქართულ ლიტერატურას.

ასეთ ვითარებაში შემოქმედდა ის პრინციპები, რომლებიც ამჟამად საუფიქლოდ უდევს თარგმნას ჩვენში, გამოიკვეთა თარგმნის მეთოდი, რომელმაც ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა გადაიხადა სიტყვასიტყვით თარგმნის მოტრფივლებთან. ახლა საკმაოდ გაიშვიათდნენ (თუმცა არ გამქრალან) მთარგმნელები და კრიტიკოსები, რომელთაც ორიგინალს არსის გადმოცემად მისი ბუყარედული გადმოლება მიაჩნიათ. ეს კი დიდდ უწყობს ხელს ჭეშმარიტად შემოქმედებითი მთარგმნელობითი მუშაობის გაშლას...

ასეთი ფიქრები აღმეძრა, როდესაც გავცაინი „ნაკადულის“ მიერ გასული წლის დამლევს გამოცემულ წიგნს „რუსი მგონები“. მასში დაბეჭდილია ჟუკოვსკის, დავიდოვის, პუშკინის, ბარატინსკის, იაზიკოვის, კოლცოვის, ლერმონტოვის, ნიკიტინის, ნეკრასოვის, ტიუტჩევის, ფეტის, მაიკოვისა და ტოლსტოის რჩეული ლექსები. როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი რუსი პოეტი. მართალია, ხსენებულ პოეტთა შემოქმედება ამ კრებულში სიუხვით არ გამოირჩევა (მეტწილად აღებულია ყოველი მათგანის ოთხი-ხუთი ლექსი), მაგრამ ზემოთქმული კვლავ რომ გავიმეოროთ, ქართველ მკითხველისათვის უმჯობესია ჰქონდეს ასეთი კრებული, რომელიც მინიატურულ ფარგლებში მაინც ქმნის ზოგად წარმოდგენას მეცხრამეტე საუკუნის რუსულ პოეზიაზე, ვიდრე, ვთქვათ, ამავე მოცულობის კრებული მხოლოდ პუშკინის ან მხოლოდ ბარატინსკის ლექსებისა. მით უმეტეს, ეს პირველი შემთხვევაა გასული საუკუნის რუს პოეტთა ასე ერთად წარმოდგენისა ქართულ ენაზე.

რაც მთავარია, წიგნი თარგმნილია ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი პოეტის — მურმან ლებანიძის მიერ. უმთავრესი კი ის გახლავთ, თარგმანთა უმეტესობა შესრულებულია მართლაც სანაქებოდ.

მაგრამ ვიდრე ამ თარგმანებს შეეხებოდეთ, მინდა მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ ზოგად საკითხზე შევაჩერო.

საკმაოდ ხშირად მსმენია ამგვარი კითხვა: დღესდღეობით, როდესაც ჩვენში უმეტესობამ კარგად თუ არა, საშუალოდ მაინც იცის რუსული, დირს განა ამ ენადან ვთარგმნოთ ნაწარმოებები, რომლებსაც ქართველი მკითხველი უამისოდაც მშვენიერად გაეცნობაო? ამ კითხვის პასუხად ჩვეულებრივ ასეთ არგუმენტს მოიშველიებენ ხოლმე: რუსული ენა ჩვენში ყველამ როდი იცის ისე კარგად, რომ

ბოლომდე ჩასწვდეს ამ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებს, ამიტომ თარგმნა მაინც აუცილებელია, ამასთან თარგმანი, რაც უნდა იყოს, მშობლიურ ლიტერატურასაც რაღაცას მატებს და ამ მხრივაც სარგებლობა მოაქვსო.

ეს არგუმენტი არ არის დამაკმაყოფილებელი, ყოველ შემთხვევაში — კომპრომისულია. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ მოხდა სასწაული და ჩვენში მოსახლეობის უმეტესობამ კარგად შეისწავლა, ვთქვათ, ინგლისური და გერმანული. განა ასეთ ვითარებაშიც უდიდესი მნიშვნელობა არ ექნება ამ ენებიდან თარგმნას?.. უეჭველად ექნება! და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თარგმანი, რაც უნდა იყოს, მშობლიურ ლიტერატურასაც რაღაცას მატებს და ამ მხრივაც სარგებლობა მოაქვს! ასე რომ იყოს მხოლოდ, ერთობ გაჭირდებოდა თარგმნის აუცილებლობის დასაბუთება. მაგრამ საქმეც ის არის სწორედ, რომ თარგმანი „რაღაცას“ კი არ მატებს ჩვენს ლიტერატურას, არამედ უწინარეს ყოვლისა, მეტრად — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ლიტერატურის შენაძენია. რადგან ქართულად ითარგმნება თუ არ ითარგმნება რუსულ, ინგლისურ ან გერმანულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები, ამით ამ ნაწარმოებებს, ხსენებული ხალხების ლიტერატურას, მის ღირსებას არც არაფერი მოემატება და არც დააკლებს.

ვიმეორებ: თარგმნილი ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ იმ ხალხის ლიტერატურის შენაძენია, რომლის ენაზეც ითარგმნება. აზოი, რომლის თანახმადაც ორიგინალის ნაცნობობის შემთხვევაში თარგმანი უმაქნისი რამ არის, საზრდოობს დებულებით: თარგმნა არის ასლის გადაღება, ორიგინალის შინაარსისა და ფორმის გადმოცემა სათარგმნი ენის ლექსიკით.

მაგრამ თუ ვამოვალთ იმ დებულებიდან, რომ თარგმნა ასლის გადაღება კი არა, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედებაა, ახლად ქმნა, ახალი რეალობის შექმნაა, მაშინ თავისთავად ცხადი ვახდება, თუ რატომ არის აუცილებელი თარგმნა არამც თუ მხოლოდ თავის ბუნებით შორი-შორს მდგარი ენებიდან (როგორცაა, მაგალითად, რუსული და ქართული), არამედ უახლოესი ნათესაობის ენებიდანაც (როგორცაა, მაგალითად, რუსული და უკრაინული).

ყოველი ჭეშმარიტი მთარგმნელი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ამ დებულებიდან გამოდის პრაქტიკულ მოღვაწეობისას. ასევე იქვეა მურმან ლებანიძე (სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი). მისი თარგმანები შედეგია ხანგრძლივი და დაძაბული, შემოქმედებითი შრომისა, რომლის მეოხებითაც მთარგმნელი ახერხებს მაქსიმალურად ჩასწვდეს

ორიგინალის შინაარსს და სათარგმნ ენაზე შექმნას მისი ექვივალენტი იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების მხრივ. აი ერთი ნიმუში ბარატინსკის ლექსის ლებანიძისეული თარგმანისა:

„რა იქნა ჩემთა
ტყუთა შრიალი,
ყვავილი ველთა,
ჩქერთა ჩხრიალი!
გაძარცვულია
ირგვლივ მთა-ბარი,
გადაჰხურვია
ფიფქის საბანი...
ყინულის ხუნდქვეშ
დამუნჯდა წყარო —
აწ აღარ ხარობს
და აღარ ჩქარობს,
მწოლოდლა ქარის
გრიალი ისმის —
ბღავის და მზარავს
და ზეცას ჰვარავს
ქალარა ნისლით“.

როდესაც ორიგინალისა და თარგმანის ურთიერთობის გამო ვმსჯელობთ, უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია საკითხთა ორი ჯგუფი.

პირველი ჯგუფი ამგვარი იქნება: 1. სად შეიქმნა ორიგინალი? 2. როდის შეიქმნა? 3. ვის მიერ შეიქმნა? ეს კითხვები გულისხმობს შემდეგ მომენტთა გათვალისწინებას: როგორია ეროვნული სპეციფიკა იმ ხალხისა, რომელსაც ნაწარმოები ეკუთვნის, როგორი ცხოვრებით უცხოვრია ამ ხალხს, როგორია მისი კულტურა, ტრადიციები და სხვა; შემდეგ, როგორი იყო ეპოქა, როდესაც ეს ნაწარმოები შეიქმნა, ამ ეპოქის თავისებურებანი და სხვა; დაბოლოს, როგორია თავად ავტორის ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი სულიერი სამყაროს, მისი მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების, მისი გემოვნების, შეხედულებების, მისი ტემპერამენტის სპეციფიკა.

ყოველივე ამის შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე მთარგმნელი ვერ ჩასწვდება ორიგინალის შინაარსს, ამ შინაარსის ფორმასთან მიმართების საიდუმლოს.

საკითხთა მეორე ჯგუფი ამგვარი იქნება: 1. სად ითარგმნება ნაწარმოები? 2. როდის ითარგმნება? 3. ვის მიერ ითარგმნება? პირველი ორი კითხვა მთარგმნელს აიძულებს მთლიანობაში გაითვალისწინოს ის გარემო, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება, მკითხველი, რომელსაც საქმე ექნება მის თარგმანთან. მესამე კითხვა კი გულისხმობს იმის გათვა-

ლისწინებას, თუ როგორია თავად მთარგმნელის, როგორც შემოქმედის, ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი სულიერი სამყაროს, მისი მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების, მისი გემოვნების, შეხედულებების, მისი ტემპერამენტის სპეციფიკა, რაც უმკველად დაეტყობა თარგმანს.

საკითხთა პირველი ჯგუფის ღრმად გაანალიზება და გათვალისწინება იმის საწინდარია, რომ ორიგინალის სხვა ენაზე აღდგენისას არ დაიკარგება მისი არსებითი მხარე, მას თავს არ მოეხვევა აღებული ერისთვის და აღებული ეპოქისთვის (ორიგინალისთვის) უცხო, მიუღებელი შინაარსი.

საკითხთა მეორე ჯგუფის გათვალისწინება კი იმის უმთავრესი საწინდარია, რომ ნაწარმოების თარგმნისას გამოიძებნება ისეთი გამოსავლის საშუალებები, ისეთი ფორმა, რომელიც შეესატყვისება მთარგმნელის თანამემამულეთა კულტურულ დონეს, გემოვნებას, ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ჩამოთვლილ მომენტთა (სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) გათვალისწინება და მარჯვედ შეხამება სწორედ თარგმნის უმთავრესი სიძნელე. მთარგმნელმა უნდა შეძლოს სათარგმნ ენაზე მაქსიმალური სიზუსტით აღადგინოს ორიგინალის შინაარსი, ამ შინაარსის ფორმასთან მიმართების სპეციფიკა, და, ამავე დროს, თარგმანი ისე გამართოს, რომ იგი იკითხებოდეს როგორც ორიგინალური ნაწარმოები, რათა მის თანამემამულეებზე ისეთსავე იდეურ-ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენდეს, როგორსაც ორიგინალი ახდენდა თავის პირველ მკითხველებზე. ამ ამოცანას მთარგმნელი ვერ განახორციელებს, თუ თარგმანის ფორმაში რაღაც დოზით არ შეიტანა ისეთი ელემენტები, რომლებიც თარგმანის მკითხველისთვის მშობლიურობის ნიშნით იქნება აღბეჭდილი. ამ ელემენტთა გამოყენების დროს კი მუდამ იგრძნობა თავად მთარგმნელის, როგორც შემოქმედის, ინდივიდუალობა, მისი განუმეორებელი სტილი. ამიტომაც, რომ კარგი თარგმანის კითხვისას ჩვენ ავტორთან ერთად უმკველად მთარგმნელსაც, მისეულ სტილსაც ვცნობთ ხოლმე.

სწორედ ამასვე გვაგრძნობინებს მურმან ლებანიძის თარგმანები. მოვიტანოთ ა. პუშკინის „ზამთრის საღამოს“ („Буря мглою небо кроет...“) პირველი ნახევარი:

„თოვლის ბუქი ცამდის დგება,
ქარი ქრის და ჯანდია,
ხან ძალღვივით აღრინდება,
ხან მტირალი ბაღლია;

თივა-ნამჯის არევით
ყავრებს მოინახულებს,
ხან გვიანი მგზავრევით
ქარებს მოგვიკაჟუნებს.

ჩვენი ქოხი — ძელუგანა —
ძველია და ბნელია.
რაო, ჩემო ბებრუნანავ,
რისთვის მოგიწყენია?

ქნებ ქარის ნალარამ,
ქარაშოტის გრიალმა,
ქნებ ჯარამ დაგღალა, —
წაგთვლიმა და გიამა?.

მე განზრახ შევარჩიე ისეთი თარგმანი, რომელიც, ჩემის აზრით, სხვებზე უფრო სუსტადაა შესრულებული. და მაინც, ასეთი თარგმანიც გვაგრძნობინებს, რაოდენ ოსტატურად ახერხებს მ. ლებანიძე ორიგინალის ავტორის სათქმელი თქვას და ამასთან ლექსში შეიტანოს ისეთი ელემენტები, რომლებიც შეესატყვისება ქართველი მკითხველის სმენის ასოციაციებსა და ლექსის აღქმის ეროვნულ ტრადიციას. ამავე დროს სიტყვათა შერჩევის, ფრაზის აგების, საერთოდ, სტილის მიხედვით თქვენ უეჭველად სცნობთ თავად მ. ლებანიძის ხელწერას. ამ უკანასკნელ ეფექტს აძლიერებს აგრეთვე მეტრისა და რიტმის შეცვლა სტროფგამოშვებით (8-7-8-7 და უეცრად: 7-7-7-7).

აქ ჩვენ მივადევით საინტერესო თეორიულ საკითხს: პუშკინის „ზამთრის საღამოში“ მთელი ლექსის მეტრული სტრუქტურა არ იცვლება (ლექსი აგებულია რვა და შეიღმარცვლიან სტრიქონთა მონაცვლეობაზე), რაც საფუძველია შედარებით სტატიური რიტმისა. უფლება ჰქონდა თუ არა მ. ლებანიძეს ლექსი სტროფთაშორის მეტრის მონაცვლეობაზე და შესაბამისად რიტმის აჩქარებაზე აეგო? ამ კითხვას მივყავართ ზოგადი კითხვისაკენ: უნდა გადმოვიდეს თუ არა თარგმანში ორიგინალის მეტრი და რიტმი? ამ საკითხს მთარგმნელობითმა პრაქტიკამ უკვე გასცა პასუხი, რომელიც შეიძლება ამგვარად ჩამოვყალიბოთ: ორიგინალის მეტრისა და რიტმის გადმოტანა სასურველ ეფექტს არასოდეს იძლევა, ასეთ შემთხვევაში იშვიათად თუ დავაღწევთ თავს ნაძალადეგობის, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას, რაც, ცხადია, მომაკვდინებელია ლექსისათვის. ლექსის ფორმის ძიებისას ქეშმარიტად შემოქმედი მთარგმნელი მიმართავს არა ორიგინალის მეტრსა და რიტმს (რომელთა მაქსიმალური სიზუსტით გადმოტანა თავისთავადი განუხორციელებელი ამოცანაა), არამედ ისეთ მეტრსა და რიტმს, რომლებიც ყვე-

ლაზე მეტად დაეხმარებიან ორიგინალის შინაარსის (ამ სიტყვის უფართოესი გაგებით) სათარგმნ ენაზე აღსადგენად.

ამიტომ, ვფიქრობ, საესებით მართებულად იქცევა მ. ლებანიძე, როდესაც არ ცდილობს „დაიცვას“ სათარგმნ ნაწარმოებთა მეტრულ-რიტმული სტრუქტურა, ლექსის ამ ელემენტებს შედარებით თავისუფლად ეპყრობა და არაიშვიათად მიმართავს რიტმულ ვარიაციებს იქ, სადაც ორიგინალში რიტმი შედარებით სტაბილურია.

რაკი მეტრსა და რიტმზე ჩამოვარდა ლაბარაკი, აქვე უნდა შევეხო ლექსის კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან ელემენტს. ეს გახლავთ რითმა, რომელიც ქართველი მთარგმნელისათვის უაღრესად ძნელად გადასახეხს და სპეციფიკურ სიძნელეებს ქმნის. მოვიტანოთ ასეთი მაგალითი. პუშკინის ხსენებულ ლექსში („ზამთრის საღამო“) ვკითხულობთ:

Или бури завываньем
Ты, мой друг утомлена,
Или дремлешь под жужжаньем
Своего веретена?»

შეუღაროთ ამ ადგილს თარგმანის შესაბამისი სტროფი:

„ქნებ ქარის ნალარამ,
ქარაშოტის გრიალმა,
ქნებ ჯარამ დაგღალა, —
ჩაგთვლიმა და გიამა?“

დაეუკვირდეთ რითმებს ორსავე სტროფში: პუშკინის სტროფის პირველი-მესამე — რვა-მარცვლიანი სტრიქონები გაწყობილია ორ-მარცვლიანი რითმით (завыванье — жужжанье), ხოლო მეორე-მეოთხე — შეიღმარცვლიანი სტრიქონები — ერთმარცვლიანი რითმით (веретена — утомлена). თარგმანში კი სტროფის პირველი-მესამე — შეიღმარცვლიანი სტრიქონებიც და მეორე-მეოთხე — აგრეთვე შეიღმარცვლიანი სტრიქონები — გაწყობილია სამმარცვლიანი რითმით (ნალარა-დაგღალა, გრიალმა-გიამა). როგორც ვხედავთ, რუსულ სტროფში რითმებს უჭირავს სტრიქონთა საერთო სიგრძის მეოთხედი (პირველი-მესამე სტრიქონები) და მეშვიდედი (მეორე-მეოთხე სტრიქონები). ხოლო ქართული სტროფის ორსავე სარიტმო წყვილში რითმას უჭირავს თითქმის ნახევარი სტრიქონთა სიგრძისა.

მოტანილი მაგალითი სულაც არაა შემთხვევითი ან განსაკუთრებული. ვისაც ქართულ ლექსთან საქმე ჰქონია, კარგად მოესხენები, რა სიძნელის წინაშე დგას ამ ლექსის ყოველი შემოქმედი (პოეტი თუ მთარგმნელი)

ქართული რითმის სპეციფიკის გამო. ჩვენი ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა ხომ გაწყობილია ორ, სამ და ოთხმარცვლიანი რითმებით. იშვიათად რომ რითმამ დაიჭიროს სტრიქონის მეოთხედზე ნაკლები (თუ სტრიქონი, თორმეტ მარცვალზე მეტს არ შეიცავს). ქართული რითმის ეს სპეციფიკა განსაკუთრებით საგრძნობია თარგმნის პროცესში: სტრიქონის მეოთხედი ან მესამედი (ზოგჯერ კი თითქმის ნახევარიც) უკვე წინასწარ განსაზღვრულია რითმით და ერთობ მცირე ადგილი რჩება როგორც ორიგინალის შინაარსის აღდგენის, ისე რიტმული მანევრირებისათვის. ამის გამო ნურავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი: რითმიანი ლექსის თარგმნის დროს ქართველი მთარგმნელი იძულებულია გაცილებით მეტკომპრომისზე წავიდეს ორიგინალის შინაარსის გადმოცემისას, ვიდრე ეს უხდება, ვთქვათ, რუს მთარგმნელს, რომლისთვისაც რითმა მინიმალურ დაბრკოლებებს ქმნის სტრიქონში.

მხოლოდ თავის მოტყუება იქნება ამ სიძნელეზე თვალის დახუჭვა. კიდევ უფრო გაუმართლებელია ისეთი არჩევანი, რომლის დროსაც ორიგინალის შინაარსის „მაქსიმალური სიზუსტით გადმოტანას“ ცდილობენ რითმის გაუარესების ხარჯზე. ამგვარ მთარგმნელებს ავიწყდებათ ორი რამ: ჯერ ერთი, ორიგინალის შინაარსი „მაქსიმალური სიზუსტით“ ვერასგზობ ვერ აღდება ლექსის ფორმის გაუარესებისას; ცუდი ფორმით შესაძლოა გადმოვცეთ მხოლოდ ორიგინალის ცალკეული ფრაზები, მისი „ფაბულა“ (ლირიკულ ნაწარმოებზე მსჯელობისას ამ ტერმინს, ცხადია, პირობითად ვხმარობთ) და არა ჭეშმარიტი პოეტური შინაარსი ორიგინალისა. ესეც არ იყოს, ნაწარმოები ხომ, უწინარეს ყოვლისა, მკითხველებისათვის, თანამედროვე და მომავალი თაობის მკითხველებისათვის ითარგმნება! რის მაქნისია თარგმანი, რომლის ფორმა მკითხველს იმათივე უკარგავს მისი წაითხვის ყოველგვარ სურვილს?

დასკვნა ერთადერთია: თანამედროვე ქართველი მთარგმნელისაგან უეჭველად უნდა მოვითხოვოთ ისეთივე რითმები, როგორიც

იხმარება ორიგინალურ ქართულ პოეზიაში. შეუწყნარებელია რაიმე კომპრომისი იმის მომიზეზებით, რომ საქმე თარგმანთან გვაქვს და არა ორიგინალურ შემოქმედებასთან.

თარგმნილ ნაწარმოებს, რომელიც ჩამორჩება თანამედროვე ქართული პოეტურ ძალტურის დონეს, მკითხველი არ ეყოლება.

მ. ლებანიძე ამ მხრივაც საცხებით სწორ ზოხივიაზე დგას და მშვენივრად ახერხებს ორიგინალის შინაარსის აღდგენის ამოცანა შეუფარდოს ქართული რითმის სპეციფიკას. მისი თარგმანების რითმა ეს არის ფივერითმა მისი ორიგინალური ლექსებისა. მართალია, გვხვდება კომპრომისებიც, როდესაც ძნელ მდგომარეობაში ჩავარდნილი მთარგმნელი ხმარობს უფარვის რითმებს, მაგრამ ასეთი რამ შედარებით იშვიათია და საერთო შთაბეჭდილებას ვერ აქარწყლებს.

მე ვილაპარაკე მურმან ლებანიძის თარგმანების წიგნიდან მიღებულ საერთო შთაბეჭდილებებზე და იმ ზოგად საკითხებზე, რომლებიც ამ წიგნის გაცნობისას აღმქრა. რატუმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება გადაესულიყავით ცალკეულ თარგმანებზე. შეგვეპირისპირებინა ისინი ორიგინალისათვის, გავვერჩია თითო-თითო სტრიქონი და აღგვენიშნა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც, ისევე როგორც ყოველ თარგმანში თუ ყოველ ორიგინალურ ნაწარმოებში, უეჭველად ამ წიგნშიაც შეინიშნება. მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თარგმანთა ამგვარი განხილვა გადავდოთ იმ დროისათვის, როდესაც შემოხსენებული კრებული გამოიცემა უფრო სრული სახით, შესესებული და გამრავალფეროვნებული.

მართალია, საამისოდ საჭირო იქნება ერთობ ძნელი სამუშაოს შესრულება, ბევრი დროისა და სულიერი ენერჯის დახარჯვა.

მაგრამ სწორედ ამას მოითხოვს მკითხველი ისეთი პოეტისა და მთარგმნელისაგან, როგორცაა მურმან ლებანიძე.





მიხეილ გაუჩინეაშვილი

ღანიელ ჭონქაძე და ქართული განმანათლებლობა

ას ოცდაათი წელი შესრულდა დანიელ ჭონქაძის დაბადებიდან, ასი წელი — გარდაცვალებიდან, ამდენივე წელი გავიდა მისი ცნობილი მოთხრობის „სურამის ციხის“ გამოქვეყნების შემდეგ. ჩვენი თანამედროვეობა პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებს გამოჩენილი დემოკრატი მწერლის სახელს, დიდად აფასებს მის ღვაწლს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების, ბატონყმური მონობის წინააღმდეგ ქართული ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. დანიელ ჭონქაძის ნამდვილი დაფასება საბჭოთა ეპოქაში გახდა შესაძლებელი, თუმცა წარსულშიც უყურადღებოდ არ დარჩენილა „სურამის ციხის“ ავტორის გაბედული ვალაშქრება ბატონყმურა ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ.

ამ ასი წლის მანძილზე ოცზე მეტ მკვლევარსა და კრიტიკოსს მაინც უცდია დანიელ ჭონქაძის მოთხრობის ვრცლად შესწავლა და შეფასება, მათ შორის ალ. ორბელიანსა და ან. ფურცელაძეს, ა. ხახანაშვილსა და ზ. ჭიქინაძემ, ი. გოგებაშვილსა და ფ. მახარაძეს, არჩ. ჯორჯაძესა და ვ. კოტეტიშვილს, მ. ზანდუკელსა და დ. გამეზარდაშვილს. მეტიც: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიით დაინტერესებულ არც ერთ მკვლევარს უყურადღებოდ არ დარჩენია დ. ჭონქაძე, თუმცა ყველას ერთნაირად როდი ესმოდა მისი ღვაწლი. ალ. ორბელიანი, მაგალითად, ცდილობდა დაემცირებინა „სურამის ციხის“ მნიშვნელობა და სადავოდ გაეხადა თვით ფაქტი ბატონყმობის არსებობისა საქართველოს წარსულსა და აწმყოში. მეორე მხრით, ანტონ ფურცელაძემ ჯერ კიდევ 1863 წელს აღნიშნა, რომ თავდაზნაურობის იდეოლოგია მიერ „სურამის ციხის“ გამოცხადება „ცილისწამებად“ შემთხვევითი არ იყო. რეაქციული თავდაზნაურობის იდეოლოგები მებატონეებს ყმების „მამე-

ბად“ ნათლავდნენ, სწორედ ამიტომ განრისხდნენ ისინი, როცა დ. ჭონქაძის მოთხრობაში, „როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი“. „სურამის ციხის“ მნიშვნელობას ან. ფურცელაძე სწორედ იმაში ხედავდა, რომ იგი იძლეოდა ბატონყმობის მკაცრ კრიტიკას და ლახვარს სცემდა რეაქციულ შეხედულებებს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ვითომდა მამაშვილური ხასიათის შესახებ. ანტონ ფურცელაძის ეს აზრი შემდეგში მეტნაკლებად გაიზიარა ყველა მკვლევარმა, ვინც კი დ. ჭონქაძის მოთხრობას შეეხო. ამასთან, ცხადია, მომდევნო დროის მკვლევარნი უბრალოდ კი არ იმეორებდნენ თავიანთ წინამორბედთა აზრს, არამედ შემდგომაც ავითარებდნენ და კონკრეტულად ასაბუთებდნენ მას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. გამეზარდაშვილის მიერ 1956 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი „ღანიელ ჭონქაძე“, რომელშიც „სურამის ციხის“ შესახებ მრავალი სხვადასხვა მოსაზრების განხილვის საფუძველზე მოცემულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში დ. ჭონქაძის ადგილისა და მნიშვნელობის გარკვევის საყურადღებო ცდა. ნარკვევში, სხვათაშორის, აღნიშნულია, რომ დანიელ ჭონქაძის დაპირისპირება XIX საუკუნის 60-იანი წლების დიდი ქართველი მწერლებისა და განმანათლებლებისადმი „სრულიად უსაფუძვლოა და ამჟამად უკუგდებულია“.

და, მართლაც, ეს დაპირისპირება ემყარებოდა ზოგიერთი მკვლევარის ცალმხრივ, ტენდენციურ მიდგომას, ერთი მხრით, დანიელ ჭონქაძისა და, მეორე მხრით, ი. ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთა შემოქმედებისადმი: რაკი დ. ჭონქაძე სოციალური წარმოშობით გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა, ი. ჭავჭავაძე და სხვები კი თავდაზნაურობა წოდებას, მამასადამე, პირველი გულწრფელად ილაშქრებდა ბატონყმობის წი-

ნალმდეგ, მეორენი კი ორპირობდნენ და ფარისევლობდნენო; საერთოდ „სურამის ციხის“ დაწერამდე საქართველოში ხალხის სულსიკვეთების გამოხატველი ნაწარმოებები თითქმის არ გვექონიაო და სხვ.

სავსებით მართალი იყო ფილიპე მახარაძე, რომელიც წერდა, რომ დ. ჭონქაძის მოთხრობა „ერთ და იმავე დროს აშკარა პროტესტიც არის... საზარელი და ადამიანის შემარცხენელი წესწყობილების წინააღმდეგ და მისი ზოგიერთი მხარეების ცოცხალი და ნამდვილი სურათიც“ (იხ. „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, 1929, გვ. 7). მაგრამ მართალი არ არის ის აზრი, თითქოს დ. ჭონქაძეს ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში არც წინამორბედი ჰყოლია და არც გამგრძელებელი, რომ იგი „ჩვენს მწერლობაში დგას სრულიად განმარტოებულ“ და „მაშინდელ ჩვენს მწერლებთან საერთო არაფერი აქვს“.

ეს უსაფუძვლო შეხედულება უკანასკნელ წლებში სამართლიანად უკუაგდეს ლიტერატურის ისტორიკოსებმა. მაგრამ მისი მხოლოდ უკუგდება ან უარყოფა საკმარისი არ არის. საჭიროა ამ მცდარი აზრის საპირისპირო სწორი შეხედულების ყოველმხრივი დასაბუთება დანიელ ჭონქაძისა და სხვა ქართველ მწერალთა განმანათლებლური მსოფლმხედველობის საერთო ნიშნებისა და სპეციფიკური თავისებურების შესწავლის გზით. ამ ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ ვრცელ მეცნიერულ მონოგრაფიას შეუძლია. წინამდებარე სტატიის კი გადმოცემულია ზოგიერთი მოსაზრება დანიელ ჭონქაძისა და სხვა ქართველი განმანათლებლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა რამდენიმე ძირითად საკითხზე.

დანიელ ჭონქაძის ხანმოკლე საზოგადოებრივი მოღვაწეობა გასული საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს დაიწყო და 1860 წელს ნაადრევად დამთავრდა. მისწავლებლობა სასულიერო სემინარიაში, მეცნიერულ-ფილოლოგიური მუშაობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, რუს რევოლუციონერ-დემოკრატიკა იდეების პროპაგანდა თბილისის ახალგაზრდა ინტელიგენტა წრეში, ლიტერატურული თანამშრომლობა ჟურნალ „ციკარში“ — ასეთია მისი მოღვაწეობის მთავარი მომენტები. გლეხი სოციალური წარმოშობით, ინტელიგენტი სოციალური მდგომარეობით, დემოკრატი მსოფლმხედველობით — აი ვინ იყო დანიელ ჭონქაძე. იგი ეკუთვნოდა თავისი დროის მოწინავე ადამიანთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელმაც ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე გაბედულად აღიმაღლა ხმა მშრომელი ხალხის ფეოდალური ჩაგვრის

წინააღმდეგ და მოითხოვა გლეხთა განთავისუფლება.

რა თქმა უნდა, ჩაგრულთა, კერძოდ, გლეხთა განთავისუფლების იდეა უცხო როდი იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. გლეხთა საკითხი საქართველოში ძველთაგანვე იქცევდა არა ერთი მწერლისა და მოაზროვნის ყურადღებას. შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ XII საუკუნეში ამბობდა ზოგადად: „მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები“. XVII საუკუნეში, როცა ცალკე სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში ფეოდალთა ძალადობა და გლეხთა აღვირახსნილი ექსპლოატაცია უკიდურესად გაძლიერდა, პოეტმა არჩილმა კიდევ უფრო კონკრეტული სახე მისცა შემოხსენებულ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ იდეას: „თუ ამოწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი განმანათლებლები (მაგალითად, იოანე ბაგრატიონი და სხვები) კიდევ უფრო დიდ ინტერესს იჩენდნენ ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცეული ყმა-გლეხების მდგომარეობისადმი. მაგრამ პრაქტიკულად საქართველოში გლეხთა განთავისუფლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნის წამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, როცა ბატონყმური წყობილების კრიზისმა ყოველმხრივ იჩინა თავი. ბატონყმობის რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ნიშანია. ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბებას და ერის შიგნით კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღრმავებას მოჰყვა განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება ენისა და ერის, მიწისა და მიწის მუშის საკითხების გადასაწყვეტად. მიწის მუშა — გლეხი მაშინ ექსპლოატაციის ორმაგ უღელს ატარებდა. ადგილობრივ თავადაზნაურობასა, სამღველოებასა და ჩარჩ-ვაჭრებთან ერთად მას ჩაგრავდა ცარიზმის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული ხელისუფლებაც. მათი ძალადობის გამო გლეხობას სულს უხუთავდა ეკონომიური სიღატაკე, პოლიტიკური უუფლებობა და კულტურული ჩამორჩენილობა. გლეხთა ფართო მასებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ნათლად შეგნებული თავიანთი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მიზეზები. მეტიც: გლეხობის ინტერესების დამცველ მოწინავე ადამიანებსაც კი არ გააჩნდათ მომავლადი ფეოდალიზმის დამხობის და ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის ნამდვილი გზებისა და საშუალებების

მეცნიერული გაგება. მაგრამ ბატონყმური წყობილების შეცვლის აუცილებლობა აშკარა გამოხატულებას პოულობდა განათლებულ ადამიანთა აზროვნებაშიც და ხალხის მასების მოქმედებაშიც. ხალხი იღვიძებდა, მოთმინება-დაკარგული გლეხობა სტიქიურ აჯანყებებს აწყობდა, მოსწავლე ახალგაზრდობა მასობრივ პროტესტს აცხადებდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ხოლო ყოველივე ეს იღვეურად აისახებოდა საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეს ასახვა, ცხადია, სხვადასხვა-ნაირი იყო, რამდენადაც იგი სხვადასხვა კლასისა თუ სოციალური ჯგუფის ინტერესებს გამოხატავდა. რეაქციონერი მემამულენი, რა თქმა უნდა, ბატონყმური წყობილების მომხრენი იყვნენ, ლიბერალი მემამულენი თითქოს წინააღმდეგი არ იყვნენ ბატონყმობის გაუქმებისა, მაგრამ ძველი პრივილეგიების შენარჩუნებას ცდილობდნენ. დემოკრატები მოითხოვდნენ ბატონყმობის სრულ მოსპობას, გლეხობის გათავისუფლებას და მისთვის მიწის გადაცემას. ამრიგად, ბატონყმობის მოწინააღმდეგენი გახსული საუკუნის 60-იან წლებში არსებითად ორთა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის — ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის გარშემო იყრიდნენ თავს. ორივე ამ ტენდენციის ობიექტური შინაარსი რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ლიბერალები ბატონყმური მეურნეობის კაპიტალიზმთან მშვიდობიანი, ნელი, თანდათანობითი შეზრდის მომხრენი იყვნენ, რევოლუციონერ-დემოკრატები კი ფეოდალიზმის რევოლუციურ დამხობას მოითხოვდნენ, რაც ხელს შეუწყობდა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. ასე იყო მთელ რუსეთში, დაახლოებით ასე იყო მეფის რუსეთის განაპირა მხარეებშიც, კერძოდ, საქართველოში.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე აღზრდილი ქართველი განმანათლებლები მტრობით იყვნენ გამსჭვალულნი ბატონყმობის ყველა გამოვლინებისადმი და გულწრფელად სურდათ ხალხის ფართო მასების ინტერესების დაცვა. 1859—1861 წლების რევოლუციური სიტუაციის პერიოდს საქართველოშიც ბატონყმობის წინააღმდეგ იდური შეტევის წლებია. დანიელ ჭონქაძის დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ 50—60-იანი წლების მოწინავე ქართველი მწერლებიდან და მოაზროვნეებიდან მან პირველმა საჯაროდ და გაბედულად მიიტანა იერიში ბატონყმობაზე. თუმცა ნადრევემა სიკვდილმა არ დააცალა მას მოეცა თავისი დროის ამ „საზოგადოებრივი სისაძაგლის“ გაშლილი, ყოველმხრივი ანალიზი და ნათლად ეჩვენებინა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების

პერსპექტივა, მაგრამ თავის ერთდღერთ გამოქვეყნებულ მოთხრობაში მან მოახერხა გაეშუქებინა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი არსებითი საკითხი, ეჩვენებინა ფეოდალური წყობილების სიღამპლე და მისი დაღუპვის. გარდუვალობა, ფეოდალთა მიერ გლეხთა მხეცური ჩაგვრა და ექსპლოატაცია, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება და გლეხობის დამლა, გლეხთა სტიქიური ლტოლვა განთავისუფლებისაკენ და მათი ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ, ერთი მხრივ, სასულიერო წოდებისა და მემამულეთა წოდების, ხოლო მეორე მხრივ, მებატონეთა მსახურებისა და გლეხობის კლასობრივი სოლიდარობა, რელიგიური ცრურწმენები და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ექსპლოატატორული ხასიათი და სხვ. ცხადია, „სურამის ციხეში“, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ყველა ეს საკითხი სისტემატურად და ფართოდ არაა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოცემული. მაგრამ დანიელ ჭონქაძის მოთხრობა სწორედ იმიტომაა საყურადღებო გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შემსწავლელისათვის, რომ მასში, მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც საკმაოდ სრულად, ზოგჯერ დოკუმენტური სიზუსტითაა გაშუქებული მაშინდელი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი. ტყუილად როდი უწოდებს იგი „სურამის ციხეს“ მოთხრობას „ჩვენი საქართველოს ცხოვრებითგან“.

ზემოთ ითქვა, რომ 50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი შინაარსი იყო ბატონყმობის რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება. ამ ისტორიული პროცესის გადმოცემა შეადგენს „სურამის ციხის“ ძირითად შინაარსს. ბატონყმობა, დანიელ ჭონქაძის დახასიათებით, წარმოადგენს მიწისმფლობელ მემამულეთა და საკუთრებასმოკლებულ ყმაგლეხთა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის დროსაც, ვახტანგ მეექვსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულს გარდა ყმის ყველა ბატონისა არის“. ამ საფუძველზე აღმოცენებული უღმობელი ჩაგვრა და ექსპლოატაცია, დარბევა და განადგურება, დამცირება და აბუჩად აგდება ყმებისა მემამულეების მიერ დოკუმენტური სიზუსტით გვიჩვენა დანიელ ჭონქაძემ დურმიშხან წამალაძისა და ოსმან-ალას პირვანდელი მონური ცხოვრების მაგალითზე.

„წერეთლიანთ ყმა“ დურმიშხან წამალაძე მათივე უუფლებო მოსამსახურე გოგოზე ახალგაზრდა ბატონიშვილის პირუტყვეული ძალადობის შედეგად გაჩნდა ქვეყანაზე. ბატონმა იგი ნივთივით აჩუქა ნაცნობ მემამულეს. ახალმა ბატონმა იგი იმერეთიდან ქართლში წაიყვანა.

მშობელი დედა თან გადაჰყვა შვილის მოცილებით გამოწვეულ მწუხარებას, დიდ ბატონს მხოლოდ ცალი უღვაში აუჯანკალდა, ხოლო ახალგაზრდა ბატონიშვილს არაფერიც არ უგრძენია.

დურმიშხანისათვის ქართლელი მებატონეც ისეთივე მჩაგვრელი იყო, როგორც იმერელი. რა აღარ გამოსცადა ახალ ბატონთან დურმიშხანმა: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინვა. „ბევრჯელ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, — ჰყვება იგი, — ბევრჯელ მიტერინა მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი“ (დ. ჭონქაძე, „სურამის ციხე“, მის. ზანდუკელის წინასიტყვაობითა და რედაქციით, 1932, გვ. 21).

კიდევ უფრო სასტიკად მოექცა ბატონი ოსმან-ალას — ცოტად თუ ბევრად ბატონისაგან დამოუკიდებელი გლეხის შვილს: ჯერ ეწინაა წაართვა, მერე მუშპარტუტყვი, ბოლოს კი თვით ადამიანებსაც პირტუტყვასავით გაყიდვა დაუბირა. დედამ სცადა გადაემალა თავისი შვილები, მაგრამ ბატონმა მონახა, დედაშვილი გუთნისა და კვერის უღელში შეაბმევინა ხარბებით და ჯანგაცილი ქალს სახრის ცემით ამოხადა სული. არც ეს იკმარა გულქვა მებატონემ: ოსმან-ალას საცოლეს დაადგა თვალი, გააუპატიურა და თვითმკვლელობამდე მიიყვანა სუსტი და უუფლებო მსახური გოგო. ბატონი ყმებს უყურებს, როგორც პირტუტყვებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ „სასარგებლო ნივთებია“, რომლებსაც არც ადამიანური გრძნობა გააჩნიათ, არც არავითარი უფლება, ვარა ბატონის მონური მორჩილების უფლებებისა. „იმათ ჰგონიათ, — ამბობს ოსმან-ალა, — რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა“ (იქვე, გვ. 42).

ასეთი იყო, დანიელ ჭონქაძის დახასიათებით, გლეხთა მდგომარეობა მემამულეთა განუსაზღვრელი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ეპოქაში. მრავალსაუკუნოვანი მონობით დაბეჩავებულთა გლეხი ყოველთვის როდი ურიგდებოდა ამ მდგომარეობას. იგი ოცნებობდა განთავისუფლებასზე, საკუთრების შექმნაზე, მემამულისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების მოპოვებაზე. გლეხთა მასები თანდათანობით მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“, „სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკერვლად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის“ (იქვე, გვ. 23, 24). „პირადი თავისუფლება და საცხოვრებელი“, — ასეთი იყო ყმაგლეხობის მოთხოვნა. ეს მოთხოვნა დიდი როლი იყო,

მაგრამ საუკუნეთა გრძელ მანძილზე განუზორციელებელი რჩებოდა. უყურებდა ყმა დურმიშხან წამალაძე „მშვენიერ ყანას“ და „ათუღელა გუთანს“ და ნატობდა: „რა კარგი იქნებოდა, რომ მყვანდეს ერთი ყვეარი ხარკამეჩი, ერთი ოციოდ დღის მიწა და ჩემი... გულისგარდი“ (იქვე, გვ. 35). ყოველივე ეს მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის თუ ეყოფოდა ყმაგლეხს, მაგრამ ეს მცირედიც მას საოცნებოდ ჰქონდა გამხდარი ბატონყმური წყობილების დროს. ამასთან 50-იანი წლების საქართველოში გლეხთა ცალკეული წარმომადგენლები, ზოგჯერ კი ცალკეული ჯგუფებიც უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ უბრალო ოცნებით და პრაქტიკულად ცდილობდნენ „პირადი თავისუფლებისა და საცხოვრებლის“ (მიწის) მოპოვებას „სისხლით თუ უსისხლოდ“. დანიელ ჭონქაძემ ნათლად დაახასიათა გლეხთა განთავისუფლების ეს ორი ტენდენცია, ორი გზა. ოსმან-ალა შენატრის დურმიშხანს: „ბედნიერი ხარ... უსისხლოთ განთავისუფლებულხარ მონობიდან. ბევრს არ ერგება ეგ ბედნიერება“ (იქვე, გვ. 38).

მართლაც, დურმიშხან წამალაძეს სისხლი არ დაუღვრია განთავისუფლებისათვის. დანიელ ჭონქაძის აზრით, სისხლისღვრა არც არის ერთადერთი საშუალება ყმობისგან თავის დაღწევისა, რადგან გულქვა ბატონებს ვარდა არსებობენ გულკეთილი მემამულენიც, რომელთათვის საკმარისია თავიანთი მოახლის შუამდგომლობა, რათა ნებაყოფლობით გაათავისუფლონ მათი ერთგული მოახლის საყვარელი ყმა. სწორედ ასე მიიღო დურმიშხან წამალაძემ „განთავისუფლების წიგნი“, „გამოიხსნა თავი წყეული ყმობითგან“, მოიპოვა პირადი თავისუფლება. მაგრამ „სხვის თავდაუკერვლად“ ცხოვრებისათვის ეს საკმარისი არ იყო. ამასთან ერთად საჭირო იყო „საცხოვრებელი“, რაც გლეხისათვის უწინარეს ყოველისა მიწას ნიშნავდა. მიწის შესაძენად გლეხს ფული უნდა ეშოვნა. და, აი, თავისუფალმა, მაგრამ „უპატრონო და უთვისტომო“ დურმიშხან წამალაძემაც გასწია ფულის საშოვრად. „წავალ, ვიშოვნი ფულს, გავმდიდრდები და ისევ მოვალ შენთან“, — შეჰფიცა მან სატრფოს. იგი ემობს თავის მონურ წარსულს და მიილტვის ახალი ცხოვრებისაკენ, სადაც „კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას“ (იქვე, გვ. 24, 33). ვაჭართან მოჯამავირედ დადგომა, ყოველნაირი სამართლიანი თუ უსამართლო საშუალებით ფულის შოვნა, საკუთარი დუქნის გახსნა, ბიჭების დაქირავება, ერთი სიტყვით, მოჯამავირობიდან ვაჭრად გადაქცევა, — აი რაზე ოცნებობს ბატონის მიერ განთავისუფლებულ ყმა. მანამდე კი იგი უმწყო ადამიანია, თითქმის ადამიანიც კი არ არის,

უთვისტომოა. მართალია, დანიელ ჭონქაძემ ააცილა თავისი მოთხრობის გმირი ჩაგრულიდან მჩაგვრელად გადაქცევის ამ გზას, ღურმიშხანი უბრალო შემთხვევის წყალობით გამდიდრდა, მაგრამ ზემოხსენებულ ოცნებაში მწერალმა გამოხატა თავისი ეპოქის სინამდვილე — ყმობისაგან მშვიდობიანი გზით განთავისუფლებისაკენ ლტოლვა, რაზედაც გულუბრყვილოდ ოცნებობდა არა ერთი და ორი გლეხი ბატონყმობის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხთა ინტერესების დამცველი დანიელ ჭონქაძეც არ იყო მთლად თავისუფალი ამ გულუბრყვილო გლეხური დემოკრატიზმისაგან; როგორც ჩანს, მასაც, ისევე როგორც მისი დროის სხვა განმანათლებლებს, სასურველად და გარკვეულ პირობებში შესაძლებლად მიაჩნდა ნებაყოფლობით გაეთავისუფლებინათ ყმები და ამნაირად ხელი შეეწყოთ დრომოქმული ბატონყმობის გაუქმებისა და ახალი ცხოვრების შექმნისათვის „უსისხლოდ“, მშვიდობიანი გზით. გლეხობის უმრავლესობას და მისი ინტერესების დამცველ განმანათლებლებს გულწრფელად სწამდათ და სწადათ საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნის შესაძლებლობა. ამ მხრივ გამოჩნდის არც დანიელ ჭონქაძე იყო, თუმცა მან ისიც გვიჩვენა, რომ ეს შესაძლებლობა ყოველთვის როდი იქცეოდა სინამდვილედ. ამის მაგალითია მის მიერ დახატული მეორე ყმაგლეხის ოსმან-ალას ცხოვრება: ერთი მხრით, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბატონყმური ჩაგრვის წინააღმდეგ და, მეორე მხრით, გულუბრყვილო სინანული ამ ბრძოლაში უეიდუტრესი „სისხლიანი“ ფორმების გამოყენების გამო; ერთი მხრით, დაუცხრომელი ლტოლვა პირადი თავისუფლებისა და შეძლებული ცხოვრებისაკენ, მეორე მხრით, უარყოფა გადაჭარბებული სიმდიდრისა და მისწრაფება ფეოდალური სოფლის „თავისუფალი“ გლეხური მეურნეობისადმი დაბრუნებისაკენ — ასეთია ყმობისაგან ბრძოლით თავდაღწეული და ვაჭრობის გზით გამდიდრებული გლეხის სურბული. დანიელ ჭონქაძე ოსმან-ალას მხარეზეა მასწავლა, როცა იგი დაუზოგავად ამოეღეტს მემამულის ოჯახს, და მაშინაც, როცა იგი ნანობს ერთმორწმუნე ადამიანთა დახოცვას. „სურამის ციხის“ ავტორის ეს განყენებული კაცთმოყვარეობა შემთხვევითი როდია. დანიელ ჭონქაძეს არა აქვს და მაშინდელ პირობებში ვერც ექნებოდა ბატონყმობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების ჭეშმარიტად მეცნიერული, მატერიალისტური გაგება. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი სოციალური ფილოსოფია ასრებიითად ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული „კარგი“ და „ცუდი“, „გულუკეთილი“ და „გულქვა“ მემამულის იდეისაგან. ღურმიშ-

ხანის ბატონი იმდენად გულუკეთილია, რომ ნებაყოფლობით, ყოველგვარი მატერიალური ინტერესის გარეშე ათავისუფლებს ყმებს. ოსმან-ალას ბატონი იმდენად გულქვაა, რომ ადამიანად არ თვლის ყმებს და პირუტყვივით უღელში აბამს. რა თქმა უნდა, ყმებისადმი მემამულეთა დამოკიდებულება გარეგნულად საეცებით ერთნაირი არ ყოფილა. მაგრამ გარეგნულად სხვადასხვანაირ დამოკიდებულებაში ერთნაირი და არსებითი ის იყო, რომ ბატონყმური ურთიერთობა წარმოადგენდა უწყისარეს ყოვლისა ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის საფუძველზე მემამულეთა კლასი ექსპლოატაციას უწევდა, ჩაგრავდა და იძონებდა გლეხთა კლასს. სხვანაირად ბატონყმობის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, საქმის არსი მებატონეთა გულქვაობასა თუ გულუკეთილობაში კი არ მდგომარეობდა, არამედ ადამიანთა სუბიექტური სურვილებისა და გრძნობებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში. ეს არ ჰქონდათ საეცებით შეგნებული გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქართველ განმანათლებლებს, მათ შორის დანიელ ჭონქაძესაც. ფეოდალურ წოდებათა კლასობრივი დანაწილება იმ დროს დასაწყისის სტადიაში იმყოფებოდა. კლასობრივი ბრძოლაც იმდენად განუვითარებელი იყო, რომ ვერ სცილდებოდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გლეხთა ცალკეული წარმომადგენლების, ანდა ცალკეული ჯგუფების სტიქიურ გამოსვლებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 50-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ჯერ კიდევ ვერ იძლეოდა არსებულ წყობილების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების მეცნიერულ-მატერიალისტურ კრიტიკას. ყოველივე ამის გამო ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი 60-იან წლებშიც კი არ იყო ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული, ხოლო 50-იან წლებში — მით უფრო; ეს საკმაოდ იგრძნობა დანიელ ჭონქაძის ზემოთ განხილულ პოლიტიკურ შეხედულებებშიც; ერთი მხრით, მოთმინებადაკარგული გლეხის მიერ მემამულეთა ამოწყვეტის აუცილებლობისა და მეორე მხრით, ამ სისხლისღვრის გამო სინანულის გლეხური განწყობილების ასახვა „სურამის ციხეში“ გვიჩვენებს დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის განუყოფლობას დანიელ ჭონქაძის მსოფლმხედველობაში. ამიტომაც არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ზოგიერთი კრიტიკოსის შეხედულება, თითქოს დანიელ ჭონქაძეს თავის მოთხრობაში უარყოფითად დაეხასიათებინოს ლიბერალიზმი და „ენაიზლიბერალები“, რომელთა როლს თურმე 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი განმანათლებლები ასრულებდნენ! ამ არასწორი

შეხედულების დასაბუთებას ცდილობდნენ „სურამის ციხის“ იმ ადგილის დამოწმებით, სადაც დანიელ ჭონქაძე ამბობს: „კნიაზ ლიბერალს ვეძახოდით კნიაზ ლ. დ-სა იმიტომ, რომ დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება და ყოველსავე ბატონყმობაზე ამბავსა შეიტყობდა ხოლმე სულ ყველაზე წინ... კნიაზ-ლიბერალთ, მოემზადე, მაგრამ მალაღ ფრანგებს ყი თავი დაანებე“ (იქვე, გვ. 56). მალაღი ფრანგების თქმა აქ შეუძლებლის მოთხოვნას ნიშნავს და არა ლიბერალობის — ესე იგი, მაშინდელი გაგებით, თავისუფლების მომხრეობის — გაკიცხვას. შემდეგშიც, დიდი ხნის განმავლობაში, ლიბერალობა დადებითი აზრით ახმარებოდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. თვით კონსერვატორებიც ვერ ახერხებდნენ 60-70-იან წლებში მისთვის უარყოფითი, გასაკიცხი აზრის მიცემას, თუ რაღაც დამცინავ სიტყვას არ დაუმატებდნენ. ამიტომაც ამბობდა კონსერვატორი გრიგოლ ორბელიანი დემოკრატი ილია ჭავჭავაძის შესახებ: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“. დანიელ ჭონქაძეც არ ხმარობს სიტყვა ლიბერალს უარყოფითი აზრით. ლიბერალი მისთვის ნიშნავს თავისუფლების მომხრეს, რომელიც იმაზე მეტს მოითხოვს, რის განხორციელებაც შესაძლებელია. თანამედროვე გაგებით კი, ლიბერალი, რომელიც ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს იცავს, იმაზე ნაკლებს მოითხოვს, რაც შესაძლებელია განხორციელდეს, იგი მუდმივად შიშობს, შემრიგებლურ და უპრინციპო დამოკიდებულებას იჩენს კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში. გასული საუკუნის 50-იან წლებში ფეოდალური წოდებრიობის ნაჭუჭიდან გამოშავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იცნობდა განვითარებულ კლასობრივ ბრძოლას, არც მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნება იყო იმდენად მომწიფებული, რომ მეფის ხელისუფლებასა და მემამულეთა კლასს იქით ბურჟუაზიულ -ლიბერალური მიმდინარეობა ნათლად შეემჩნია. დანიელ ჭონქაძე მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ტიპური წარმომადგენელია. იგი რეალისტურად აღწერს ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ცალკეულ მხარეებს, აღნიშნავს ფაქტებს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ფეოდალიზმის ზუსტ მეცნიერულ დასასიათებას. ასეთ პირობებში უცნაური იქნებოდა, რომ დანიელ ჭონქაძეს მოეცა ლიბერალიზმის არსის მეცნიერული ახსნა და კლასობრივი შეფასება. მეტიც: ამა თუ იმ მოღვაწისადმი ნაძალადევი იარაღების მიკერების მცდარ გზას თუ დავადგებოდით, შეიძლებოდა გლეხთა ნებაყოფლობით გამათავისუფლებელი მე-

მამულის დახატვაც დანიელ ჭონქაძის მიერ ლიბერალიზმად მოგვენათლა. სინამდვილეში კი ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა გარკვეული კლასობრივი პოლიტიკის გამტარებელ მოაზროვნესთან, არამედ განმანათლებელთან, რომელიც, ლენინის ცნობილი გამოთქმა რომ ვინმართ, მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდა, როგორც თავისი განსაკუთრებული ყურადღების საგანს. მიუხედავად ამისა, დანიელ ჭონქაძემ შეძლო ფეოდალური ჩაგვრის მხილება და ბატონყმური მონობის საჯაროდ დაგმობა, რაც 50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მას არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ გლეხობის ჩაგვრისა და მონობის საქმეში მემამულეთა კლასს მხარში ედგა რეაქციული სამღვდლოება, რომელიც არა მარტო სულიერად უმონებდა მემამულეებს ყმა-გლეხებს, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებოდა ბატონებს ყმების დევნასა და დამორჩილებაში. სწორედ ამის მაჩვენებელია „სურამის ციხეში“ აღწერილი ფაქტი, როცა ბატონს გაქცეული ყმების ადგილსამყოფელი მისწავლა, რომელსაც აღსარებაზე გამოუტყდა ყმაქალი. მეორე მხრით, დანიელ ჭონქაძემ გვიჩვენა, რომ კლასობრივი სოლიდარობა არსებობდა არა მარტო მჩაგვრელთა სხვადასხვა ჯგუფს შორის, არამედ ჩაგრულთა სხვადასხვა ფენებს — მაგალითად, ბატონის შინამოსამსახურეთა და მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრებულ ყმათა — შორისაც. „სალამოზე დამეწივა მღვეარი, — ამბობს ოსმან-აღა, — და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმემ ან მოინდომა მოკლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავარდნილიყავ ახალციხისაკენ“ (გვ. 54).

მაგრამ არის ერთი რამ, რაც ყველას თანაბრად წამს „სურამის ციხეში“ — მემამულესაც და გლეხსაც, კაცსაც და ქალსაც, მღვდელსაც და ყმასაც. ეს არის რელიგია, ღმერთი. დანიელ ჭონქაძის გმირებისათვის ღმერთი შემოქმედია ყოველივე არსებულისა, „ღმერთი მრავალმოწყალეა“, „განგება ღვთისა არსად ადგებს კაცს უნუგეშოდ“ (გვ. 45), ღვთის ნება და ბედისწერა წარმართავს ყოველი ადამიანის მოქმედებას, იგი აახლოებს და აშორებს საყვარელ ადამიანებს. მიუხედავად განშორების სიმწარისა, ღვთისა და ქრისტიანობის გმობა უდიდესი ბოროტებაა, გამოუსწორებელი ცოდვაა — ასე სჯის ფეოდალური ჩამორჩენილების ნიადაგზე წარმოშობილი რელიგიური ბურჟუაზიული დაბნელებული გონება „სურამის ციხის“ პერსონაჟებისა. და ეს შემთხვევითი როლია. თვით დანიელ ჭონქაძესაც სწამს ღმერთი

და იმქვეყნიური ცხოვრების სინამდვილე-სიც დაბეჯითებით ირწმუნება, რომ სიკვდილის შემდეგ საიქიოს შეხვდება თავის მშობლიურ ადამიანებს და ილოცებს მათთვის (გვ. 279). რაღა უნდა ითქვას გაუნათლებელ გლეხთა ფართო მასებზე, რომლებიც, „სურამის ციხის“ მიხედვით, განურჩევლად ემორჩილებოდნენ ღვთის მოციქულთა და მკითხავთა რელიგიური ცრურწმენების გავლენას.

მაგრამ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ მიმავალი საქართველოს საზოგადოებაში 50-იან წლებში უკვე ჩნდებოდნენ ადამიანები, რომელთაც აღარც ღმერთი სწამდათ, აღარც ადამიანური სიკეთე, რადგან მათ ცხოვრებაში უმაღლესი შემოქმედის ადგილს ფული და სიმდიდრე იჭერდა. ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, კერძოდ, დანიელ ჭონქაძის მიერ დახატული ღურმიშხან წაპალაძე. მან ფულზე გასცვალა და დაივიწყა წმინდა სიყვარული იმ ადამიანისა, რომელმაც იგი ყმობიდან გაათავისუფლა. მისი ქვეყნის წინააღმდეგ ომის დაწყების საშიშროება რომ შეიტყუო, მან მხოლოდ ეს თქვა: „ახლა თუ გინდ მთა მთას ეხალოს, მე ჩემი საქმე გავათავიო“. მან ფულს ანაცვალა სიკეთე ოსმან-ალასი, რომელმაც საკუთარი ქონების ნახევარი აჩუქა. „იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი, — წერს დანიელ ჭონქაძე, — და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა. რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება თავისი ოცნება, როდესაც ის იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთა, იმას არა ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა, და აი სიმდიდრისათვის მამაკაცი ჰყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანკათავანი“ (გვ. 63, 93).

იყვნენ მაშინდელი საქართველოს საზოგადოებაში ისეთიც, ვინც ეჭვის თვლით უყურებდა ფულისა და ვაჭრების ყოვლისშემძლეობას. სიღატაკით წელში მოხრილი გლეხი ოცნებობდა თავისი ქალიშვილი მდიდრისათვის მიეთხოვებინა, მაგრამ არა უთვისტომო ფულიანისათვის, არამედ „საწყალი აზნაურისათვის“, რომელსაც „ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ“ (გვ. 57). ფული გვარიშვილობას ვერ გამოუცვლის კაცსო. — ამბობს ყმაგლეხი, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც იძულებულია, ფულიანი ვაჭარი სიძედ გაიხადოს და, მაშასადამე, აღიაროს გამდიდრებულ ვაჭართა წრის წარმომადგენლის უპირატესობა ვალატაკებულ თავადაზნაურთა წინაშე.

მაგრამ ქართველი თავადაზნაურთა დანიელ ჭონქაძის დროს ჯერ კიდევ არ იყო გაუფასურებელი. განვითარების პროცესში მყოფი ახალი, სავაჭრო-კაპიტალისტური ურთიერთობანი

ძველი, ფეოდალური ურთიერთობის წიაღში წარმოიშობოდნენ და უგვარტომო კაპიტალისტური ელემენტები ყოველნაირად ცდილობდნენ კეთილშობილი წოდების მაღალ კიბეზე შესკუპებას. ამის მაჩვენებელია ღურმიშხანის სურვილი, ვიღაც უგვარო „გოგია-მოგიას“ კი არ მონათვლინოს თავისი ვაჟი-შვილი, არამედ დიდ თავადიშვილს. იგი ცდილობს თავისი სიმდიდრის შესაფერისი უფლებაც მოიპოვოს და მიღწიოს იმას, რომ თავი არ დაუკრას „არც ერთ თავადს“. იოლი საქმე როდი იყო ეს. ამპარტავანი თავადები დასცილდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მეტიჩარა ვაჭრებს. ეს უქანასკნელი მაინც გულს არ იტეხდნენ და ნელა, დაბრკოლებების გადალახვით, მაგრამ შეუპოვრად მიიწვედნენ ჩამომავლობის ამარა დარჩენილ მემამულეთა ეკლიანი ღობის მიღმა. „ჩამომავლობით გჯობნიან? — ეუბნება გამდიდრებულ ღურმიშხანი თავის ვაჟიშვილს. — აბა ერთი ჰყითხე იმათ, მათგან თავის კაცობით ვინ იშოვნა ყმა და მამული? ვინ იშოვნა იმდენი ფულები, რომ რომელიც უნდა თავადიშვილის მამული იყიდოს?“ (გვ. 81). ფულები! — აი რისი იმედი ჰქონდათ ფეოდალიზმის წიაღში გამოიწვილ კაპიტალისტურ ელემენტებს დაქვეითების გზაზე დამდგარ თავადაზნაურობასთან ბრძოლაში. თვითონ დანიელ ჭონქაძესაც თავისი დროის მთავარ საარსებო საშუალებად ვაჭრობა და ფულადი ქონება მიაჩნია. ამიტომაც სწერდა იგი თავის ცოლისძმას: „ძალიან გამახარა წერილმა და იმ ამბავმაც, რომ შენ სტავროპოლში კარგი ადგილი გაქვს და მთავრობაც ყურადღებით გეპყრობა. გამეხარა ისიც, რომ ჩვენი დაშა გათხოვდა. ღმერთმა მისცეს ბედნიერება და ჯანმრთელობა. მეტადრე ის გამეხარა, რომ ვაჭარს წაყოლია. მე მგონია, უკეთესია, თუ ვაჭრის ქალიშვილი ვაჭარსვე მითხოვდება, ულუკმაბური მაინც არ გამოვლევდა. ეს ურჩევნია, ვიდრე მშვიერ კეთილშობილს გაყვეს“ (გვ. 282).

ფეოდალთა და ფეოდალიზმთან შედარებით ბურჟუა-ვაჭართა და საერთოდ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა უპირატესობის აღიარებას ხელი არ შეუშლია დანიელ ჭონქაძისათვის კრიტიკულად შეეფასებინა და დაეგმო ექსპლოატატორული ბუნება ამომავალი ბურჟუაზიისა, რომელიც ყოველივე ადამიანურს ფულისა და არშინის მიხედვით ზომავდა — ომსაც და მშვიდობასაც, სიძულელიც და სიყვარულსაც, უტეხოსაც და მშობლიურსაც. ყველაზე მეტად დანიელ ჭონქაძის სიმპატიამშობილი, უსამართლოდ დაჩაგრული გლეხობისაკენ იყო მიმართული. ამიტომაც აწყენინა მან „სურამის ციხეში“, როგორც თვითონ

ამბობს, „ზოგიერთ უეც მემამულეს გლეხობის საკითხით“ (გვ. 285).

მაგრამ გლეხობის საკითხთან ერთად XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებას აწუხებდა მეორე, არანაკლებ საჭირობოროტო საკითხი—ეროვნული საკითხი. მართალია, 50-იან წლებში ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მიყვანილი, კუთხური კარჩაკეტილობა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერად იჩენდა თავს, რომ, როგორც „სურამის ციხის“ ერთი დიალოგიდან ჩანს, იმერელი ქართლს „თავის საქართველოდაც“ კი არ თვლიდა, მაგრამ დანიელ ჭონქაძე კარგად ხედავდა, რომ „ეროვნული გრძნობა იღვიძებდა“ (გვ. 21, 285). ამას არ შეიძლებოდა თავისი გამოხატულება არ ენახა „სურამის ციხეშიც“. და, მართლაც, დანიელ ჭონქაძის მოთხრობაში არის აღვლები, სადაც ლაპარაკია „საქართველოს ბედზე“, „საწყალ საქართველოზე“, „საქართველოს ხსნასა და გამარჯვებაზე“, იმაზე, რომ „მამულის კეთილმდგომარეობა ითხოვს მსხვერპლს“ და რომ როცა „მამული არის განსაცდელში, ჩუმად უნდა იყოს გული, სჯობს ერთი მოკვდეს მამულისთვის, სანამ დაიხოცენ ათასნი“ და სხვ. (გვ. 86-99). მაგრამ ეს პატრიოტული იდეები „სურამის ციხეში“ ვერ პოულობენ ვერც მაღალმხატვრულ განსაზიერებას, ვერც გაშლასა და განვითარებას. მეტიც: მოთხრობაში დამახინჯებულია ცნობილი ისტორიული ლეგენდა, რომელიც თავისი მაღალიდებული პატრიოტული შინაარსით ქართული, ისური, რუმინული და სხვა ხალხური შემოქმედების მარგალიტად უნდა ჩაითვალოს. ამ ლეგენდის ქართული ვერსიის ძირითადი იდეა მამულისათვის თავგანწირვაა. ხალხი დევით აღმამუნებლის ხელმძღვანელობით მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ციხესიმაგრეებს, მათ შორის სურამის ციხეს, აშენებდა. მაგრამ ციხის კედლებს რამდენჯერაც ამოიყვანდნენ, იმდენჯერვე ინგროდა. ბრძენმა ურჩია მშენებლებს: ციხე აშენდება, თუ კედელში დედისერთა ვაჟს ჩაატანთო. მეფე და ხალხი მწუხარებამ მოიცვა. მაგრამ აი გამოვიდა ვაჟკაცი ზურაბი და სთხოვა მეფეს, მე ჩამატანეთო ციხის კედელში. შვილს დედამაც დაუჭირა მხარი და, როცა კედელი ზურაბის მხრებამდე ამოიმართა, იმავე ბრძენმა უთხრა მეფეს: დაანგრიეთო ეს კედელი; ქვეყანას, რომელსაც ასეთი ვაჟკაცები ჰყავს, ციხეები არა სჭირდებაო. სამშობლოსადმი ზურაბის გმირული თავდადებით აღტაცებული ხალხი ასეც მოიქცა, ზურაბი გაათავისუფლა და დააჯილდოვა.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობა თითქოს ამ ლეგენდის მიხედვით შექმნილ სიუჟეტზეა

აგებული, ოღონდ ბრძენის ადგილს მკითხვეი იჭერს, სამშობლოსათვის თავგანწირული სამსახურის მაგივრად წინა პლანზე პირადი შურისძიება წამოწეული და, ამრიგად, მთელი ხალხის პატრიოტული აღზრდის ცხოველყოფილი მნიშვნელობა დაქვემდებარებული აქვს შეყვარებულისაგან მოტყუებული ერთი ადამიანის გაბოროტებულ გრძნობას. კითხულობთ „სურამის ციხის“ უკანასკნელ ფურცლებს, ისმენთ ვარდუა მკითხვეის რჩევით კედელში ძალად ჩაიჭრული ადამიანის უმწეო კენესა და ფიქრობთ: ღირდა თუ არა მოთხრობის საინტერესო სიუჟეტის შექმნისათვის ზემოხსენებული ლამაზი და მაღალიდებული პატრიოტიზმით გამსჭვალული ისტორიული ლეგენდის დამახინჯება! მაგრამ საქმე მართო სიუჟეტი როდია. თვით ის ფაქტი, რომ დანიელ ჭონქაძე არ მოერიდა ამ პატრიოტული ლეგენდის თავისებურად გადაკეთებას, მისი მსოფლმხედველობით უნდა აიხსნას. ეს ფაქტიც იმას გვაფიქრებინებს, რომ იგი უგულვებელყოფდა ეროვნული საკითხის დიდ როლს მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორე მხრით, იგი, ისევე როგორც შემდეგში ქართველი ხალხისგან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და წინა პლანზე აყენებდა სოციალურ საკითხს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანიელ ჭონქაძე სოციალურკლასობრივ საკითხს, კერძოდ, გლეხობის საკითხს, 50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს საკითხად თვლიდა. ამ მხრით მისი მსოფლმხედველობა ერთგვარად მართლაც განიჩქვება სხვა ქართველი განმანათლებლების მსოფლმხედველობისაგან. ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, მაგალითად, სწორად მეტყურადლებას უთმობდნენ ეროვნულ საკითხს სოციალურ საკითხთან შედარებით, ზოგჯერ კი ერისა და ეროვნული თანასწორობისათვის ბრძოლას უპირველეს საზომად მიიჩნევდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შეფასებაში. იაკობ გოგებაშვილის აზრით, „ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გეტკიოდა, ვადონებდა, ვიდრე სოციალური“ (თხზ., ტ. 1, გვ. 391). ამასთან ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და 60-იანი წლების სხვა ქართველი განმანათლებლების მსოფლმხედველობაში დიდი ადგილი უჭირავს სოციალურ საკითხსაც, ე. ი. საქართველოს მშრომელი ხალხის, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის აღორძინებისა და განთავისუფლების საკითხს. ისინი რეალისტი მოაზროვნენ იყვნენ და კარგად ესმოდათ; რომ მშრომელთა სოცია-

ლური გათავისუფლების გარეშე მათი ეროვნული თავისუფლება ჰაერში გამოვიდებოდა აღმოჩნდებოდა.

დანიელ ჭონქაძის მსოფლმხედველობა არ შეიცავს 50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი საკითხის სრულ და ნათელ იდეურ-პოლიტიკურ დახასიათებას. ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობაში გაცილებით უფრო ნათლად, სრულად და მრავალფეროვნად აისახა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებანი, მშრომელთა სოციალური და ეროვნული გათავისუფლების დიდი იდეალები. დანიელ ჭონქაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი მხოლოდ რამდენიმე ბრწყინვალე ფურცელია XIX საუკუნის ქართული განმანათლებლური აზროვნების დიდი წიგნისა. ამ ფურცლების გარეშე წიგნი უთუოდ დაკარგავდა რაღაცას, მაგრამ ეს ფურცლები მთელ წიგნს მაინც ვერ შეცვლიდა. ამიტომაც არის უსაფუძვლო დანიელ ჭონქაძისა და სხვა ქართველი განმანათლებლების დაპირისპირება. ან რა არის აქ დასაპირისპირებელი: დანიელ ჭონქაძემ მხოლოდ წამოაყენა ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეა, რომელიც იდეათა მრავალმხრივ სისტემად აქციეს, დაასაბუთეს და განავითარეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და ანტონ ფურ-

ცელაძემ. დანიელ ჭონქაძის ოსმანალა და ილია ჭავჭავაძის კაკო ბლაჭიაშვილი იდეურად ძმები არიან, რამდენადაც ერთ მიზანს ისახავენ და ერთნაირი იარაღით ცდილობენ ბატონყმური ჩაგვრისაგან თავის დაღწევას, განთავისუფლებას. დანიელ ჭონქაძის ღურმისზან წამალაძე და გიორგი წერეთლის ბახვა ფულავაც იდეურად ენათესავენ ერთმანეთს, რამდენადაც ბატონყმობისაგან განთავისუფლების შემდეგ ერთი და იმავე იარაღით — ფულით ცდილობენ ყველაფრის მოპოვებას და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის გაბატონებას. ამასთან არც დანიელ ჭონქაძე და არც სხვა განმანათლებლები თავისუფალი არ იყვნენ უტოპიური ილუზიებისაგან „კეთილ“ შემამუღეთა და ბურჟუათა შესახებ. დემოკრატიზმი და სოციალ-უტოპიზმი იმ დროს განუყოფელი იყო. განსხვავება უმთავრესად მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ 50-იანი წლების განმანათლებლის დანიელ ჭონქაძის ცალკეული დემოკრატიული და უტოპიური შეხედულებანი 60-70-იანი წლების განმანათლებლებმა იდეათა მოლიან სისტემად ჩამოაყალიბეს, გააღრმავეს, განავითარეს და დაასაბუთეს. ასე რომ გამოჩენილი ქართველი დემოკრატი მწერლის დანიელ ჭონქაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი განმანათლებლური დემოკრატიზმისა და უტოპიზმის გამარჯვების პროლოგი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.





ჯუმაჲი ჟუმაჲიდი

აკაკი ლუღის შესახებ

1913 წელს თბილისურმა ჟურნალმა — „Тифлисский журнал“ დაიწყო ბრძოლა ლუღის ტრადიციის წინააღმდეგ. ამ მიზნით რედაქციამ მიმართა ადგილობრივ მოღვაწეებს გამოეთქვათ აზრი ლუღის თაობაზე. მართლაც, ჟურნალში მალე დაიბეჭდა ა. წერეთლის, ნ. ორბელიანის, ა. შირვან-ზადეს, ა. ხატისოვის, გ. ბაშინჯაგაიანის და სხვათა მოკლე პასუხები. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ლუღელი წარსულის არასასურველი გადმონაშთია და იგი სამუდამოდ უნდა აღმოფხვრას. რედაქციას სპეციალური კორესპონდენტი — ლევან ყიფიანი გაუგზავნია აკაკისთან. ჟურნალის მე-8 ნომერში დაბეჭდილია აკაკის ნაკლებად ცნობილი ფოტოსურათი, რომელიც სპეციალურად ჟურნალისათვის გადაუღიათ, ინტერვიუ და აკაკის აზრი ლუღის შესახებ. ქვემოთ ვაქვეყნებთ აღნიშნული ტექსტის თარგმანს. ჟურნალის მე-8 ნომერი, რომელშიც დასახელებული მასალა მოთავსებული, თბილისის წიგნთსაცავებში არ შემონახულა. იგი ჩვენ მოვიძიეთ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

დილა. მსოფიან, ტკბილხმოვან, ქართული მიწის დიდ პოეტთან მე დამხვდა ვიღაც მთხოვნელი. ეს იყო მოხუცი პოეტის ერთი იმ მრავალრიცხოვან მთხოვნელთაგანი, რომლებიც მის ცხოვრებაში გარკვეულად იქცნენ ყოველდღიური პროგრამის რაღაც აუცილებელ კუთვნილებად.

რათა თავისი თხოვნისათვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა, მთხოვნელმა, როგორც ჩანს, დაიწყო ადამ და ევადან და ახლა, ჩემი მოსვლის მომენტში, საბოლოოდ აფერადებდა სურათს, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა თავადი აკაკი, რომ უსათუოდ შეესრულებინა სათხოვარი. პოეტი იჯდა სავარძელში მორჩილი სახით, და მოთმინებით, რაც ღირსი იყო უკეთესი ხვედრისა, უსმენდა თავის სტუმარს.

როდესაც ეს უკანასკნელი წავიდა, ჩვენ გამო-

ველაპარაკეთ პოეტს, მან დაღლილი ხმით მი-
თხრა:

— არ არის თავისუფალი წუთი!.. და რას არ
გთხოვენ!

ადამიანები ათასგვარი პროფესიისა, ტიპისა
და მდგომარეობისა. იწყება ჩვეულებრივი ფრა-
ზით:

— ვფიქრობ, თქვენ თუ არა, სხვას ვის შეუძ-
ლია შეასრულოს ჩემი თხოვნა, თქვენ, რომელ-
საც ასეთი მდგომარეობა გაქვთ საზოგადოებაში,
ასეთი ურთიერთობანი, ასეთი ნიჭი.

ამას მოჰყვება თვით თხოვნა: უშოვოს ადგი-
ლი ქმარს, ან ცოლს, მოაწყოს შვილი სასწავ-
ლებელში, თავდებად დაუდგეს დაბატიმრე-
ბულს, შეამსუბუქოს გადასახლებაულის ხვედრი,
უშუამდგომლოს სამართალში მიცემულ ნათე-
სავს, დააჩქაროს ქონების გაყოფა, დაეხმაროს
ძვირფასი მეტალის პროცენტის განსაზღვრაში
იმ მადნისა, რომელიც აღმოჩნდა სავაჭარეულო
მამულში, და კინაღამ იმასაც სთავაზობენ, რომ
იზრუნოს მთხოვნელთა განქორწინების საქმეზე.

მთხოვნელთა აზრით, პოეტის კომპეტენციასა
და ძალღონეს ყოველივე ეს არ აღემატება.
ოღონდ მან მიიხდომოს!

— არასოდეს და არავის დახმარებაზე მე
უარს არ ვეტუზნები, მაგრამ ამ ჩემი მზადყოფ-
ნის წყალობით ხშირად ტრაგიკომიკურ მდგო-
მარეობაში ვვარდები. მთხოვნელის უცილობე-
ლი საბუთებით დარწმუნებული, ფრთაშესხმუ-
ლი სურვილით, რომ მას დავეხმარო, მე ვქი-
რაობ ეტლს და მივჭრი სათანადო სფეროები-
საკენ, დაწესებულებებისაკენ, საჭირო ადამი-
ანებთან. ხშირად აღწევ მიზანს, უმსუბუქებ
ხვედრს დაბატიმრებულს, უშოვი ადგილს გა-
ჭირვებულს. მაგრამ, როგორ გგონიათ, საბო-
ლოოდ რა ხდება? წელანდელი მთხოვნელი, რომ-
ლის სიტყვით, მისი სიცოცხლე და ბედი კინაღამ
ბეწვზე ეკიდა, ვადაიგრიხავს უღვაშებს, ყოჩა-
ლად გაიმართება წელში და იტყვის: „მერე რა!
მე ისეთი ვარ, რომ ჩემთვის ამაზე მეტად შე-
იძლებოდა გაეკეთებინათ“.

— მაგრამ ვაი, თუ შუამდგომლობამ, თხოვნამ არ ვაპრა! მთხოვნელი, შეურაცხყოფილი, რომ მისი წმინდა იმედები გაამტყუნეს, ყოველნაირად იწყებს ჩემს ლანძღვას, თითქოს ეს-ესა იგი გავეპარცე და ცარიელ-ტარიელი გავუშვი...

პოეტი ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა მოსკოვიდან და ჯერ კიდევ აღსავსეა აღტაცებული გრძნობებითა და შთაბეჭდილებებით, რომლებიც მასში აღაზრა ინტელიგენტურმა, პურმარილიანმა, გულდია მოსკოვმა. პოეტის საპატივცემულოდ იზეიმა მოსკოვის ცხრამეტმა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებამ, რომელთაგან მხოლოდ ორი იყო მისი თვისტომებისა — ქართული და სომხური წრეები.

ვკითხვ რა ანკეტის თაობაზე, რომელიც წამოიწყო ჩვენმა ჟურნალმა (ანკეტა ღუელის შესახებ), პოეტმა გამოთქვა სავსებით გარკვეული და, ცხადია, უარყოფითი აზრი შუასაუკუნეების ამ სამწუხარო გადმონაშთზე.

ლ. ყ-ნი

თ. აკაკი წერეთელი:

„მთელი ქვეყანა აღსავსეა სისულელით“ — ამბობს თურქული ანდაზა. და, მართლაც, ჩვენს

ცხოვრებაში ბევრი სისულელეა და მათ შორის კინაღამ პირველი ადგილი ღუელს უჭირავს, თითქოს იგი იყოს ღირსების აღდგენის ერთადერთი საშუალება. ორი იწვევს ერთიმეორეს, დგებიან ბარიერთან და შემთხვევითი გასროლა, ხშირად საბედისწერო, ბოლოს უღებს გაუგებრობას. სად არის აქ სამართლიანობა და კეთილგონიერება? საიდან შემოიპარა ჩვენს ცხოვრებაში ეს სისულელე? ღუელი — ეს იგივე შუასაუკუნეების „ღვთის სამსჯავროს“ გაგების გაგრძელებაა. ამჟამად ღუელი, — ეს უგუნურება, — რაღაც წაბაქვის ჰიპნოზის წყალობით დღემდე არ აღმოფხვრილა ზნე-ჩვეულებათაგან.

ორმა ბუმბერაზმა რუსმა პოეტმა — პუშკინმა და ლერმონტოვმა უდიდესი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას, თავად კი ღუელის დროს ტყუილუბრალოდ დაიღუბნენ და საზოგადოებას დაუკარგეს მოღვაწეები, რომელთაც ვერავინ შეცვლიდა! ¹

¹ ხელმოწერა: აკაკი წერეთელი (ფაქსიმილე).





სიმონ ყაუხჩიშვილი

გართლწერისა და გართლმეტყველების საკითხებისათვის

ზოგჯერ გაისმის ჩვენს საზოგადოებაში დაბეჯითებითი მტკიცება იმისა, თითქოს ქართულში სიტყვები იწერებოდეს ისე, როგორც გამოითქმება. შესაძლებელია ეს ერთგვარად მართალი იყოს, თუ ქართულს შევეუდარებთ ფრანგულს, ან ინგლისურს, ან რომელსამე სხვა ენას, რომელშიც მართლწერა ძალიან დაშორებულია მეტყველებას (ფრანგულად, მაგალითად, „წყალი“ იწერება eau, ხოლო გამოითქმის „ო“), მაგრამ ქართულის მიმართ თავისთავად ამ დებულებას არავითარი გამართლება არა აქვს და მის მტკიცებას მხოლოდ ზიანი მოაქვს სალიტერატურო ნორმათა დადგენის საქმეში.

რომ ქართულშიც სიტყვათა წერა და გამოთქმა განსხვავებულია, ზოგჯერ საგრძნობლადაც, ამის ჩვენება შეიძლება პირველი შეხვედრის სიტყვების მაგალითზედაც:

ვწერთ

ვამბობ
აქებთ
ბაღში
ვახდა
ერთგული
ნაბიჯს
სხედნართ

წარმოვთქვამთ

ვამბოფ
აქეფთ
ბახში
ვახთა
ერდგული
ნახიჩს
სხეთხართ

თუ რა სამეტყველო კანონების საფუძველზე ხდება ეს, ამას იზოვის კაცი აკად. გ. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ (კერძოდ, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მიმართ, იხ. გვ. 270, 280, 287 — 289), ხოლო ჩვენ გვმართებს ფიზიკად ვიყოთ, რომ იმ ყალბმა დებულებამ არ აგვაცდინოს სწორ გზას და ყოველთვის არ დავეუჯეროთ იმას, რასაც ვამბობთ და როგორადაც წარმოვთქვამთ, და არ დაგვაიწყდეს, რომ სალიტერატურო ნორმათა დადგენის დროს ამოსავალი წერტილი ის კი არ უნდა იყოს, თუ როგორ წარმოვთქვამთ ამა თუ იმ სიტყვას ან გამოთქმას, არამედ ის, თუ რამ-

დენად შეეფერება ესა თუ ის სიტყვა და ესა თუ ის გამოთქმა ქართული ენის ბუნებასა და სტრუქტურას მისი ფონეტიკის, მორფოლოგიის და სიტყვათწარმოების წესების გათვალისწინებით.

რასაკვირველია, ენა ვითარდება, დროდადრო ახალ საჭიროებასთან დაკავშირებით შემოდის ახალი სიტყვები და ახალი გამოთქმები. მაგრამ თუ რომელიმე ახალი სიტყვა წარმოებულია ქართული ენისათვის შეუფერებელი ხერხით (მაგალითად, „რონოდა“), ან რომელიმე ახალი გამოთქმა სრულიად ზედმეტია, რადგან მის ნაცვლად მოგვეზოვება სხვა უფრო შესაფერისი გამოთქმა ან რადგან ეს გამოთქმა თავისი შედგენილობით არ შეეფერება ქართულ მეტყველებას, — ამ შემთხვევებში საჭიროა თავი შევიკავოთ და არ ვინხაროთ ისინი.

ვანვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა ჩვენის აზრით ქართულისათვის შეუფერებელი ასეთი გამოთქმებისა.

1. გააჩნია თუ არ გააჩნია

1. გააჩნია. უკანასკნელი წლების განმავლობაში გახშირდა ამ გამოთქმის ხმარება ქართულისათვის შეუფერებელ შემთხვევებში, მაგალითად:

ა) ახალ ქართულ საბჭოთა ლირიკას მრავალი თავისებურება გააჩნია (ლიტ. ვაზ. 19. X. 1956).

ბ) ხელნაწერს გააჩნია ძველი პაგინაციაც (საქ. მუზ. ხელნაწერთა აღწ. II, 193).

გ) ქართულში ამ ფუძეს („პირი“) აქ მოხსენებულის გარდა სხვა მნიშვნელობაც გააჩნია (ა. ჩიქობავა, ჭანტრ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 51).

დ) რუმინანცივისეულ ნუსხას გააჩნია უტყუარი ნიშნები იმისა, რომ ეს წიგნი გადაუწერიათ 1703 წლამდე (კ. გრიგოლი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 194).

ე) თეიმურაზისეულ ხელნაწერსაც ვახტანგი-

სეული რედაქციის მრავალი უდავო ნიშანი გააჩნია (იქვე, გვ. 157).

ვ) ინფინიტური წარმოება აფხაზურ-ადიღურ ტექსტებში გააჩნია კილოებს (ენათმეცნიერების ინსტიტუტია XIII სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, 1956, გვ. 12).

ზ) ტექსტი სასტამბოდ არის გამზადებული, გააჩნია ავტორის მითითებები სტამბისათვის (საქ. მუზ. ხელნაწერთა აღწ. IV, გვ. 254).

კიდევ შეიძლება რამდენიმე ათეული ასეთი მაგალითის მოყვანა. მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ რამდენად შესაფერისია ეს გამოთქმები ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით.

ჩვენი დებულება, უკეთ რომ ვთქვათ — ქართული სწორმეტყველების დებულება ასეთია: გამოთქმას „გააჩნია“ ქართული მეტყველება ხმარობს მხოლოდ უარყოფით წინადადებაში, ე. ი. ხმარობს გამოთქმას „არ გააჩნია“, ხოლო „გააჩნიას“ ხმარება დადებით წინადადებაში კატეგორიულად უუუსუაგდება. ამიტომ ზემოთ მოყვანილი წინადადებები სწორი ქართულით ასეთ სახეს მიიღებს:

1) ხელნაწერს მოეპოვება ძველი პავინაციაც.

2) ქართულში ამ ფუძეს სხვა მნიშვნელობაც აქვს.

3) ტექსტი სასტამბოდ გამზადებული, არა ავტორის მითითებებიც სტამბისათვის, და ა. შ.

რა საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ ასე კატეგორიულად უუუსუაგდებდ მთავრევეთ ზემოთ მოტანილ წინადადებათა მსგავს გამოთქმებს? პირველი და, ჩვენი აზრით, მთავარი საბუთი ის არის, რომ არასოდეს ქართულ მწერლობას არ უხმარია გამოთქმა „ზმნას გააჩნია სამი კილო“. ავად. აკაკი შანიძეს, მაგალითად, ასე უწერია თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (გვ. 208): „ამის მიხედვით გვაქვს სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი“. ყველა ის გამოთქმა, რომლებიც ზემოთ მოვიტანეთ და რომლებშიც „გააჩნია“ ნახმარია დადებით წინადადებაში, ჟღერს არაქართულად.

„გააჩნიას“ ხმარება შეიძლება მხოლოდ უარყოფით წინადადებაში, მაგალითად: „იმას არაფერი გააჩნია“, „არ გააჩნია არაფერი“. თუ რომელსამე წინადადებაში ნახმარია „გააჩნია“ უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადების ინტონაციით მოცემულია უკვე უარყოფითი პასუხი. როდესაც იტყვიან, მაგალითად: „იმას რა გააჩნია?“ — ეს იმას ნიშნავს, რომ „იმას არაფერი არ გააჩნია“. როდესაც იტყვიან „ნეტავი რამე გააჩნდეს!“ —

უკვე პასუხიც არის მოცემული, რომ მას არაფერი არ გააჩნია.

მაგრამ ასეთი მსჯელობა მკითხველს უთუოდ სუბიექტურ მსჯელობად ეჩვენება, თუ მას სხვა საბუთიც არ მოუტანეთ ჩვენი დებულების ნათელსაყოფად. ეს სხვა საბუთი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენი ლიტერატურული ძეგლებიდან მოტანილი მაგალითები. პირველ რიგში მოვიყვანთ იმ მაგალითებს, რომლებიც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ II ტომშია მოყვანილი:

1) შენ დაგხარი დღე-მუდამ ზედა, შენს მერტი აღარავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზე (ილია).

2) ეპ, ბარემ რა არ გაეხარდება, მაგრამ რა გააჩნია საცოდავ სარიდანს, რომ ცოლს გული გაუხაროს? (აკ. ბელიაშვილი).

3) ვისაც არაფერი გააჩნია? — ჰკითხა ერთმა გლეხმა (ს. შანშიაშვილი).

4) „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოყვანილია კიდევ ერთი მაგალითი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“: „მეორე დღეს, დილით... რაც გამაჩნდა, ბარგი თუ ბარხანა, გავისტუმრე სოფელში“. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ მაგალითშიც ისაა ნათქვამი, რომ „ბევრი არაფერი გამაჩნდა“.

ამგვარად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქციას, რომელსაც წინასწარ აქვს შედგენილი ფრაზეოლოგიური კარტოთეკა, არ მოეპოვება არც ერთი შემთხვევა „გააჩნია“-ს ხმარებისა დადებით წინადადებაში. ერთადერთი ასეთი შემთხვევა მოყვანილი აქვს მას (და ეს არის მეხუთე მაგალითი) გზეთ „კომუნისტის“ ხმარებიდან: „მტს-ებს გააჩნიათ უღიდესი შესაძლებლობანი“. მაგრამ ეს მაგალითი არ არის მხედველობაში მისაღები, რადგან იგი ეკუთვნის ზემოთ მოხსენებულ და უკანასკნელ წლებში ჩვენს ენაში ხელოვნურად შემოჭრილ შეუფერებელ გამოთქმათა რიგს და არა სიტყვაკაზმულ მწერლობაში ხმარებულ გამოთქმებს.

ზემოთქმულიდან მხოლოდ ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ „გააჩნია“ — გამოთქმები (ზემოთ მოყვანილ გამოთქმათა მსგავსი) უუუსუაგდება, რადგან:

1) „გააჩნია“ — გამოთქმა დადებითი მნიშვნელობით ჩვენს ყურს ეჩოთირება („ზმნას გააჩნია სამი პირი“, იმის მავივრდ, რომ ვთქვათ: ზმნას აქვს სამი პირი).

2) ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში იხმარება მხოლოდ და მხოლოდ „არ გააჩნია“ და არა „გააჩნია“.

თუ, საერთოდ, არსებობს ცნება „სალიტერატურო ნორმისა“, რომელიც გულისხმობს ისეთი ენობრივი ფორმების ხმარების დადასტურებას, რომლებიც ქართული ენის ბუნებას შეეფერება, და ისეთი ფორმების ხმარების აკრძალვას, რომლებიც ქართული ენის ბუნებას ეწინააღმდეგება,

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ „გააჩნია“ — გამოთქმა არ შეეფერება ქართულ ენის სალიტერატურო ნორმებს, და იგი უნდა იქნეს უკუგდებული.

სამწუხაროდ, „გააჩნია“ — გამოთქმის ხმარებას ამ უკანასკნელ წლებში მოუხშირეს ფრიად ავტორიტეტულმა გამომცემლებმა და ავტორიტეტულმა მკვლევარებმა (აკადემია, უნივერსიტეტი, მუზეუმი), რამაც საკმაო პოპულარობა მოუპოვა ამ გამოთქმას ახალგაზრდობაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახალგაზრდას (მოსწავლეს, სტუდენტს) ცოდნის გამოძვინებლად მიაჩნია, თუ ის იხმარს „გააჩნია“. მას დაბალი სტილის ნიმუშად მიაჩნია გამოთქმა „ზმნას აქვეს სამი პირი“, ხოლო გამოთქმა „ზმნას გააჩნია სამი პირი“ მისთვის არის მაღალი სტილის გამოთქმა.

გასული წლის ზაფხულში ერთ-ერთ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებს დავესწართ და მოვისმინეთ დიპლომანტებისაგან შემდეგი გამოთქმები:

- 1) არსებობს სახელებს გააჩნიათ აგრეთვე რიცხვის კატეგორია.
- 2) ინფინიტივს გააჩნია როგორც სახელის, ისე ზმნის თვისებები.
- 3) ძველ ინგლისურს გააჩნია ოთხი ბრუნვა.
- 4) ინგლისურ ენაში ზმნას გააჩნია როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმები.
- 5) ზმნას გააჩნია სამი პირი.
- 6) ძველ ინგლისურს გააჩნია სქესის კატეგორია.
- 7) ინფინიტივს ზმნის თვისებებიც გააჩნია.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს ახალგაზრდები სულ „გააჩნიათ“ ლაპარაკობენ. ერთმანეთთან საუბარში ისინი არასდროს არ იტყვიან „ინგლისური ენის სახელმძღვანელო გამაჩნიაო“ (იტყვის „მაქვს“); არ იტყვიან იმიტომ, რომ ისინი ბუნებრივ ქართულს ხმარობენ საუბრის დროს. თუ მათ ზემოთ მოყვანილი გამოთქმები იხმარეს გამოცდის დროს, ეს იმიტომ, რომ მათ, ალბათ, ასე მოისმინეს ერთ-ერთი ლექტორისაგან და ლექტორის ნათქვამი ჩათვალეს მაღალი სტილის ნიმუშად.

სწორედ დროულია ნორმა დავუწესოთ ამ გამოთქმას.

2. აბადია.

იგივე უნდა ითქვას „აბადია“-გამოთქმის შესახებაც. მართალია, ამ გამოთქმის ხმარებას არ მიუღია. ისეთი ფართო ხასიათი, როგორც „გააჩნია“, მაგრამ აქაც საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „აბადია“, ქართული ენის სიტყვახმარების მიხედვით, მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობით

ითქმება. ე. ი. არ აბადია, არაფერი აბადია. თუ იტყვიან „რა აბადიაო?“, ამით იმას ამბობენ, რომ არაფერი არ აბადიაო. ამიტომ არ არის მართებული შემდეგი წინადადება:

„თავისი ვაჟის გიორგის მსგავსად, მას აბადია ის დიდი ნამუსი, რომელიც „კაცის აღმართ ღირსებას“ „მარტო ქვეყნისათვის დაღებულ ღვაწლში ხედავს“ (საბჭოთა ხელოვნება, 1956, № 1, გვ. 13).

რომ ეს ჩემი დებულება სწორია და, მაშასადამე, „აბადია“ მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ, ეს ჩანს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ ტომში მოყვანილ მაგალითებიდან:

- 1) ამ ერთი ჩოხის მეტი არა მბადია-რა (ნ. ლომოური).
- 2) რამ გაფიქრებინა, ქალს გაძღვე მე შენ? რის პატრონს? რა გაბადია? (ა. ცაგარელი).
- 3) აღარა აბადია რა, ერთი გროშიც აღარ აქვს, რომ ლუქა პური იყიდოს და ჭამოს (ზღაპრებში).

4) ის, რაღაც საცოდავი ორი დღის ქერი გვებადა, ჩემო სიცოცხლე, სულ ერთიან ხელით მოგვლიჯეთ! (ს. მგალობლიშვილი).

უკანასკნელ მაგალითში, ერთი შეხედვით, თითქოს დადებითი მნიშვნელობით არის ნახმარი ეს გამოთქმა, მაგრამ ყურადღებით უნდა დაუყვირდეთ, რომ შევამჩნიოთ უარყოფითი ელფერი: იმდენად ცოტა ჰქონდა ქერი, „საცოდავი ორი დღის ქერი“, რომ ეს იმას უღარიდა, რომ „თითქოს არაფერი ებადა“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მესამე ტომშიც მოთავსებული ფრაზები ამასვე ადასტურებენ:

- 1) ღარიბად ცხოვრობენ, არაფერი არ ებადებათ (ზღაპ.).
- 2) ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლელადაო... იმან სრულიად წამართვა, რაც რამ მებადაო (ხალხური), ე. ი. მაინცდამაინც ბევრი არაფერი ებადა.

3) ნატალიას თუ ორიოდ გროში ებადა, ისიც დახარჯა (ე. ნინოშვილი).

აკაკის „ჩემ თავგადასავალშიც“ ეკითხულობთ: „რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო?“

აქედან ცხადია, რომ „აბადია ის დიდი ნამუსი“ მართებული გამოთქმა არაა, უნდა ყოფილიყო: „მოეპოვება“ ან „აქვს“.

თვით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენელნიც წერენ: იხმარება „უპირატესად უარყოფით ნაწილაკთან ერთად“.





შოთა შიშიგუკი

ღვან ასათიანი

დაბადებიდან 60 წლისთავის გავლ.

მრავალმხრივია და ფართო ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა ლევან ასათიანმა. როგორც ქართული კლასიკური მწერლობის, ისე თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომები, შესრულებული ბრწყინვალე ლიტერატურული სტილითა და მიმზიდველი ენით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჩვენი ლიტერატურის მცოდნეობის ოქროს ფონდში შედიან. ლევან ასათიანის მონოგრაფიული გამოკვლევები ემსახურებიან ქართული ესთეტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი საკითხების პოზიტიურ შესწავლას, თითოეული მათგანი დაფუძნებულია ადრე უცნობ, მიუკვლეველ ფაქტობრივ მასალაზე და ლიტერატურულ მოვლენებს ახალი გაშუქებითა და გააზრებით გვაძლევს.

კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის დარგში უძღვრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ლევან ასათიანის მონოგრაფიის „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ (1936 წ.). ქართველი ქალის როლი ჩვენი წარსული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში ამ მონოგრაფიამდის გაჭოუვლენელი და სათანადო სიღრმით შეუსწავლელი იყო. სამართლიანად აღნიშნავს ჩვენი ავტორი, რომ საუკუნეთა სიღრმიდან ძველ ხელნაწერებს შემოუნახავთ მრავალი ათეული სახელი ქალებისა, რომლებიც ითვლებოდნენ ლიტერატურის მეცენატებად და დახელოვნებულ კალიგრაფ-გადამწერლებად. მათ შორის ბევრი იყო აგრეთვე გატაცებული მკითხველი, რომელიც განუშორებლად ატარებდა თან სასულიერო ან საერო ხასიათის წიგნებსა და ხელნაწერებს. გარდა ლიტერატურული წყაროებისა, მწიგნობარ ქალთა შესახებ ფასდაუდებელ მასალებს გვაწვდიან საისტორიო

დოკუმენტებში დაცული ლეგენდურა გადმოცემანი. პოეტი ქალების სახელს საისტორიო თხზულებებში განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან ვხვდებით. ლევან ასათიანს გულმოდგინედ შეუსწავლია ყველა არსებული წყარო, სადაც კი მოხსენიებულ-დახასიათებულია დროთა მსვლელობაში დაიწყოებულ მწიგნობარ ქალთა ღვაწლი და ლიტერატურული საქმიანობა. „ძველი საქართველოს პოეტ ქალებში“ ვეცნობით მანანას, მათა გაბაშვილის, ქეთევანის, თეკლესა და სხვათა პოეტურ ქმნილებებს. ეს გამოკვლევა რამდენადმე ავსებს ქართული მწერლობის ისტორიის ხაზებს და აფართოებს ჩვენს ცოდნას ძველი საქართველოს მოწინავე ქალებს სუდიერი კულტურის შესწავლის დარგში. წიგნში თავმოყრილი და გამომხეურებულია შემოხსენებული ავტორების მხატვრული ნაწარმოებები სათანადო მეცნიერული აპარატის დართვით.

ქართული კულტურის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის აგრეთვე ლევან ასათიანის წიგნს — „ვოლტერიანობა საქართველოში“ (1933 წ.). აქ ნათლად ნაჩვენებია, რომ ქართული ვოლტერიანელები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან საქართველოში ეპოქის განმანათლებელ იდეათა გადმოსანერგავად. ესენი იყვნენ პირველი მერცხლები, რომლებიც „მოსაწავებდნენ ახალი ეპოქის დასაწყისს საქართველოს ცხოვრებაში მაშინ, როდესაც საქართველოში აღმოსავლეთი ამთავრებდა უკანასკნელი, მეთავესერტე ღამის ზღაპარს“ და რომლებმაც მოიტანეს უახლესი იდეები, რითაც ჩვენი ხალხის კულტურულ ინტერესებს უჩვენეს გეზი და პერსპექტივები.

ლევან ასათიანის კალამს ეკუთვნის ფართო ერუდიციითა და დიდი ლიტერატურული გამოვლენებით დაწერილი პორტრეტები და ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა

გალერეიდან. მან ახალი გაშუქებებითა და დაკვირვებებით დაგვიხატა ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილისა და სხვათა შემოქმედებითი პორტრეტები და მოხაზა მათი ღირსეული ადგილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული მწერლობის ისტორიაში ლევან ასათიანის ფუნდამენტურ წიგნს — „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს ვრცელი მონოგრაფია სამაგალითოა და გზის გამკვლევი ჩვენი კლასიკოსების ცხოვრებისა და შემოქმედების შეცნობის შესწავლის დარგში. არსებითად ესაა მატინე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სულიერი კულტურისა. არა ერთი და ორი ფაქტი აქ ახლადაა მიკვლეული და სისტემაში მოყვანილი; როგორც ლიტერატურული, ისე საარქივო მასალები დალაგებულია იშვიათი ზომიერებითა და ტაქტით; წიგნი დაწერილია მოხდენილი ენით და მაღალი ლიტერატურული ღირსებებით, როგორც ეს საერთოდ სჩვეოდა ჩვენს ავტორს. ყოველივე ამის გამო „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ ერთი საუკეთესო წიგნთაგანია, რომელსაც მკითხველი ეწაფება შეუწინაღებელი ინტერესითა და ყურადღებით. აქ გარკვეულია აკაკის გენეალოგია, გადმოშლილია მისი ბავშვობის წლები, ოჯახური გარემო, დახასიათებულია მგონის პირველი ლიტერატურული დებიუტი, სტუდენტობის წლები, სამშობლოში დაბრუნება, სამოციანი, სამოცდაათიანი, ოთხმოციანი და ცხრასიანი წლების ლიტერატურული ცხოვრება, 1905 წლის რევოლუციისთან აკაკის დამოკიდებულება, მისი მოგზაურობა ევროპაში მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ცხოვრების დასასრული.

დასანანი, რომ ჩვენმა მკვლევარმა ვერ მოასწრო დამთავრებინა მეორე ასეთივე მონოგრაფია, სადაც ასახული იქნებოდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება. მის პირად არქივში დაცულია აუარებელი მასალა წიგნისათვის — „ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა“; ბევრი მათგანი სისტემატიზებულია და გამზადებული მონოგრაფიის ასაგებად. ერთი თავი — ილიას გენეალოგია, უნდა ვიფიქროთ. ამ წიგნის შესავალი ნაწილი, შესულია წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები და წერილები“, რომელიც ლევან ასათიანის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. აქ გადმოშლილია ჭავჭავაძეთა გვარის ისტორია, მათი წარმომავლობა, გადმოსახლება კახეთში, ილიას წინაპრების პორტრეტები...

დიდად საყურადღებოა აგრეთვე ლევან ასათიანის მონოგრაფიული ნაშრომები —

„ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „გრიგოლ ორბელიანი“, რომლებშიც ბევრი ახალი მოსაზრება წამოყენებული და დასაბუთებული (მაგალითად, საინტერესოა ავტორის დებულებები თაობათა ბრძოლის ისტორიიდან, და სხვ.).

კლასიკური მწერლობის შესწავლის დარგში ლევან ასათიანის ლეწლის ზოგადი დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ მოვიგონებთ მისი ნაწარმოებები დიდი თემიდან: ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოქმე ხალხებთან.

ნაშრომში „ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი თ. ზაბლოცკი“ ავტორი ყურადღებას მიაქცევს პოლონეთის ცნობილი აჯანყების მონაწილის, საქართველოში გადმოსახლებული პოეტის თ. ზაბლოცკის კერძო წერილებს, სადაც გაშუქებულია 30-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ურთიერთობა პოლონეთის ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის ცალკეულ წარმომადგენლებთან, რომელთაც წილად ზედთ სასჯელის მოხდა ჩვენს ქვეყანაში. ამ წერილებში იხსენიება ნ. ბარათაშვილი და შუქი ეფინება მისი ბიოგრაფიის დეტალებს — ამ შემთხვევაში მის ურთიერთობას საქართველოს გადმოსახლებულ პოლონელ მეამბოხებებთან და ინტერესთა იმ სფეროს, რომელიც აკავშირებდა ბარათაშვილის თაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლების თაობასთან.

ფრიად საინტერესოა ლევან ასათიანის მონოგრაფია „პუშკინი და ქართული კულტურა“. აქ ამომწურავი სისრულითაა მოტანილი საქართველოში პუშკინის მოგზაურობის ამსახველი ფაქტები და დახასიათებულია ის გამოძახილი, რომელიც ჰქონდა ქართულ მწერლობაში გენიალური რუსი პოეტის შემოქმედებას. ამავე რიგისა ჩვენი მკვლევარის ნაშრომები: „ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა“, „ნეკრასოვი და ქართველი მწერლები“, „მ. გორკი საქართველოში“, „ვლ. მაიაკოვსკი და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება“. საინტერესოა დეტალებითაა გაშუქებული გამოკვლევები: „ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“, „ლესია უკრაინკას ქართველი მეგობრები“, „ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ასახვა ქართულ მწერლობაში“ და სხვ.

ლევან ასათიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული მუშათა რევოლუციური პოეზიის შესწავლას. ცნობილია, რომ ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში 1901—1907 წლების მანძილზე სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციური შინაარსის ორიგინალური თუ თარგმნილი მხატვრული ნა-

წარმოებები, მეგრძოლი ხასიათის ლექსები და სიმღერები. მკვლევარმა გააშუქა ამ რევოლუციური პოეზიის ნიშანდობლივი მხარეები, ვრცლად დაახასიათა მისი წარმომადგენლები და ადვილი მიუჩინა მათ ქართული მუშათა რევოლუციური პოეზიის ისტორიაში. ავტორმა შეისწავლა დიდიძალი ფაქტობრივი მასალა, დებულებების საილუსტრაციოდ დაიმოწმა საინტერესო პოეტური ქმნილებანი, რომლებიც ცხადად მოწმობენ რევოლუციური პოეზიის მაღალ დონეს. მის მიერ გამოფრულია აგრეთვე ლიტერატურული ფსევდონიმები და აღძრულია ყურნალისტიკის ისტორიის სპეციალური საკითხები. საინტერესოა საერთაშორისო მუშათა პივნის „ინტერნაციონალის“ ქართული თარგმანის ისტორია, რომელიც მოცემულია ნაშრომში „აკაკი — „ინტერნაციონალის“ მთარგმნელა“. ირკვევა, რომ „ინტერნაციონალის“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი აკაკი წერეთელია. ავტორი აქვეყნებს ერთ საინტერესო დოკუმენტს, რომელიც შენახულია ჩვენს არქივ-საცავებში. აქედან ჩანს, რომ „ინტერნაციონალის“ დაბეჭდვის გამო მეფის მთავრობას გაზეთი დაუხურავს, ხოლო მთარგმნელი და რედაქტორი კოტე მესხი პასუხისგებაში მიუცია.

ქართული ყურნალისტიკის ისტორიის დარგში ყურადღებას იმსახურებს „ნარკვევები ფელეტონის ისტორიიდან“, რომელიც წარმოადგენს ლევან ასათიანის საუნჩევერსიტეტო კურსის გადამუშავებას. აქ გაშუქებულია ისტორია ამ ჟანრისა ქართული პრესის ფურცლებზე, გარკვეულია ის პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც იგი შენდება, ე. ი. გათვალისწინებულია თეორია და პრაქტიკა ფელეტონისა, როგორც სავაზეთო-ლიტერატურული ნაწარმოებისა. ნაშრომში ცალ-ცალკე დახასიათებულია მე-19 საუკუნის გაზეთები ამ თვალსაზრისით, გამოვლენილია ქართველი ფელეტონისტები და მათი ნაწარმოებების ავებულება, კერძოდ, ვრცლად დახასიათებულია აკაკი, როგორც ყურნალისტი, და იგი მიჩნეულია ქართული ფელეტონის კლასიკოსად. უდავოა, რომ მკვლევარის ეს ნაშრომები პოზიტიური შენაძენია ქართული ყურნალისტიკის მეცნიერული კვლევის ისტორიაში.

ლევან ასათიანის, როგორც ფართო დიპაზონის მკვლევარის, ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა დღევანდელი ქართული მწერლობის პრობლემები. იგი, როგორც საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკოსი, აქტიური მონა-

წილეა თანამედროვე ლიტერატურული აზროვნების განვითარებისა. მის კრიტიკულ წერილებში აღძრულია ჩვენი ლიტერატურული თანამედროვეობის აქტუალური საკითხები.

ცნობილია ლევან ასათიანის ნარკვევები საბჭოთა მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებ. მან გააშუქა ჩვენი პოეტების — ვალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება; ცალკე წერილები მიუძღვნა აგრეთვე ჩვენი პროზაიკოსების — ლეო ქიაჩელის, აკაკი ბელიაშვილის, ალექსანდრე ქუთათელის, დავით სულიაშვილის, რაქდენ გვეტაძის ბელეტრისტული ნაწარმოებების გარჩევას. ყოველ ამ ნაშრომში ჩანს დაკვირვებული მკვლევარი-კრიტიკოსი, რომელიც ფართოდ ეხმაურება თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს.

ლევან ასათიანს ეკუთვნის წერილები ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების შესახებაც (ნატო ვაჩნაძე, მიხეილ ჭიათურელი, ნიკოლოზ შენგელია და სხვ.).

ცალკე უნდა აღინიშნოს ლევან ასათიანის რედაქტორულ-ტექსტოლოგიური მუშაობა. მან დიდად შეუწყო ხელი აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის პუბლიკაციას. ამ ჩადრმაგებული ტექსტოლოგიური ჯიების შედგენა აკაკის თხზულებათა მეექვსე და მეშვიდე ტომების, პათლებიც ნიმუშია მეცნიერული გამოცემისა.

ლევან ასათიანი მხატვრული ნაწარმოებების ევტორიცაა. მის კალამს ეკუთვნის პიესები და კინოსცენარები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება პოვეს.

*

ხუთი წლის წინათ უღმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენი საამაყო და საყვარელი ლევანი. მისმა ახლო მეგობრებმა დავკარგეთ უებრო გულის პატრონი და ერთგულების ნათელი განსახიერება. ჭეშმარიტად ის იყო მთლიანი პიროვნება, დიდად მიმზიდველი აღამიანი, გულისხმიერი, სათნო და კეთილშობილებით აღსავსე. ადრე წავიდა ჩვენგან გულდასაწყვეტი კაცი, რომელიც მხურვალე გულითა და თავდავიწყებული გატაცებით ემსახურებოდა მშობლიური კულტურის აღორძინების სანუჯვარ საქმეს და თავისი ნათელი, ვაჟკაცური ცხოვრებით აღამიანური ამტანობისა და გამტანობის ცხოველი დადასტურებდა იყო.





ზოგი რამ კრიმინალისტური ექსპერტიზის შესახებ

კრიმინალისტური ექსპერტიზა სასამართლო ექსპერტიზის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული და რთული სახეა. მისი ამოცანაა დახმარება გაუწიოს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს დანაშაულის გახსნის საქმეში.

კრიმინალისტური ექსპერტიზა თავის საქმიანობაში წარმატებით იყენებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს.

საბჭოთა კავშირის კრიმინალისტურ დაწესებულებებში კერძოდ კი თბილისის საცვლევ-სამეცნიერო კრიმინალისტურ ლაბორატორიაში ტარდება კრიმინალისტური გამოკვლევები ყველა მისი ძირითადი სახის მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება შემდეგი საკითხების გადაწყვეტა: ა) დადგენა იმისა, თუ გარკვეულ პირთა რიცხვიდან ვის მიერ არის შესრულებული ამა თუ იმ საბუთის ტექსტი; ბ) ვკუთვნის თუ არა ერთსა და იმავე პირს სხვადასხვა საბუთებზე შესრულებული ტექსტები; გ) შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად მოცემულ პირს ეკუთვნის, თუ ვინმე სხვას; დ) ხომ არ ჰქონია ადგილი საბუთის ტექსტში ამოფხეკას, ამოჭმას ქიმიური წესით, ან სხვა ცვლილებას; ე) საბუთის შედგენის შემდეგ ხომ არ გაკეთებულა ტექსტში რაიმე სახის დამატებითი ჩანაწერი; ვ) ერთსა და იმავე საბუთად მანქანაზე ხომ არ არის დაბეჭდილი სხვადასხვა საბუთები ტექსტები; ზ) რა შინაარსია გამოხატული უხილავ, ან ნაკლებად ხილვად (ლაქით დაფარულ, წაშლილ, გახუნებულ, უჩინარი მელნით დაწერილ) ტექსტში; თ) შეადგენენ თუ არა ქაღალდის ნახევები ერთი მთლიანი დოკუმენტის ნაწილებს; ი) როგორი თანმიმდევრობით არის შესრულებული ტექსტი, ხელის მოწერა, ან ბეჭდის დასმა საბუთზე; ჰ) სხვადასხვა დროს გადაღებული ორი ფოტოსურათის გამოსახულებანი წარმოადგენენ თუ არა ერთი და იმავე ადამიანის გამოსახულებას და სხვა.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო კრიმინალისტურ ექსპერტიზას, გარდა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებისა, გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ისტორიის, ლიტერატურის და სხვა დარგის მკვლევართათვის მათთვის საინტერესო საკითხების შესწავლისას (მაგალითად, ახლად აღმოჩენილი ხელმოწერელი ტექსტი, მინაწერი რაიმე საბუთზე, უსახელო ლექსი, ჩანაწერები საარქივო დოკუმენტებზე, უცნობ ფოტოსურათებსა და სხვა). ჩვენს სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, კრიმინალისტური ექსპერტიზის გამოკვლევის მეთოდებს დასახელებულ საკითხთა გადასაჭრელად რატომღაც ნაკლებ იყენებენ მაშინ, როდესაც მოსკოვში, საბჭოთა კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის საკავშირო საცვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტი ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას ეწევა. ამის დასადასტურებლად მოვიტან რამდენიმე მაგალითს ამ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის გ. პ. ვლასოვის სტატიიდან, რომელიც ეურნალ «Советская криминалистика на службе следствия»-ს. 1959 წლის მეთორმეტე გამოშვებაშია მოთავსებული¹:

არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1825 წელს ტავანროვში, ყირიმში მოგზაურობის დროს კი არ გარდაცვლილა. როგორც ეს შაყოველთოდ ცნობილია, არამედ მიუტოვებია აქვეყნური ცხოვრება, წასულა ციმბირში, აღკვეცილა ბერად და თედორე კუზმიჩის სახელით უცხოვრია 1864 წლამდე. გადმოცემის თანახ-

¹ В. П. Власов, Применение криминалистических методов исследования для решения некоторых вопросов естественных и исторических наук, «Советская криминалистика на службе следствия», выпуск двенадцатый. М., 1959 г., стр. 134—137.

მად მეფე დასაფლავებული ყოფილა ქ. ტომს-ში.

ბევრმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება ამ ლეგენდას, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა შეეგროვებინა საკმაო რაოდენობით მასალა მის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად.

მაშინ ერთმა სამეცნიერო დაწესებულებამ თხოვნით მიმართა კრიმინალისტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიას ჩაეტარებინა ექსპერტიზა და გადაეწყვიტა საკითხი — ერთი და იმავე პირის მიერ, ხომ არ იყო შესრულებული ალექსანდრე პირველის ხელნაწერი და ბერი თედორე კუზნიჩის ხელნაწერები, რომლებიც მოთავსებულია ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკის“ 1907 წლის ერთ-ერთ ნომერში.

ალექსანდრე პირველის ხელნაწერი რომელიც ანდერძისა თუ განკარგულების ნაწილს წარმოადგენდა, იგი შესრულებული იყო დიდი წომის ასობით და მკაფიო ხელით დაახლოებით 1825 წელს. ბერის თედორე კუზნიჩის ხელნაწერები მოთავსებული იყო სამ ფურცელზე (რამდენიმე სიტყვა და ასო). ფურცლებს თარიღად 1837—1849 წ. წ. ეწერა. გარდა აღნიშნული მასალებისა, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო თედორე კუზნიჩის მინაწერი კონვერტზე მისამართის სახით, რომელიც სულ რვა სიტყვას შეიცავდა.

ექსპერტიზის ჩატარების დროს სპეციალურად დამზადდა გამოსაკვლევი ხელნაწერების გადიდებული ფოტოსურათები. ამ ხელნაწერების ერთმნეთთან შეჯერების შედეგად დადგინდა მთელი რიგი განსხვავებანი მათ შორის ხელის საერთო და კერძო ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით (ცალკეული ასოების შესრულება, მათი გადახმა და სხვა), რის საფუძველზეც ლაბორატორიულმა მონაცემებმა კატეგორიულად უჩვენეს, რომ ალექსანდრე პირველის ხელნაწერი და ხელნაწერები ბერის თედორე კუზნიჩისა სხვადასხვა პირებია მხერარის შესრულებული.

კიდევ ერთი მაგალითი.

კრიმინალისტური ექსპერტიზის საშუალებით დადგინდა ვინაობა იმ ანონიმური წერილის ავტორისა, რომელმაც ა. ს. პუშკინი დუელამდე მიიყვანა.

როგორც ცნობილია, 1937 წლის 27 იანვარს პეტერბურგის ერთ-ერთ განაპირა უბანში, ე. წ. კომენდანტის აგარაიის მახლობლად, შავ წყალთან შედგა დუელი, რომელმაც შეწყვიტა 37 წლის გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის მავისცემა.

მას შემდეგ ბევრი ნარკვევი და ნაშრომი იქნა დაწერილი ა. ს. პუშკინის ცხოვრებაზე. მათში ხშირად ლაპარაკი იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც მიიყვანეს პოეტი „აუცილებლობამდე“ დუელში გაჰყოლოდა დანტესს,

ნიკოლოზის ოფიცერს. რუსეთის თვითმპყრობელს პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა პუშკინსა და დანტესს შორის მომხდარ კონფლიქტთან, და სწორედ ნიკოლოზ პირველმა აღამართინა დანტესს იარაღი.

ანონიმურმა წერილმა, რომელიც პუშკინმა მიიღო, ცეცხლზე დასხმული ნავთის როლი შეასრულა — იგი დუელის მიზეზი გახდა. წერილში ლაპარაკი იყო არა მარტო პუშკინის ცოლისა და დანტესის ურთიერთობაზე, არამედ იმ „კეთილ განწყობილებაზეც“, რომელსაც ნიკოლოზ პირველი ნატალიას მიმართ ამჟღავნებდა.

დიდი პოეტი აღაშფოთა უსინდისო ცილისწამებამ და დაასკვნა, რომ ჭორი მომდინარეობდა პოლანდიის ელჩის ბარონ გეკერენისაგან, ე. ი. დანტესის მამობისაგან. პუშკინი ცდებოდა, როცა ელჩი ანონიმური წერილის ავტორად მიაჩნდა. იგი დაიღუპა ისე, რომ ვერც გაიგო წერილის ნამდვილი ავტორის ვინაობა.

პოეტის მეუღლე ანონიმური წერილის ავტორად სთვლიდა თავადებს პ. დოლოგორუკოვსა და ი. გაგარინს. ეს აზრი, განსაკუთრებით პ. დოლოგორუკოვის მიმართ, არ იყო მოკლებული საფუძველს, მაგრამ იმ დროს ეს საკითხი არ გარკვეულა.

მხოლოდ 1927 წელს, ცნობილი რუსი ისტორიკოსის პ. შჩეგოლევის ინიციატივით ლენინგრადში ჩატარებულ იქნა კრიმინალისტური ექსპერტიზა იმის დასადგენად, ნამდვილად იყო თუ არა ანონიმური წერილის ავტორი პ. დოლოგორუკოვი. ექსპერტიზის ჩატარება დაეწავა იმ დროისათვის ცნობილ კრიმინალისტს ა. სალკოვს. ექსპერტიზის დაწყებამდე პ. შჩეგოლევიმ სთხოვა სალკოვს გაესინჯა აგრეთვე ელჩ გეკერენისა და თავად გაგარინის ხელწერის ნიმუშებიც, რათა ამრიგად შეემოწმებინათ ანონიმური წერილის ავტორობის თაობაზე მათ მიმართ აღძრული ეჭვიც.

ა. სალკოვმა ჩატარებული კვლევის შედეგად მისცა კატეგორიული დასკვნა იმის შესახებ, რომ ანონიმური წერილის ავტორი იყო თავადი პეტრე ვლადიმერის ძე დოლოგორუკოვი.

ამრიგად, 90 წლის შემდეგ, კრიმინალისტური ექსპერტიზის საშუალებით დადგინდა ავტორი იმ წერილისა, რომელმაც სასიკვდილო დუელამდე მიიყვანა დიდი რუსი პოეტი.

ცნობილია აგრეთვე, თუ რაოდენ დიდ დახმარებას უწევდა და უწყვეტ კრიმინალისტური ექსპერტიზა მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში მკვლევარს ირაკლი ანდრონიკოვს.

საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტის

მეცნიერმუშაკებმა, ცნობილი რუსი ექიმის ნ. ი. პიროგოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების შეგროვებისას აღმოაჩინეს წვეროსანი და ბაკენბარდებიანი მგლოტი მამაკაცის ფოტოსურათი. ფოტოსურათზე, რომლის ზომა იყო 6×10 სმ., არსებობდა ბერლინელი ფოტოგრაფის ლეხმანის საფირმო მარკა.

ნ. ი. პიროგოვის ცნობილ პორტრეტებში მეცნიერი გამოსახულია ბაკენბარდებით. მაგრამ უწვევროდ, ასე რომ აღმოჩენილი ფოტოსურათი არ ჰგავდა მის ცნობილ სურათებს.

იმის გასარკვევად, აღმოჩენილი ფოტოსურათზე გამოსახული ადამიანი იყო თუ არა ნ. ი. პიროგოვი, ქირურგიის ინსტიტუტმა თხოვნით მიმართა კრიმინალისტიკის ინსტიტუტს.

კრიმინალისტიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში, გარდა აღნიშნული სურათისა, შედარებითი კვლევის საწარმოებლად წარმოდგენილ იქნა ნ. ი. პიროგოვის ოთხი სურათი, სადაც ის უწვევროდ იყო გადაღებული.

ექსპერტიზამ, შედარებითი გამოკვლევის შედეგად, მეცნიერ-მუშაკების მიერ აღმოჩენილ სურათებსა და ნ. ი. პიროგოვის ფოტო-სურათების ნიმუშებს შორის აღმოაჩინა თანდამთხვევანი „სიტყვიერი პორტრეტის“ მთელ რიგ ინდივიდუალურ ნიშნებში, რომელთა საფუძველზეც მიცემულ იქნა დასკვნა იმის შესახებ, რომ აღმოჩენილ ფოტოსურათზე გამოსახული იყო ცნობილი ქირურგის ნ. ი. პიროგოვის სახე.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის გზით შესაძლებელია არა მხოლოდ ასოებისა და ციფრებისაგან შემდგარი ტექსტების, არამედ აგრეთვე სანოტო ხელნაწერების შემსრულებელი პიროვნებების დადგენა.

ამასწინათ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიის მიმართა ბელორუსიის სსრ სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორმა, რათა ჩაეტარებინათ დიდი გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახისა და მისი მეუღლის ანა მაგდალინა ბახის სანოტო ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა.

1957 წელს „მუზიკიზმა“ გამოსცა წიგნი: „იოჰან სებასტიან ბახი. ექვსი სუიტა ვიოლონჩელისათვის. სოლო“, ა. პ. სტოგორსკის რედაქციით. ამ ექვსი სუიტიდან, რომლებიც დაწერილია ბახის მიერ 1717—1723 წლებში, შემორჩენილი იყო მხოლოდ ერთი ხელნაწერი. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ ეს შემორჩენილი ხელნაწერი წარმოდგენდა ბახის ხელნაწერის ასლს, რომელიც მისი მეუღლის ანა-მაგდალინა ბახის მიერ იყო შესრულებული. აღნიშნული გამოცემის რედაქტორმა ეკვი შეიტანა ამ მოსაზრების

სისწორეში და გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შემორჩენილი ხელნაწერი წარმოდგენდა არა ასლს, არამედ დედანს და შესრულებული იყო თვით კომპოზიტორის მიერ.

საკითხის გასარკვევად დაინიშნა ექსპერტიზა. შედარებითი კვლევის პროცესში, გამოსაკვლევ სანოტო ხელნაწერსა და იოჰან სებასტიან ბახის ხელნაწერთა უტყუარ ნიმუშს შორის, რომლებიც ამოღებულ იქნა მისი არქივიდან (ქ. ლაიპციგი), დადგინდა განსხვავებანი მთელი რიგი ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით, რის საფუძველზედაც გაცემული იქნა დასკვნა, რომ აღმოჩენილი სანოტო ხელნაწერი შესრულებულია არა თვით კომპოზიტორისა, არამედ სხვა პირის მიერ, შესაძლოა თვით კომპოზიტორის მეუღლის — ანა-მაგდალინა ბახის ხელით. მაგრამ ეს საკითხი ლაბორატორიის მუშაკების წინაშე არ მდგარა.

კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში გამოკვლეულ იქნა აგრეთვე დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის სანოტო ხელნაწერები, რაც თავის დროზე უკვე აღწერილი იყო ლიტერატურაში.

სახელმწიფო საკუთრების პალატის დირექციამ სთხოვა კრიმინალისტიკური ლაბორატორიის მუშაკებს დახმარებოდნენ ვ. ი. ლენინის კაბინეტში ავეჯისა და საგნების განლაგების დაზუსტებაში.

ლაბორატორიაში წარმოდგენილ იქნა ფოტოსურათი, რომელზედაც ვ. ი. ლენინი გამოსახული იყო თავის სამუშაო კაბინეტში, მაგიდასთან მჯდომი. საჭირო იყო ფოტოსურათის მიხედვით შეედგინათ ოთახში საგნების განლაგების ზუსტი გეგმა. ლაბორატორიის მუშაკებმა გადაწყვიტეს დაედგინათ, წარმოადგენდა თუ არა ფოტოსურათი ნეგატივის კონტაქტურ ანაბეჭდს და როგორი ფოტოაპარატით იყო იგი გადაღებული. გამოირკვა, რომ სურათი გადაეღო ფოტოგრაფ პ. ა. ოცუპს 1922 წელს, 18 X 24 სმ. ფოტოკამერით, რომლის დროსაც გამოყენებული იყო ობიექტივი F—240 მმ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში აღმოჩნდა ამ სურათის და კდევერთი სხვა სურათის ნეგატივები, რომლებზედაც აგრეთვე გამოსახული იყო ლენინი თავის სამუშაო კაბინეტში.

ლაბორატორიაში დამზადდა სპეციალური სურათები ნეგატივებიდან, სქემები და დიაგრამები, მათს საფუძველზე კი შედგენილ იქნა სამუშაო კაბინეტში ავეჯისა და სხვა საგნების განლაგების ზუსტი მასშტაბური გეგმა.

მასშტაბური გეგმის, სპეციალური სურათებისა და სქემების საფუძველზე, კრემლში, ვ. ი. ლენინის კაბინეტში ზუსტად იქნა განლაგებული ყველა საგანი, ისე, როგორც სურათ-

თის გადაღებისას იყო მოთავსებული, რისთვისაც საჭირო გახდა ზოგი ავეჯის გადაადგილება. ასე რომ ლაბორატორიაში ჩატარებულმა მუშაობამ მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

რამდენიმე წლის წინათ ერთმა საბჭოთა მოჭადრაკემ შემთხვევით აღმოაჩინა რვეული საჭადრაკო პარტიების ჩანაწერებით. მისი აზრით, იგი ეკუთვნოდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს, ალექსანდრე ალიოხინს.

საკითხი, მართლა ეკუთვნოდა თუ არა ეს ჩანაწერები ალექსანდრე ალიოხინს, დავას იწვევდა. ერთნი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ ამას, სხვებს კი მიაჩნდათ, რომ რვეულის ავტორი ალიოხინის უფროსი ძმა ალექსი უნდა ყოფილიყო, რომელიც აგრეთვე მოჭადრაკე იყო და თავისი პარტიების ჩანაწერებს აკეთებდა.

დავის გადაწყვეტის მიზნით ჟურნალ „Шахматы в СССР“-ის რედაქციამ მიმართა კრიმინალისტურ ლაბორატორიას, სადაც გაგზავნა დასახელებული რვეული, რომელიც 174 ფურცლისაგან შესდგებოდა. ალექსანდრე

ალიოხინის ხელნაწერის ნიმუშის სახის ექსპერტიზას წარუდგინეს საფოსტო კონვერტზე მის მიერ შესრულებული ტექსტი.

ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, რომლის დროსაც სპეციალური მეთოდები იქნა გამოყენებული, რვეულში არსებულ ჩანაწერებსა და ალექსანდრე ალიოხინის ხელნაწერის ნიმუშს შორის დადგენილ იქნა თანადამთხვევები ხელის მთელ რიგ მყარ — ინდივიდუალურ ნიშნებში, რამაც ექსპერტებს საფუძველი მისცა გაეკეთებინათ დასკვნა, რომ ჩანაწერები რვეულში შესრულებული იყო ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის მიერ.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ სურვილი, რომ ჩვენმა მეცნიერებმა ფართოდ გამოიყენონ კრიმინალისტური ექსპერტიზის კვლევის მეთოდები ისტორიულ, თუ სხვა მეცნიერებათა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას.





შოთა ბაღრიძე

„მატიანე ქართლისა“-ს ერთი აღზიდის ახსენისათვის

ქართველოლოგიური ლიტერატურის უდავოდ ბრწყინვალე შენაძენია „ქართლის ცხოვრების“ ის ორი შესანიშნავად გამოცემული ტომი, რომელიც პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოვიდა. ახალ გამოცემაში კოლოსალური სამუშაოა ჩატარებული ტექსტოლოგიური ხაზით, მაგრამ, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, ყველა „შესწორება ხელნაწერთა ვარიანტებს ეყრდნობა“ და „საკუთარი კონიექტურაც ხელნაწერული ტრადიციით გასამართლებელ საბუთებს ემყარება“ (ტ. I, გვ. 040).

ჩვენ გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ერთი ადგილის გამო, რომელიც მოიპოვება XI საუკუნის ისტორიულ თხზულებაში „მატიანე ქართლისაჲ“. „ქართლის ცხოვრების“ ბროსეს გამოცემაში, რომელიც ვახტანგისეულ XVIII საუკუნის ნუსხებს ემყარებოდა, „მატიანეს“ ერთი ადგილი შემდეგნაირად იკითხებოდა: „და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემზადა ტივები და ნაეები ღამით წარსვლად ლაშქარსა თანა ფადლონის შვილისასა“ (გვ. 297, 16).

ახალ გამოცემაში პროფ. ს. ყაუხჩიშვილი იძლევა ამ ადგილის ინტერპრეტაციას და აზუსტებს მას. ეს ადგილი მოგვიტოვებს თბილისის ამირა ჯაფარის გასაქცევად მზადებაზე, როცა ის საქართველოს მეფე ბაგრატ IV შეაეწიროვა. მოსალოდნელი იყო, რომ ტექსტში ეწერებოდა: ჯაფარა მიდის ფადლონთან, ან სხვა ვინმესთან. აქ კი წერია, რომ მიდის „ლაშქარსა თანა“ (I, 041) (ქვევით სქოლიოში მითითებულია, რომ ამ შემთხვევაში თანდებული „თანა“ არის ad (და არა cum), ე. ი. ამირა მიდის ვიღაცასთან, პიროვნებასთან). შინაარსიდან გამომდინარე „ლაშქარსა თანა“ წაკითხვა უაზრობაა.

კიდევ უფრო გაძნელდა ამ ადგილის გაგება მარიამისეული ნუსხით, სადაც წერია, რომ ჯაფარი მიდის „ლაშქართან, ფადლონის შვილთან“. ანასეულ ნუსხაში კი ეს ადგილი იკითხე-

ბა ასე: „ლაშქარისთან“ (რაც უკვე კაცის სახელს ჰგავს), სხვაგან კი ტექსტი დამახინჯებულია. „წასავალად განძას ლაშქარის თანა ფადლონის თანა შვილისა“. მსგავს წაკითხვას ქალაქვილისეული ნუსხაც იმეორებს, მიდისო „ლაშქარისთან“.

ამ ფაქტური მასალის ანალიზით პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის, „შემთხვევითი არ ყოფილა A-ს ვარიანტი „ლაშქარია“ და, როგორც ჩანს, საქმე გვექონია კაცის სახელთან, და, ამრიგად უკვე აზრიანი გამოდის გამოთქმა „ლაშქარის თანა“ („მიდის ლაშქარისთან“, რომელსაც უნდა მოვლაპარაკოს). მაშინ გასაგები ხდება ისიც, რომ არც ერთი ვახტანგის წინაღობინდელი ნუსხა არ კითხულობს „შვილისასა“, არამედ „შვილსა“ (Mm) და „შვილისა“ (AC), რაც საბუთს გვაძლევს დავადგინოთ ასეთი წაკითხვა: „წარსვლად განძას ლაშქარის თანა ფადლონის შვილსა“, ე. ი. ჯაფარი მოემზადა „განძამი წასასვლელად ლაშქარისთან, ფადლონის შვილთან“. მაშასადამე, ფადლონის შვილს რქმევია სახელად „ლაშქარია“. (ტ. I, 041).

ამ ადგილის დასაზუსტებლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება აჰმედ იბნ-ლუთ-ფულაჰის „დინასტიათა ისტორიას—ჯამი აღდევალ“. ავტორი XVIII საუკუნის მოღვაწეა Enzyklopedie des Islam, bd. III, Leiden Leipzig, 1937, გვ. 779-780); მაგრამ თავის შრომაში შემოუნახავს ადრეული ხანის ავტორები. ერთ-ერთი მათ შორის არის ვინმე ფაიხი, რომელსაც თავისი შრომა — „ალ-ბაბისა და შარვანის ისტორია“ დაუწერია 1071 წლისთვის, ე. ი. თითქმის იმავე ხანებში, როცა დაიწერა „მატიანე ქართლისაჲ“. ეს შრომა ფაიხისა შადადიდთა ისტორიის მოგვითხრობს.

ცნობილია, რომ „მატიანეს“ ის ადგილი, რომელიც ჯაფარის და ბაგრატ IV-ის ბრძოლას

შეეხება 1031 წლით თარიღდება. შადადიდების მატრიანეთი ჩანს, რომ 1031 წლის ჩათვლით განძაში მეფობდა „აბუ-ლ-ფახტ-ალ-ფადლი“, ხოლო „422/1031 წ. შაბათს, შესაწირავების დღესასწაულისას, ამირა ალ-ფადლ-იბნ მუჰამედ იბნ შადადი გარდაიცვალა. მისი ამირობა 47 წელს გაგრძელდა.

11. შემდეგ ამირობას განაგრძობდა მისი ვაჟიშვილი და მემკვიდრე აბუ-ლ-ფახტ მუსა იბნ ალ-ფადლ იბნ მუჰამედ იბნ შადადი“ (იხ. V. Minorshy, „New Light on the Shādadids of Ganja“, Cambridge Oriental series, vol. 6, London, 1953, გვ. 17).

...„425 წ. აბუ-ლ-ფახტ მუსას თავს დაესხა მისი ვაჟიშვილი ალ-ლაშქარი (al-Lashkari) ალი იბნ მუსა და ვერაგულად მოჰკლა მამა 425/1034 წ.“ (p. 17).

„შემდეგ 425/1034 წ. ტახტზე ავიდა მამის მკვლელი — შვილი ალ-ლაშქარი ალი იბნ მუსა იბნ ალ-ფადლი (op. cit., p. 18).

აქედან ნათელი ხდება, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოხსენებული ფადლონის მემკვიდრეთაგან მართლაც ყოფილა „ლაშქარი“ resp. ალ-ლაშქარი. ამიტომ, ხელნაწერები, სადაც იკითხება: „ლაშქარია“, შეცდომას უშვებენ.

ამგვარად ყველაზე მართებულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიხედვრა, რომ ტექსტში კაცის სახელთანა გვაქვს საქმე, ოღონდ სწორ წაკით-

ხვას იძლევიან მხოლოდ მარიამისეული და ვახტანგისეული ნუსხები, სადაც წერია „ლაშქარსა“. ვგონებთ სწორი იქნება, თუ ტექსტში დავტოვებთ წაკითხვას „ლაშქარსა თანა“, წინააღმდეგ „ლაშქარიასი“.

ტექსტის ინტერპრეტაციისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლაშქარი შვილიშვილი იყო ფადლონისა და არა შვილი. შვილად ესმოდა ბროსესაც: „aller rejoindre à Gandza l'armee du iils de Phadlon“ (H. de la G. I. 317).

ვახტანგისეულ ნუსხებში დაცულია ის გარემოება, რომ ლაშქარი შვილი კი არა, არამედ შთამომავალია ფადლონის (ამ შემთხვევაში შვილიშვილი). ტექსტი ასეთია: „მოემზადა წარსვლად ლაშქარსა თანა ფადლონის შვილისასა“ (გვ. 297, 16). სახელობითში იქნება „ლაშქარი ფადლონის შვილისა“, ან „ლაშქარი შვილისა ფადლონისა“. ანალოგიურია მაგალითად „იაკობ ზებედესი“ (მათე, 10,2), რომელიც ნიშნავს „იაკობ ზებედეს ძეს“.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ „ლაშქარი შვილისა“-„ლაშქარი შვილის ძე“ გულისხმობს, რომ „შვილი“ ამ შემთხვევაში არის ფადლონის შვილი და ლაშქარის მამა.

ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: ამირა ჯაფარა წავიდა ლაშქართან, რომელიც იყო ფადლონის შვილის ძე, ე. ი. შვილიშვილი.



იჩაქლი ყიზიანი

მოგებუდი თაგაზი

სტადიონი ისეა გაკედილი, ნემსიც არ ჩაეარდება. მე მაინც ვაჭირვებით მივიკვლევ გზას, ორ გოლიათს შორის ჩემი კანონიერი ადგილის ქიმს ვიკაევებ და უაღრესად ბედნიერი აქტიურად ვებმები უკვე გაცხოველებულ კამათში:

— თუ დღეს ჩვენებმა სპარტაკს მოუგეს, თასი ჩვენია, — ვამბობ მე და ჩემს მარჯვენა მეზობელს ვაკვირდები.

იგი ალერსიანად მიღიმის.

— მაშ დროა იმ თასით სადღეგრძელოს ვსეამდეთ, მეგობარო, — მპასუხობს და თან რეაქტიული სისწრაფით აკნატუნებს მზესუმზირას.

მე თვალს ვერ ვაშორებ მას — რა ნაცნობი სახე აქვს, სად მინახავს?

— თქვენ უმეველი მოგება გგონიათ? — ეპასუხება მარცხენა ფრთა მარჯვენას და ისე ენერგიულად მახოლვებს თბილისურ პრიმას, რომ ბაკურიანის „უკუქუშკა“ მაგონდება. — ჩემის აზრით კი დიდი ბრძოლა ექნებათ.

— ბრძოლა და კრივი აქვე გექნება — ჩემთან — თუ არ მოკეტე... — ღრინავს უკნიდან ვილაც ჩიკაცი. გოლიათი იღურსება.

— არა, ბრძოლა რომ საინტერესო იქნება, ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ გამარჯვებაც არ მიმაჩნია საღაოდ. — ღირსების შენარჩუნებით აცხადებს ისევე მარჯვენა მეზობელი, და ეტყობა ეჭვის შეტანაც კი მის აზრში შეუტრაცხყოფად მიაჩნია — წარბი უცნაურად უთამაშებს.

მე ისევ მიჩუქუნებს ტვინის რომელიღაც უჯრედი — ნეტავ სად მინახავს ეს კაცი? ირგვლივ გუფუნნი დგას. სტადიონი ღელვისათვის გამზადებულ პირმოქუფურულ ზღვას ჰგავს. თამბაქოს ბოლი ნისლივით დასწოლია იარუსებს. ათასობით ჭიქა მზესუმზირა, ურიცხვი ხაჭაპური, ნამცხვარი, კამფეტი ნაღვურდება ნერვიულ ყბებში მოხვედრილი.

ბავშვური გულუბრყვილობით გამოიციქირებიან უმკაცრესი კაზინეტური სახეები, ბრძნული თავდაპირით იმზირებიან მამების კალთებიდან ბავშვები. უყურებ ამ სახეებს, უსმენ მათ და ხედავ, რომ აქ წაშლილია ყოველგვარი თანამდებობრივ-ასაკობრივ-პროფესიული კვალი. აქ მხოლოდ გულშემატკივართა საბრძანებელია.

არეულ ხმებში გაისმის:

— მთავარია თავიდანვე კარგად ააწყონ თამაში.

— ვა, ააწყონ, რა ვიტარაა?

— არა, ახლა ისეთ ფორმაშია ჩვენი დინამო, რომ წინ ვერაფერი დაუდგება.

— რატომ, ფორმა არც იმათ აქვენ ცუდი!

— და, და, და, რა მიღეთის ხალხია, კაცო, ამოტვლა ლაშქარი რომ ერეკლეს ყოლოდა, ვაი დედასა...

— ერეკლეს კი არა ძამია, ჩაში მომცა აი ხალხი, ჩაში.

მსაჯის სასტვენის ხმაზე ასი ათასი თვალი ერთ ბურთს მიეჯაჭება.

— მიდი მესხი, მიდი — ღრიალებს ფაფარაყრილი სტადიონი.

მზესუმზირას მჭამელს მუხლზე პატარა ბიჭი უზის, ისეთივე მრგვალი, როგორიც მამაა. იგი დროდადრო კითხვებს იძლევა:

— მამა, მამა, რომელია მესხი, აგე ის, ყველაზე დიდი?

— არა, შვილო, ყველაზე პატარა.

- აბა, შენ რომ ამბობდი, ყველაზე დიდი ფეხბურთელია?
- დარტყმა, ჩქარა, დარტყმა! — ისე იღრიალა ამ ღროს მამამ და ისე მოიქნია ფეხი, რომ — ვაიო — ველური ხმით იყვირა წინაშეჯდომმა.
- ვირო, ნელა ვერ დამარტყამ!
- „ვირი“ ერთხანს სდუმდა, შერე წარბი აუთამაშდა და წაიბურტყუნა:
- ნელა რომ დამერტყა, არ შევიდოდა.
- ის არის, ის! — ალტაცებით შეეყვირე მე.
- ვინ არის, სად არის, გოლია? — თავს დამესხენ აქეთ-იქიდან.
- ვინა სთქვა გოლი, არა, მე სხვა რამე გავიფიქრე, — ვიშორებ თავიდან ცნობისმოყვარეებს და თან გუნებაში გამოცნობას ვზეიმობ — ჩემს გვერდზე ერთ-ერთი მსხვილი სამმართველოს უფროსი ზის, სწორედ ის, რომელიც ამ წუთში უზრდელად მონათლეს. მან მე ამას წინათ, როცა მასთან სამსახურის თაობაზე მივედი, კაბინეტიდან კინწის კერით გამომაგდო — მე ძუძუმწოვრებს არ ედებულობო, და თან სიბრაზით ისევე შეუთამაშდა წარბი, როგორც ახლა. სწორედ ამაზე ვიცანი იგი. შემდეგ მე ბევრს ვეცადე, ვინ არ მიუღზავნე, ვის არ დავარეკინე, რა არ ვიღონე, მაგრამ არაფერმა გასჭრა — იგი მიუღვამელი იყო და არავითარ ადამიანურ სისუსტეს არ ამჟღავნებდა. თუმცა, ხმები დადიოდა, ამ ადგილს თავის სასიძოს უნახავსო.
- ახლა გვერდი-გვერდ ვზივართ, ბედმა ხომ არ გადმომიგდო? მაშ ვნახოთ ვინ — ვის. თუ შენი ნებით არ მივაწვევინე თავი, კაცი არ ვიყო. და მე გენერალური გეგმა მოგხაზე სამოქმედოდ.
- ამასობაში კი მინდორი ისერებოდა ახალ-ახალი კომბინაციებით. ორივე გუნდი — ჩვენებიც და სპარტაკელებიც — თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. ბრძოლა იყო ლამაზი და შეუბოვარი.
- შენი ჭირიმე, იამანიძე, ნამდვილი პროფესორია! — გაკვივის ვილაძე.
- მამა, მამა, იამანიძე მართლა პროფესორია? — არ აყოვნებს კითხვას ბიჭი.
- კი, შეილო, ნამდვილი პროფესორია თავის საქმეში, — უხსნის მმართველი, თან თამაშის ტემპთან ერთად მხესუმზირას დამუშავების შრომისნაყოფიერებას ზრდის.
- აბა რაღა სარაჯიშვილთან მიგვყავს ბებია, მაიკო, იამანიძეს გავასინჯოთ, რა? გარშემო ხალხის ხორხორცია. მამა გულკეთილად იღიმება.
- მეგობარო, შენ! — მხარზე მაგლებს ვილაძე უკანა რიგიდან ხელს. — წედან რომ თქვი, რაღაცა გავიფიქრეო, რა გაიფიქრე?
- მე შევღვივარ მის მღვთმარებაში, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამ კაცს ეს აწუხებდა და ეპასუხობ.
- გავიფიქრე, რომ პირველ ბურთს ჩვენები გაიტანენ.
- ვინ ვითხრა?
- არ იქნება მართალი.
- საიდან იცი? — მაფრინდებიან ყოველი მხრიდან რწმენის მაძიებელნი.
- ჩაქმული მაქვს! — ვაცხადებ მტკიცედ.
- მეც არ მეგონა, მართლა იცის-მეთქი! — იმედი უცრუვდება ვილაძას.
- ნამდვილად ვამბობ, მე რომ ვიტყვი, წყალი არ გაუვა, — ვყინიანობ მე.
- თუ ეგ მართლა ახლა, — ებმება ბოლოსდაბოლოს მახეში ჩემი სამიზნე. — მაყარინი იქმნება.
- სწორედ ამ ღროს მესხმა შესანიშნავად ჩააწოდა კუთხური ხოკოლავას, ხოკოლავამ ბრწყინვალე დარტყმით ჩაჰკიდა ბურთი კართან და...
- არის!..
- რამდენიმე ათასმა ხორხმა ერთბაშად ვულკანივით ამოხეთქა დაოკებული მღვთმარება, პაერში მტრედებმა, ნაირფერმა ბუშტებმა და ქუდებმა შეიფრიალეს.
- მე აღარაფერი მესმის, რაღაც გაუგებარს გავკვივი, ვიგრძენი მხოლოდ, როგორ წამავლო მმართველმა ხელი თავში, მიმოიზიდა თავისკენ და ჩემს ტუჩებს ხარბად დააცხრა.
- აგონია ხუთ წუთს გრძელდებოდა.
- როცა პირველი ალტყინება მინელდა, აქეთ-იქიდან ხმები გაისმა:
- რომელი იყო, წედან რომ ამბობდა — ჩვენ გავიდან ვინ ვიტანთო?
- მართლა, ვინ იყო რომ იწინასწარმეტყველა?
- დავვანახეთ, დავვანახეთ! — ხალხი გმირს ითხოვდა.

— ეს იყო, ეს! — დაუზარებლად პასუხობდა ყველას მმართველი და ისე შეფრფინვით შემომტკეროდა თვალებში, მგონი ღმერთად მივაჩნდი.

— მამა, რა ყოჩაღია, როგორ გამოიცილო, არა?

— მაშ, შეილო, ძალიან ყოჩაღია, ძალიან! აი, შენც ასეთი გამჭირაბი უნდა გაიზარდო.

როცა საესებით მიწყნარდა ხმაური, მე ოდნავ გადავიწიე მმართველისაკენ და სხვათაშორის გადავუღაპარაკე.

— ნეტავ ყველაფერში ასე მიმართლებდეს...

— როგორ, განა თქვენ რამეში არ გიმართლებთ?! — განცვიფრდა ჩემი მოსაუბრე.

— დიახ, ერთ ადგილზე მინდა სამსახურში მოვეწყო და არ იქნა, ვერ მივალწიე.

— თქვენისთანა ნიჭიერი ახალგაზრდა და უადგილო! შეუძლებელია! — არ იჯერებდა მმართველი.

— არა, ადგილებს ბევრს მთავაზობენ, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მაქვს ამოტყრილი გულში.

— სად, არ შეიძლება გავგანდოთ, ეგება რითიმე დაგეხმაროთ...

გულმა ბავა-ბუგი დამიწყო, ვგრძნობ, როგორ ახლოვდება გადამწყვეტი წუთი; ვუთხრა თუ არა პირდაპირ, ვერ გადამიწყვეტია, და ბოლოს განგებ, შორიდან ვუვლი და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებას ვასახელებ.

— რას ბრძანებთ, თუკი მანდ იკადრებთ მუშაობას, მაშინ... — დამკრა ხელი მხარზე მე-გობრულად. — მაშინ...

მაგრამ ამ დროს მოხდა საშინელი რამ:

საღნიკოვმა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთი კოხტად და საესებით დაუბრკოლებლად შეაგორა კარში და... მრავალათასიან ტრიბუნებს ყრუ ღუმილი დაეუფლა. ანგარიში გახდა 1:1 მმართველს ხელი მოტეხილივით ჩამოუვარდა ჩემი მხრიდან, პირზე ბედნიერების ღიმილი შეაქვდა და ისე დამაშტერდა, რომ ტანში გამცრა.

მე დამნაშავესავით ჩავკიდე თავი.

სტადიონის ხანმოკლე გაყუჩება დახშულ გუგუნში გადავიდა.

გულშემატკივრებმა გული მოიოხეს ჩვენების ლანძღვით და ისევ თამაშში ჩაერთვნენ.

მინდორზე ბრძოლა სულ უფრო დაძაბული ხდებოდა.

მე მარჯვნივ გახედვას ვერ ვბედავდი.

ასე დამთავრდა ძირითადი დრო.

როცა თამაში განახლდა, საუბარიც გამოცოცხლდა:

— არა, ძმაო, სპარტაკელებიც ძალიან მაგრები არიან...

— რას ამბობ, ეგ ყველაზე ტექნიკური გუნდია. ვერა ხედავ, როგორ ხაზავენ მინდორს!

— ნეტოს უყურე, რას შერება, ნეტოს!

— ნახე, ნახე, სიმონიანი როგორ შედის, რა დაარტყა!

— ვახ, რა აიღო, კაცო, სერგომ, კატა პირდაპირ, კატა!

— კატა კი არა, ფოცხვერია!

— რას ამბობ შენ თუ იცი, ფოცხვერია კი არა, მაი კოტრიკაძეა. მე მასწავლი თუ! ჩემი სოფლიდანა!

— უჰ, შენ გენაცვალე! რა თავი აქვს კალოევს, პირველი ბურთი ყოველთვის მაგისია.

— მაგისი თავი ზოგიერთის ფეხებსაც სჯობია! — ამტკიცებს ვიღაც.

— ბრწყინვალე თავი აქვს, ბრწყინვალე.

— მამა, მამა, მართლა ბრწყინვალე თავი აქვს კალოევს?

— მაშ, შეილო, ბრწყინვალე!

— მამა, შენ უფრო გიბრწყინავს თავი თუ იმას?

ირველი ფხუქუნი ისმის. მამა მელოტ თავზე ხელს ისვამს და ბავშვს ყურის ბიბილო უწითლდება.

— აი, როგორ ეტყობათ, რომ ბასა არ თამაშობს. რამდენი შესაძლებლობა ჰქონდათ და თავს ვერ აბამენ.

— ბასა მავათი დირიჟორია და იმიტომ.

— მამა, ვინ არის ბასა?

— ვინ არის და ლოღობერიძე, შეილო, დროა იცოდე.

— მერე, მართლა დირიჟორია?

— დირიჟორია აბა რა! ვერ ხედავ, რომ აკლიათ იმისი ხელი?

— მერე თუ დირიჟორია, ოპერაში არ უნდა იყოს? დღეს ხომ „წითელქუდა“ გადის!

— ნეტავ რად უნდათ ამ თოთო ბავშვს რომ მოარბენინებენ სტადიონზე! მართლა „წითელქუდაზე“ უნდა ატარონ! — აღშფოთდა ვიღაც.

— თორემ ბავშვი რომ არა ხარ, მეტი გესმის აი, — ვუყვირი აქედან ნერვიულს.

ხალხი იცინის. მმართველმა წყალობის თვალთ გადაომხედა მფარველ ანგელოზს და შემრიგებლური ტონით ჩამჩურჩულა:

— რას იტყვით, ვერ მოვიგებთ?

ამ ხმაში იმდენი ხევეწნა იყო, იმდენი მუდარა, რომ მე უარი ვეღარ ვკადრე და გულწრფელად შევძახე:

— თუ არ მოვიგოთ, კაცი არ ვიყო!

ამ დროს მოხდა საოცარი რამ: დამატებითი დროის მე-9 წუთზე მესხმა ჩვეული ფინტით გაიგდო წინ ბურთი, ოსტატურად მიაწვინ-მოაწვინა მოწინააღმდეგენი და ბურთი ბაღეშა გახვია...

მერე აღარაფერი მახსოვს. როცა ათწუთიანი ხრიალის შემდეგ გონს მოვედი, მმართველი მანჯღრევედა და ჩამძახოდა:

— ნახე, კაცო, რა ქნა, ნახე?

— მაშ, ენახე!..

— საოცარია!..

— გენიალურია!..

— რა ბურთი გაიტანა, კაცო, ერთი მოატყუა, მერე მეორე, მესამე, მეკარე და მცველი ერთმანეთს შეაწყვიტა, თვითონ კი გაიჭრა და... ნახე, კაცო?

— დავინახე, მაშ, ენახე!..

დარჩენილი დრო მეგობრულ ვითარებაში გავატარეთ: ვღელავდით ერთად, განვიციდით ერთად, უთქმელად გვესმოდა ერთმანეთისა. ჩემს შეხედულებაში გადატრიალება მოხდა ამ კაცის მიმართ. ვინა თქვა, თითქოს ქვეს გული ჰქონდეს ამ კაცს, თითქოს არავითარი აღამიანური სისუსტე არ გააჩნდეს! გიბოვე თუ არა აქილევსის ქუსლი! ასეთი ძალა აქვს სპორტს, მაშ, სადღა წამიხვალ, მე შენს გამოხედვაში ვხედავ, მეგობარო, რომ ჩემს სურვილს ვერსად გაექცევი — შენ თვითონ, დიახ, თვითონვე მიმიწვევ შენს აპარატში. მე ამას შენი თვალბა მეუბნებიან.

— ეს ვინა ყოფილა, კაცო!..

— გენიოსია, რა!..

— ნახე, როგორ განჭვრიტა?

— ვა, ვინ არის, ეეე!

ეს შენიშვნები მე მეხებოდა. მმართველი თავმომწონედ იჯდა ჩემს გვერდით და ცდილობდა ჩვენს შორის საუბრის ძაფი არ გაწყვეტილიყო.

როცა მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა, მმართველმა ღრმად ამოისუნთქა, მთელი ძალით წამოიმართა, მერე ღრმად ამოიოხრა და ჩაწყვეტილი ხმით მითხრა:

— აფსუსს, რა დროს აღარა ვარ სამმართველოს უფროსი! ხომ ჩემთან ავიყვანდი აპარატში!..

სტადიონი დაიცალა. ჟინვლი წვიმა წამოვიდა.

მე დიდხანს ვიჯექი მარტო ჩემს ძველ ადგილზე, მინდობს ვაცქეროდი და ვფიქრობდი მოგებულ მატჩზე და დაკარგულ ოცნებებზე.





სვეჟან ღიოკი

თოვლის პაპას შეცდომები

შობის წინა ღამე იყო.

ბრაუნები საადილად მეზობელ ჯონსებთან გადასულიყვნენ.

ბრაუნი და ჯონსი მაგიდას მისხდომოდნენ და ღვინოსა და კაკალს შეექცეოდნენ. მათი ოჯახების დანარჩენი წევრები კი მეორე სართულზე ასულიყვნენ.

„საშობაოდ რას აძლევთ თქვენს ბიჭს?“ ჰკითხა ბრაუნმა ჯონსს.

„მატარებელს“, მიუგო ჯონსმა, „უკანასკნელი გამოგონება გახლავთ — ავტომატური მატარებელი“.

„აბა მაჩვენეთ“, მთხოვა ბრაუნმა.

ჯონსმა კარადიდან დიდი ფუთა გადმოიღო და გახსნას შეუდგა.

„ძალიან გონებამახვილური კია, არა?“ თქვა მან. „თვითმავალია, თავისავე ლიანდაგზე დადის. მერე როგორ უყვართ ბავშვებს მატარებლობანას თამაში, არა?“

„მაშა“, კვერი დაუკრა ბრაუნმა. „ნეტა ლიანდაგი როგორაა ერთმანეთთან დამაგრებული?!“

„მოითმინეთ, ესლავე დაინახავთ“, უთხრა ჯონსმა. „ჯერ მავიდა ავალავოთ. ესეც ასე! ესლა დაალავეთ ლიანდაგი და აი ასე მიამაგრეთ“.

„აჰა, მივხვდი. რკალად დავალავო, არა? ეს მართლაც გააკვირვებს ბავშვს. მე კი ჩემს შვილს სათამაშო თვითმფრინავი ვუყიდვ“.

„ჰო, ვიცი, დიდი რომ არის, არა? ედვინს ვაჩუქე დაბადების დღეს. ესლა კი, ჩემი აზრით, მატარებელი უკეთესია. ედვინს ვუთხარი, თოვლის პაპა ახალ საჩუქარს მოგიტანს-მეთქი, იმანაც დაიჯერა. სჯერა თოვლის პაპის არსებობა. შეხედეთ ორთქლმავალს: საცეცხლე ქვაბში ზამბარაა“.

„აბა დაქოქეთ“, ვერ ითმენდა ბრაუნი. „ენახოთ, როგორ დადის“.

„ესლავე“, მიუგო ჯონსმა. „ჯერ ლიანდაგს ორი-სამი თეფში ან სხვა რამ ამოსდეთ, რომ ბოლოში დაქანება იყოს. სანამ დაიძვრის, კივის ხოლმე. ხომ მართლაც კარგი რამეა ბავშვისათვის?“

„მშვენიერია“, თქვა ბრაუნმა. „აგერ კანადიც, რომ გამოსწევ, დაიკვილებს. ღმერთო ჩემო. ნამდვილი ორთქლმავალივით არა კივის?!“

„აბა, ბრაუნ, თქვენ ვაგონები გადააბით, მე კი წაიყვან. წამყვანი მე ვიქნები, კარგი?“

...

გავიდა ნახევარი საათი. ბრაუნი და ჯონსი კი კვლავ მატარებლობანას თამაშობდნენ.

მგრაამ ცოლებმა ვერც კი შენიშნეს ქმრების განცალკევება. ისინი სხვა რამით იყვნენ გართული.

„ხომ მშვენიერია?“ თქვა მისის ბრაუნმა. „ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი რამ. უსათუოდ უნდა ვუყიდო ჩემს ულვინას. მე მგონი თქვენს კლარისას მოეწონება“.

„აუტილებლად“, მიუგო მისის ჯონსმა. „თანაც თოჯინასთვის კაბებსაც ვუშოვნი. ბავშვებს ასეთი რამ ძალიან უყვართ. შეხედეთ! თოჯინასთან ერთად კაბებიცაა. რა მშვენიერია!.. უკვე გამოჭრილია, შეკერვალა აკლია“.

„ოჰ, რა ლამაზია!“ წამოიძახა მისის ბრაუნმა. „მე მგონი მოვარდისფრო კაბა თოჯინას ოქროსფერ თმებს მოუხდება. ოღონდ უკეთესი იქნება საყვლო შემოვარდნით და პატარა ბანტიც გავუკეთოთ, — აი ასე!“

„მშვენიერი აზრია!“ გაეხარა მისი ჯონს. „მართლაც ასე მოვიქცეთ. მოიცადეთ, ეხლავე ნემსს მოვიტან. მერე კლარისას ვეტყვი, თვითონ თოვლის პაპამ შეეკრა-მეთქი. ბავშვს მართლა სჯერა თოვლის პაპის არსებობა“.

...

და ნახევარი საათის შემდეგ მისი ჯონსი და მისი ბრაუნსი ისე იყვნენ გართული კაბების კერვით, რომ არც მატარებლის გრუხუნი გაუგიათ ქვემო სართულიდან და არც ის გახსენებიათ, ნეტავ რას აკეთებენ ჩვენი შვილებიო.

მაგრამ მშობლების განცალკევება არც ბავშვებს უგარძნიათ.

„მოგწონს?“ ჰკითხა ედვინ ჯონსმა პატარა ვილი ბრაუნს. ბიჭები ედვინის ოთახში თამაშობდნენ. „ყუთში სულ ასი ცალია, ყველას კორპის ბოლო აქვს. შეხედე, ქარვის ჩიბუხი. ხომ კარგი საჩუქარია მამასათვის?“

„შესანიშნავია!“ დასაკვნა ვილიმ. „მე კი მამაჩემს სიგარები უნდა ღაჩუქო“.

„მე მეც ვიფიქრე. მამაკაცებს, საერთოდ, უყვართ სიგარები და სიგარეტები. ვერც გამტყუნებ. გინდა ერთი-ორი სიგარეტი გავსინჯოთ? ქვემოდან ამოვიღოთ და ვერ შეატყობენ. მოგეწონება, მგონი რუსულია, თუმცა ევგიბტური სჯობია“.

„გმადლობთ“, უპასუხა ვილიმ. „ძალიან მიყვარს. თამბაქოს წვეა შარშან გაზაფხულზე დაიწყო, თორმეტი წლისა რომ გავხდი. მე მგონი ამ ხანში უნდა დაიწყოს ადამიანმა წვეა, არა? ეს ამშვენებს კაცს. მეც მოვიცადე, სანამ თორმეტისა გავხდებოდი“.

„მეც ვგრე ვარ“, უთხრა ედვინმა, როდესაც სიგარეტებს მოუკიდეს. „ამდენს არც კი ვიყიდდი, მამასთვისაც რომ არ ყოფილიყო. რაღაც ხომ უნდა მეყიდა საშობაოდ თოვლის პაპის სახელით. იცი როგორ სჯერა მამას თოვლის პაპის არსებობა?!“

...

კლარისამ კი თავის ოთახში წაიყვანა ულვინა ბრაუნი და დედისთვის ნაყიდი ბრიჯის სათამაშო ბანქოს ქაღალდი აჩვენა.

„შეხედე, რა მშვენიერი საფულეა“, ამბობდა ულვინა, „არ მოგწონს ნაქარგი? პოლანდიურია თუ ფლამანდური?“

„პოლანდიური“, უპასუხა კლარისამ. „ხომ ნაზი და მიწიბდელია? რა სასიამოვნო იქნება თამაშის დროს ფულის ჩადება ამ მშვენიერ საფულეში. ეს ყველაფერი ერთად ვიყიდე. მაგრამ მე მგონია, თამაში სულ არ არის საინტერესო, თუ ფულზე არ თამაშობენ. შენ რას იტყვი?“

„აბა რა!“ კვერი დაუკრა ულვინამ. „მაგრამ დედაშენი ხომ არასოდეს არ თამაშობს ფულზე“.

„არა. დედას არ უყვარს ფულზე თამაში. მაგრამ მე ვეტყვი, თოვლის პაპამ თქვა, საფულეში ფული უნდა ჩაიღოს-მეთქი“.

„ალბათ დედაშენს დედაჩემივით სჯერა თოვლის პაპის არსებობა, არა?“

„ნეტავ იცოდე, როგორ სჯერა... მიუთო კლარისამ. „მოდი ცოტა ვითამაშოთ. ბრიჯი ორი კაცისთვისაა, ფრანგული ან ნორვეგიული, ორ კაცს შეუძლია ითამაშოს“.

„სიამოვნებით“, დაეთანხმა ულვინა. ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკვე თამაშში იყვნენ გართული და წინ ფულით სავსე საფულეები ეწყობო.

...

ნახევარი საათის შემდეგ ამ ორი ოჯახის წევრი კვლავ სასტუმრო ოთახში შეიკრიბა. ოღონდ, ცხადია, საჩუქრების შესახებ ხმა არავის ამოუღია. ყველა გართული იყო დიდი, ლამაზად მოხატული ბიბლიის დათვალიერებით, რომელიც ჯონსმა თავის მამას უყიდა. ბიბლიაში რუკებიც იყო და ამიტომ უფროს ჯონსს ყოველთვის შეეძლო მოეძებნა პალესტინის ყველა ადგილი.

მეორე სართულზე კი, თავის საკუთარ ოთახში, უფროსი ჯონსი მოსიყვარულე თვალებით შესტყეოდა მის წინ დალაგებულ საჩუქრებს. ერთი იყო შვილისათვის, მშვენიერი ვისკის დოქი, რომელიც გარედან ვერცხლით იყო მოვარაყებული (შიგნით კი ვისკი იყო ჩასხმული); მეორე შეიღწევილისათვის: დიდი, მონიკელებული ქნარი.

გვიან ღამე ვიღაცამ, ან, როგორც ეძახიან, თოვლის პაპამ, აიღო ყველა საჩუქარი და დაარიგა. და რადგან ბნელოდა, საჩუქრები შეცდომით დაარიგა. ისე დაარიგა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

მაგრამ შობა დილას, როგორც ყოველთვის, ყველაფერი თავისთავად გამოსწორდა: ბრაუნნი და ჯონსი მატარებლობანას თამაშობდნენ, მისი ბრაუნნი და მისი ჯონსი თოჯინებით იყვნენ გართული, ბიჭები სიგარეტებს ეწეოდნენ, კლარისა და ულვინა კი ფულზე თამაშობდნენ ბანქოს.

მალა კი უფროსი ჯონსი ვისკის წრუბავდა და ქნარზე უკრავდა. ასე რომ შობა დღეს, როგორც ყოველთვის, ყველაფერი მოგვარდა.

მორცხვი ჯონსი

არიან ადამიანები, — ეს, რასაკვირველია, არც მე მეხება და არც თქვენ, რადგან ჩვენ მეტისმეტად თავმოყვარენი ვართ, — ოღონდ არიან ადამიანები, რომლებსთვისაც ცხოვრებაში ყველაზე ძნელი ისაა, რომ სტუმრად მყოფნი აღდგენ და მასპინძელს გამოეთხოვნონ. დრო რომ მოდის, ისინი ფეხზე დგებიან და მოკრძალებით ამბობენ: „ბოდიში, მე ვფიქრობ, უკვე...“ მასპინძლები აწყვეტილებენ: „უკვე მიდიხართ? ასე ადრე?“ და საცოდავი სტუმარი ფარ-ხმალსა ყრის.

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ქვეყნად ყველაზე საცოდავი არსება გახლდათ ჩემი მეგობარი, ოცდასამი წლის მღვდელი მეღვთმუნუს ჯონსი. ვერაფრის დიდებით ვერ ახერხებდა წამოსვლას, როცა სტუმრად იყო სადმე. ისეთი მოკრძალებული გახლდათ, რომ ტყუილს ვერ იტყოდა; ისეთი მორწმუნე, რომ არ შეეძლო გამოეჩინა თუნდაც სულ მცირე სიმკაცრე. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჯონსი თავის ნაცნობ ოჯახს ესტუმრა. ზაფხული იყო. ჯონსს ექვსკვირიანი შეეზულება ჰქონდა და არ იცოდა როგორ მოეკლა დრო. ბევრი ისაუბრა, ორი ჭიქა ჩაი დალია, ბოლოს წასვლაზეც იფიქრა და თქვა:

„ბოდიში, მე ვფიქრობ, უკვე...“

მაგრამ დიასახლისმა არ დააცლა: „რას ბრძანებთ! ცოტა ხანს კიდევ ვერ მოიცდით?“

ჯონსი მუდამ სიმართლეს ამბობდა ხოლმე: „როგორ არა. მე... შემოდია დარჩენა!..“

„მაშ ნუ წახვალთ, გეთავა“.

დაიცადა. დალია თერთმეტი ჭიქა ჩაი. დღე იწურებოდა. ჯონსი წამოდგა.

„ბოდიში“, თქვა მან მორცხვად, „მე მგონი, უკვე...“

„მიდიხართ?“ ჰკითხა დიასახლისმა და მხოლოდ ზრდილობისათვის მიმართა: „იქნებ სადილად დარჩეთ...“

„კარგი, დავრჩები“, უპასუხა გულდაწყვეტილმა ჯონსმა, „თუ კი...“

„დარჩით, დარჩით. დარწმუნებული იყავით, ჩემს ქმარს გაეხარდება“.

„მაშ ვრჩები“, თქვა ჯონსმა მისუსტებული ხმით და კვლავ სავარძელსა და ჩაით სავსე ჭიქას დაუბრუნდა.

მოვიდა ოჯახის მამა. ისადილეს. სადილის დროს ჯონსი გეგმებს აწყობდა და გადაწყვიტა ცხრის ნახევარზე წასულიყო. მთელი ოჯახი იმის ფიქრში იყო, სულელია ჯონსი თუ რაიმეთია აღდგებულო.

სადილის შემდეგ დიასახლისმა სცადა ცოტათი მაინც გამოეცოცხლებინა ჯონსი და სურათების დასათვალიერებლად წაიყვანა. ჯონსმა დაათვალიერა სურათების მთელი მუზეუმი. სურათები დასტებად იყო: მამის ბიძა და მისი ცოლი, მამის ბიძის ამხანაგი ბენვალდურ ტანსაცმელში, აქვე იყო მამის პაპის ამხანაგის ძაღლი, მამა, მასკარადის დროს ეშმაკის ტანსაცმელში გამოწყობილი.

ცხრის ნახევარზე ჯონსმა სამოცდათერთმეტი სურათი დაათვალიერა. კიდევ სამოცდაცხრა დარჩა. ჯონსი წამოდგა.

„მე მგონი უკვე დროა წავიდე“, წაიღუღლუდა მან.

„მიდიხართ?“ ჰკითხა ოჯახის მამამ. „ჯერ ხომ მხოლოდ ცხრის ნახევარია, რაიმე საქმე გაქვთ?“

„არა, არაფერი!“ უპასუხა ჯონსმა, რაღაც წაიბუტბუტა ექვსი კვირის შესახებ და საცოდავად გაიცინა.

ხოლო როდესაც ოჯახის საყვარელმა ბიჭმა ქუდი დაუმალა ჯონსს, იგი უკვე იძულებული შეიქნა მოეცადა. ოჯახის მამამ შესთავაზა, ჩიბუხი მოეწიოთ და წავიშასლაათოთო. ჩიბუხს მამა წვედა, ჯონსი კი საუბრობდა. ბოლოს მამას მობეზრდა ჯონსის ლაყბობა და დაცინებით მიმართა, იქნებ დამეც ჩვენსას დარჩეთო. ჯონსი დაცინვას ვერ მიუხედა და თვალცრემლიანი დათანხმდა.

მამამ საწოლამდე ღიმილით მიაცილა, გუნებაში კი ლაზათიანად შეუკურთხა.

მეორე დღეს, ნასაუზმევს, მამა სამსახურში წავიდა და სახლში ბავშვთან მოთამაშე გულგატეხილი ჯონსი დატოვა. მთელი დღე წასვლას ფიქრობდა ჯონსი, მაგრამ ვერ მოახერხა. სამსახურიდან დაბრუნებული მამა გაკვირვებული და აღშფოთებული დარჩა, როდესაც ჯონსი კვლავ შინ დახვდა. გადაწყვიტა რაიმე ხერხით გაესტუმრებინა და სიტყვა გადაუკრა, ჩვენსას ცხოვრებისათვის ქირა უნდა გადაიხადო. საცოდავი ახალგაზრდა ჯერ მიაშტერდა, მერე ხელზე ეამბორა და ზღუტქუნი თთხრა, ბოლოს მთლიანად მოგართმევთ ფულსო.

შემდეგი დღეები ის დაღონებული დაბორილებდა სასტუმრო ოთახში. უპაერობამ და ერთადგილზე ყოფნამ ჯანი შეუტრყია. მთელ დროს ჩაის სმასა და სურათების დათვალიერებაში ატარებდა. შეეძლო საათობით ეცქირა ბენგალურ ტანსაცმელში გამოწყობილ მამის ბიძის ამხანაგის სურათისათვის. ელაპარაკებოდა, ედავებოდა. ჯონსს თვალდათვალ უჩლუნგდებოდა ქკუა.

ბოლოს დადგა აღსასრულიც. ჯონსი მეორე სართულზე აიყვანეს. ციება აღმოაჩნდა. ავადმყოფობას საშინელი გართულება მოჰყვა. ჯონსი ველარ ცნობდა ვერავის, ბენგალურ ტანსაცმელში გამოწყობილ მამის ბიძის ამხანაგსაც კი. დროდადრო ლოგინზე წამოიწვედა და შეჰყვირებდა: „ბოდიში, მე მგონი...“ და საზარელი სიცილით ბალიშზე მიესვენებოდა. შემდეგ კვლავ წამოიწვედა და ყვიროდა: „კიდევ ერთი ჭიქა ჩაი და კიდევ მეტი სურათები! სურათები, სურათები! ჰა, ჰა, ჰა!“

დაბოლოს, ერთი თვის წამების შემდეგ, შვეებულების უკანასკნელ დღეს, ჯონსი გარდაიცვალა. ამბობენ, სიკვდილის წინ ლოგინზე წამოიწია და ნაძალადევი ღიმილით თქვა: „აი უკვე ანგელოზები მეძახიან; ვშიშობ, რომ ახლა უკვე ნამდვილად მომიხდება წასვლა, მშვიდობით!“ და მისი სული შეშინებულ თავგვით გაფრინდა სახლიდან.

ინგლისურიდან თარგმნა
ალექსი ბათიაშვილმა



ალბანეთი

შექსპიროლოგის იუბილე

ალბანელ შექსპიროლოგსა და კლასიკური ლიტერატურის გამოჩენილ მთარგმნელს სკენდერ ლუარასის ამას წინათ 60 წელი შეუსრულდა. ალბანეთის შრომის პარტიამ ამ იუბილესთან დაკავშირებით ლუარასი დაჯილდოვა ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი — დროშის ორდენით.

ა უ ვ

აბსტრაქციონისტის „რეცეპტი“

ცნობილმა აბსტრაქციონისტმა მხატვარმა რაფაელ დალამ თავისი სურათი „ქაოსი და სამყაროს შექმნა“ დახატა შემდეგი „რეცეპტით“ — მან ერთმანეთში აურიკა 40 ლიტრი შოკოლადის წვენი (სირობი), 10 ლიტრი ბატიბუტი, ამდენივე ადღვებილი არაჟანი და თითოველრო ლიფსიტები და ჭიადუები. ეს ნარევი გადაასხა ცოცხალ მოდელ ქალს, ორ გოჭსა და მოტორიან ველოსიპედს, ყველაფერი შეახვია ტილოში, შემდეგ კი თვითონ და მისი ორი თანაშემწე კარგა ხანს ცოცხს ურტყამდნენ, რათა კონტურები უკეთ გადასულიყო ტილოზე.

გაბადული რომანი

ნიუ-იორკში გამოვიდა რინგ ლარდნერ უმცროსის (გასული საუკუნის ცნობილი იუმორისტის რინგ ლარდნერის ვაჟის) რომანი — „ოუენ მურიის ექსპედიციის“.

ტაში“. პროგრესულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა რომანში გამოყვანილი მსხვილი და საშუალო ამერიკელი ბურჟუაზიის თამამად დახატულ სახეებს და გაბედულ, უკომპრომისო პოლიტიკურ პოზიციას, რომელსაც ადვას ავტორი, როდესაც ასახავს 50-იან წლებში ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიის მიერ „კუდიანებზე ნადირობას“ და პოლ რობსონის წინააღმდეგ მოწყობილ გახმაურებულ პიკსკილის ფაშისტურ შეთქმულებას. რინგ ლარდნერ უმცროსი, რომელიც ჰოლივუდის ერთ-ერთ საუკეთესო სცენარისტად ითვლება, მიეკუთვნება იმ 10 კინომუსიკატორს, რომლებიც თავის დროზე შეტანილი იყვნენ „შავ სიაში“, ბრალად ედებოდათ „მემარცხენეებთან კავშირი“ და პატიმრობაც იტყვევებოდათ.

მგრუნველი მსმენელები

მოღური სიმღერების შემქმნელი ამერიკელი კომპოზიტორი ოკლანომი რადიოში გამოვიდა და განაცხადა, ჩემს მელოდიებს დამდამობით ვკმნი, უძილობის დროს. ამ გამოსვლის მერე რამდენიმე დღის განმავლობაში ის ფოსტით ეპიზოდურად აუარებელ წერილსა და პაკეტებს, რომლებშიც იყო სხვადასხვა რჩევა და უძილობის საწინააღმდეგო წამლები.

სტიინგემის ახალი რომანი

ჯონ სტიინგემმა დაწერა ახალი რომანი — „იყო ერთი ომი“. რომანში მოქმედება წარ-

მოებს მეორე მსოფლიო ომის დროს, იტალიისა და ჩრდილო აფრიკის ფრონტებზე.

ბისტსელმერები

ამერიკულმა გაზეთებმა დაადგინეს, რომ შარშან ნიუ-იორკში „ასტრონომიულ“ ციფრს მიაღწია ისეთი ეროტული ლექსებისა და ნოველების გამოცემამ, რომელთა მსგავსი ჯერ არ იცის მსოფლიომ.

ჟინულის გუზეუმი

ამას წინათ გაიხსნა მეტად საინტერესო მუზეუმი — ყინულის მუზეუმი, რომლის ექსპონატებია ჩამწკრივებულ მაცივრებში მოთავსებული ყინულის ბლოკები. ეს ბლოკები წარმოადგენენ გრენლანდიისა და ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის სხვადასხვა ფენას — ამდენად მეცნიერთათვის მეტად ძვირფასი საკვლევი მასალაა. ყინულში აღმოჩენილი ვულკანური მტვრის, მეტეორიტების ნამსხვრევებისა და სხვადასხვა მიკრობის მეოხებით მეცნიერებმა ბევრი ახალი რამ შეიტყვეს (მაგ. ვულკანური მოქმედების აქტიური პერიოდი, ჰაერის ნაკადები და ატმოსფერული ნალექები და სხვ.). მუზეუმში დაცული უძველესი ექსპონატია 600 წლის ყინულის ბლოკი.

ბელგია

მანიაკი მწარალი

ბრიუსელში სენსაცია გამოიწვია ცნობილი ბელგიელი მწერლის ანდრე ვიეტურას დაპატიმრებამ. მისი ბრალდება

ისაა, რომ სისტემატურად ცეცხლს უკიდებდა სხვადასხვა შენობას. ამჯერად ვიეტურას იმ დროს მიუხსურებს, როცა ცეცხლს უკიდებდა წიგნის ერთ დიდ მაღაზიას. მის სინდისზეა ამოწმად ხანძარი, მათ შორის — სტადიონისა, მუზეუმისა და რამდენიმე კინოთეატრისა. ვიეტურას სპეციალობაა დეტექტიური რომანები. ერთ-ერთ რომანში მას გამოყვანილი ჰყავს პირომანიაკი, ე. ი. ხანძრის ვაჩენის მანიის შეპყრობილი ადამიანი. ამჟამად ბრიუსელში ყველა იმ აზრისაა, რომ აუცილებელია ამ უკაცრავად პასუხია, მწერლის ჩაქვტვა. ოღონდ ჯერ ვერ შეთანხმებულან, სად ჩაქვტონ — საპატიმროში თუ საგეიშეთში.

ბერმანიი

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

კუპრინისკების ნამუშევრების გამოფენა

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თაოსნობით ამას წინათ ბერლინში გაიხსნა ცნობილი საბჭოთა კარიკატურისტების — კუპრინისკების (კუპრინაოვის, კრილოვისა და სოკოლოვის) ნამუშევართა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ მხატვრული კოლექტივის ნამუშევრები — პლაკატი გრაფიკა, კარიკატურა, აგრეთვე მათი ცალკეული ნახატები.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის წევრმა გერჰარდ კორბელმა, რომელმაც საზეიმო ვითარებაში გახსნა გამოფენა, აღნიშნა, რომ ესაა უაღრესად დიდი შემოქმედებითი და პოლიტიკური მნიშვნელობის გამოფენა და რომ გერმანულ ხელოვანთ ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ამ საბჭოთა მხატვრებისაგან.

ფადევის რომანის ინსცენირება

ახალგაზრდა გვარდიის თეატრმა ჰალეში განახორციელა

ფადევის რომანის „ახალგაზრდა გვარდიის“ ინსცენირება. სექტაკლზე მუშაობის პერიოდში მსახიობთა ჯგუფი ესტუმრა საბჭოთა კავშირს, იყო მოსკოვში და ინახულა ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია სახელოვანი ახალგაზრდა პატრიოტების ცხოვრებასა და ბრძოლასთან.

ფიურნბერგის ლირიკა

გერმანელი მწერლისა და ესეისტის ლუის ფიურნბერგის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ციკლი მისი ლირიკული ლექსებისა, რომლებიც მკითხველს სიბლავს პოეტის ლირიკული ტალანტის ნამდვილად კრისტალური სიწმინდით; ამავე დროს ცნობილია, რომ ფიურნბერგს არ უყვარდა თავისი ლექსების გამოქვეყნება.

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

სტუდენტთა პასუხი

დასავლეთგერმანულმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა „დი შიონისტი“, რომელიც მიუხედავად გამოდის, გამოაქვითხა დასავლეთგერმანულ სტუდენტებს, რა წიგნებს კითხულობთ და რომელი მწერალი გირჩევნიათ. პასუხები ისეთი მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა, რომ ჟურნალმა განაცხადა, ეს გაუგებრობაა. გამოიჩვენა, რომ დასავლეთგერმანულ გამოცემელთა ცალმხრივი ორიენტაციის მიუხედავად დასავლეთგერმანულ სტუდენტებს, ჯერ ერთი, ნაკლებ აინტერესებთ თანამედროვე დასავლეთგერმანული მწერლები და, მეორეც, ამჯობნიებენ თომას მანს, ჰემინგუეის, დოსტოევსკის, ბერთოლდ ბრენტს და კამიუსს.

მუჰარის მიუხედავად

ცნობილი გერმანელი მსახიობი ქალი მარლენ დიტრიხი, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს, ამას წინათ საგასტროლოდ ჩავიდა ევროპაში. გათვალისწინებული იყო მისი

გამოსვლა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ნ ქალაქში.

ხელოვანი ქალი, რომელმაც სახელი გაითქვა ლოლას როლის შესრულებით ფილმში „ციცფერი ანგელისი“ (ჰაინრიხ მანის რომანის „პროფესორ უნრატის“ მიხედვით), ჯერ კიდევ 30-იან წლებში სავარაოდ გამოდიოდა ფაშისმის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკულ ჯარს ეხმარებოდა.

მარლენ დიტრიხის დასავლეთ გერმანიაში ჩასვლისთანავე გაუხეტებმა ერთი ხმაური შექნეს. მსახიობ ქალს ცილს სწამებდნენ სამშობლოს დაღატაში, ღანძლავდნენ, სასტუმროში მუქარით სავსე წერილები მიდიოდა, მაგრამ მარლენ დიტრიხი არ შეუშინდა ფაშისტების მუქარას: „მე ეს სრულიად არ მაწუხებს, — განაცხადა მან პრესკონფერენციაზე, — რადგან ვიცი, რომ მოსახლეობას არავითარი წილი არ უდევს ამ საქმეში. ჩემი საუკეთესო მეგობრები ნაცისტებმა საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. მართალია, ომის დროს დახმარება გავუწიე ამერიკულ ჯარს, მაგრამ ამით გერმანიას ვერმარებოდი, მინდოდა მალე დამთავრებულიყო ომი“.

ერთ-ერთ დასავლეთ გერმანულ ჟურნალისტს, რომელიც ცდილობდა ეთქმევინებინა მისთვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო რამ, მარლენ დიტრიხმა უპასუხა: „ჩემთვის გერმანია ერთია, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც გერმანელებით დასახლებული“.

პროგრესულმა წრეებმა და ზოგამ ბურჟუაზიულმა გაზეთმაც კი პროტესტი განაცხადეს ნაცისტების ამ სამარცხვინო მოქმედების გამო. აი რას წერს გაზეთი „დი ველტი“: „ამერიკისათვის მარლენ დიტრიხი არის გერმანელი, რომელსაც ეყო ვაჟკაცობა და გამბედაობა გამოსულიყო ჰიტლერის წინააღმდეგ. როცა ჩვენ დღეს ამის

გამო მუქარას ვუთვლით მას, ამით ბრალდებას ვუყენებთ საკუთარ თავს, და არა მარტომ ადიტრისს“.

დანია

ხმოვანი გაზეთი

დანის უსინათლოთა საზოგადოებამ თავისი წევრებისათვის შექმნა ხმოვანი გაზეთი, რომელსაც კვირაში ორჯერ ფოსტით მიიღებენ უსინათლონი. გაზეთი ჩაწერილია მაგნიტოფონის ფირზე და შეიცავს სამსახურითან მასალას, აქედან სათანადეგარს უსინათლონი ისმენენ სხვადასხვა ცნობებს და პოლიტიკურ სტატიებს, ხოლო დანარჩენ დროს — გასართობ მასალებს. ამ გაზეთის შექმნა შესაძლებელი გახდა მას შერე, რაც დანის რადიოს ერთმა ინჟინერმა მიაგნო ხერხს, რომლის მეშვეობითაც ადვილი შეიქმნა მაგნიტოფონის ჩანაწერების სწრაფი გადაღება-გამრავლება. დანიაში ცხოვრობს 6000-მდე უსინათლო, რომელთა 60% გადაცილებულია 60 წელს და აღარ შეუძლია უსინათლოთა ანბანის შესწავლა. ამჟამად ცდილობენ ჩაწერონ და მაგნიტოფონის ფირზე გაამრავლონ მხატვრული ლიტერატურა უსინათლოთათვის. გაზეთი მეტად იაფია და უკვე მრავალი ხელისმომწერი ჰყავს.

ვიეტნამი

წიგნის პროდუქციის ზრდა

ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა წიგნის პროდუქცია. 1959 წელს რესპუბლიკის გამოცემლობებმა გამოცემეს პოლიტიკური, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის 18.300.000 მგზემლარი. ეს 69%-ით აღემატება 1958 წელს გამოცემულ ლიტერატურას.

ინგლისი

საბჭოთა წიგნის გამოცემა

ლონდონში გაიხსნა საბჭოთა წიგნის I გამოფენა. გამოფენამ, რომელზეც წარმოდგენილია

თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის 4.000-დე ნიმუში, ინგლისელი მკითხველები დიდად დაინტერესა. საყოველთაო წარმატება ხვდათ დოკუმენტურ კრებულებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის, სკკპ ისტორიისა და II მსოფლიო ომის ისტორიის შესახებ. გამოფენა უამრავმა ხალხმა დაათვალიერა. როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, გამოფენის ყველა ექსპონატი — 4.000 წიგნი და 250 ყურნალი — საჩუქრად გადაეცემა ინგლისის კულტურისა და განათლების ორგანოებს.

შექსპირის მოღერნიზაცია

ლონდონის თეატრმა „მერიმელმა“ ახლებურად დადგა შექსპირის „ჰენრი IV“ — ესაა თანამედროვე პიესა ომის შესახებ. ეს არ გახლავთ ზერელე მოღერნიზაცია, როგორც მოეჩვენება ადამიანს ერთის შეხედვით, როცა ნახავს რუხი ფლანელის კოსტუმში გამოწყობილ ჰენრი IV-ს და თანამედროვე სამხედრო ტანსაცმლიან მის მეომრებს. თეატრის დირექტორმა მილესმა ხაზი გაუსვეს იმ სცენებს, სადაც მოჩანს ომის არაადამიანურობა. ამაშია მთავარი აზრი ახალი დადგმისა, რომელიც მასურებელმა ძალიან კარგად მიიღო, კრიტიკა კი ცოტა არ იყოს შეკრთა და დაიბნა.

28 მწერლის პროტესტი

ინგლისის გაზეთების ცნობით 28 ინგლისელმა მწერალმა, რომელთა შორისაა სომერსეტ მოემი, ჯულიან ჰაკსლი, ჯონ პრისტლი, ჯონ ოსბორნი და სხვ., ხელი მოაწერეს რასობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ერთობლივ განცხადებას. განცხადებაში ნათქვამია, რომ „რელიგიაც და მეცნიერებაც ჰკიცხვენ რასობრივ დისკრიმინაციას და ჩვენი ღრმა რწმენით, რასობრივი დისკრიმინაცია არის

ადამიანის სიბოროტის ყველაზე შემწარავი გამოვლენა, რომელიც მოგვაგონებს შიტლერული რეჟიმისდროინდელ გაციფებულ რასობრივ მკვლელობებს“.

საკითხავი ბიზლია

ლონდონის ერთ-ერთი სამრეწლო მღველმა ჯოზეფ მაკულოკმა „რედაქცია გაუტეა“ ბიზლიას, რათა უფრო „საკითხავი“ გაეხდა. მან 750.000 სიტყვით შეამცირა ტექსტი; სხვათა შორის, ამ შემცირებაში მოჰყვა ათი მცნებაც.

ინდოეთი

„კვამლი, ცეცხლი და აღამიანი“

ინდოეთის კრიტიკამ შივ ნარაიან შრივასტავს რომანი „კვამლი, ცეცხლი და აღამიანი“ შეაფასა, როგორც „ინდოელი მუშის გამირული ეპოსი“. ამ რომანის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ესაა ახალი მოვლენა ჰინდის ენაზე არსებული ლიტერატურის შედარებით ვიწრო სამყაროში — დღემდე ეს ლიტერატურა მხოლოდ შუასაუკუნეობრივი რელიგიური და სოციალური რიტუალების აღწერას უნდებოდა. თანამედროვე მწერლებმა ჰინდის ლიტერატურაში შეიტანეს გლეხთა ჩავვრის ამსახველი ახალი ნაკადი, მაგრამ დღესაც კი მუშათა კლასს არ ჰქონდა დათმობილი ლიტერატურაში მისთვის შესაფერი ადგილი. ამ მხრივ შივ ნარაიან შრივასტავს რომანი მრავლისაღმქმელი დასაწყისია.

ირლანდია

შველამ ალიარა, სამშობლოს გარდა

სახელგანთქმულ ირლანდიელ მწერალსა და დრამატურგს შონ ო'კეისის 80 წელი შეუსრულდა. მისი პიესები იდგმება მსოფლიოს ყველა სცენაზე, გარდა... ირლანდიისა. პროგრესული შემოქმედება ამ მსცოვანი მწერლისა, რომელმაც განვლო

რთული გზა ირლანდიური ნაციონალიზმიდან და ირლანდიის ეროვნულ - გამათავისუფლებელი ბრძოლიდან სოციალისტურ მსოფლმხედველობამდე — გააფრთხილეთ კბლთადრქვენას გვრის ირლანდიის მმართველ კლერიკალურ წრეებს. მსოფლიოში სახელმწიფოებრივად და აღიარებულ მწერალს არ შეუძლია იცხოვროს თავის სამშობლო ირლანდიაში, რადგან დევნიან, და ინგლისში ცხოვრობს. ის მეგობრული დამოკიდებულება და პატივისცემა, რომელსაც იჩენს მწერალი საბჭოთა კავშირისადმი, კიდევ უფრო აძლიერებს რეაქციული კათოლიკური სასულიერო წოდების მისდამი სიძულვილს.

იტალია

ახალი კინოფესტივალი

ავგისტოში პორტა ტერმაში პირველად ჩატარდება ახალი საერთაშორისო კინოფესტივალი. ამ ფესტივალის მიზანია, როგორც იფიქრება წესდება, მხარი დაუჭიროს და წინ წასწიოს კინოპროდუქცია, რომელიც „ამსხვრევს ძველ სქემებს“ და მიმართავს თანამედროვე პრობლემებს. უიურის წევრები არიან რეჟისორები ფელინი, როსელინი, დე სანტისი და კინემატოგრაფიის სხვა გამორჩენილი მოღვაწენი.

ბარდაიცვალა სიბილა ალმერამო

რომში გარდაიცვალა 84 წლის მწერალი ქალი სიბილა ალმერამო — იტალიური პროგრესული საზოგადოებრიობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. მისი პირველი ნაწარმოები, ავტობიოგრაფიული რომანი „ერთი ქალი“ 1906 წელს გამოვიდა. ამ რომანში მწერალმა ქალმა ხმა აღიმართა ქალთა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის. ამ რომანის შემდეგ, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა და ორი წლის განმავლობაში

ითარგმნა 7 ენაზე (მათ შორის, რუსულზეც), 13 წლის განმავლობაში ალერამოს აღარაფერი დაუწერია. ეს წლები იმას მოანდომა, რომ იტალიის მივარდნით სოფლებსა და ქალაქებში დააარსა სკოლები წერა-კითხვის უცოდინარ მოზრდილთათვის. 1919 წელს გამოქვეყნდა მისი ახალი რომანი პედაგოგების შესახებ, ხოლო 1923 წელს — ლექსების პირველი კრებული, რომელსაც მოჰყვა მრავალი სხვა კრებული, აღსავსე ადამიანისთვის თავისუფალი ცხოვრების შექმნის მოწოდებით. 1946 წ. სიბილა ალერამო შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1956 წ. გამოვიდა მისი ლექსების უკანასკნელი კრებული — „ჩემი დამის უუქი“. მისი დღემდე გამოუქვეყნებელი „დღიური“ მოგვითხრობს იტალიელი ხალხის ანტიფაშისტური ბრძოლის ამბებს.

კავატიანის ახალი სცენარი

ცნობილი იტალიელი კინოსცენარისტი ჩუზარე ძავატიანი წერს სცენარს ალბერტო მორავიას „ჩიჩარას“ მიხედვით (ეს რომანი დაბეჭდილი იყო საბჭოთა შურნალში „Иностран. лит-ра“). ფილმს გადაიღებს ვიტორიო დე სიკა, დააფინანსებს ცნობილი პროდიუსერი კარლო პონტი.

„დიდი ომი“

იტალიელ კინოკრიტიკოსთა კავშირმა თავისი ყოველწლიური პრემია მიანიჭა რეჟისორ მარियो მონიჩელის ფილმს „დიდი ომი“, რომელშიც მონაწილეობს სილვანა მანგანო.

მექსიკა

ძნელად შესასრულებელი ანდერძი

მდიდარმა მექსიკელმა ქვრივმა ქალბატონმა ვალინდა ტერიმ მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ქ. ტამპიკოს ლიტერატურულ საზოგადოებას იმ პირობით, რომ ამ კაპიტალის პროცენტებით ყოველ წელი-

წადში ერთხელ პრემია მიეკუთვნოს დრამატურებს, რომლის პიესაშიც გამასრულებელი იქნებიან სიძებნი, ხოლო სიდედრები ისე იქნებიან დახატული, რომ სიმპათია და კეთილი გრძნობები აღუძრან მაყურებელს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მთელი მსოფლიოს მწერლებს, ოღონდ აქაც ერთი პირობაა: მწერალი უსათუოდ ცოლიანი უნდა იყოს და უნდა ჰყავდეს სიდედრი.

მოწოდებითი

რუსთაველი მოწოდებულად

ამ ბოლო წლებში მოწოდებითი მწერლები მეტად ნაყოფიერად მუშაობენ მსოფლიო კლასიკის ნაწარმოებთა თარგმნაზე.

ამჟამად იბეჭდება და მალე გასაყიდად გამოვა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მოწოდებულად ენაზე. წელს გამოვა აგრეთვე შექსპირის, შილერის, ჰინეს, ლევ ტოლსტოისა და გორკის ნაწარმოებთა მოწოდებულად თარგმანი.

საფრანგეთი

დიუმას რომანს იცეკვებან

პარიზის ოპერა დგამს განთქმული ფრანგი კომპოზიტორის ანრი სოგეს ბალეტს, რომლის ლიბრეტოს საფუძვლად დაედო ა. დიუმას რომანი — „ქალი კამელიები“. მარგარიტა გოტიეს როლს იცეკვებს ივეტ შოვირე.

პოეზიის პატრიარქის სიკვდილი

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ფრანგი სიმბოლისტი პოეტების უკანასკნელი წარმომადგენელი — პოლ ფორი. მისი ბალადების პირველი ტომი გამოვიდა 1897 წელს, როცა 1950 წელს გამოცემეს პოლ ფორის თხზულებათა სრული კრებული, მისი შემოქმედება უკვე 40 ტომს მოიცავდა. გარდა ლექსებისა, მას დაწერილი აქვს რამდენიმე პიესა და რომანი. უკანასკნელ წლებში ფორი იყო

ერთგვარი ძეგლი XIX საუკუნისა და უკვე ვედარავითარ გაფლენას ვედარ ახდენდა თანამედროვე პოეზიაზე.

პანტომიმა იმარჯვებს

სახელგანთქმული პარიზელი მიმიკოსის მარსელ მარსოს სამა საუკეთესო თანამშრომელმა — სეგალმა, ლომომ და გარნიემ შექმნეს საგანგებო პანტომიური დასი, რომელიც დიდი წარმატებით გამოდის სახალხო ვარიეტე „ბობინოში“. მათ დაამტკიცეს, რომ თავიანთი მასწავლებლის დირსეული მოწაფეები არიან, რომ თანამედროვე პანტომიმა ნამდვილი, ცოცხალი ხელოვნებაა, და რომ შესტ-მიმიკის ენა გასაგებია მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ფოტოგრაფის იუბილე

50 წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა საფრანგეთის ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფი — გასპარ ფელიქს ტურნაშონი. 34 წლის ასაკამდე ის იყო კარიკატურისტი და ცნობილი აღმანიანების მისეული კარიკატურების ალბომი დღესაც იბეჭდება. შემდეგ მან გახსნა ფოტო-სალონი და მის ფერ გადაღებული 79.000-მდე ფოტოსურათი ინახება ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, როგორც ძვირფასი დოკუმენტები. მას გადაუღია ყორჟ სანდი, ფერენც ლისტე, ალფონს დოდე, ალექსანდრ დიუმე, ჟიულ ვერნი, ალფრედ დე-ვინი, შარლ ბოდლერი და მრავალი სხვა სახელგანთქმული კულტურული და პოლიტიკური მოღვაწე.

სტუდენტს პრემია მიეცა

პოლ ვალერიის სახელობის პრემია მიეკუთვნა 28 წლის სტუდენტს ჟაკ მოროს, რომელმაც გამოსცა 200 ლექსისაგან შემდგარი კრებული — „ნაპირზე“.

უნგრეთი

რანადის ახალი ფილმი

ცნობილი უნგრელი კინორეჟისორი ლასლო რანადი იღებს ფილმს, რომელსაც საფუძვლად დაედო უნგრელი კლასიკოსის ჟიგმონდ მორიციის რომანი — „წესიერი იყავ სიკვდილამდე“, ბიჭუნა მიშინილაშის მთავარ როლს შეასრულებს 11 წლის მოსწავლე ლასლო შოტი, რომელიც რეჟისორმა შეარჩია ათასობით ბუდაპეშტელ და სოფელელ მოსწავლეებში. რეჟისორის აზრით უნგრულ კინემატოგრაფიაში უკვე მრავალი წელია არ გამოჩენილა ბავშვის როლის ასეთი ნიჭიერი შემსრულებელი.

მრკველის ხსოვნის აღსანიშნავად

წელს ბუდაპეშტის ტრადიციული მუსიკალური კვირა ეძღვნება ცნობილი უნგრელი კომპოზიტორის, უნგრული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის ფერენც ერკელის ხსოვნას — მისი დაბადების 150 წლისთავს. ოქტომბრის მიწურულს მოეწყობა მომღერალთა საერთაშორისო კონკურსი. პრემიის საერთო თანხაა 100.000 ფორინტი. ჟიურის შემადგენლობაში არიან უნგრელი და უცხოელი მუსიკალური მოღვაწენი ტიტო სკიპას თავმჯდომარეობით.

გზმეცია

ტრილოგია დასრულდა

ამას წინათ სტოკჰოლმში გამოვიდა გამოჩენილი შვედი მწერლის მობერგის ტრილოგიის მესამე, ბოლო რომანი — „უკანასკნელი წერილი შევიცაში“. რომანში აღწერილია ცხოვრება შვედი გლეხებისა, რომლებმაც ამ 100 წლის წინათ დატოვეს სამშობლო. ეს ნაწარმოები უკვე 12 ენაზე ითარგმნა.

ჩეხოსლოვაკია

კიდევ ერთი ახალი თეატრალური ფორმა

როგორც ცნობილია, შარშან პრადის ეროვნულ თეატრთან შეიქმნა თეატრალური ხელოვნების ახალი სახის ქაცდელისტულია, ე. წ. „ლატერნა მაგიკა“, რომელმაც ბრიუსელში, მსოფლიო გამოფენაზე, დიდი პრემია მიიღო. „ლატერნა მაგიკა“ წარმოადგენს თეატრისა და კინოს სინთეზს, ამასთან იმდროს, როცა სცენაზე მოქმედება მიმდინარეობს, კინოფილმს აჩვენებენ სხვადასხვანაირად მოწყობილ რამდენიმე ეკრანზე, რაც მაყურებელზე უჩვეულოდ დიდ ზემოქმედებას ახდენს. ხელოვნების ეს ახალი ფორმა გამოიგონეს რეჟისორმა ა. რადოკმა და მხატვარმა ი. სეგოლამ.

ამჟამად, როცა „ლატერნა მაგიკამ“ საყოველთაოდ გაითქვა სახელი, ჩეხოსლოვაკიის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ შექმნა სცენიური ხელოვნების კიდევ ერთი ახალი სახე — ლუმინისცენცური თეატრი“. გაშუქებისა და გამომსახველობის ახალი ფორმების გამოყენების ცდამ უკვე გარკვეული მიმართულება მიიღო. მანათობელი მასალები, მაგ., დირიჟორის ჯოხი ან საკრავების სიმები, აგრეთვე შავ სივრცეში გამოჩენილი ხელები, რასაც თან ახლავს მუსიკის რიტმი ან ხმათა ქაოსი, ირიბი ხაზების, წრეებისა და ა. შ. თამაშით ქმნიან ლირიკული მომხიბლავობით აღსავსე სურათებსა და სატირულად გამახვილებულ მოტივებს. ახალგაზრდა პოეზიისა და მუსიკის თანამშრომლობას სცენოგრაფიულ ლაბორატორიასთან შეუძლია „ლუმინისცენცური თეატრისაგან“ შექმნას კულტურული განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის სრულიად ახალი საშუალება.



3360 6 336.

6. 98/175

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„Ц И С К А Р И“

**ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР**

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»